

ISSN 0132-6023



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

# საქართველო

2

1981

„თბილისზე ფრიალებს  
წითელი დროშა!“

ცხრაასოცდაერთის დიადი თებერვალი  
სამარადისოდ შერჩება დროუამს...

„მოსკოვი, კრემლი,  
ლენინს და სტალინს,  
თბილისზე ფრიალებს წითელი დროშა!“

ამ დროშით განვლო თბილისმა  
ბრძოლის და შენების მღელვარე წლები,  
ეს დროშა დაგვანათის, ვით შუქი დილისა,  
და ყოველ განთიადს ამ დროშით ვხვდებით.

კაცური ფიქრების პირველ გამართლებას  
პირველი ხუთწლედების დროში,  
წყვდიადის დამარცხებას,  
ზაჰესის დაბადებას,  
თბილისი ზეიმობდა ამ წითელ დროშით...

და როცა დაგვიდგა მრისხანე გამოცდა  
სამშობლოს წინაშე უმძიმეს ომში,  
ლიმილის ბიჭებს დედური დალოცვით  
თბილისი აცილებდა ამ წმინდა დროშით.

ეს დროშა შემართებით თაობებს სჭერიათ,  
დღესაც ხვალინდელის წყურვილით გვაფებს,  
დროშა აღისფერი სამოცი წელია,  
ფრიალებს, ფრიალებს, თბილისის თავზე!

აკობანდო სვანი

# ტყეა

284

განმცემის ოცდამეოთხე წელი

2

თბაქვლი

1981

თბილისი

საბ. კვ. ც.ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური უბრუნალი

## უ ი ნ ა ა რ ს ი

### პროზა, პოეზია

3. ოთარ ზილაძე — რკინის ტეატრი. რომანი. გაგრძე-  
ლება
46. მუხრან მახავარიანი — ლექსები
51. მიხეილ ჟვლივიძე — ლექსები
54. შალვა ფორჩხიძე — ლექსები
58. ზია ლომაძე — თაბაშირის ტაცი. მოთხრობა
86. ოთარ ზალაშვიტი — ლექსები
89. ზაურ მულაშვილი — ლექსები
93. ნუგზარ კობახიძე — ლექსები

### ახალი სახელები

97. ანა მხეიძე — არჩევანი მე... მოთხრობა

### მთავარი რედაქტორი მორის ფოსხიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ჭაბუა ამირეჯიბი,  
გივი გეგეჭკორი,  
გურამ გვერდსიანი,  
რისმაგ გორდენიანი,  
გიორგი გუგულია,  
ნოდარ დუმბაძე,  
მერაბ ელიოზიშვილი,  
იოსებ ორბელიანი,  
ედუარდ მენაბდე,

მთავარი რედაქტორის  
მოადგილე  
ოტია პაჭკორია,

გურამ ფანჯიკია,  
ნუგზარ შატაძე,  
ჯანსუღ ჩარკვიანი,  
გივი ქნელიაძე,  
ნუგზარ წერეთელი,  
თამაზ წიგნაძე,  
ტირქულ ტანტურია,  
რაჭო ტყეშელაშვილი.

### რუსთაველის ნაკვალევზე

118. სოკრატ სალუშვაძე, გივი საყვარელიძე — წამალთ-  
მცოდნეობისა და მკურნალობის საკითხები „ვიფ-  
ხისტუკოსანში“

### წერილები

125. კორნელი დანელია — ქართული საფერლო ენის  
სათავეებთან
139. სპეტლანა ორლოვა — ინფორმაციები, ვინ არი-  
ან და საიდან მოვიდნენ ისინი?

### ხელმოწერა

150. ღვთისმშობლის სახელით — ნათელი ინფორმაციები
155. ავთანდილ ვარტაგავა — გარდასახვა
159. კულტურული ცხოვრების კრებვა

# ჩვენის თეატრი

რომანი


2

ელოდებოდნენ, არკი იცოდნენ — რას. საერთოდ არ იცოდნენ, რისი მოლოდინი უნდა ჰქონოდათ და მაინც ელოდებოდნენ, უიმედოდ, ურწმუნოდ, უმოქმედოდ, რადგან რაც თავი ახსოვდათ, სულ ასე ელოდებოდნენ რალაცას, რალაცას, რისი სახე და სახელი უფრო ადრე დავიწყებოდათ, ვიდრე მოლოდინის უაზრობას შეიგრძნობდნენ; მაგრამ მეტნაკლებად გარკვეული, მეტნაკლებად ჩამოყალიბებული და უარესად პიროვნული მოლოდინიც არსებობდა, პირადულ მოლოდინთა მთელი ნაირსახეობა; მაგალითად, კონტრაბანდისტი ბნელ ლამესკლარდებოდა, ჩინოვნიკი—ჩინის მომატებას, მეძავეი—უცხოურ გემს, ხოლო დარია—დედობას. სხვა მხრივ ყველაფერი ძველებურად გრძელდებოდა. მელისა საქათმეს იცავდა, მგელი — ფარებს. წამებულის ლაფში ეგდო, წამებულის გვირგვინი მლიქვნელს ედგა თავზე: მბრძანებელმა ჩემზე ად-

რე სხვას ჩამოართვა ხელიო. სემიპალატინსკი ილია ნაკაშიძე პოლიტიკურ პატიმრებს „მრავალუამიერს“ ასწავლიდა. პოლიცემისტერს თბილისელი მსახიობის ჯავრი კლავდა, პოლკოვნიკ ვეზირიშვილს — თბილისელი მსახიობის ცოლისა. ზღვაში ქვიშა ილეოდა, ცაში ვარსკვლავი. მაცდუნებელ ფეხს ისევ გზიდან გადაჰყავდა კაცი. მაცდუნებელი ხელი ისევ თავისთავად ეტანებოდა სხვისას. მაცდუნებელი თვალი ვერაფრით ვერ გამძლარიყო. ხალხში ცოდნის წყურვილი იღვიძებდა: იქნებ გავიგოთ, რა ამბავია ჩვენს თავს, რატომ ხდება ასეო. სახალხო აუდიტორიებში წინასწარ შედგენილი და მკაცრად შეზღუდული სიებით იგზავნებოდა წასაკითხი წიგნები, უფრო ბროშურები: „კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა“, „წითელას აცრა“ თუ „ჯვაროსნული ომები“. სამაგიეროდ, „ცნობის ფურცელის“ ტირაჟმა ცხრა ათასს მიაღწია, ხოლო ცოტა უფრო მოგვიანებით, იაპონიის ომის დროს, ცამეტ ათასსაც გადააჭარბა. ძლიერნი ამაქვეყნისანი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. ქურნალი „ცისკარი“ № 1.

ქ. ბარჯის ხარ. საქ. სსრ  
 მხედრობის სპეცდოც.  
 მხედრობის ომთარ



გულისფრიალით გამოდიოდნენ შინიდან და სამსახურშიც გვიანობამდე ითრევდნენ ფეხს, ოსკარ შმერლინგი ქუჩაში არ გველოდებოდეს თავისი აპარატივით, მაგრამ როგორც არ უნდა ეფრთხილათ, „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში მაინც ჩნდებოდნენ მათი შემკრთალი, დაბნეული სახეები, გაზეთსა თუ გაშლილ ქოლგას ამოფარებულნი. ამგვარი „კარიკატურები“ კიდევ უფრო ზრდიდნენ ხალხის ინტერესს გაზეთისადმი და, აქედან გამომდინარე, საერთოდ ყველაფრისადმი, რაც მათ ვარშემო ხდებოდა. დრო კი გადიოდა. ცხოვრება დულდა და გადმოდულდა. ხისფეხა კოსტა იცინოდა: ცხოვრება თეატრიაო, და — არაფერი გამომრჩესო — დილიდან საღამომდე გაუძნრევლად იჯდა უკანალოთ ვადაპრიალებულ ჯორჯოზე, თავისი სარდაფის კიბესთან; ხის გაბზეკილ ფეხზე სარეცხივით გადაფეხინა ასო-ასო ამოკენილი გაზეთი და ობობის მოთმინებით ელოდებოდა, როდის გადააწყდებოდა ზედ ფიქრში გართული გამვლელი, როდის მიეცემოდა ვილაკასთან გამოლაპარაკების საშუალება. უზომოდ კმაყოფილი იყო საკუთარი ბედისა. ცხოვრების თეატრიდან გამომკვებულად კი არ თვლიდა თავს, ხეობობის გამო, არამედ ცხოვრების თეატრის უფლებამოსილ, „ბილეთიან“ მყურებელად, რამდენადაც (თვითონ ამბობდა ასე) თავადვე მოეკვება მაცდუნებელი ფეხი, რომელიც „სცენისკენ“ ექაჩებოდა, სხვათა გამართობად უპირებდა გადაქცევას, იმან კი მოიკვება, „სცენას“ „დარბაზი“ ამჯობინა და არაფერი წაუგია (ამასაც თვითონ ამბობდა), თუნდაც იმიტომ, „სცენა“ ყოველწუთას რომ იცვლებოდა, „დარბაზში“ კი, მართალია ერთფეროვანი, მაგრამ მყარი, საიმედო სიმშვიდე სუფევდა: მზე სასიამოვნოდ აცხუნებდა, ქაფურის ხეზე ჩიტები ჭივივივებდნენ, სარდაფიდან შემწვარი თევზისა და მოხალული მზესუმზირის თბილი სუნი ამოდიოდა;

და ბოლოს, მისი მოთმინების ბადეშიც აუცილებლად გაეხვეოდა კოსტა, და ცოცხალი ღიმილით, სისხლივით წითელ ფარფარაში იმისთვის, თუკი რამე იცოდა ახალი, სხვათა თუ საკუთარი. ღიმიტრის იმდენად ეცოდებოდა ხისფეხა კოსტა, არასოდეს აუვლია უბრად გვერდი, თუმცა, უნდოდა თუ არ უნდოდა, უნებურად მაინც უნდა შეჩერებულიყო, შეყოვნებულიყო, რადგან კოსტა თავისი ხისფეხით ლამის მთელ ქუჩას ეტაკებდა, შლაგბაუმივით, და ღიმიტრიც, თავისი მორიდებულობის წყალობით, შლაგბაუმივით თავჩამოდებული ძროხის მოთმინებით ელოდებოდა, როდის ჩათავდებოდა, როდის ჩაივლიდა კოსტას ცნობისმოყვარეობის მატარებელი. ღიმიტრიმ არ იცოდა, როდის ჩამოსახლდა კოსტა ბათუმში, ოდესიდან დაბრუნებულს უკვე აქ დაუხვდა და პირველსავე დღეს ძველი ნაცნობივით დაუძახა: სადა ხარ, კაცო, რით ველარ განათლდი აქამდეო. არც ის იყო გამორიცხული, სარდაფის ნესტსა და წყვედიად რომ ამოეზარდა იგრ, სოკოსავით, ღიმიტრის ჯიბრზე, ღიმიტრის გასამწარებლად, რადგან მართლაც რომ მისცილივით ჰქონდა იძულებითი გულისხმიერების გამომყდენება ამ ხისფეხა ბრძენის, წინასწარმეტყველის, მისნის მიმართ; და ისიც თავს ვალდებულად თვლიდა, აეტანა ეს ყოველდღიური „განსაწმენდელი“ თავისი პატარა სამოთხის წინ. ცხოვრება კი გრძელდებოდა, ვინ იცის, რამდენჯერ დაკნინებული, გალახული, გაწვილებული — იხტიბარს არ იტეხდა და ძველებურად დულდა და გადმოდულდა. სახლიც იგივე იყო: ერთსართულიანი, კრამიტით დახურული, წყალქვეშა ნაევივით ჩაძირული ხასხასა სიმწვანეში. მაგრამ ახლა უფრო საყვარელი, უფრო ძვირფასი, უფრო გასაფრთხილებელიც, რადგან იმ სახლში ახალი სიცოცხლე იზრდებოდა ახლა, ნატო იზრდებოდა, ყვავილივით ჩუმად და შეუმჩნეველად. არც სტუმრების გაუთავებელი ჟრიაბული უშლიდა ხელს და არც არავინ წამოვადებდა საწოლიდან,



სანახევროდ მძინარეს, რათა ვიღაც დამთხვეული ოფიცისთვის კალთაში ჩაესვათ. დარია რომ მშობიარობდა, დიმიტრი ეზოში იდგა, თავსმაში, და რატომღაც ის შემზარავი ღამე ასხენდებოდა, თეთრად რომ გაათია დარიას მოლოდინში. წვიმას თქარათქუთური გაუდიოდა ქოლგაზე, დიმიტრი კი, სიკვდილის გამოცხადებას ელოდებოდა განუწყვეტლივ, რადგან დარწმუნებული იყო, სიკვდილი აუცილებლად მოვიდოდა და თავის „ლიმონს“ მოიკითხავდა, ერთხელ უკვე გამოწუხნილს, ჯერ კიდევ იქამდე, ვიდრე „ლიმონი“ ქვეყანას მოველინებოდა, წინასწარ დაბეჭებულს და დიმიტრისგანაც წინასწარ განწირულს იმ შემზარავ ღამეს, რადგან მამინ დარიას სიცოცხლე იყო საფრთხეში, დარია გაცილებით ახლო იყო სიკვდილთან, ვიდრე ის, ვინც ჯერ კიდევ არ არსებობდა და ვისაც ვერაფრით დაიცავდა სიკვდილისგან, ვერც სიტყვით, ვერც თოფით, ვერც ფულით... ვერაფრით, რადგან არ იყო, არ არსებობდა, არც ხელი ჩაეღებოდა, არც თვალი. ახლა კი, წუთი-წუთზე უნდა მოვლენოდა ქვეყანას, არაფრისგან, არარაობისგან, და გლუვი, ყვითლად მბზინავი ნაყოფივით გამობმოდა ცხოვრების ხეს, უფრო იოლად რომ შესძლებოდა სიკვდილს იმისი მოწყვეტა. დიმიტრი სიმწრის ოფლში იწურებოდა, წვიმა შხუილით, თქარათქუთით ემსხვებოდა ქოლგაზე, ბნელში, წვიმით გაელენთილი, წვიმით დამძიმებული ხეები ბზინავდნენ, სახლიდან კი ჩამიჩუმე არ ისმოდა. არაფერი არ ისმოდა, წვიმის შხუილისა და თქარათქუთის მეტი. ხოლო როცა აივანზე ბებია ქალი გამოვიდა, მკლავებდაკაპიწებული, და სიცილით დაუძახა: ქალიშვილი მომილოცავსო, დიმიტრის უარესად შეეშინდა (ოხ, ღმერთო და ბუნება! რატომ ჩაუდგით ადამიანს ასეთი მდაბალი სული!), რადგან ერჩია, თავიდანვე მკვდრად შობილიყო მისი ქალიშვილი, ვიდრე მერე მოკვდომოდა, მერე, როცა შეეჩვეოდა, შეიყვარებდა, როცა მისი გუ-

ლის გულად, მისი სიცოცხლის აზრად, მიზნად, გამართლებად იქცეოდა. ვიდრე ახალ ელდად, ახალ საფიქრალად და ახალ სატანჯველად მიემატებოდა. „სიცოცხალიაო“ — ჯერ კიდევ ეზოდან დაუძახა ბებია ქალს. „რას ჰქვია, ცოცხალია, — გაიცინა ბებია ქალმა. — ახლავე რომ ზღვაში გადაავლო, არაფერი მოუვავო“. მაგრამ მშობიარობამ ისე დაასუსტა დარია, კოვხს ვერ იპერდა ხელში. დედის უძლურობა, რა თქმა უნდა, შეილზეც გადადიოდა, და დიმიტრემ აღარ იცოდა, რა ცეცხლში ჩავარდნილიყო: გამოწუხნული ლიმონის სიმკვავით თვალმოკუტული სიკვდილი ელანდებოდა განუწყვეტლივ. „ჩემი ბრალია, ყველაფერი ჩემი ბრალიაო“ — შფოთავდა, უნებლიე ცოდვით გულდამდურული. „სიმშვიდე და კარგი კვებაო“ — ერთნაირად იძახდნენ ექიმები, მაგრამ დიმიტრი ისე იყო შეშინებული, წარმოუდგენლად მიაჩნდა, ასე იოლად თუ შეიძლებოდა ამ განსაცდელიდან გამოსვლა: სიმშვიდითა და კარგი კვებით. ექიმებმა ხომ არ იცოდნენ, ვისთან ჰქონდა იმას საქმე? მალე ისე მოაბეზრა ყველას თავი, ზურგს უკან დასცინოდნენ კიდევ: რა მოხდა, პირველად ხომ არ მოილოგინა ქალმა, ანდა მართო ეგ ხომ არ არის მამაო. იცინოდნენ, თავს იქცევდნენ, ხან რას ურჩევდნენ და ხან რას. ისიც ყველას უჯერებდა, არ შეეძლო არ დაეჯერებინა, რადგან არც განსჯის თავი ჰქონდა, არც დრო; ყველაფერი უნდა ეცადა, ვალდებული იყო, ორმაგად ვალდებული, როგორც ქმარი და როგორც მამა. ერთმა თიკნის ხორცი ურჩია, უებარი წამალია უძლურობისო, ოღონდ თიკანი სამი თვისა უნდა იყოს, ხოლო დაკვლამდე წყალი უნდა ასვთ და არბენინოთო. სხვა დროს, შეიძლება, თვითონაც გასცინებოდა ამგვარ „წამალზე“, მაგრამ ახლა სიცილისთვის არ ეცალა. განსაცდელში ჩა-

**ოთარ ზილასი**  
რკინის თიხარი



ვარდნილი ადამიანი ეჭვიანი კია, მაგრამ ყოველთვის თავის სასარგებლოდ ეჭვდება: იმას კი არ იტყვის — ხომ შეიძლება, მატყუებდნენო, არამედ — ხომ შეიძლება, მართალს მეუბნებოდნენო. ასეთია ადამიანის ბუნება. დიმიტრიც ჩვეულებრივი ადამიანი გახლდათ და ხისფეხა კოსტამ რომ უთხრა, ზემოხეთის თიკანია განთქმულიო, იმავე დღეს ზემოხეთში ამოჰყო თავი. საჩავახომდე მატარებლით ჩავიდა; საჩავახოდან ბერძნის წყარომდე დილიეთანს გაჰყვა; ბერძნის წყაროდან ზემოხეთამდე კი — ურემს აედევნა, და მეურმესთან ლაპარაკში, როგორც იქნა, გალია ვაჭირვებული კაცის ჯიბრზე ერთითად დაგრძელებული გზა. მაგრამ სოფელურმა სიმყუდროვემ მაინც დაამშვიდა ცოტათი. რაღაცნაირად დაიმედებული მიაბიჯებდა ურემის გვერდით. გულზე მალამოდ ეცხებოდა მოლაყლაყებული ურემის ჰირალიც, ხარების ხენწეა და მეურმის ხალისიანი, მოსწრებული სიტყვა-პასუხიც. ცხვირში სასიამოვნოდ უღიტიწებდა გახვითქული ხარებისა და თბილი, ორთქლიანი ფუნის სუნე. ურემი კი, ნელა, აუჩქარებლად მიჰრიალებდა ხელუხლებელ, დაბურულ სიმწვანეში, გვიმრის ზღვაში, აწწლის გვირაბებში და შემაშფოთებელზე მეტად საწყენი და დამასვედიაწებელი იყო, ათასნაირი განსაცდელი და სიკვდილი რომ არსებობდა ამ ქვეყანაზე. „მოგყიდინა კი არა, თუკი წაიყვანთ, მადლობასაც გეტყვიან, გადაგვჭამა, აგვიკლო, ბატონოო“ — ეხუტრებოდა, გულს უკეთებდა მეურმე, თუმცა თვითონ, ასე იოლად ვერ შეეულოდა ალბათ საკუთარ თიკანს, შვილივით გაზრდილს, შვილებში გარეულს. ვინ იცის, ლაპარაკისას, სულ ის ედგა თვალიწინ, იმას ეფერებოდა გლახურად, თავისებურად, და რაც არ უნდა დაღლილი დაბრუნებულიყო შინ, მაინც შლეგივით გაიჭრებოდა საძებნელად, ადგილზე რომ არ დახვედროდა იგი. ასე რომ, როცა სოფელში ხმა გაეარდა, სულზე მეტად ჰირდება ამ მორცხვსა და მორიდებულ კაცს

თიკანო, ცეცხლი წაუთქვამს თიკანს ფასი დაადეს, ხორცი დაუბრუნა, ტყავი ცალკე, შიგანი და თავფეხი ცალკე. დიმიტრი დაბნეული, ნირწამხდარი ილიმებოდა, ხელებს იფშენებდა და შევაჭრებაც ეუხერხულებოდა, თითქოს ამოდენა გზა იმათი გულის მოსაგებად გამოეგლო მხოლოდ, იმათი თიკნის შესაქებად და იმათ წინაშე ბოდიშის მოსახელად; მაგრამ, სხვა თუ არაფერი, ფული უკან დასაბრუნებლადაც ჰირდებოდა, და აღარ იცოდა, როგორ გამოძვრალიყო ამ უხერხული მდგომარეობიდან, როგორ არ გაენაწყენებინა მის გაუბედავ ძახილზე გამოხედილი მასპინძელი, რა მოეფიქრებინა ისეთი, ერთდროულად, ისიც კმაყოფილი რომ დარჩენოდა და არც თვითონ დაბრუნებულიყო ხელცარიელი. „მაშინ, იქნება, ნახევარი მაინც მომყიდოთო!“ — კი არ ევაჭრებოდა, ევედრებოდა თიკნის პატრონს. „კი მაგრამ, ნახევარს რა ვუყო, ხომ ჩამაკვდა ხელში, მეორე ნახევარზე დარდიო“ — იღრიჭებოდა თიკნის პატრონი და დიმიტრიმ პირველად მაშინ შეხედა სასიმიანდეს ბოძზე გამობმულ თიკანს, არა როგორც „წამალს“, არამედ, როგორც ცოცხალ არსებას, რომელსაც თავისი ცხოვრება ჰქონდა, დარდიც შეეძლო და სიკვდილიც. თბილი, გულისამაჩუყებელი სევდა დაეუფლა უკებ; იგრძნო, გაცილებით დიდი ბოროტება, გაცილებით დიდი სულისწაწყმედა რომ იყო ამ პატარა, სულელი არსების მოკვლა, ვიდრე ეგონა. მიხვდა, ამ პატარა, სულელი არსების მოკვლის უფლებაზე რომ ვაჭრობდნენ ისა და თიკნის პატრონი, და იმასაც მიხვდა, როგორი სულმდაბლები, უსვინდისოები და უგულოები იყვნენ ორივენი, როგორი თავკერძები, რადგან ერთი მკვლელობის უფლების გაყიდვას ცდილობდა, მეორე კი — ყიდვას. თიკანი მშვიდად იდგა და ათასში ერთხელ, თითქოს თავისთავად თუ შეუთრთოდებოდა პატარა, აბზეკილი კული. ამათკენ არც იყურებოდა, ვითომ არც მესმის და არც მინდა მესმოდეს თქვენი ლაპა-



რაკიო. მერე დიმიტრი იმის წინ იყო ჩაცუკებული და თუნუქის ძირგახვრეტილი ჯამიდან წყალს ასმევდა. ნახვრეტზე ხელისგული ჰქონდა ამოფარებული, მაგრამ წყალი მაინც ეპარებოდა და პიჯაკის სახელოში ჩასდიოდა. მკლავი იდაყვამდე დასველებოდა. „შე საწყალო. შე სულელო. შე საწყალო. შე სულელო“. — ენის ჩლექვით იმეორებდა განუწყვეტლივ. თიკანი დიდი, წყლიანი, ადამიანური თვალებით უყურებდა და ტალახში ჩაცუკებულ დიმიტრის ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ნელა, შეუმჩნევლად, ვერაგულად ეპარებოდა მიწა ფეხქვეშ; თითქოს გახვრეტილი ჯამიანად, თიკიანად, სასიმიინდიანად, თიკნის პატრონიანად, თიკნის პატრონის ჯალაბიანად — ჯარგვალის წინ გამოფენილნი, გაოცებულნი რომ იყურებოდნენ იმისკენ — სადღაც მისრიალებდა, მიცურავდა, მაგრამ კი არ ეშინოდა, სიამოვნებდა ეს, სიმთვრალისა და გაბრუნების მსგავსი შეგრძნება. დაძაბულობისგან ჯამიანი ხელი უცახცახებდა, გაოფლილი პერანგი ზურგზე ეწყებებოდა, უხერხულად იყო ჩაკუნცხული, მაგრამ არც მუხლსა შლიდა და არც ხელს უნაცვლებდა ჯამს, რადგან სწორედ ის სიამოვნებდა, რაც მის ხორცს აწუხებდა, აბეუებდა, აშეშებდა, აბითურებდა. საკუთარი თავი ეზიზღებოდა, რადგან ერთდროულად და ერთნა. ირი ძალით უნდოდა თიკნის ვადარჩენაცა და დაეკლავ; არავინ არ ეცოდებოდა იმ წუთას ისე, როგორც ეს უსაზღვროდ გულუბრყვილო და უსაზღვროდ ცოცხალი არსება, და იმავე დროს, ერთი სული ჰქონდა, როდის გამოუსვამდა დანას, როდის გაატყავებდა, როდის აქნიდა, როდის ჩაიდებდა ტომარაში და როდის გააძუნძულებდა შინისკენ. „ადამიანზე დაუნდობელი მხეცი არ გაუჩენია ღმერთსო“ — სიკვდილის წინ ანდობდა თავის ყველაზე დიდსა და შემზარავ აღმოჩენას, ყველაზე უგუნურ ცხოველს, თითქოს რაკი ის ერთბაშად გაიგებდა იმას, რის ვასაგებადაც თავად ხანგრძლივი ცხოვრების

გზა გამოეცლო, არა მარტო მიუტევებდა მკვლელს, არამედ მაღლივრად კვდებოდა, რადგან იმაზე მეტს, რის ახლა გაეგო, მაინც ვერაფერს გაიგებდა, გინდაც ათი სიცოცხლე ეცხოვრა და ბუნებრივი სიკვდილით მომკვდარიყო ათჯობის, მისი საყვარელი სიმიინდისა თუ ვაზის ძირას. თიკანს ვერცხლის ძაფივით ბრჭყვილა ნერწყვი ეკიდა დრუნჩხზე და დიმიტრიმ ხელით მოსწმინდა, როგორც ბავშვს. თიკანი თითზე წაეტანა, დიმიტრისთვის მოულოდნელად ღონიერი და მკვრივი ტუჩებით. დიმიტრის საცოდაობისგან გული მოურღვა, ნერწყვი გაეჩხირა სასულეში, რალაც მშობლიური, მარადიული, ოდესღაც, ბალღური უგუნურობის ეამს ვანცდილი, მოულოდნელად, ერთბაშად ამოეფოფრა სულის იღუმალი წიაღიდან, როგორც ცეცხლზე შემოდგმული რძე. წინ გადახრილმა, თითი რომ არ წაერთმია თიკნისთვის, ცალ მუხლზე ჩაიჩოქა ტალახში. თიკანი კი გამალებული წოვდა თითს, როგორ დედის ჯიქანს, და დიდი, წყლიანი, ადამიანური თვალებით ამოსცქეროდა, თითქოს კმაყოფილი, თითქოს ბედნიერი, თავისი ცხოველური გულუბრყვილობის, ნდობის, განურჩევლობის წყველიადიდან. დიმიტრი მხოლოდ მაშინ გამოერკვა, თიკნის პატრონმა ცარიელი ჯამი რომ გამოართვა ხელიდან და უთხრა: კი ახლა, რა გატირებს, ვის გაუგონია ამხნის კაცის ტირილიო. დიმიტრის შერცხვა. სახეზე მკლავი გადაისვა და წამოდგა. მღელვარება რომ დაემალა, ტალახიან მუხლს იწმენდა ხმელი წკირით. თვითონაც ვერ ამჩნევდა, წკირი ოთხი თითით რომ ეჭირა. თიკნის გამოწოვილი თითი ნატკენივით გაეშვირა, გამოეცალკეებინა დანარჩენი თითებისგან, თითქოს უფროთხილდებოდა, თიკნის ნერწყვივით ჯერ კიდევ სველს, ჯერ კიდევ დაბუჟულს, და ნაძალადევად იცინოდა: ცოტას მორჩა, შემჭამა ამ მამაძალამაო.

**ოთარ ზილაძე**  
რკინის თიხარბი



იციოდან, მაგრამ ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თავფეხიანად ტალახში იყო ამოვანგლული და მარტო თიკნის გამოწვრილი თითი ჰქონდა სუფთა, ამ თითთა ეკიდა უხილავ კაუჭზე, საერთოდ რომ არ ჩაფლულიყო, საერთოდ რომ არ ჩამხრჩვლიყო ტალახში. მერე თოკ-შებმულ თიკანს დაარბენინებდა ეზოში. თიკანი ხან უძალიანდებოდა, ფეხს არ იცვლიდა ადგილიდან, თავისკენ ეწეოდა დაჭიმულსა და ათრთოლებულ თოკს, რომლის მეორე ბოლო ცხრა თითით ეჭირა დიმიტრის; ხან კი, მოულოდნელად გახტებოდა ხოლმე წინ და აძუნძულებულ კაცს უკანალზე აწყდებოდა, რკოსავით პატარა და ბლაგვი რქებით. ხოლო თიკნის ყოფილი პატრონი და მისი ჯალაბი დაბნეული ღიმილით შესცქეროდა კაცისა და თიკნის ამ უცნაურ „თამაშს“.

საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა, დარიამ თვალში გამოიხედა, ხოლო ნატო თვალსა და ხელს შუა იზრდებოდა, დღითი-დღე ივსებოდა ფერთა და ხორციით, სულშებერილი ცეცხლივით ღვივდებოდა და ყველაზე მეტად თვითონვე აქარწყლებდა მამის უსაფუძვლო ეჭვსა და შიშს. ოჯახში ისევ სრული სიმშვიდე, სრული თანხმობა სუფევდა, არა მარტო ცოცხლებს შორის, არამედ ცოცხლებსა და მკვდრებს შორისაც; უფრო სწორედ, მკვდრებისთვის სულერთი იყო, როგორ იცხოვრებდა მათი შთამომავალი, დაადებდა თუ გააგრძელებდა ძველ გზას; ხოლო ცოცხალს ასეთები უფრო უყვარდა და ეცოდებოდა ისინი, გარდაცვლილები, ჩარჩოს ბინადრები, ლამის გაწმინდანებულნი სიკვდილის შარავანდელით. მათი ხელშეწავლები ნივთებიც ახლა უფრო ძვირფასი, განსაკუთრებით ძვირფასი გამხდარიყო, რადგან შთამომავალს, უპირველეს ყოვლისა, იმის რწმენას უმტიციებდა, შემთხვევით რომ არ იყო აქ; სწორედ აქ, ამ დაცხრილულ ქერქვეშ, იქამდე რომ იყო ნაგულისხმევი, გათვალისწინებული, ვიდრე გაჩნდებოდა, თუნდაც იმიტომ,

კანონიერი მემკვიდრე ტომის წინააღმდეგაა, აქაურობას, ღირსეული მხარეებისა, მაგრამ კანონიერი, რომელსაც თავისი მკვდრების დაძრახვის ნებაც ექნებოდა და მიტევებისაც. დიმიტრი კანონიერი მემკვიდრე იყო აქაურობისა, მით უფრო ნატოს გაჩენის შემდეგ, და ყოველ საღამოს, შინ მობრუნებული, „განსაწმენდელში“ გამოვლილი, მწვანელ შეღებილ ჭიშკარს რომ შეაღებდა, ჭიშკარი ქვანასროლი ძაღლივით რომ დაიწკავწკავებდა, გული ისე აუფრიალდებოდა, თითქოს შორეული, უცხო ცისქვეშ ხანგრძლივი მოგზაურობიდან ბრუნდებოდა და ეს უსიამო, მაგრამ უკვე ძეალ-რბილში გამჯდარი ხმა, ყველაზე ცხადი, ყველაზე მყარი, ყველაზე უტყუარი დადასტურება იყო იმისა, ნამდვილად რომ მოეღწია შინამდე, ნამდვილად რომ დამთავრებულიყო „უცხო ქვეყნებში“, „უცხო ცისქვეშ“ წაწწალი და ერთხელ კიდევ დაეზოგა ბედს — არ გაეძარცვა, არ გაელანძღა, არ მოეკლა — და რაკი შინამდე მოეღწია, ახლა აღარაფერი უჭირდა, ნამცხვრის კოლოფს მეუღლეს გადასცემდა, მარადიული ყურადღების, პატივისცემის, მადლობის ნიშნად და ორი წუთის მერე, უკვე ცხელი წყლით სავსე ტაშტში ფეხებჩაყრილი, სასიამოვნოდ მობოშებული, მოთენთილი, როგორც რძით გამძლარი ჩვილი — დედის მკლავებში, იმის შესამოწმებლად, ყველაფერი ეს მართლა ცხადში რომ ხდებოდა და არა სიზმრად, ვინ იცის, მერამდენედ იტყოდა ხოლმე გუნებაში: ეს ჩემი სახლია, აქ მე ვცხოვრობ, ჩემს ძვირფას მეუღლესთან და ჩემს ძვირფას ქალიშვილთან ერთად. ნახევარსაათიანი გარინდება, გამოთიშვა, განცხრომა — ცხელ წყალში ფეხების ჩაყრა რომ ანიჭებდა — ისეთივე აუცილებელი და მნიშვნელოვანი იყო მისთვის, როგორც... როგორც, დავუშვათ, ღმერთისთვის უქმე, მეშვიდე დღე, როცა ყველაფერი შექმნილია, ყველაფერს თავისი სახელი ჰქვია, მაგრამ ცოტა სული თუ არ მოითქვი, შეიძლება



ყველაფერი თავიდან შესაქმნელი გაგვიხდეს. სულის მოთქმა, არა მარტო გადატანილის დავიწყებას გულისხმობს, არამედ შექმნილით ტკბობასაც; ხოლო „ტკბობა“, თავის მხრივ, არა მარტო ძალასა და ხალისს გიბრუნებს, არამედ ერთხელ კიდევ გარწმუნებს, რომ იმისთვის, რაც წლობის მანძილზე, წვეთწვეთობით, ნამცეც-ნამცეც მოაგროვე, შეაქოწიწე, შეჭქმენი — ნამდვილად ღირდა წვალება, ნამდვილად ღირდა ყოველ დღე ერთი და იგივე საქმის კეთება, თუნდაც წინასწარ გვარდასმული სიცოცხლის დაცვა და გამართლება, მოკლედ, ყველაფერი, რაც უკვე გადაიტანე და რაც ჯერ კიდევ გადასატანი გაქვს. ასე ფიქრობდა ცხელ წყალში ფეხებჩაყრილი დიმიტრი, რომელსაც მისივე შექმნილი ადამიანები და საგნები ეხვია გარშემო, და ცხელი, წებოვანი ორთქლის ზვირთებში გახვეული, მართლა ჰგავდა რომელიღაც შუმერულ ლეთაებას, საკუთარ არსებაში ჩანთქმულს, ჩაყარულს, რაღაცაზე გამწყარალსა თუ რაღაცაზე ღრმად ჩაფიქრებულს. სკამის ზურგზე ბუსუსიანი, ღუნღულა პირსახოცი ეკიდა; ნავთქურაზე ჩაიდანი დულდა, გაცოფებული არაკუნებდა ხუფს — მეტი აღარ შემიძლია, გადამომიღებ ცეცხლიდანო; დარიაც იქვე ტრიალებდა — ცხელი წყლის ჩამატება თუ დასჭირდებოდა ქმარს, ანდა პირსახოცის მიწოდება. „სი. სი. სიიი-მეთქი, მადმაზელ!“ — ისმოდა დიდი ოთახიდან მუსიკის მასწავლებლის ხმა; და როცა პატარა ნატოს ჯერ კიდევ სუსტი, ჯერ კიდევ გაუბედავი თითის ქვეშ, ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყივით, დაიწვილებდა კლავიში, ბედნიერი ცოლ-ქმარი, რატომღაც ღიმილით გადახედავდა ხოლმე ერთმანეთს.

მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, ქვეყანაზე უფრო მნიშვნელოვანი ამბები ხდებოდა. მუშათა გაფიცვები ახლა მთელს იმპერიაში ჩვეულებრივ, ლამის ყოველდღიურ მოვლენად იყო ქცეული. იმპერია ომს აპირებდა. სხვა გზა არც

ჰქონდა: რომელიმე მეზობელს უნდა მიხტომოდა, თავისიანებს რომელიმე უნდა ლიჯათ. „თავისიანებში“, რასაკვირველია, საქართველოც იგულისხმებოდა. (ოხ, ეს ველური, მოურჯულებელი, ყბადაღებული საქართველო! აი, რა მოსდევს სიკეთესა და ღმობიერებას! ჯერ თეატრიო, მერე ეურნალიო, გაზეთიო, სკოლაო... ახლა კი რესპუბლიკობაც მოინდომა!). საქართველოც წიკბზე იღვა. აქაც განუწყვეტლივ შემოჰქონდათ იარაღი საზღვარგარეთიდან. აქაც იბრძოდნენ, ერთიანდებოდნენ და ითიშებოდნენ პოლიტიკური პარტიები: სოციალ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები, ანარქისტები, ესერები... გურია უკვე ცეცხლში იყო გახვეული. მოსკოვში, პეტერბურგში, კიევში, ჰელსინკსა და ვარშავაში ქართველი კაცი რომ გამოჩნდებოდა, მაშინვე გურიის ამბებს ეკითხებოდნენ. იასნაიპალიანაში მოღუშული ტოლსტოი გულისყურით უსმენდა ქართველ სტუმარს, მიშო ყიფიანს. ხოლო, ამასობაში, იმპერიის გაცუღლუტებული გენერლები ზედიზედ იღებდნენ არარსებულ ციხე-სიმაგრეებს აზიის თვალწვიდნელ ტრამალებში. არც პეტერბურგი უგვიანებდა ჯილდოსა და დიდებას, იმასაც ჭირდებოდა გიმრები, ხოლო ვინმე თუ გაბედავდა და ამხელდა — ჩაქოლავდნენ, რაღას არ დასწამებდნენ — ეგ პოლონელი ან ებრაელი იქნება და იმიტომ თათხავს იმპერიის საუკეთესო შვილებსო. იმპერატორს უბრალო სერთუცი ეცვა. ხელში უბრალო ქული ეჭირა. აგარაკზე მზე მოჰკიდებოდა. საშუალოზე დაბალი, ქერათმიანი, ცისფერთვალეა — მორიდებულ სტუმარს ჰგავდა. გაჭგიულ კაპიტანს წმინდა გიორგის ჯვარზე თითი მიაღო და ჰკითხა: ტყვია მოგხვედრიათო? „დიახ, თქვენო აღმატებულებაც“ — იყვირა კაპიტანმა. „გეტყინათ?“ „არა, თქვენო აღმატებულებაც“ — იყვირა

ოთარ ზილაძე  
რძინის თიბარტი



კაპიტანმა. „შეგეშინდათ?“ „არა, თქვენო აღმატებულებავ“ — ისევ იყვირა კაპიტანმა, სხარტად, დაუფიქრებლად. იმპერატორი სამხედრო მინისტრს მიუბრუნდა და კი არ უბრძანა, კი არ უთხრა — თხოვა: ჩინი მოუმატეთო. და აი, გააოლკოვნიკებული კაპიტანი იაპონიას დაეძგერა. „ჩვენთან არს უფალი“ — გალობდნენ ტაძრები. გაზეთები თავგამოდებული ფიცულობდნენ — წირვისას ბაირალი თავისთავად გიშალა და აშრიალდაო; ეს კი იმის ნიშანია, გამარჯვება უსიკვდილოდ ჩვენ დავერჩებაო. მაგრამ გაზეთებს ხანდახან შემაშფოთებელი ცნობებიც ეპარებოდათ. ზედიზედ ამარცხებდნენ იმპერიის ძღვემოსილ არმიას, მიწაზეც და ზღვაზეც, პატარა იაპონელი ურჩხულები: ოიამა, ნოგი, ტოგო, კუროკი... (რა უცნაური სახელებია, არა? სასაცილო). პარაკლისი პარაკლისს მოსდევდა. „ჩვენთან არს უფალი“ — ისევ გალობდნენ მღვდლები. გალობდნენ ცალ მუხლზე დაჩოქილი, თავშიშველი გენერლები, პოლკოვნიკები, მაიორები, კაპიტნები, პორუჩიკები, ფელდფებელები, ეფრეიტორები. ხმელეთზე იმპერიის საუკეთესო გენერალი ინიშნებოდა მთავარსარდლად, ზღვაზე კი — იმპერიის საუკეთესო აღმირალი, მაგრამ ერთს მალევე უნდა დაეხია უკან, ხოლო მეორეს „მაკაეების“ ტყვეობა ელოდებოდა. „ვერ უყურებ, ამ ქონდრისკაცებსო“ — იძახდნენ, ცოტა არ იყოს, შემცბარი გაზეთები. ვერაფრით ვერ აბამდნენ იაპონელ ნელსონს. იმპერიის ძველ ესკადრას უკვე ოკეანის ფსკერზე ეძინა, ახლისთვის კი, ჯერ მხოლოდ გროვდებოდა ფული ურნებში. ხალხი უარესად იბოდმებოდა, ბრაზობდა, ქილიკაობდა: წვითა და დაგვით ორ კაპიკს ძლიერა ვმოულობ, ეგენი კი წყალში ყრიანო. ხალხი ცალკე იყო, ხელისუფლება — ცალკე. ერთი ალთას, მეორე ბალთას. მოსკოველმა სტუდენტებმა თურმე მისალოცი დეპეშაც კი გაუგზავნეს მიკალოს, ხოლო მთელი საქართველო აკაის ლექსს

მღეროდა: ოი, ამას ვენაცვალდეთ. — ხმს-ფხმა კოსტა ფილოსოფოსობდა, ~~წინასწარმეტყველებდა~~, მისნობდა: ის ღროა, ჩემო დიმიტრი, ორმოს თხრიდე და შიგ მიძვრებოდე ცოლშვილიანადო; მერას მიყურებ, მე ისედაც სარდაფში ვცხოვრობო: ახლა რომ სისხლის წვიმები დაიწყება, წარღვნა და მეორედ მოსვლა მოგონილი იქნებაო. იმპერია შეშფოთებული იყო. იმპერატორის ყოველ განძრევაზე ტახტი უსიამოდ, სახიფათოდ ჭრაჭუნობდა საჯღომის ქვეშ. შეშფოთებული იყო, რა თქმა უნდა, ბათუმის პოლიციეისტერიც; ყოველ ნაბიჯზე შეთქმულება ელანდებოდა: ნაცნობი ნაცნობს ვერ უჩერდებოდა ქუჩაში, მაშინვე თავის პოლიციელებს მიუქსევდა ხოლმე. უკეთეს დღეში არც პოლკოვნიკი ვეზირიშვილი გახლდათ: ჯარისკაცის რკინის მათლაფიდან ჭამდა, ჯარისკაცებთან ერთად, ეჭვი არ შეეპაროთ საჭმლის უფარგისობაშიო. მერე კი ინგლისურ მარილს სვამდა და ძლიერ ასრებდა საპირფარეშომდე მიბრუნას. აღარ იცოდა, როგორ მოეგო ჯარისკაცების გული, კლუბიც კი გაუხსნათ ყაზარმაში, სადაც ჯარისკაცები კაპიკან ჩაის ყიდულობდნენ (მღულარე უფასოდ ეძლეოდათ), შაშს თამაშობდნენ და ბალალაიკაზე უკრავდნენ. იმდენად ეშინოდა ჯარისკაცების სიმშვიდის დარღვევისა, გადამდგარ ოფიცრებს, რომლებსაც უკვე სამუდამოდ გაედგათ ფესვი „აღთქმული ქვეყნის“ მიწაში, ქათმებისა და ინდაურების მოშენებაც აუკრძალა: ჯარისკაცებიც უყურებენ იმათ პეპლაობას და ზედმეტად ღიზიანდებიანო. თუმცა თავად, მაინც ვერ ღალატობდა ძველ, დაკანონებულ ჩვეულებას და ჯარისკაცს ცოლი რომ ჩამოაკითხავდა, ჯერ თავის კაბინეტში შეჰყავდა, კაპიკიანი ჩაით უმასპინძლებოდა, იქვე, მაგიდაზევე „პეპლავდა“ თითქმის ქვეყნის მეორე ბოლოდან ფეხით ჩამოსულს, დალილსა და დამტვერილ დედაკაცს და მხოლოდ მერე უშვებდა ქმართან. აი, ეს დაუოკებელი უღაყი, ტახტის



წაბაძვით, ჯარისკაცების გულის მოსაგებად, ახლა თავს იკატუნებდა, სიბერესა და უძლურობას იფიქრებდა და ბებრული ჩიფჩიფით ყოველდღე ახსენებდა ლარივით გაჭიმულ ჯარს ხელმწიფისათვის მიცემულ ფიცს, მამაშვილურად აფრთხილებდა, არ აპყოლოდნენ ეშმაკს, არ აპყოლოდნენ ვიგინდარა რევოლუციონერებს, რომლებსაც დამართიც ფეხებზე ეკიდათ და ხელმწიფეც, რომლებიც, თურმე, ტახტს არყევდნენ, მღვდელს კრეჭდნენ, ხატს აფურთხებდნენ, საფლავს ხნავდნენ, ბავშვებს ჰამდნენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, კეთილშობილ ქალიშვილებს ნაგანის ლულით აკარგვინებდნენ უბიწობას. სანამ ვეზირიშვილი და ვეზირიშვილისნაირები ოინბაზობდნენ, დროს იგებდნენ, ხელისუფლება გამაღბებული იქექებოდა მმართველობის ეანგიან სკივარში და ისეკ ამოჰქონდა იქიდან ძველთაძველი, მრავალნაცადი ხერხები, მეთოდები, საშუალებანი: „პური და სანახაობა“, „დაყავი და იბატონე“, „მიუქსიე ერთმანეთს“, „აუფრინე წითელი მამალი“, „დაპირდი და არ მისცე“, „გარყვენი და დასაჯე“, „გაღმა შეედავე და გამოღმა შეირჩინე“, „დაათვრე და ამღერე“, „დაათვრე და აცეკვე“, დაათვრე და დაათვრე და დაათვრე და დაათვრე. „ქასრები უუკე გზაშია, დღეს ყველამ ერთად უნდა დავლიოთ ჩვენი ხელმწიფის სადღეგრძელო“ — იძახდა პოლკოვნიკი ვეზირიშვილი და თან ასი წლის ბებერივით სლუქუნებდა, ხენეზოდა, ოხრავდა, აცანცანებული ხელით ძლივსძლივობით ამოჰქონდა უბიდან ბლდადივით უშველებელი, ჭრელი ცხვირსახოცი და ნელა, გულისგამაწყალებლად ნელა იმშრალებდა „სველ“ თვალებს, სათითაოდ, ჯერ ერთსა და მერე მეორეს, ყველას რომ დაენახა, ყველა რომ დაენამუსებინა ამ „კეთილი“, „გულისხმიერი“, „მამასავით საყვარელი მოხუცის“ ცრემლს. ჯარი გაჭიმული იდგა, სარგადაყლაპულივით, გუნებაში ეცინებოდა პოლკოვნიკის ჯამბაზობაზე, მაგრამ არათფერი არ

უნდოდა, ერთი-ორი წუთით თავს თუ მიადებინებდნენ სადმე, აქოთებულნი ჩექმის გახდის უფლებას თუ მისცემს და მწარე თუთუნს გააბოლებინებდნენ. მაგრამ ჯერ წარმოდგენა გრძელდებოდა. დოლები ბრავუნობდნენ. პოლკის დროშა ურჩხულის კუდივით იფოფრებოდა და ჰაერში. „ყველამ აკოცოს. ნებას ვაძლევ. დღეს განსაკუთრებული დღეა“ — მოწყალებას იღებდა პოლკოვნიკი. დროშა კი ნელა მოიკლაკნებოდა, ტკაცუნობდა, ბუბუნებდა. ჯარისკაცები ჩოჩქოლობდნენ. თითქოს მართლა საჩუქრები უნდა დაერიგებინათ იმათთვის. პირჯვარს იწერდნენ, იხოქებდნენ, კოცნიდნენ აფრიალებული დროშის კალთას, ზოგი მართლა, ზოგი ვითომ, მაგრამ პოლკოვნიკი ვითომ ვერაფერს ამჩნევდა, ბებრულად ასავსავებდა თავს და ხრინწიანად ყვიროდა: ვინ ვატირე მე ჩვენი მტრისაო. „დე-და!“ — სქექდა ჯარი. „კიიიიდევ?“ — ქათამივით იგრეხდა პოლკოვნიკი კისერს, თითქოს უკეთესად რომ გაეგონა ჯარის პასუხი. „ცო-ლი!“ — სქექდა ჯარი. „კიდევ, კიიიიდევ?!“ — მაღა ეხსნებოდა პოლკოვნიკს. „გვარ-ში-გა-სა-თხო-ვა-რი!“ — ხსარტად, მხედრულად უმარცვლავდა ჯარი. მაგრამ ველარაფერი შეაჩერებდა წლობით, საუკუნოობით დაგროვილ რისხვას, სიძულვილს, შურისძიების სურვილს, ეინს, მოთხოვნილებას. იმპერიის თავზე საავდრო ღრუბლები იგრავნებოდნენ. „ძირს მეფე და მაღლა მუშაო“ — გუგუნებდნენ ჯურღმულები, სარდაფები, დილეგები. საძირკველი ირყეოდა. საფლავებში კუბოები სკდებოდნენ. ყურმოჭრილი მსახურები ამაოდ ქოლავდნენ სასახლის სარკმლებს — მიწისძვრის, ქარიშხლის, წარღვნის მაუწყებელი გუგუნე მინც აღწევდა სასახლეში. ნელა, ზოზინით, უხალისოდ თენდებოდა სისხლიანი კვირა, მაგრამ მისი წითელი გამონაშუქი ერთბაშად გადასწვ-

მთარ ზილაძე  
რკინის თიბარი



და მთელს იმპერიას. ისევ უნდა გავა-  
 რდნილიყო თოფი და ისევ გავარდა.  
 ბათუმი ბარკადებით მოიფინა. ჭრიდ-  
 ნენ ელექტრონის ბოძებს, ხეებს; ახ-  
 ლომახლო სახლებიდან ავეჯს ეზიდე-  
 ბოდნენ; ტომრებს მიწით ავსებდნენ  
 (გამოადგათ თბილისელი მსახიობის  
 მავალით). სამი დღე ქალაქი მუშების  
 ხელში იყო. თბილისიდან ბრძანების  
 მოლოდინში, სამი დღე ათრობდა და  
 აქეზებდა ჯარს პოლკოვნიკი ვეზირი-  
 შვილი. ბრძანებამაც არ დააყოვნა და  
 — „ძმებო, არწივებო, არ დაზოგოთ  
 ტყვიებიო“ — აჭიხვინდა ძველებურად  
 მხნე და გაუტეხავი — ულაყზე ამ-  
 ხედრებული ულაყი. „მოვდივარ, გა-  
 მაგრდით“ — ეძახდა ალიხანოვი და ცა-  
 სა და მიწას მოაბნელებდა. წიფადან  
 ზესტაფონამდე, რკინიგზის ორივე მხა-  
 რეს, გაპარტახებული, გადაწვარი, გა-  
 უპატიურებული სოფლები ბოლავდა.  
 „აღწერაც გვიჭირსო“ — წერდა „ცნო-  
 ბის ფურცელი“. მთვრალი ყაზახები  
 დაწოკებულ ბარკადებზე ახტუნებდ-  
 ნენ ოფლში გახვითქულ ცხენებს. გვა-  
 მებს ყაზარმის დროგებით ეზიდებოდ-  
 ნენ. დაჭრილებს კონდახით უჩჩქავდ-  
 ნენ თავს. სისხლის გუბებებს მშვიერი ძალ-  
 ლები სვლუბდნენ. მძორის სუნით გა-  
 ცოფებული კატები სახლებში უვარდე-  
 ბოდნენ ხალხს. ხოლო რესტორან  
 „ფრანციაში“ თავად პოლიცემისტერი  
 ხელმძღვანელობდა ალიხანოვის საპა-  
 ტისსაცემო სუფრის მორთვა-მოკაზმ-  
 ვას. „ისა. ფუი, დასწყევლოს ღმერთმა.  
 ჭიკები. შენ ხარ ჩემი ბატონი. მეტი  
 ჭიკები დააწყევლო“ — დასძახოდა აფუ-  
 სფუსებულ, თეთრად გაქათათებულ  
 ოფიცინტებს. საბა ლაფაჩი კი, დედის  
 კალთაში პირჩაშობილი ტიროდა, ზუს-  
 ტად ისევე, როგორც იმ უხსოვარ  
 დროს, როცა ცხრა წლის ბიჭს სასწავ-  
 ლებლად რუსეთში აგზავნიდნენ და სა-  
 მუდამოდ ეთხოვებოდა, არა მარტო  
 ბავშვობას, ცხრა წლის სიცოცხლესაც,  
 რადგან ხვალის სრულიად სხვა სი-  
 ცოცხლე უნდა დაწყებულიყო იმისთ-  
 ვის. ახლაც ცხრა წლის ბიჭივით იყო

დაბნეული, დამფრთხალი, უმწეო და,  
 დედის კალთაში პირჩაშობილი, მუ-  
 რედ ქვეითინებდა. დედა სიბერისა და  
 სიამაყისგან ათრთოლებული ხელით  
 ეფერებოდა სამხრებზე და ღიმილ-  
 გარეული ხმით ეუბნებოდა: რალა გა-  
 ტირებს, სულელო, ხომ გაიმარჯვა ხელმ-  
 წიფემო. ხელმწიფემ გაიმარჯვა, წელში  
 გაიმართა და პასუხიც მოიკითხა თავაშ-  
 ვებულობისთვის, უწესობისთვის, უმა-  
 დურობისთვის. ისევ გაიძიძვა ციხეები.  
 საითაც არ უნდა გავგხედა, ბორკილდა-  
 დებული პატიმრის გადაფითრებული  
 სახე მოგხვდებოდა თვალში. სახარჩო-  
 ბელებზე ფეხშიშველი გვამები ირწე-  
 ოდნენ, ბზრიალებდნენ. მაგრამ არც  
 დარბეულები ურიგდებოდნენ დამარ-  
 ცხებას და უკვე მომავალ ბრძოლებზე  
 ფიქრობდნენ, არა მარტო საქართველო-  
 ში, მთელს იმპერიაში. სისხლი სისხლის  
 წილ. თვალი თვალის წილ. კბილი კბილის  
 წილ. პეტერბურგში პლევე მოკლეს,  
 თბილისში — გრიაზნოვი. „დედავ ნუ  
 სტირი, მამავ ნუ ჩივი, მე მოვამორე  
 ქვეყანას ჭირიო“ — ახალგაზრდული  
 გულუბრყვილობით მღეროდა საფლავ-  
 ში არსენ ჯორჯიაშვილი. ჩია ბერიკაცს  
 შავი სატინის ხალათი ნათხოვარივით  
 ეკიდა მხრებზე, ხელისგულზე პატა-  
 რა, ოფლისგან გადაბინდული სურათი  
 ედო, მკვდარ პეპელასავით, და გამვლე-  
 გამომვლელს აჩვენებდა: აი ასეთი იყო  
 ჩემი ბიჭიო. თეატრებში ცაგარელის  
 „ქართველი დედა“, „ციმბირელი“ და  
 იბსენის „ხალხის მტერი“ (იგივე „ღოქ-  
 ტორი შტოკმანი“) იდგმოდა. თბი-  
 ლისის ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეებმა  
 გიმნაზიის სარკმლიდან ყუმბარა ესროლ-  
 ეს პოლიცემისტერის ეტლს. გიმნაზიის  
 დირექტორს, შოი ჩიტაძეს, იმის გარკვე-  
 ვაც არ დასცალდა, რა ხმაური იყო,  
 რა ხდებოდა გიმნაზიაში: კაბინეტში  
 შემოვარდნილმა ყაზახმა შუბლში დაა-  
 ხალა ტყვია და ტვინი კედელზე მისახ-  
 მევინა. შიოს ცოლმა, ეს ამბავი რომ  
 გაიგო, საწამლავი დალია, ისე შეეშინ-  
 და ამ გამხეცებულ ქვეყანაზე უქმროდ  
 დარჩენისა, იმაზედაც აღარ დაფიქრე-



ბულა, მთლად უპატრონოდ, მთლად ბედის ამარა რომ ტოვებდა ორ შვილს. მაგრამ მაინც არავინ ელოდებოდა იმას, რაც ცხრაასშვიდის ოცდაათ აგვისტოს მოხდა. თავზარდამცემი, გამოგნებელი ცნობა მეხვიით გასკდა მთელს საქართველოში, დარუბანდიდან ნიკოფსიამდე, და მთელი საქართველო, ერთხელ კიდევ გადათელილი, ერთხელ კიდევ გავემ-ნაცემი, ერთი კაცივით წამოავ-ნო ფეხზე.

ცხრაასშვიდის ოცდაათ აგვისტოს ილია ჭავჭავაძე, მეულღესთან და მსახურთან ერთად, თბილისიდან საგურამოს გამგზავრებულა. „ნუ წავალთ, ქვეყანა არეულია, სახიფათოაო“ — რამდენჯერმე გაუფრთხილებია თურმე მეულღეს, მაგრამ ილია მეულღის შიშს არ აპყოლია და, როგორც საერთოდ სჩვეოდა, ბოლოს მაინც თავისი გაუტანია. ან რატომ არ უნდა გაეტანა? სამოცდაათი წლის მოხუცს იმდენი კი დაემსახურებინა, საითაც სურდა, იქით რომ მიბრუნებულყო საქუთარ ოჯახში. იმისი ოჯახი კი, სრულიად საქართველო გახლდათ, დიახ, სრულიად საქართველო, და არა რომელიმე სახლი, თბილისში, ყვარელსა თუ საგურამოში. გარდა ამისა, რაც არ უნდა არეული ყოფილიყო მისი ქვეყანა, ვერაფრით ერო იფიქრებდა, ისე თუ გადასცდებოდა იგი ჭკუიდან, საქუთარ მამაზეც ამა-რთავდა ხელს. ზაფხული იწურებოდა. გაქვავებულ კოცონს გავდა სვეტიცხოველი. ეტლი უკვე მცხეთას გამოსცდენოდა და ჩახურებულ, ჩაყუჩებულ ჭალაში მშვიდად მიბაკუნობდა მტვრიან გზაზე. მთელი გზის გაყოლებაზე ჭრიწინები თითქოს ერთმანეთს გადასცემდნენ დაუქანცავ, დაუღვევლ ხმას, რათა ეტლში მსხდომთათვისაც გაეხანგრძლივებინათ მომთენთავი, რულის მომგვრელი სიჩუმე და სიმყუდროვე ლომისფერი ზაფხულის უკანასკნელი დღისა. ილიასაც ედო ჯიბეში რევოლვერი და მის მსახურ იაკობსაც, მაგრამ საფრთხესა და განსაცდელზე აღარავინ ფიქრობდა, უკვე წიწამურთან მოსუ-

ლიყვნენ, აქედან კი, ხელის ერთი გაწვდენა იყო შინამდე. სადღაც ვერც კუთავდა. მტვრიან ჰაერს აქსი-ქსილის სუნი დაჰკრავდა; თავადაც გამოაჭყეტდა ხოლმე ყვითლად და ისევე გაქრებოდა, ამოეფარებოდა გაქუჯულ ბორცვს, თითქოს ლომმა თვალი დახუჭაო. „ღვებერდი, დაგჩაჩანაკდი, გამოშერიკი ჭალარაო“ — საქუთარი ლეჩხევიით იმეორებდა ეტლში მისვენებული ილია, თითქოს ეს წუთია, მისი უსულიდან დაბადებულიყო პირველად ეს სიტყვები, მისი მჭმუნვარე, დასევდიანებული სულიდან, რადგან, მეულღისგან განსხვავებით, ქვეყნის არეულობა კი არ აფრთხობდა, სიბერეს გრძობდა და გული წყდებოდა, სწორედ ამ დროს, ამ არეულობის დროს რომ უნდა გამოთხოვებოდა იმას, რისკენაც სამოცდაათი წელი შეუჩერებლად ილტვოდა, რისთვისაც მჭედელივით ღვრიდა ოფლს, ექიმით ფხიზლობდა, და რასაც, ასე თუ ისე, მიახლოვებოდა კიდევ, თითქოს მხოლოდ იმიტომ, უარესად რომ დაწყევტოდა გული. „ოციოდე წელს რომ მომაკლებდეს ვინმე, იქნება შემეხება ჩემი ქვეყნის თავისუფლებისთვისო“ — ფიქრობდა მოღუშული, ეტლში მისვენებული, ეტლის რწვევას აყოლილი. მან-ეეტზე მწერი შესცოცებოდა, მაგრამ ხელის ოდნავი განძრევაც ეზარებოდა, ისე იყო ჩაყუჩებული, ჩამტბარი სევდიან ფიქრებში. ეტლი მოულოდნელად შეჩერდა, არაბუნებრივად, ტლანქად; თითქოს კი არ შეჩერდა, მოკვდაო. ცხენებმაც შემზარავად დაიჭიხინეს. იაკობი ეტლიდან გადახტა და ტყისკენ გაიქცა. მაშინვე თოფმა დაიჭექა. „რა მოხდა? რა მოხდა?“ — წამოვარდა ფეხზე ილია. ვილაცა თოფს უმიზნებდა. იაკობი პირქვე ეგდო მიწაზე. „რა მოხდა? რას სჩადიხართ?“ — ისევ იყვირა ილიამ და უცებ სინათლემ მოიმატა, თითქოს გაიელვაო. იმავე წამს ყვე-

ოთარ პილამბ  
გინის თმბარი



ლაფერი თავიდან გამეორდა, იმავე თანამიმდევრობით: ჯერ ეტლი შეჩერდა. მერე ცხენებმა დაიჭიხვიეს. მერე იაკობი გადახტა ეტლიდან და ტყისკენ გაიქცა. მერე ვილაცამ თოფი დაუმიზნა. იაკობი კი, პირქვე ეგდო სისხლის გუბეში. ამ დროს, მეუღლის კვილი ჩაესმა და მაშინვე ყველაფერს მიხვდა. აღარ უკითხავს, რა მოხდაო. სასწრაფოდ დახუჭა თვალები, ვიდრე სიკვდილი დაეუფლებოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ, ილიას მოურავს ჩამოუვლია საგურამოდან, სამი ჩაფრის თანხლებით. გეგონებოდათ, იქვე, სადღაც, ბუნქებს იყვნენ ამოფარებულნი და მხოლოდ იმას ელოდებოდნენ, როდის მოამთავრებდნენ მკვლელები თავიანთ ბინძურ საქმეს. სროლის ხმაზე, ცოტათი რომ აეჩქარებინათ ცხენები, შეიძლება აღარ მომხდარიყო ეს უბედურება. მაგრამ, განგება იყო თუ რა, მოურავიცა და ჩაფრებიც ისე დაყრუვებულან, არაფერი გაუგიათ. არაფერი გაუგია ყაზახების საგუშაგოსაც, ხოლო როცა გაუგია, უკვე გვიანი ყოფილა, „აქეთაც გავვარდი და იქითაცო“ — უთქვამს ურიანდიკს. არაფერი გაუგიათ მეტრემებსაც, ლამის მოურავთან და ჩაფრებთან ერთად რომ მოსულან მკვლელობის ადგილზე. „ავიყვანეთ, წავიყვანეთ, ვითომ ეკლესია ავიშენებიათ“ — დაუძახნია იმათთვის ილიას მეუღლეს და გონდაკარგული ჩამხობილა სისხლიან მტვერში. არავის არაფერი არ გაუგია. ერთი წუთით მთელი საქართველო დაყრუვებულა თითქოს, ეგზარხოსი პავლეს წყევლა რომ ასრულებოდა და დიდიან-პატარიანად, ქალიან-კაციანად, ერიან-ბერიანად ჩავარდნილიყო ამ ჯოჯოხეთურ ცოდვაში. „ოთხნი იყვნენ. შავგვრემანები. შავი ტუფურები ეცვათ“ — ძლივს უთქმევინებიათ მეეტლესთვის, ერთადერთი მოწმისთვის, რომელიც მოურავსა და ჩაფრებს, საღსალამათი, ისევ კოფოზე დახვედრიათ. გვამები სისხლის გუბებში ეყარნენ, ის კი კოფოზე იჯდა თურმე და

ცხენების ალაპლაპებულ გავიქცა დასაქროდა. სხვამ არავინ ვერაფერი იცო. მთელი სახე კონდახებით ჰქონდა დაჩეჩქვილი. მეორე დღეს, ასე გონდაკარგული წაიყვანეს თბილისში, ექიმი კიმონტის დაქინებული მოთხოვნით. დილის ხუთ საათზე გამოუხედაია ერთი წამით და წამოუბოდებია: ურჩიეთ ილიას, ნუ წავა, საშიშიაო. ილია კი, უკვე ერთი დღის მკვდარი იყო, უფრო სწორედ, ერთი დღის მოკლული, და, თავის მსახურთან ერთად, გულხელდაკრფილი ესვენა მეორე ოთახში. ამ დროინდელ კაცს სისხლისა და დასახიჩრებული გვამის ნახვა თითქოს არ უნდა გაჰკვირვებოდა, მაგრამ დახოცილთა ოთახში გაზეთის კორესპონდენტები რომ შეუყვანია მოურავს, მაშინვე „თოფნაკრავებივით“ გამოცვნილან უკანვე: ეს რა ნახეს ჩვენმა თვალებმაო. აივანზე იდგნენ თურმე და ტიროდნენ, ერთმანეთს მიხუტებულნი, დაობლებული ლეკვებივით. მალე მთელი საქართველო ტიროდა ასე. ილია, არა მარტო მოეკლათ, გაეძარცვათ კიდევ. „არ ჩანს ილიას პალტო, პიჯაკი, ჟილეტი, ოქროს საათი, სათვალე და პატარა ბოხჩა, სადაც საბუთის ქალაღებს ინახავდა ხოლმე. აღარც საფულე ქისაა. მხლებელისთვის კი ჩექმებიც გაუხდიათ. აღარ ჩანს აგრეთვე რევოლვრები, რომლებიც ილიასა და მის მსახურს ჰქონდათ თანაო“ — სწერდა გაზეთი. გზის პირას, სისხლის გუბეში, ცალი მანქეტი უპოვიათ მხოლოდ. „ოთხნი იყვნენ. თეთრი ჩოხები ეცვათ, ოფიცრის ეპოლტებთანაო“ — უთქვამს მეეტლეს. სამაზრო ექიმის აზრით, რომელსაც გვამი გაუკვეთია, გინდაც არ მოეკლათ, დიდხანს მაინც ვერ იცოცხლებდა თურმე ილია, „გაქონებული გულითა“ და „ზადიანი ფილტვებით“. მაგრამ ეს ვერაფერი ნუგეში იყო გამწარებული ხალხისთვის. სხვაა, როცა პოეტი მოგიკვდება და სხვაა, როცა მოგიკლავენ, ქურდულად, ავაზაკურად, ვერაგულად. არა მარტო

შენცა გკლავენ იმასთან ერთად, კიდეც უარესი, შენც მკვლელობის თანამონაწილე გამოდიხარ უნებურად, კაენს უამხანაგლები და შენს სულში აძლევ თავშესაფარს, რაკი არც პოენა შეგიძლია იმისი და არც ის გამოგყვარა თავისთვად. ტყვიან კი ამ გამოუყვარა იგი პოეტს და ისევ ტყეს კი არ შეაფარა თავი, არამედ — შენში შობილი, შენვე დაგიბრუნდა. „კაენ, გამოჩნდი, აღიარე, მოინანიეო“ — გაჰყვირდნენ გაზეთები და ხალხს უფრო და უფრო ეღრვიებოდა ქედი, უფრო და უფრო ეუფლებოდა დანაშაულის გრძნობა, დანაშაულისა და სირცხვილისა, საკუთარი სიბრმავეს, გულგრილობის, უყურადღებობის და უმწეობის გამო, რადგან საკუთარი პოეტის მოვლაც არ შესძლებია თურმე, როცა მიბარებულს მგელიც ინახავს. „სამს თეთრი ფიჯაკი ეცვა, ერთს კი, ძველი კურტკა და შავი შარვალიო“ — იძახდა მეეტლე. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, აზრიც აღარ ჰქონდა „ჩოხოსანთა“, „ტუჟუტუკოსანთა“ და „ფიჯაკოსანთა“ შორის ოთხი გატყუარებული სულის გამოჩვენას, რომლენიც კიდან კი არ ჩამოვარდნილიყვნენ, ცხოვრებას გაეჩინა, და იმ ოთხის ამომანთვით მაინც არ განიკურნებოდა ქვეყანა, ვიდრე თავად ქვეყანა არ დაინგრეოდა და, თუკი ღირსი იქნებოდა ახალი სიცოცხლისა, ხელახლა არ დაიბადებოდა საკუთარი ნანგრევებიდან. პოლიტიკური პარტიები ეჭვის თვალთ უყურებდნენ ერთმანეთს. ყველა ეჭვით იყო შეპყრობილი. ეკლესიის აშენებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ეკლესია რომ დანგრეოდათ თავზე, ამას უკვე ყველა ხედებოდა. არ დარჩენილა საქართველოს კუთხე-კუნჭული, თბილისისკენ რომ არ შემოებრუნებინოს სახე. თბილისი პოეტის ცხედარს ელოდებოდა საგურამოდან. გუგუზებდნენ ზარები, ფრიალებდნენ შავი დროშები, პარპარებდნენ სანთლები. ყველა გადარჩენილი ეკლესია იხდიდა პანაშვილს. გალობდნენ მგალობლები, გალობდა მცხეთის დედათა მონასტრის მონაზონ-

თა გუნდი, ბავშვთა გუნდი. გრძელი, მტვერით გადათეთრებული ქუჩებში წელში იღუნებოდა პოეტის დასაფლავების სიმძიმის ქვეშ. ძლივს მოჰქონდათ, ჩამოხსნილი ზარივით მძიმე, ჩამქრალი ქალივით პირქუში კუბო. დაცარიელებულ სოფლებში ელდანაცემი ძაღლები ყვფდნენ და მამლები ყიოდნენ. ხალხი კი მოდიოდა, მოისწრაფოდა თბილისისკენ, ტირილით, ზმულით, ვაითა და ვიშით, თითქოს ძალით აუყრიათ და თითქოს უცხო ქვეყანაში მიერეკებინათ. ყველა ქალაქში დაიკეტა დუქნები და მაღაზიები. ვინც, პოლიციის შიშით, ვერ გაბედა დაკეტვა, ძალით დააკეტინეს. თბილისი ბორგავდა, ღელავდა, გლოვობდა. ცეცხლივით ამობრიალდებოდა ხოლმე ხალხის ზღვიდან მზემიშუქებული ვერცხლის გვირგვინი. სახლები ძაძით იყო შემოსილი. ცაში გაბმული ყვავილებიდან პოეტის არშიაშემოვლებული სურათი იმზირებოდა, როგორც ღმერთი ღრუბლებიდან, ნათელი და უბრალო. თვალისმომჭრელად ბრჭყვიანობდნენ დროშათა ბუნელები, ჯვრები, ხატები. და აი, ჯერ პროცესიის წინამორბედი ეტლი მოვარდა — დამტვერილი, გახვითქული — მერე კი, ხალხის აზმუვლებულმა მღინარემ კუბოს თავი, გადაბრუნებული ნავივით, შემოიტანა თბილისში. პოეტის ცხედარი სიონის ტაძარში დაასვენეს. გუგუზებდნენ ზარები. გალობდნენ ბავშვები, მონაზვნები, ვაჟთა და ქალთა გუნდები. გლოვის დღე იდგა საქართველოში. მთელი საქართველო სიონისკენ მოისწრაფოდა, მთიდან, ბარიდან, ზღვისპირეთიდან, რათა უკანასკნელად (თუ პირველად!) მოეყარა მუხლი მოკლული ღმერთის წინაშე. ის კი კუბოში იწვა, ჩვეულებრივად მედიდური, ამაყი, მშვიდი, ყვავილების ბორცვზე ამაღლებული, სიკვდილზე ამაღლებული, და ისევ იმედის, ისევ რწმენის გამომშუქებელი სიკვდილის სიმაღ-

რთაზ ზილაძე  
რკინის თიხარი



ლიდან. ქალებს ძუძუთა ბავშვები მოკ-  
ყავდათ, მალა სწევდნენ აჩხველ-  
ულ ბავშვებს, იქნება დაამახსოვრ-  
დეთ, იქნება მისი მადლი მოეცხობოთ.  
ტაძრის სარკმელში ჩიტი ჟივჯივებდა.  
ფოტოგრაფები წარამარა უცვლიდნენ  
ადვილს თავიანთ აპარატებს. და ისევ  
გუგუნებდნენ ზარები, ისევ გალობდ-  
ნენ მგალობლები, ისევ ჩხაოდნენ ძუ-  
ძუთა ბავშვები, ისევ ჟივჯივებდა ჩიტი,  
ისევ ზმუოდა დაჩოქილი ხალხი, ისევ  
იხოკდა სახეს, ისევ მიწას ახლიდა თავს  
და ისევ უბრუნდებოდა სიამაყის  
გრძნობა, ასეთი დიდებული მიცვალე-  
ბულის პატრონს, მიცვალებულისა, რო-  
მელმაც პირველმა უთხრა: შენი თავი  
შენადგე უნდა გეყუნდოდესო, რომელ-  
მაც ლუკმა-ლუკმა დაჭრილი, შესაჭმე-  
ლად გამზადებული სამშობლო, ხელახ-  
ლა გამოუგონა, მკვდრეთით აღუდგინა,  
გაუცოცხლა და განუბანა — პირში  
სიტყვა ჩაუღო, გულში ცეცხლი, ტვინ-  
ში აზრი; ვინც კუდით ქვა ასროლინა  
მის მთათხველესა და მაგინებლებს,  
სიბნელით რომ სარგებლობდნენ და  
გაპქონდათ და გამოპქონდათ მისი  
სარჩო-საბადებელი, მისი სალოცავი  
და ძვალთშესალავი; ვინც, ტვირთაკი-  
დებულს, ხელს შეაშველებდა ხოლმე  
ალმართში, ვინც ბაზალეთის ტბის  
ფსკერზე ოქროს აკვანი ჩაუღვა და  
შიგ იმედი ჩაუწვინა, სიჯიუტის, სიმტ-  
კიცის, გაუტეხლობის არტახებით გაკ-  
რული; ვინც მის პურს კოცნიდა და მის  
ვაზს ლოცავდა; მის საქონელს შეპფო-  
ფინებდა და მის საბძელ-ბოსელს სიუხ-  
ვესა და სიმრავლეს ამწყალობებდა;  
ვინც სიღარიბეს სიმღიროდ უთვ-  
ლიდა, უმწობას კი სიძლიერედ, და  
ვინც, ბოლოს და ბოლოს, მისი იყო,  
სისხლიან-ხორციანად, მისგან შობილი  
და მისი მშობელი. აი, ვინ მოკვდომო-  
დათ და ბევრი პირველად მიხვედრი-  
ლიყო ამას; მაგრამ მით უფრო დიდი  
იყო დაჩოქების სურვილი, მონანიების  
ქინი. მით უფრო დიდი იყო მწუხარება.  
ვერავითარი გვაღვა, სეტყვა, წყალდი-  
ლობა თუ ხანძარი ვერ წაართმევდათ

იმდენს, რამდენიც ერთი კაცის, ერთი  
სამოცდაათი წლის მოხუცის სწავლილს  
წაერთმია. აუწონავინა სიღარიბეს  
აუნაზღაურებელი ზარალის შემადარწუ-  
ნებელი შეგრძნება მოგრეკებოდათ.  
მთელი საქართველო მოისწრაფოდა  
თბილისისკენ: ბავშვი და ბერი, ქალი  
და კაცი, სწავლული და უსწავლელი.  
ხოლო ვისაც წამოსვლა არ შეეძლო,  
ვისაც ბორჯილი ეღო, იქიდან, ციხიდან  
აწვდენდა ხმას საერთო, გამომაფხიზ-  
ლებელ, გამადატაკებელ, მაგრამ, ამავე  
დროს, გამაკეთილშობილებელ გლოვას  
— ქარს აბარებდა, ჩიტს აბარებდა,  
მზის სხივს აბარებდა თავის სამძიმარს,  
თავის გულისტკივილს, თავისი გადარ-  
ჩენილი ადამიანობის დამადასტურებელ  
ცრემლს. პოეტის სიკვდილს აღესრუ-  
ლებინა ის, რასაც ამაოდ გადაჰყოლოდ-  
ნენ და ბოლოს ტახტიც გადაეყოლები-  
ნათ საქართველოს უიღბლო მეფეებს.  
მთელი საქართველო გაერთიანებული-  
ყო პოეტის კუბოს გარშემო, როგორც  
ოდესღაც, გულადნი და პურადნი, სე-  
ფე დროშის გარშემო ერთიანდებოდ-  
ნენ ხოლმე, კიდევ ერთი სახელოვანი  
ბრძოლის გადასახდელად. წარბს ქვე-  
მოდან გასცქეროდნენ ერთმანეთს, მა-  
ლულად, შეფარვით, ერთმანეთს გადაჩ-  
ვეულნი, უმიზეზოდ, მხოლოდ და  
მხოლოდ, საერთო სიძაბუნის გამო შე-  
მომწყვარლნი ერთმანეთს, მაგრამ მა-  
ინც ახლობლები, შინაგანად განუყო-  
ფლები, ერთი ხის ანაჭერნი. მთელ სა-  
ქართველოში გუგუნებდნენ სამრეკლო-  
ები, სიდანაც ჯერ კიდევ არ ჩამოეხსნათ  
ზარები იმპერიის ზარბაზნებისთვის.  
ხალხი კი მოდიოდა და მოდიოდა. თბი-  
ლისის შვიდივე კარიბჭეში ხალხის შვი-  
დი უწყვეტი მდინარე შემოდიოდა და  
ერთმანეთში არეული, ზღვად ქცეული  
— ლეღავდა, ბორავდა. მოსულები  
იძახდნენ: ჩვენს უკან კიდევ უფრო  
მეტნი მოდიანო. დამკრძალავი კომისია  
იძულებული იყო, გადაედო დასაფლა-  
ვების დღე. თბილისი ლტოლვილთა  
ბანაკს გავდა. მოდიოდნენ ფეხით, ცხე-  
ნით, ურმით, ტივით, მატარებლით,



თავიანთი საკლავ-საკურთხით, როგორც ხატობაზე, როგორც წმინდა ადგილის მოსალოცად. ხალხით იყო მოფენილი ვერეს, მუშტაიდის, ორთაქალის ბაღები, ქუჩები, მოედნები, ხიდები, ყაბახი და ნარიყალა, მტკვრის ნაპირები და მტკვარზე გაჩერებული ტივები, ბორნები, წისქვილები. ჩაუქრობლად პარალელბდა წმინდა სანთლები ყოჩის რქებზე, ურმის კოფოზე, სარკმლის რაფაზე, დუქნის დარაბაზე, ქვაზე, ხეზე — ყველგან, სადაც კი სანთლის მიწებება შეიძლებოდა. ჩამოსულიცა და ადგილობრივიც ქუჩაში ათედა ღამეს, თითქოს ცის ქვეშ, კედლებს გარეთ უფრო ახლო იქნებოდა იმასთან, იმისი დამილი, დაუძღურებული სხეულიდან ბერდანის ტყვიით გამოდენილ სულთან. საითაც არ უნდა გაგხედათ, ყველგან ცეცხლი ენთო, ცეცხლის გარშემო ისხდნენ და ერთმანეთს უყვებოდნენ, რაც კი რამე იცოდნენ განსვენებულისა, მოკლულისა, ტყუილი თუ მართალი. იქვე, ხელდახელ, ცხელ გულზე იგონებდნენ ზღაპრებს, ლეგენდებს და თვითონვე სჯეროდათ თავიანთი გამონაგონისა. „ხელმწიფისთვის შეუთვლია, საქართველო რაც მიწაზეა, ათი იმდენი მიწაზეა, და ფრთხილად იყავი, გულზე არ დაგადგოს“ — ყველა ვიღაცა ვერეს ჯვართან და იმის მონაყოლს, მეორე წუთას, უკვე მეტებს ქვემოთ იმეორებდნენ, ერთმანეთზე გადაბმულ ტივებზე. ტივებზედაც ენთო ცეცხლი. მეტების პიტლო კლდეზე უზარმაზარი ლანდები დაბორილობდნენ. ცეცხლის ანარეკლი ირიბად ლივლივებდა წყალში, თითქოს წყალს ვერ მიჰქონდა, თითქოს ტივზე იყო თოკით გამობმული, როგორც გასაციებლად ჩაგდებული ტიკტორა. ჩაუმქრალი ცეცხლით აფორიაქებულ, დაფლთილი წყვილადი ძუძუთა ბავშვებს უფარდებოდა სიზმრებში და ბავშვების ჩხავილით თენდებოდა კიდევ ერთი სამგლოვიარო დღე. ასე იყო ცხრა სექტემბრამდე, ხოლო ცხრა სექტემბერს დიდებული გვამი სიონი-

დან გამოასვენეს და ზარიოთა და გოდებით მთაწმინდაზე აიტანეს, ~~ქრისტეშვილს~~ ჯვარი გოლგოთაზე, თავიანთი ~~წმინდა~~ თავიანთ გოლგოთაზე. გუგუნებდნენ ზარები. ფრიალებდნენ შავი დროშები. ტაძრის ღია კარიდან საკმევლის ბოლი გამოდიოდა. გალობდნენ მგალობლები. ხოლო როცა საკმევლის ბოლიდან კუბომ გამოანათა, როგორც მზემ ღრუბლებიდან, ქუჩაში მომლოდინე ხალხს გმინვა აღმოხდა, თითქოს დაჩირქებულ წყლულზე უნებურად ხელი მოუხვდაო. პროცესიას წინ დროშები, ჯვრები და ხატები მიუძღვოდა. მერე კუბოს თავი მიჰქონდათ, კუბოს თავს მგალობელთა გუნდი მიყვებოდა, მგალობელთა გუნდს — გვირგვინები, გვირგვინებს — ისევ მგალობელთა გუნდი, მგალობელთა გუნდს — ოთხ-ოთხად დაწყობილი, თავშიშველი მოსწავლეები, და ისევ მგალობელთა გუნდი; მგალობელთა გუნდს — საზოგადო დაწესებულებათა, სასწავლებელთა, დაბა-ქალაქთა, კავშირთა და რედაქციათა ასოთხმოცდახუთი დეპუტაცია — თავთავიანთი გვირგვინებით; დეპუტაციებს სამღვდლოება მოსდევდა, სამღვდლოებას — ძაძებიან ეტლზე დასვენებული კუბო, ჭირისუფლებით, ცნობილი ლიტერატორებით, საზოგადო მოღვაწეებითა და „ივერიის“ ყოფილი თანამშრომლებით გარემოცული. მერე დანარჩენები მოდიოდნენ; თავდაზნაურთა თუ მოხელეთა, ვაჭართა თუ ნაფიც ვეჟილთა, დრამატიული დასის, ფილარმონიისა თუ ოპერის მსახიობთა, გლეხთა თუ მუშათა, ქალთა თუ ვაჟთა გიმნაზიების, ყაზბეგის, წინამძღვრიანთ კარისა თუ ჭრა-კერვის სკოლების, ქართველ ოფიცერთა, „კახეთის“, „ძმობის“, „გეორგიის“, ნოქართა საზოგადოებისა თუ ამქართა კორპორაციათა წარმომადგენლები. და, რაც მთავარია, ხალხი, ხალხი, ხალხი, უთვალავი ხალხი, ყველა ჯურისა, ენისა, რწმენისა და სახისა,

ოთარ ვილაჰი  
რკინის თმაბრი

ქ. მარტვილის სპ. საქ. სსრ  
დახმარებისათვის  
გაგზავნილია



მკვიდრი თუ სტუმარი კავკასიის ბაბი-  
ლონისა. გუნდები მონაცვლეობით გა-  
ლობდნენ. მონაცვლეობით უკრავდნენ  
სამგლოვიარო მარშს სხვადასხვა სას-  
წავლებელთა ორკესტრებიც. გამოღე-  
ბული სარკმლები ერთნაირად შემცბა-  
რი, ერთნაირად შეწუხებული სახეებით  
იყო ამოვსებული. ხალხს გადაეშავე-  
ბინა აივნებრც, სახურავებიც, ბანებიც.  
ფოტოგრაფებსაც სახურავზე აეტანათ  
თავიანთი აპარატები, პროცესიის გა-  
დასაღებად, რომელსაც არც თავი  
უჩანდა და არც ბოლო. „ამდენნი თუ  
ვიყავით, სად ვიყავითო?“ — წერდნენ  
მეორე დღეს გაზეთები. მართალია, პო-  
ლიცია განზე იდგა, მაგრამ ამოდენა  
ზღვა ხალხი თვითონვე აწესრიგებდა და  
თვითონვე წარმართავდა თავის მდინა-  
რებას, როგორც სტიქია. ადგილის სიმ-  
ციურის გამო, მამადავითის ეკლესიის გა-  
ლავეანში ხალხს ბილეთით უშვებდნენ,  
მაგრამ ხალხი გალავანზე მიძვებოდა,  
ერთხელ კიდევ რომ მოეკრა თვალი  
ტყვიით განგმირული შუბლისთვის, მა-  
თი სიამაყის, მათი სინდისის შელუწი-  
ლი ფარისთვის და ერთხელ კიდევ  
დარწმუნებულიყვნენ, ერთხელ კიდევ  
ელიარებინათ, თუნდაც გუნებაში, რომ  
გალმა გასვლის მსურველთ, აქამდე,  
თურმე, უკუღმა მიყავდათ ბორანი. მა-  
მადავითის აღმართზე გაქვავებული ჩან-  
ჩქერივით ეკიდა ხალხი. მამადავითის  
ჭიშკრიდან სახაზინო თეატრამდე ყვე-  
ლამ ერთდროულად დაიჩოქა, როცა  
კუბოს სახურავზე მიწის პირველი ბელ-  
ტები აგრუხუნდა.

მაგრამ ცხოვრება გრძელდებოდა და  
რაც არ უნდა აეთრია ხალხს ფეხი  
მოაწმინდაზე, როგორც არ უნდა გას-  
ჭირებოდა ახლანანს პირმოკრულ სამა-  
რესთან გამოთხოვება, მაინც უნდა  
დაშვებულიყო ძირს, მაინც უნდა დაბ-  
რუნებოდა ყოველდღიურ საქმესა და  
საზრუნავს. მსგავსიც არაფერი განეცა-  
და მრავალტანჯულ, მრავლისმნახველ  
თბილისს: ალბათ კარგახანს ველარაფე-  
რი შესძრავდა ასე საქართველოს: და  
მართლაც, ორი წლის შემდეგ, თბილი-

სელი მსახიობის სიკვდილის ცნობა რომ  
გამოაქვეყნეს გაზეთებზე, ცრემლით სავ-  
ლარო დაშრეტილი აღმოჩნდა; გულ-  
დასაწყვეტად, შემაწუხებლად უმნიშე-  
ნელო აღმოჩნდა ეს ახალი ელდაც, ორი  
წლის წინათ გადატანილი ელდის გვერ-  
დით. „დაიბლდა ქართველი მელომე-  
ნეს ტაძარიო“ — სწერდნენ გაზეთები,  
მაგრამ ეს სამწუხარო დანაკლისი  
„ღმერთის სიკვდილად“ აღარ აღუქ-  
ვამს ხალხს, ალბათ თავად თბილისელი  
მსახიობის უიღბლობის გამოც, რადგან,  
სხვა თუ არაფერი, ილიას შემდეგ  
სიკვდილსაც ფასი ჰქონდა დაკარგული,  
მით უფრო ჩვეულებრივ სიკვდილს,  
როგორითაც თბილისელი მსახიობი  
მომკვდარიყო (იმავე გაზეთების ცნო-  
ბით, თბილისელი მსახიობი გულის  
გაგანიერებას შესწირვოდა), საკუთარ  
ჭერქვეშ, საკუთარ საწოლში, ახლობ-  
ლებითა და ექიმებით გარემოცული.  
მართალია, საქართველოს ყველა კუთ-  
ხიდან ამჯერადაც გამოგზავნეს დეპუ-  
ტაციები, სამძიმრის დეპეშები თუ  
გვირგვინები, მაგრამ ეს უფრო ადამიან-  
ური ვალის მოხდა იყო და არა ცოდვის  
ტირილი; არა საერთო გლოვა, არამედ  
საერთო ყურადღების გამომჟღავნება.  
რა თქმა უნდა, არც ბათუმს დაუტოვე-  
ბია უყურადღებოდ ეს სამწუხარო ამბა-  
ვი. რკინის თეატრში, წარმოდგენის  
დაწყების წინ, მაყურებელმა ფეხზე  
ადგომით სცა პატივი თბილისელი მსა-  
ხიობის ხსოვნას, რომელსაც, მიზეზთა  
სხვათა და სხვათა გამო, აღარ მიეცა  
მათ წინაშე გამოსვლის საშუალება,  
რისი სურვილიც სიკვდილამდე არ გა-  
ნელებია თურმე. სიკვდილს კი, მარ-  
თლაც რომ ეპიკურის ფასიც აღარ ედო.  
იმპერია სტალინიანის სახარჩობელების  
ოჩოფეხებზე იყო შემდგარი და ერთი  
წლის სავალს ერთ დღეში გადიოდა —  
უფსკრულისკენ, აღსასრულისკენ. არა-  
ვინ არ იცოდა, შინიდან გასულს, რა  
წუთას დაეძგერებოდა ტყვია, რა წუთას  
დაედევნებოდა ხმაღმემართული ქან-  
დარმი. ყველა ერთმანეთს დასდევდა  
დასაჰერად, მოსაკლავად, მოსასპობად,



რევოლუციონერებს ვილა ჩიოდა, მღვდლებსაც აღარ აჭაჭანებდნენ ქუჩაში. ეკლესიებში სანთლის ამთებიც აღარავენ იყო. დამფრთხალი მღვდლები სასწრაფოდ იკრიბებოდნენ, ანაფორებს იხდიდნენ და ხან რას გადაიცვამდნენ ხოლმე და ხან რას, ფაცაფუცით, მიუზომებლად ნაყიდს შავ ბაზარზე. ქართველ სამღვდლოებას ეგზარხოსი ნიკონის მოკვლა ბრალდებოდა: რაკი ეგზარხოსი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის წინააღმდეგი იყო, ისინიც ადგნენ და მოკლეს, როგორც ველურებს სჩვევიათო. შავ ანაფორას რომ მოჰკრავდნენ თვალს მთვრალი ყაზახები, როგორც დასაკლავ ქათამს, ისე დედევნებოდნენ ხოლმე, თვალდაყვედვილ, კბილდაკრეჭილ ცხენებს ზედ ავდებდნენ და მათრახებით უსისხლიანებდნენ თავპირს. ზურგზე ანაფორაგადაფხრეწილი მღვდელი ქოშინით გარბოდა ქუჩაში. აღარავენ მოსდევდა, მაგრამ მაინც გარბოდა, თავზარდაცემული, ნაცემი, ბეწვზე გადარჩენილი. მათრახით ატკეცილი, აფუებული ზურგი უხურდა. ბოლოს, ალალებდნენ, რომელიღაც ჭიშკარი მხრით შეგლიჯა და ეზოში შევარდა. ცემენტის ნიშაში დატანებული ონკანიდან დედაბერი დოქს აკებდა. პირველი, რაც მღვდელმა იგრძნო, სიგრილე იყო, თუმცა ხელისგულის ტოლა ეზოში არც ხე იდგა, არც საჩრდილობელი. დედაბერს დოქი ხელიდან გაუვარდა და პირჯვარი გადაიწერა. ხოლო მღვდელმა ზურგზე გადამსკდარი ანაფორა მთლიანად შემოიხია და ყელკისერი წყალს შეუშვირა. ახლა ანაფორა კი არ ეცვა, წელზედღა ეკიდა, თითქოს ყასბის ფეშტამალი აუფარებიაო. ტიტველ ზურგზე ნამათრახალი კანი ბებერებად ქცეულიყო. წყალი რომ შეეხო, ერთი კი შეჰყვირა ტივილისგან, მაგრამ კიდევ უფრო ღრმად შეჰყო კისერი წყლის ქვეშ. ფრუტუნებდა, დგაფუნობდა, ხელებს ყელკისერზე იტყაპუნებდა და თან განუწყვეტლივ ლაპარაკობდა: „ტყუილად ირგები, დედი, ახლა უკვე გვიანია,

დედი. მე რომ მცემდნენ, სად ეყავი? რომელ სოროში შეიძალეთ? აღბათ შევილის ნაქურდალს მალავდი მიწაში, ანდა რძალი დაგყავდა საბოზაოდ, უქმად არ მოცდეს, ერთი-ორი კაბიკი მეტი შემოიტანოს ოჯახშიო, არა, დედი? არ შეგრჩებათ. არ შეგრჩებათ. ოოოოი, რა ყინულივით წყალია. ამ წყულ ქვეყანაში თავის კარზეც ვერაფერი უთქვამს კაცს. ისრის-მასრის სანდლის ქალო, გადმოყარე გიშრის თმანი, ამიყვანე, შენთან დამსვი... შენი ძროხა შხამს მოიწველის, დედი. ჭერ სადა ხართ! შენი ქათამი გველის კვერცხს დადებს. შარდით უნდა ზილო პური შენი არსობისა, დედი, რამეთუ წყაროს გველუშაბი დაეპატრონა. ჭაფურია, ძირხვევა, მაჩიტა და თეროს ძირი იქნება თქვენი საქმელი, დედი. არა არს შუბლსა თქვენს ზედა ნიშანი უფლისაი, არამედ ნიშანი ეშმაკისაი. ეშმაკმა ნუ მოგიშალოთ ხელმწიფის ცხენის ჩონჩორაკი, დედი. ნაცარ-ტუტა, ნაცარ-ტუტა აქაურობას, რამეთუ იქურდეთო და იქურდეთ; იმრუშეთო და იმრუშეთ: მოკალითო და მოკალით; მოიტყუეთო და მოიტყუეთ; დაასმინეთო და დაასმინეთ... მაგრამ ბოლოს, ისევ თქვენ მოგეკითხებათ პასუხი. უსმინეთ, უსმინეთ, რას ამბობს სული ეკლესიათა. დიდი არს რისხვა კრავისაი. არ შეგრჩებათ კრავის გალახვა. ოოოი, დაგაქციოს მამაზეციურმა, დედი, დედალვთისამ, წმინდა გიორგიმ, ანჩისხატმა, ჩემი შეფარებისთვის, ჩემი მორჩენისთვის, ჩემი მადლის მოკიდებისთვის... ოოოო, მოვედ სატანა, მოვედ, მოვედ, მოვედ“ — ფრუტუნებდა, დგაფუნობდა, ხენეშოდა წყლის ვერცხლისფერ მტვერში გახვეული, წყლის ქვეშ წაყუბული მღვდელი; ხოლო შიშისაგან ენაჩავარდნილი დედაბერი გამალებული იწერდა პირჯვარს.

ცხოვრება კი დღულდა და გადმოღულდა. დრო ყველაფერს კურნავდა, ყვე-

მთარ მელამე  
ჩინის თეატრი



ლაფერს ავიწყებდა ხალხს. ასე იყო ბათუმშიც. ბავშვები იზრდებოდნენ, ცხრაასხუთში მოთხრილი ხეების ნაცვლად ახალი ხეები შრიალებდნენ. ნატყვიარი კედლები ზელახლა გადაელესათ. ღია სარკმლიდან ქათქათა, გამჭვირვალე ფარდა გამოიბერებოდა უცებ, ფეხშიძე ქალის მუცელივით, მერე ბოლოებს ჰაერში ააფრიალებდა და ისევ სარკმელში შესრიალდებოდა. ქვიშაზე გაშენებულ ბაღში ორკესტრი გუგუნებდა. მოსიერნეთა ფეხქვეშ ისევ სასიამოვნოდ ჩხრიალებდა ხმელი წიწვით მოფენილი ქვიშა. ანძებივით ჭრიალებდნენ კანდამსკდარი ფიჭვები. მსუყე, ნოტიო სიმწვანიდან ნებიერი ყვავილები იჭყიტებოდნენ. ზღვის ნაპირზე პირველი დამსვენებლები გამოჩნდნენ: თეთრ ზეწრებში გახვეულნი, საუზნით სავსე კალათებით დატვირთულნი. ტიტლიკანა ბავშვი გამალეზული ქოქავდა სკამზე შემოდგმულ გრამაფონს. გრამაფონს, თავისი ვეება, ლობიოს ყვავილის მაგვარი ყური ქალაქისთვის მიეშვირა: არაფერი გამომჩნესო. თვალუწვდენელი ზღვა თუნუქის ფურცელივით ლაპლაპებდა მზეზე. შიშველი ტერფების კვალი ტილოს ცარიელ სავარძელთან იწყებოდა და ზღვაში იკარგებოდა. ჭილის ქედში ჩაკეტილი მსხალი ეგდო. ბათუმში თბილისელი მსახიობის ცოლი ჩამოვიდა, ვაჟიშვილთან ერთად, და იმავე ოთახში დასახლდა, საიდანაც ათი წლის წინ გაექცა ქმარს. დიახ, ათი წელი გასულიყო უკვე. ნატოს ათი წელი უსრულდებოდა. დიმიტრი და დარია დღეობისთვის ემზადებოდნენ. დიმიტრი დიდ ოთახში, კარადის წინ, სკამზე იდგა და ზედა თაროდან ძველისძველი, მისი მშობლების დროინდელი, ფაიფურის ლანგრის გადმოღებას აპირებდა, მეტი ლაზათი რომ მისცემოდა სადღეობო სუფრას. აივანზე გამავალი კარი ღია იყო. კარის ჭრილი მზის თვალისმომჭრელ სინათლეს ამოევსო. სინათლიდან აბრწყვიალებული ხოჭო გამოსხლტებოდა ხოლმე, დაფეთებული, თითქოს ფრთებზე

ცეცხლი წაჰკიდებიაო. ნატოს ოთახიდან ბავშვების ყრიამულმა მსმელმა ნატოშეების ხმები კიდევ უფრო აამაყებდა და მზითა და ხეების სუნით გაელენითილი სახლის სიმყუდროვეს. დარიას ხელები უკვე გაეშვირა ლანგრის ჩამოსართმევად; სკამზე შემდგარ ქმარს მშვიდი მოლოდინით აპყურებდა, როგორც ფრესკის ანგელოზი—უხილავსა და იღუშალს. დიმიტრი კი თითის წვეკრებზე იწყობდა, უკეთესად რომ მოეკიდა ხელი ლანგრისათვის. დაძაბულობისგან ფეხები უთრთოდა. გარეთ, ლიმონის ხის კენწეროზე დიდი, ჭრელი ჩიტი იჯდა და გამწარებული უსტვენდა: თითქოს რაღაც შემამოფოთებელი ცნობა მოეტანა სახლის ბინადრებისთვის და თავადაც გადასდებოდა შემოფოთება, რადგან გრძნობდა, ამაოდ რომ ირჯებოდა: არავინ აქცევდა ყურადღებას, არავის ესმოდა მისი ენა. დიმიტრიმ ლანგარი გადმოიღო, ქუსლებზე დაეშვა და სკამზე ფრთხილად შემობრუნდა. სწორედ ამ დროს, აივანზე გამავალი კარის ჭრილში ვილაცის შავი ლანდი აისვეტა, თითქოს მზის თვალისმომჭრელმა სინათლემ გააჩინა იმ წუთას, რადგან ავაზაკისა და ავი სულის მეტი, ვერავინ შემოვიღოდა შეუმჩნევლად ეზოში — არც ჭიშკარს დაუწყავსკავებია და არც ბილიკზე მოყრილი ხრეში აჩხრიალებულა მოსულის ფეხქვეშ. არა და, კარის ჭრილში აშკარად ვილაც იდგა. „ვინ ოხერიაო“ — ერთი კი გაიფიქრა დიმიტრიმ და უცებ პოლიციემისტერის ხმა შემოესმა: ისა. ფუი, დასწყევლოს ღმერთმა. შენ ხარ ჩემი ბატონი. დაპატიმრებული ბრძანდებით. დიახ. დაპატიმრებული. დიმიტრის უნებურად ხელი შეუთრთოლდა, მერე შეუმსუბუქდა, ხოლო ლანგარი ისეთი ხმით დაიმსხვრა იატაკზე, გვეგონებოდათ, ჭერი ჩამოიქცაო. კარის ჭრილში ასვეტილმა ლანდმა გაიცინა (ასე მოეჩვენა დიმიტრის), სინათლის კვადრატოდან გადმოაბიჯა და თბილისელი მსახიობის ვაჟად იქცა. ლურჯი ხავერდის მოკლე შარვალი და ზოლიანი პერანგი ეცვა. საგულდაგუ-



ლოდ გადავარცხნილი თმა ჯერ ისევ სველი ჰქონდა. „ხომ შეგაშინეთ“ — თქვა და ისევ გაიცინა. დიმიტრის ამ ბიჭისა ჯერ კიდევ დილით შეეშინდა, ჯერ კიდევ დილით მიხვდა, შეცდომა რომ ჩაიდინა, ერთხელ უკვე ჩადენილი შეცდომა რომ გაიმეორა, როცა ამ ბიჭის შავად აწოწილ დედას გაუჩერდა და ახლობელივით გაუბლაპარაკი. მართალია, ძველი ნაცნობები იყვნენ, მაგრამ მეზობლებთან დაახლოების სურვილი არც ათი წლის წინ გამოუმჟღავნებია ამ ქალს, როცა ქმარმა პირველად ჩამოიყვანა ბათუმში, და არც ათი წლის მერე, როცა უკვე დაქვრივებული, ყველასათვის მოულოდნელად, დაუბრუნდა ოდესღაც უარყოფილსა და ხელმეორედ დაქირავებულ ბუდეს. კაცია და გუნება. ვინ გაიგებს სხვის ამბავს, ან ვისი რა საქმეა, მაგრამ დიმიტრი ამ ქალის ქმარსა და ამ ქალის ერთადერთი ვაჟიშვილის მამას იმდენად ახლობლად თვლიდა თავის დროზე, მიუხედავად სხვათა შემაწუხებელი თავქარიანობისა და თავქეიფობისა, იმდენად ეცოდნებოდა, ცოლისაგან მიტოვებული, გულმოკლული, შერცხვენილი, შეურაცხყოფილი, რის დამალვასაც ჯიუტად და ამაოდ ცდილობდა იგი, მოგონილი არხეინობითა და გაუტეხელობით, იმდენად უყვარდა იმასაც, უოჯახოს, ოჯახს დანატრებულს, დიმიტრის ოჯახი, დარიას დამზადებული კერძი თუ უბრალოდ იმათთან ყოფნა და საუბარი (თუნდაც უაზრო) — დიმიტრის არაფრით არ შეეძლო ახლა, ათი წლის მერეც, ჩვეულებრივი ნაცნობებივით მოქცეოდა იმის ცოლ-შვილს, რაც არ უნდა უცხოდ დაეჭირათ იმათ თავი. იმდენად ბუნებრივად მიაჩნდა ეს ამბავი, შინ მობრუნებულს, დარიასთვის არც კი უთქვამს, ჩვენი ორგზის მეზობლის შვილი დავპატიეო; ხელში ნამცხვრით სავსე კოლოფი მეჭირა და შემრცხვა, გვერდი უბრად ვერ ავუბარეო. არც დარია დაძრახავდა და არც ნატო; მაგრამ თვითონ, დილიდანვე, რატომღაც თავს დამნაშავედ გრძნობდა

ცოლისა და ქალიშვილის წინაშე და როგორც მალე გამოირკვა, არც მთლიან უსაფუძვლოდ. რა თქმა უნდა, აჯობებდა, როგორმე რომ დაეძლია იმ დილით, უცაბედად გამომტყვრალი სიბრალულის გრძნობა, მარადიული გლოვის ნიშნად, შავი პირბადით სახედაფარული ქალისა და მისი დამთხვეული ბიჭის მიმართ; ანდა, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ სალმითა და მოკითხვით გამოეხატა თავისი ყურადღება, თუკი საერთოდ რამეში წადგებოდა ვიღაცის ყურადღება ან ერთსა და ან მეორეს. ასე რომ არ მომხდარიყო, ადვილი შესაძლებელია, მართლა სულ სხვანაირად წარმართულიყო მისი და მისიანების ცხოვრება, მაგრამ კაცს რომ ეშმაკი შეუჩნდებოდა, სწორედ იმას გააკეთებინებს და სწორედ იმას ათქმევინებს, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გააკეთოს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა თქვას. მართლაც, რა საჭირო იყო, ვინ ექაჩებოდა ენაზე, ვინ ათქმევინა, თუ არა ეშმაკმა, დღეს ბედნიერი დღე მაქვს და, თუ შეიძლება, თქვენი ბიჭი ჩვენთან გამოუშვითო. თითქოს ბედნიერი ფეხისანი იყვნენ! თითქოს უიმითოდ ვერ გადაიხდიდა ქალიშვილის დღეობას, ანდა ცუდ კაცობაში, ცუდ მეზობლობაში ჩაეთვლებოდა, კალთა რომ არ დაეხია, საღდაც, თავიანთ ბნელ საქმეზე მიმავალი დედა-შვილისთვის. მაგრამ დიმიტრის ეშმაკი უკვე ათი წლის წინათ ყავდა შეჩენილი, ჯერ კიდევ ამ ბიჭის მამის სახით, და იმ დილით, მხოლოდ და მხოლოდ, სახეშეცვლილი გამოეცხადა, ოდნავ სახეშეცვლილი, მამიდან შვილში გადასახლებული. ქალს ისეთი გაკვირვებული სახე დაედო (პირბადეშიც ჩანდა), თითქოს პირველად ხედავდა დიმიტრის. უკვე ნახევარი წლის ჩამოსული იყო, მაგრამ თავი ისე ეჭირა, ისე იშვიათად გამოდიოდა შინიდან (სხვათა შორის, ისიც რკინის თეატრში მსახუ-

ოთარ პილაძე  
რკინის თეატრი



რობდა), აშკარად ეტყობოდა, ამჭერა-  
დაც არავისთან აპირებდა დაახლოება-  
სა და დამეგობრებას. ის კი არა, მგო-  
ნი გამწყვრალიც იყო თავის ორგზის  
მეზობლებზე, თითქოს იმათი ბრალი  
იყო, ასე რომ გაეუბედურებინა ცხოვ-  
რებას, შენ რომ თავს ვალდებულად  
თვლი, შეამჩნიო, ყურადღება აგრძ-  
ნობინო სხვას, იმ სხვას, შეიძლება,  
საერთოდ არაფრად ეპიტნავებოდე  
შენ, შენი ყურადღებინად. აკი თავი-  
დან არც მიიღო დაბატიებმა! პირბა-  
დემიც გამოჩნდა, როგორ შეიკრა კო-  
პები, როგორ აწვიპა წარბები, თით-  
ქოს ისეთი რამე აკადრეს, რასაც ფიქ-  
რშიაც არ დაუშვებდა. მადლობაც  
ძლივს გამოწირა, ისიც ზრდილობისთ-  
ვის, თითქოს სხვა მხრივ არაფერია  
სამადლობელი იმაში, უცხო ქალაქში  
ჩამოსულს (თუნდაც მეორეჯერ), ჯერ  
კიდევ მოუწყობელს (ამჭერადაც), ჯერ  
კიდევ დასამკვიდრებელს (რალა მაინც-  
დამაინც ბათუმში), კარს რომ გიღე-  
ბენ და გულს გიჩვენებენ. დიდი მად-  
ლობა, მაგრამ გელა დასჯილია და  
კარგახანს ვერსად გაადგამს ფეხსო.  
კეთილი და პატიოსანი. თქვენ იცით  
თქვენი საქმისა. მე მხოლოდ მეზობ-  
ლური ვალი მოვიხიხადე და ახლა ღმერთ-  
მა ხელი მოვიმართოთ, ისე მოიქეციოთ,  
როგორც გულმა და გონებამ ვიკარნა-  
ხოთო — აი, რა უნდა ეთქვა დიმიტრის,  
გადარჩენა თუ უნდოდა. მაგრამ როცა  
ასე ფიქრობდა, ურემი უკვე გადამრუ-  
ნებული იყო, ერთი კი არა, ათასი გზა  
ჩანდა, უბედურებისგან თავის დასალ-  
წევი; უფრო სწორედ, დიმიტრის ეჩვე-  
ნებოდა ათასი გადამრჩენელი გზა,  
უარესად რომ გახეტეჯოდა გული, უა-  
რესად რომ დატანჯულიყო, თორემ,  
სინამდვილეში, რალა თქმა უნდა, ათასი  
კი არა, ეტლიც არ არსებობდა; არსე-  
ბობდა მხოლოდ ტანჯვისა და უბედურ-  
რების გზა. ვარდა ამისა, იმ საბედის-  
წერო დღეს, ქაფურის ხის ძირას ვაჩე-  
რებული, ბეჭებზე მწვინდაცხუნებული,  
ათი წლის გოგოს მამა, რომელსაც  
ათსნაირი ნამცხვრით სავსე მუყაოს

კოლოფი ორივე ხელით ეჭირებოდა,  
ვერ იფიქრებდა, რადგან ბედნიერი  
იყო და უნდოდა, ყველა ბედნიერი  
ყოფილიყო; ყველა ბავშვისთვის, ნაც-  
ნობისთვის თუ უცნობისთვის, ზეიმად  
ქექულიყო მისი ქალიშვილის დაბადე-  
ბის დღე; მუყაოს ვატკბილული,  
სულდგმულივით თბილი კოლოფიდან  
ყველა ბავშვს შეხვედროდა თითო ნა-  
ჭერი ნატოს საყვარელი ნამცხვრისა;  
ყველა ბავშვს ამოებოყინებინა მის  
ქერქვეშ ლიმონათის შუშხუნა, ნაპერ-  
წყლიანი ვაზი... და ამიტომაც იყო ალ-  
ბათ, ლამის უცნობი ქალის უცნობ  
შვილს ვეჭილად რომ დაუდგა შუა ქუ-  
ჩაში. იქამდე არ მოეშვა პატიოსან  
მანდილოსანს, თუნდაც მართო თავისი  
გოროზი და ამპარტავნული გარეგნო-  
ბით, უფრო მეტი თავშეკავებულობის-  
კენ რომ მოუწოდებდა სხვებსაც, ვიდრე  
მოთმინებიდან გამოსულმა, ანდა  
იმიტომ, ამდენხანს უცხო მამაკაცთან  
ქუჩაში ლაპარაკი რომ ეუხერხულა,  
არ შესძახა: გამოვეშვებ, ოღონდ იცო-  
დეთ, ჩემი მხრიდან სიკეთე კი არ იქ-  
ნება ეს, არამედ ბოროტებაო. კი არ  
თქვა, შესძახა, რამაც, ცოტა არ იყოს,  
შეაცბუნა დიმიტრი და, მართალია,  
ერთი წუთით, მაგრამ მაინც აგრძნობი-  
ნა, მოლიპულ გზაზე რომ იდგა, სიკე-  
თის ჩადენის მსურველს, მართლაც რა-  
დაც საწინააღმდეგო რომ გამოსდიოდა,  
როგორც სასამართლო პროცესებზე  
ემართებოდა ხოლმე, მაგრამ რაკი უკვე  
მოლიპულ გზაზე იდგა, აღარც თავის  
შეკავება შეეძლო და აღარც უკან და-  
ხევა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი:  
მუხჯის ენა დედამ იცისო; ხოდა, იმ  
ქალმაც სხვაზე უკეთ იცოდა, რანაირი  
ფიქრები ბუდობდნენ მისი ვაჟიშვი-  
ლის თავში, ისიც იცოდა, კარგს  
რომ არაფერს მოუტანდა მისი გაცნობა  
დიმიტრის ქალიშვილს, და საერთოდ  
— არავის, მაგრამ იმ საბედისწერო  
დღეს, დიმიტრიმ ჯერ არაფერი იცოდა  
იმ ბიჭისა, ის ბიჭიც ჩვეულებრივი  
ბავშვი იყო მისთვის, მეტი არაფერი,  
და როგორც ჩვეულებრივ ბავშვს, ისე



დაუყვავა იმასაც: ხომ მოხვალ ჩვენთან სტუმრადო; ის კი არა, მეტი გულისხმიერების გამოსახატავად, ლოყაზე ხელის მოთათუნებაც დაუპირა, მაგრამ ბიჭი საკბენად წაეტანა ხელზე და კი არ უთხრა, შეუღრინა — მოვალო — თითქოს კი არ დაპირდა, დაემუქრა. აი, სწორედ მაშინ შეეშინდა დიმიტრის; ბავშვის თვალში წამიერად გამკრთალმა მრისხანებამ შეაკრთო; გაუჭირდა ამ მრისხანების მიზეზის ამოცნობა და რაც მერე ილაპარაკა, პირწავარდნილი მლიქვნელობა იყო და მეტი არაფერი; იმდენი და ისე ცხარედ, ისე აღზუნებულად, არცერთ პროცესზე არ ულაპარაკია, თუმცა მოლაპარაკე კაცის სახელი ჰქონდა დავარდნილი და იმის პროცესებსაც ისევე ესწრებოდა ხალხი, როგორც ლექციებს, არაბრალდებულის ბედის გასარკვევად, არამედ მისი მჭევრმეტყველებით დასატკბობად. მზე უკვე შემაწუხებლად აჭერდა კისერში, ზურგი უოფლიანდებოდა, ნამცხვრით სავსე კოლოფი უფრო და უფრო მძიმდებოდა — ლაპარაკისას, ხან ერთ მუხლს შეაშველებდა, ხან მეორეს — მაგრამ მაინც ვერ აბამდა სათქმელს თავს, რადგან არა მოსამართლისა და პროკურორის, ბავშვის გულის მოსაგებად ირჯებოდა, იმ ყოველად დაუმსახურებელი მრისხანების მოსასპობად, ბავშვის თვლებში რომ, გადააწყდა მოულოდნელად, და ალბათ არანაკლებ უბედური იქნებოდა, არანაკლებ დაიტანჯებოდა, იმ „პროცესზეც“ რომ დამარცხებულიყო და თავისი ვერ გაეტანა. ის კი არა, ცოტას მორჩა, ბავშვის შამაც მოიშველია; ძლივს შეიკავა უკვე ენაზე მომდგარი სიტყვები: მამაშენსაც უყვარდა ჩვენთან მოსვლაო, რადგან ტანმა უგრძნო, პროფესიულმა ალღომ უკარნახა, უარესად რომ გააფუჭებდა იმ კაცის ხსენება საქმეს; კი არ დააახლოვებდა იმათთან, კიდევ უფრო დააშორებდა, როგორც იმათი უარესად პირადული საიდუმლოს უნებლიე მცოდნეს. ბავშვის გულის მოსაგებად კი ლაპარაკობ-

და, მაგრამ, საბედნიეროდ, არ ტყუილა არ თვალთმაქცობდა, რასაც იმბობდა გულით ამბობდა და არა მარტო გულით — რწმენითაც, რადგან ნამდვილად წინააღმდეგი იყო ყოველგვარი დასჯისა, მით უფრო — ბავშვის დასჯისა, და იქამდეც მტკიცედ იდგა იმ აზრზე, რაც იმ დღეს ქუჩაში გამოთქვა ხმამაღლა. დიმიტრის აზრით, მშობელი გამოუსწორებელ ბოროტებას სჩადიოდა, როცა ბავშვს სჯიდა. მშობელს, ცხადია, ბავშვისთვის მხოლოდ კარგი უნდოდა, ბავშვის სიყვარული აიძულებდა სიმკაცრესაც, მაგრამ შედეგი სრულებითაც არ შეესაბამებოდა მიზანს, რადგან სასჯელი კი არ „აჯანსაღებდა“ ბავშვს, რისი სურვილიც ამოქმედებდა მშობელს, არამედ, კიდევ უფრო „ასწულებდა“, რისთვისაც, პირველ რიგში, მშობელს უნდა ეგო პასუხი. ასეთი ფარული თვისების მატარებელი გახლავთ სასჯელი, ქალბატონო. კაცის ვარდაქმნის უნარი კი შესწევს, მაგრამ გამოსწორებისა რა მოგახსენოთ. ბავშვი და, აქედან გამომდინარე, საერთოდ ადამიანი, თუკი ბუნებით ზნედაცემული არ არის — თუმცა. ბოროტმოქმედებისკენ მიდრეკილება გარემოებისდა მიხედვით უნვითარდება ადამიანს, როგორც მუსიკალური სმენა ანდა კუჭის კატარი — დასჯის შემდეგ, სრულიად სხვა პიროვნება ხდება, რადგან სასჯელის მოსახდელად განკუთვნილი, ანუ გაცდენილი დრო, რომელიც სამუდამოდ რჩება მის შეგნებაში, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი არსებობის აუცილებლობის რწმენას უკარგავს, რადგან ცხოვრება, რომელმაც ერთხელ უკვე მოიშორა იგი, თუნდაც დროებით, სრულებითაც არ არის ვალდებული და, მით უფრო, არც მოწოდებული, ერთ ადგილას იდგეს და იცადოს, ვინ როდის მოიხდის სასჯელს. არც იმასა აქვს არავითარი მნიშვნელობა, სად იხდის სასჯელს დას-

ოთარ ვილაძე  
რაინის თეატრი



ჯილი: ციხის კედლებში თუ ოთახის კუთხეში; დრო მაინც უიმისოდ გადის. ხოლო ცხოვრება, ბუნებისა არ იყოს, სიცარიელეს ვერ იტანს; ასე რომ, დასჯილის კანონიერი ადგილი უკვე დაკავებულია, სხვამ შეავსო იმისი წინდაუხედაობით, სიბრყვიით, ანდა თუნდაც სიცელქით გაჩენილი სიცარიელე, და ახლა იმან, წინდაუხედაემა, ბრყვემა ანდა ცელქმა, კეთილი უნდა ინებოს და გვერდზე ვადგეს, სხვებსაც არ გაეზღანდოს ფეხებში, სხვებსაც, რომლებსაც წინდახედულობაც გააჩნიათ, ჭკუა-ცა და თავშეკავების უნარიც; მოკლედ, გუდანაბადი უნდა აიკრას, ანდა თავიდან უნდა ჩადგეს რიგში, რაც ისევე შეუძლებელია, როგორც გაცდენილი დროის აღდგენა, მეორედ დაბადება, რადგან ქაჯმაც არ იცის, სად იწყება რიგი; ეს რომ გაიგო, უკანვე უნდა გაიარო მთელი ის გზა, რაც უკვე გამოვივლია გაჩენის დღიდან; უკუსვლით უნდა ჩაათავო ასაკობრივი კიბე, ზორციელი, სულიერი და გონებრივი განვითარების ყველა საფეხური, და თუ ამას მოახერხებ, მერე მობრძანდი, მერე ვილაპარაკოთ, ვნახოთ... ასე რომ, ქალბატონო... ქალბატონო (დემიტრის ენა დაება; მისდასამარცხვინოდ, დაეწყებოდა ქალის სახელი. „ელენე“ — შეახსენა ქალმა)... ასე რომ, ქალბატონო ელენე, როგორი კეთილშობილი ზრახვებიც არ უნდა გვამოქმედებდეს, სასჯელი, გარკვეული დროით თავისუფლების შეზღუდვას კი არ გულისხმობს მხოლოდ, არამედ საერთოდ ხაზს გადაუსვამს ხოლმე პიროვნებას, თუნდაც უნებლიედ, რადგან არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ერთსადაიმევე პიროვნებად ჩაითვალოს ადამიანი სასჯელამდე და სასჯელის მოხდის შემდეგ... უუუჰ, — ამოიჭმინა დემიტრამ, როგორც პორტის მტვირთავებმა იციან, სიმძიმის აწევის დროს, ჰაერით დაბერილი ფილტვები რომ არ დაუსკდეთ. ქალს (პირბადეშიც ჩანდა) აშკარად აღიზიანებდა მისი ლაპარაკი, ლაყბობა; მაგრამ ისევ ზრდილობის გამო,

თავს იკავებდა. დემიტრი ექვემდებარებოდა, თან ნამცხვრეც დაესტეოდა, ლოფს დასცქეროდა, ქალსაც არიდებდა თვალს და ბიჭსაც; ქალისა რცხვენოდა, ბიჭის ეშინოდა: მთელი ტანით გრძნობდა იმის დამცინავ ღმილს. მთელი ტანით გრძნობდა ხისფეხა კოსტას დაძაბულ მწერასაც, ქუჩის გადაღმა რომ იჯდა თავის ჯორჯოზე და ცნობისმოყვარეობისგან სული მისდიოდა. მაგრამ დემიტრამ ღირსეულად აიტანა ყველაფერი და მიზანს მაინც მიადგო; როგორც იტყვიან — კატა გამოთხარა, და აი, კატა უკვე გამოსულიყო სანადიროდ, მის წინ იდგა და თვალები ეშმაკურად უბრწყინავდა. „მე თქვენს სხვენშიც ვარ ნამყოფი, თანაც ბევრჯერ, თქვენ კი არაფერი გაგიგიათო“ — თქვა ბოლოს.

— სხვენში? — უარესად დაფრთხა, გაოცდა დემიტრი.

— ხო, — მშვიდად დაეთანხმა გელა. — ძველ ქურნალებს ვათვლიერებ. თქვენ ხომ იქ მთელი ბიბლიოთეკა გაქვთ. — გააგრძელა დემილით, თითქოს ჩვეულებრივი ამბავი იყო სხვის სხვენში ძრომიალი და ძველი, დამტკერილი ქურნალების თვალღერება.

ერთხელ მართლა აზიდა დემიტრამ სხვენში, რაც რამე ძველი ქურნალი და გაზეთი ჰქონდა. დაწვა ან გადაყრა დაენანა. მერე კი, საერთოდ ამოუფარდა თავიდან, როგორც სხვა უფარვისი ხარახურა, სხვენის მტვრითა და აბლაბუდით დაფარული. სხვენში, ათასში ერთხელ, ისიც კრამიტის გასასწორებლად თუ ავიდოდა, ხოლო რაც ერთხელ აეტანა იქ, არასოდეს აღარ დასჭირებია.

— კი მაგრამ.. — ენა დაება დემიტრის. უნდოდა ეთქვა, უნებართვოდ მარტო თავებში და ობობები დაშლივინებენ სხვის სახლშიო, მაგრამ თავი შეიკავა, ბავშვისაც მოერიდა და ბავშვის მამის ხსოვნისაც. — კი მაგრამ, იქ ხომ ბნელა?! — თქვა ბოლოს.

— მით უკეთესი. — დედასავით

აკიმა წარბები ბიჰმა. — მე ბნელში უკეთესად ვხედავ. ბავშვობიდან მივეჩვიე. საბანს წავიფარებდი თავზე, ვითომ მეძინა, და დილაშე ვკითხულობდი არხენიანდ.


დიმიტრიმ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო: მკაცრად, კატეგორიულად აეკრძალა ბიჰისთვის უნებართვოდ სხვენში ასვლა, რასაც, შეიძლება, უარესად გაელიზიანებინა იგი, თუ ავდებულად, ვითომ სრულებით არ აღარღებდა ეს ამბავი, ეთქვა: რა ჩემი საქმეა, რამდენიც გინდოდეს, იმდენი იქეჩე ძველ ნაგავშიო, რის შემდეგაც ყველა თავმოყვარე ბავშვს, წესით, უნდა შერცხვენოდა თავისი საქციელისა. ერთი ცხადი იყო: ეს ბიჰი უფრო ადრე შემოსულიყო მის ოჯახში, ვიდრე დაპატივებდა (თანაც რანაირად!) და, მამამისის არ იყოს, მომავალშიც მაშინ შემოვიდოდა, როცა მოეპრიანებოდა. ეს კი, რასაკვირველია, ყველაზე მტკივნეული, ყველაზე შემაშფოთებელი აღმოჩენა იყო სიმუყდროვეს დანატრებული კაციისთვის. შემკრთალი, დაბნეული იდგა სკამზე, თითქოს გელა კი არა, თვითონ იყო დღეობაზე სტუმრად მოსული ბავშვი და სკამზე ლექსის სათქმელად შეეყენებინათ.

იმ დღეს ვერაფრით ვერ დააოკეს გელა. ოიამა, ნოგი, ტოგო და კუროკი მოგონილი იყო იმასთან. მთელი სახლი ყირაზე დააყენა. ბავშვების გული ხომ ერთბაშად მოინადირა. აღტაცებისგან ეიოდნენ. რაც არ უნდა ეთქვა, რაც არ უნდა გაეკეთებინა, ყველაფერი მოსწონდათ. ისიც ზედისზედ იგონებდა ახალ-ახალ ოინბაზობებს. ხან სიარულში ბაძავდა ვილაცას, ხან ლაპარაკში, და ვისაც ბაძავდა, ბავშვები უშეცდომოდ ცნობდნენ მაშინვე. მერე ნატოს ნაწნავებში ჩაავლო ხელი და ოთახებში დააჯირითებდა, ვითომ ნატო ცხენი იყო, თვითონ კი — მეთელე. „გზა მომეცით, ხაბარდა, გუბერნიის მამა მომყავსო“ — ღრიალებდა ბებერი მეეტლის ჩახრინწული, ნაარყალი ხმით. მერე საიდანღაც ჯოხი გამოაძვრინა,

საიდანღაც — დარიას ხილაბანდი, ხელდახელ დროშა შეაკოწიწა, დაიბრიალა და დაიყვირა: ბარიკადებზე! ბარიკადებზე! ვისაც გული ერჩის და მონობაში გადიდგაცებას, თავისუფლებისთვის სიკვდილი ურჩენიაო. მერე ხელებზე იდგა, მიბოშებულ, მოსავათებულ ფეხებს უნდილად იქნევდა პაერში და წრიპინებდა: მიშველეთ, მეფე ვარ, თავდაყირა გადმომაგდეს ტახტიდანო. დიმიტრი და დარია კუთხეში მიუყუთულიყვენ და დაბნეული, დამფრთხალი ღიმილით შესცქეროდნენ ბავშვების ზედახორას. ბავშვები ქვილიხვილით დასდევდნენ გელას; სიცილისგან სულს ვერ ითქვამდნენ; ვერც ნამცხვარი შეჭამეს, ვერც ლიმონათი დალიეს; ნამცხვარი გულზე ადგებოდათ, ლიმონათი ცხვირიდან სდიოდათ. გელაც უფრო და უფრო შედიოდა როლში. ოთახები რომ აღარ ეყო, სახლის სახურავზე აძვრა და იქიდან გადმოხტა. დიმიტრიმ ერთი სიკვდილი გაათავა, ვიდრე აივანზე გავიდოდა. დარწმუნებული იყო, დაღეწილ-დაჩეხილი, სისხლში ამოთხვრილი დაუხვდებოდა გელა, მაგრამ გელა უკვე ლედვის ხეზე გასულიყო, აქანავებულ, აშრიალბებულ ტოტზე გადამჭდარიყო, ვითომ ცხენს მოაეკეცებდა, და ზუსტად პოლკოვნიკი ვეზირიშვილის ხმით დაჰყვიროდა ლედვის ხის ძირას შეგროვილსა და აღტაცებისგან პირდაღებულ ბავშვებს: მაქვს პატივი, მაქვს პატივიო.

იმ დღის მერე დიმიტრის მოსვენება დაეკარგა. უნებურად, სულ ჭერისკენ გაუბრბოდა თვალი. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ჭერიდან, რევოლვერის ტყვიებით გაჩენილი ნახვრეტებიდან, ვილაც უთვალთვალებდა განუწყვეტლივ. სიზმარში კი, ვითომ თვითონ იჯდა სხვენზე; ხან ობობა გადააცოდებოდა სახეზე, ხან თავი ჩასწივლებდა ყურში. შემფოთებული, სიმწრის ოფლგადამსკდარი წამოჯდებოდა საწოლში და დაძაბული, ჭერს

**ოთარ ზილაძე**  
რაინის თეატრი



მიშტერებული, რალაცას უსმენდა. გარეთ წვიმდა, ან ხეები • შრიალეზდნენ, საათის წიკწიკი ისმოდა, უჩვეულო არაფერი ხდებოდა და მისი საქციელით შეწუხებული, თავადაც შეშინებული დარია რომ ჰკითხავდა, რა იყო, რა მოგელანდაო, დარცხენილი ჩაიბურღლუნებდა ხოლმე: მგონი, ჭერში ვილაც დადისო. „ტურა დადის. ტაკუნები უნდა შეგიჭამოს“ — ნაძალადევი და ამიტომ უხეშადაც ხუმრობდა დარია, მაგრამ ამას აღარ აქცევდა ყურადღებას, ოღონდ ქმრისა და საკუთარი შემფოთება გაეჭარწყლებინა როგორმე. დრო კი გადიოდა. ამას საათზე უკეთესად თავად ნატო ადასტურებდა. დღევანდელი ნატო ისევე ჰგავდა გუშინდელს, როგორც ერთი და იგივე ღრუბელი თავის წედანდელ გამოსახულებას. შესაძლებელი რომ ყოფილიყო გუშინდელი და დღევანდელი ნატოს შეხვედრა, ერთმანეთს უტახობდით აუვლდნენ გვერდს. თუკი გუშინდელ ნატოს მამის ლოგინში ჩაგორება და უახრო, უთავბოლო ზღაპარი, რომელსაც მთქნარებამორეული მამამისი მოყოლისას იგონებდა, ყველაფერს ერჩია, დღევანდელი ნატო, მშობლების უჩუმრად, სქელტანინა რომანებს კითხულობდა და თვითონვე იგონებდა ზღაპრებს: კაცი მიუახლოვდა. ქალი გაუჩერდა. კაცმა ხელი მოკიდა. ქალი არ გასძალიანებია. შეიყვანა ეზოში და შეიყვარეს ერთმანეთი. რა მოგივიდა, რა გატირებს, გენაცვალე, ავად ხომ არ ხარო — ჰკითხა კაცმა. არაფერია, ოღონდ თავი ამტკიცვდა შენს მოლოდინშიო — უპასუხა ქალმა. გათავდა, მორჩა, დღეიდან სულ ერთად ვიქნებით, ჩვენი გამთიშავი ძალა არ არსებობს ქვეყანაზეო. — უთხრა კაცმა. ჯერ ნათლისთან წავალ ცაში, იმას შევეკითხები და მერე ისე იყოს, როგორც შენ გსურს და გინდაო — უპასუხა ქალმა. ნათლიამ რომ ქალი დაინახა, გაიცინა: ამოდენა გზა რალაზე გამოიარე, შენ რომ დაიბადე, მაშინვე იმისი ბედი იყავიო. ხოლო ერთხელ, შემთხვევით რომ შეიხედა დიმიტრამ

ქალიშვილის ოთახში, ნატოს უცებ ისე შეეშინდა, უნებურად შექიქვით კიდეც, ხელები კი მკერდზე აიფარა. შემეცბარმა დიმიტრამ უხმოდ გამოიხურა კარი. საკუთარ სახლში საკუთარი შვილიც ველარ სცნობდა, დარია კი ეუბნებოდა, ნუ შფოთავ, ნუ ნერვიულობ, ყველაფერი კარგად იქნებაო. მაგრამ, როგორც არ უნდა ენუგეშებინა დარიას, როგორც არ უნდა გაეზიარებინა იმის შემფოთება, დიმიტრამ უკვე იცოდა, ყოველ შემთხვევაში უკვე გრძნობდა, კარგს რომ არაფერს უქადდა მომავალი. მართალია, ნატო სიცოცხლის განსახიერება იყო, მაგრამ სწორედ ეს ცეცხლივით აბრიალებული, გამოშხუტებული, დაუცველი და დაუდგომელი სიცოცხლე აფრთხობდა დიმიტრის, როგორც თბილისელი მსახიობისა და მისი მეუღლის პირველმა გამოცხადებამ დააფრთხო ამ ათი წლის წინ და, როგორც ათი წლის მერე გამოიჩქვავა, არც მთლად უსაფუძვლოდ. არეულსა და დასაღუბად განწირულ ქვეყანაში ყველაფერი უნდა დამალოს კაცმა: სულიც, ნიჭიც, სიცოცხლეც... რაც არ უნდა ძნელი დასამალი იყოს, მინც უნდა დამალოს და გამოიზოგოს, როგორც გრძელი გზის მგზავრმა — პური, გამოცდილმა მეომარმა — თოფის წამალი, ღვინის ყადრის მცოდნემ — ღვინო, რადგან მეორე კაცისთვის სწორედ ისაა ყველაზე ძნელი ასატანი და, იმავე ღროს, ადვილი მოსასპობი, რაც შენთვის უხვად მოუტვია ღმერთს. განა საკუთარი სულის, ნიჭისა და სიცოცხლის უყიარათოდ ხარჯვამ არ დაღუპა მისი ორგზის მეზობლებიც? ათი წლის წინ ვინ იფიქრებდა, ათი წლის მერე ერთი მიწაში რომ იქნებოდა, მეორე კი, ასი წლის დედაბერივით ჩაყამულ-ჩაშავებული ივლიდა? ასე კი იმეტომ მოხდა, საკუთარ სიცოცხლეს, ჭარბ სიცოცხლეს რომ ვერ მოერივნენ, ვერ დააცხრეს, ვერ ამოსდეს კეთილგონიერების ადვირი, ვერ ააფარეს უძლურობის ნიღაბი; სიცოცხლეს კი არ უნდა მოეკვლევინო, თავად უნდა მოკლა

ის, თანდათანობით, ნაწილ-ნაწილ, ნამცეც-ნამცეც, თუკი მართლა გინდა, რომ გაძლო, გადარჩე, გააღწიო ამ ჯოჯოხეთიდან. ნატოც იმით ჰგავდა. ესეც თუ ბედის დაცინვა არ იყო, რატომ უნდა დამსგავსებოდა ნატო იმით? მაგრამ ნატოც იმათსავით „მფლანგველი“ იყო და არა ნამდვილი, კანონიერი მშობლებივით „ყაირათიანად მხარჯველი“. იმიტომ რომ, თავიდანვე, მუცელშივე თავის ჰკუთხე მოაქცია ისიც დამთხვეულმა თბილისელმა მსახიობმა და იმის მაგივრად, რომ დაეცლია, ვიდრე დედის სიმბდალესა და სიფრთხილეს შეიწოვდა, ცხრა თვე ლა, ლა, ლა, ლა აძახა იმასაც. ნატო მართლა არ ჰგავდა თავის მშობლებს. დიმიტრის შინ ყოფნა ყველაფერს ერჩია, ნატოს კი სულ გარეთ ეჭირა თვალი; დარიას ზღვისკენ ვერც გაახედებდით, ნატო კი ზღვიდან ვერ ამოყავდათ. ხანდახან ისე ღრმად შედიოდა ზღვაში, თავი ლიმონის ხელა მოუჩანდა. (ესეც ახალი უბედურება იყო, აბა რა იყო, ევროპის წამხედურობითა და დიმიტრის ჯიბრით დამკვიდრებული. დაეყრებოდა ამოდენა დედამოთილა ხალხი მიწაზე და მზეს მიუშვერდნენ უკანალებს. ზღვის პირას კი არა, შინ არ გაუხდია დარიას კაბა ქმრის თანდასწრებით). სანამ ნატო ზღვიდან ამოვიდოდა, დიმიტრის თავისი ემართებოდა, გოყვივით დარბოდა ნაპირზე, წინ და უკან: ვერც ზღვაში შედიოდა, რადგან ზღვაში შესვლა და დახრჩობა ერთი იქნებოდა, და არც შინ წასვლა შეეძლო, ვიდრე ნატო ფეხს არ დაადგამდა მიწაზე. შვილი ბედნიერებააო, მაგრამ ბედნიერებაამდე ჯერ კიდევ შორს იყო; ჯერჯერობით, ნატოს ზრდასთან ერთად, დიმიტრის შეშფოთება, საწუხარი, სადარდელი და ავი წინათგრძობა იზრდებოდა, ნატომდე გაჩენილი, იმ შემზარავი ჩვენებებითა და სიკვდილის სუნით გაეტლდნოთ ღამეს. სხვათაშორის, ზუსტად ასეთსავე დღეში იყო საბა ლაფაჩიც და ისიც ნატოს მიზეზით, ოღონდ იმას შუასაუკუნეების რაინდის სიშლე-

გით უყვარდა ნატო და არა მამამე-  
ლურად. საბა ლაფაჩი შეყვარებული  
გახლდათ, თმის ძირამდე, სულს დასწრეს  
რამდე, სისხლიან ხორციანად იყო შეყ-  
ვარებული და მისი სიყვარული, დი-  
მიტრის შიშვივით, კიდევ უფრო იზრ-  
დებოდა, დღით-დღე, ყოველ წამს,  
ყოველ ნაბიჯზე, ნებისმიერ ამინდში;  
ტივინის შემარყვევლი სიმშვიდით,  
გულგრილობით ამოდოდა განვლილი,  
ერთფეროვანი, უხალისო, უენებო  
ცხოვრების ზღვიდან — ზღაპრული,  
ჯადოსნური კუნძულივით — ის კი,  
დაფეთებული, დაბნეული, ავანგაშე-  
ბული მისწრაფოდა იმისკენ, როგორც  
დაღუპული გემის მგზავრი, და თუ  
ვერ მიადწევდა იმ კუნძულამდე, ანდა  
თვალთახედიდან დაკარგავდა, სამუ-  
დამოდ დიღუპებოდა, „წყალში ჩაეყ-  
რებოდა“ ამდენი ხნის მეცადინეობა,  
ამდენი ხნის ტანჯვა-წყალება, ამდენი  
ფიქრი და იმედი, საკუთარი თავის  
ძებნას რომ შეაღია, რადგან ცხრა წლის  
მერე სხვისი ცხოვრებით ცხოვრობდა,  
„სხვას თამაშობდა“ და მისი ჭეშმარიტი  
ბუნება მუნდირში იყო ჩამარხული,  
როგორც ვვამი მიწაში, მუნდირში,  
რომლის მოსაპოვებლადაც მისმა მშობ-  
ლებმა ნახევარი ქონება აზნაურობის  
ყალბი სიგელის შეძენას მოახმარეს,  
ნახევარი კი კომისიას შეაჭამეს, რათა  
მათი ერთადერთი ვაჟიშვილი „უსტავ-  
ლელი“ არ დარჩენილიყო, სხვებს არ  
ჩამორჩენოდა, უფრო სწორედ, თავად  
არ ჩამორჩენოდნენ სხვებს, სხვების  
დასაცინი არ გამხდარიყვნენ, სხვებისთ-  
ვის არ ეთქმევიანებინათ „ბალანას ყა-  
ნას ათონინებენო“, და მართლაც, იმ-  
დენი ჰქნეს (თუმცა გალატაკდნენ და  
მეზობლების სამოწყალოდ გაიხადეს  
თავი), კომისიას მინც ჩაარიცხინეს  
თავიანთი ვაჟიშვილი თავდაზნაურთა  
სხვა ბავშვების სიაში, რომლებსაც უსა-  
სყიდლოდ ანათლებდა იმპერია სამხედ-  
რო გიმნაზიებში, იმ ერთგულების საპა-

ოთარ ზილაძე  
რკინის თიანჭირი



სუხორ, მათ მშობლებს რომ გამოეჩინათ ტახტის მიმართ (განა მათი მშობლები არ იყვნენ, ხანჯლებით რომ მიიწვედნენ ზოლმე ერთმანეთზე, გინდა თუ არა, მე უნდა დავამწვევო სტუმრად ჩამობრძანებული ხელმწიფის ამაღლა, და გინდა თუ არა, ჩემმა კენიამ უნდა იცეკვოს ხელმწიფის წინ ლეკუროო?!). არც კი დაფიქრებულან, ბოროტებას ხომ არ ჩადივართო, და ცხრა წლის ბავშვი სამუდამოდ მოიგლიჯეს გულიდან, სამუდამოდ, რადგან ცხრა წლის შემდეგ არავითარი განსხვავება აღარ იყო მათ შვილსა და სამხედრო გიმნაზიის ნებისმიერ კურსდამთავრებულს შორის. პირველად რომ ჩამოვიდა არდადეგებზე, ქუთაისიდან თარჯიმანიც გამოიყოლა, მშობლებს რომ დალაპარაკებოდა, კი არ დალაპარაკებოდა, თარჯიმნის პირით ეთქვა იმათთვის: თქვენს კისერზე იყოს ჩემი ცოდვაო. მოკვდებოდა, ეს რომ არ ეთქვა, თანაც, რაც შეიძლება მალე, ვიდრე ამის თქმის სურვილიც გაუქრებოდა, ვიდრე დედის ენას ხელახლა ისწავლიდა, ანდა დედამისი ალაპარაკებოდა შვილის ახალ ენაზე. ბათუმში რომ განამწესეს, ცოტათი დამშვიდდა, იმედი მიეცა, ხელახლა რომ იპოვიდა, აღადგენდა, გადაარჩენდა იმას, რაც ცხრა წლისამ დაკარგა. მისი არ იყოს, ბათუმშიც ახალი დაბრუნებული იყო სამშობლოში, იმასაც ბევრი რამე ჰქონდა ხელახლა საპოვნელი, გასახსენებელი, აღსადგენი და, შეიძლება, ამან, მისი პირადი ცხოვრების მსგავსმა, მაგრამ მასთან შედარებით, გაცილებით მნიშვნელოვანმა მაგალითმა ჩაუნერგა რწმენა, შეუძლებელს რომ შესძლებდა. ბათუმს ბაძავდა, ბათუმთან ერთად მისიწრაფოდა დაკარგულისკენ, წარსულისკენ, საიდანაც ამოეთხარათ და სადაც სიმწრისაგან დაღვრანჭული მისი ფესვი ჯერ კიდევ ვეფთჳადა. ახლა მწარედ ეცინებოდა იმაზე, რაზედაც სასწავლებელში ოცნებობდა. ნელ-ნელა, შეუმჩნევლად გამჭრალიყო ძალით ჩანერგილი ერთგულების, მადლიერებისა

და სიმამაცის გამოჩენის, კურთხელობადაც, სასწავლებელში, უცნაურად დაიძინებდა, ისე ვერ დაიძინებდა, წარმოდგენილი ომის რომელიმე ეპიზოდი, რომელშიაც მთავარ როლს, რა თქმა უნდა, თვითონ ასრულებდა, ბოლომდე არ მიეყვანა, რადგან სწორედ ბოლო იყო მთავარი, ბოლოში ირკვეოდა მხოლოდ, ომის ბედი მის პირად საზრიანობასა და გამბედაობას რომ გადაეწყვიტა, თუმცა ეს, მისი კურსანტული პატივმოყვარეობისთვის ეგზომ მნიშვნელოვანი ამბავი, უკვე „უიმისოდ“ ირკვეოდა, რადგან თვითონ ნებისმიერი წარმოდგენილი ომის ნებისმიერ ეპიზოდს სიკვდილით ამთავრებდა, ან ქვემეხზე იყო ვადამხობილი (ქვემეხის ლულას ჯერ ისევ ასლიოდა ბოლი), ან მტრის პირველ სანგართან მავთულხლართზე ეკიდა, დაფლეთილი დროშით ხელში. „ბატონებო, მე ყოველთვის ვგრძნობდი, იმ პატარა სხეულში დიდი სული რომ იმდგაო“ — ამბობდა მთავარსარდალი ანდა სულაც იმპერატორი და საკუთარ მაზარას აფარებდა სულარასავით. მაგრამ ასე მხოლოდ ოცნებაში ხდებოდა და ყოველ დილით, როგორც კი წუხანდელი ნალოთარი მედოლე, დოლის ბრაგუნით გამოვიდოდა სასწავლებლის ეზოში, ყველაფერი თავიდან იწყებოდა, იწყებოდა ჩვეულებრივი ჯარისკაცული, ყაზარმული ცხოვრება, ერთი და იგივე სისულელის მეთოდური განმეორება: ეფრეიტორების ღრიალი, აღლუმები და განუწყვეტელი წვრთნა, გაოგნებამდე, გაპირუტყვებამდე, უსაშველო გულგრილობამდე და პირქუშ განურჩევლობამდე — ყველასა და ყველაფრის მიმართ. მაგრამ ბათუმმა ერთბაშად გაახსენა ის, რაც უკვე დაკარგული ეგონა. ქალაქისა და მისი ბედის უცნაურმა მსგავსებამ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ დაკარგულის საპოვნელად აღაგზნო და რწმენაც ჩაუნერგა, ყველაფრის დაბრუნება, ყველაფრის გამოსწორება რომ შეიძლებოდა, ბოლოს და ბოლოს. ამ რწმენამ მიიყვანა ქურთულების ოჯახშიც, „ქართ-



ველთა კუნძულზე“, როგორც ამ ოჯახს ეძახდნენ, რათა ხელახლა ზიარებოდა დაკარგულს, ხელახლა განბანილიყო დაკარგულის ემბაზში. არც მისმა ახალმა ნათლებმა დააღალატეს და მაშინვე გაუწოდეს დახმარების ხელი. ქალბატონმა ქეთევანმა ოჯახურ წარმოდგენაშიც კი ათამაშა. გაბრიელის როლი მისცა. სავარძელში ჩასვამდა და საათობით აზებირებინებდა როლს. მაგრამ ხანდახან იმასაც უმტყუნებდა ხოლმე შესაშური მოთმინება და დედაშვილურად უწყურებოდა „უძლებ შვილს“, „გზაბნეულ ბატკანს“, „აკაის ღამურას“: სირცხვილია, ყმაწვილო, ქართველი ხართ, ისწავლეთ ქართულიო. ისიც სწავლობდა, ზედიზედ ნთქავდა ქართულ წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს. კითხულობდა ყველგან: ყაზარბაში, ქუჩაში, ბაღში, ყავახანაში, ზღვის პირას... ზღვის პირას ავღარში ვადიოდა, სხვებს რომ არ ვაეგოთ, როგორ გაპყვიროდა „მერანს“ ენის გასატეხად. ბოლოს იმდენს მიადწია, თავადაც დაწერა ლექსი. ჟურნალების ოჯახი, თანდათანობით, იგივე გახდა მისთვის, რაც რაინდისთვის სუზერენის კარი იყო. აქ იპოვა ის, რაც ცხრა წლისამ დაკარგა: მშობლიური სიტბო, ოჯახური გარემო... და, რაც მთავარია, აქ ირწმუნა პირველად, ჯერ კიდევ რომ არსებობდა ერთგულება, სიყვარული, თანაგრძნობა, ნდობა, სამართლიანობა... ჯერ კიდევ ღირსებად რომ ითვლებოდა დაცემულის დანდობა და გლახაკის განკითხვა. ადამიანობასაც ისევე სწავლობდა, როგორც დავიწყებულ დედა-ენას. მართალია, მინცდამინც ამ ოჯახში ისეთი მარცხი შეემთხვა, თვითონვე უკვირდა, მაშინვე როგორ არ დაიხალა ტყვია საფეთქელში, და მერეც სიმწრის ოფლი დაასხამდა ხოლმე, მოულოდნელად რომ გაახსენდებოდა ეს ამბავი, მაგრამ მაშინ თვითონაც ბავშვი იყო, სულ რევოლვერზე ედო ხელი, დიდობის დამტკიცებას ცდილობდა, „ოფიცრობას“ თამაშობდა, რაც ყველაზე უკეთესად ისევე ბავშვმა შეატყო, მასპინძლის

ბავშვმა, რომელმაც ქვეყანას კი არ გააგებინა მისი შერცხვენა, ზვეწილურ თანაგრძნობა, ბავშვური ერთსულოვნება გამოუცხადა და საიდუმლო შეუნახა, რაც მარცხზე ნაკლებად მოულოდნელი როდი იყო სამხედრო გიმნაზიაში გაზრდილი, მამებუღარებით გარშემორტყმული ყმაწვილისთვის. შეიძლება, იმიტომაც აღარ მოიკლა თავი, მასპინძლის ბავშვის ნდობა რომ გაემართლებინა; დაემტკიცებინა, ღირსი რომ იყო ნდობისა, დაზოგვისა, გაგებისა; და ადამიანობით მიეზლო ადამიანობის წილ. თავს არ ზოგავდა, საკუთარ არსებობაში უკეთესი, ოდინდელი ბუნების მძებნელი, რადგან ღრმად იყო დაარწმუნებული, ასეთად რომ გაზარდეს, ასეთად რომ აქციეს მშობლებმა და სახელმწიფომ, ერთმა სხვათა წამხედურობით, მეორემ კი, თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად. ქალბატონი ქეთევანის წარმოდგენებისთვის აფიშებს ხატავდა, ჯარისკაცებს ტეილორის „ანთროპოლოგიას“ უკითხავდა, გალოთებულებს მფარველობდა, მალავდა, მკურნალობდა და თან არყის ფულსაც აძლევდა ჩუმჩუმად. ხორცს არ ჭამდა, ღვინოს არ სვამდა, ქალს არ ეკარებოდა. ნახევარი ხელფასი დეზერტირების დევნაში ეხარჯებოდა: ხან ხულოში იყო, ხან ქედაში, ხან ქობულეთში, ხან ოზურგეთში; გაქცეულები ეტლით მოჰყავდა უკანვე, ვიდრე უფროსებიც შეიტყობდნენ იმათ გაქცევას და მოიკითხავდნენ. „ჩემს ენაზე დამელაპარაკოს, ის კრუხის პალო ეფრეიტორი, და მერე ვნახოთ, ვინ გამოვა ღურაქიო“ — ბურტყუნებდა, თავს იმართლებდა მისი გულისხმიერებით, მისი მზრუნველობით გაეკვირვებული, დარცხენილი დეზერტირი. ტერორის წინააღმდეგი, ტერორისტებს ნაგანის ტყვიებით ამარაგებდა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო საკმარისი, დაბრუნებულად რომ ჩავთვალა თავი და გულდაჩერებულად ეთქ-

ოთარ ბილაძე  
აკინის თმაბრი



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა: ბოლოს და ბოლოს, დავემგვანე ჩემიანებსო. თუმცა დღითი-დღე უღვივდებოდა რწმენა, ეს დღეც რომ მალე დადგებოდა, თუკი, ბათუმეივით, სიმტკიცე და სიჯიუტე ეყოფოდა. ბათუმი ჩვეულებრივი ქალაქი კი არ იყო მისთვის, არამედ გაუტეხლობის, ფესვებისკენ ღტოვის, უკვდავების სიმბოლო, თვალნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ ამოდიოდა ძალადობის, ბედისწერის ფერფლიდან მარადიული, გარდუქმნელი სული, როგორ ისხამდა ფერ-ხორცს და როგორ იწყებდა ახალ ცხოვრებას. გარდა ამისა, ბათუმი იყო ერთადერთი ადგილიც, სადაც საერთოდ შეეძლო ცხოვრება, უფრო სწორედ, მეტნაკლებად უგულებელყოფა იმ მოვალეობისა, მშობლებმა და სახელმწიფომ რომ მოახვიეს თავზე. ბათუმმა ახალი მოვალეობა გაუჩინა და დაარწმუნა კიდევ, წარსულთან დასაბრუნებლად, ისევე რომ ჭირდებოდა იგი ქალაქს, როგორც ქალაქი მას. აგერ უკვე, საუკუნის მეოთხედი სრულდებოდა, რაც ბათუმში ცხოვრობდა და თავის სისხლხორციელ საკუთრებად თვლიდა, როგორც შვილი მშობელს ანდა მშობელი შვილს; საკუთარ თავგადასავლად თვლიდა, რაც კი ბათუმს განეცადა, გადაეტანა ამხნის განმავლობაში. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, მის თვალწინ დაიბადა იგი ხელახლა. როგორც თავად — იმის აფორიაქებულ წილში; მეტნაკლებად მისი „აყვანილი“ იყო ბათუმი, როგორც თავად — ბათუმისა; ისიც ერთ-ერთი „ბები-ქალი“ იყო ბათუმისთვის, როგორც ბათუმი მისთვის; მოწმეც იყო და მხრის ამბეულიც მისი პირველი დამხავლები-სა, მისი პირველი ვაბაჯბაჯებისა, მისი პირველი აღუსი. მის თვალწინ დასწვეს მეთევზეთა ძველი ფაცხები; მის თვალწინ ეყარა საწყალი მეთევზის მთელი ავლადიდება: თვალჩაგლეჯილი ბადე, გაბზარული ნიჩაბი, გამურული კეცი თუ ძაფზე ასხმული პილპილი; მის თვალწინ გაიჩეხა ტყე, სადაც ახლა რკინიგზის სადგურია და სადაც ადრე

ნადირზე მეტი ავაზაკი აფხაზები თიხს; მის თვალწინ დაიწყო რა „კოლოქობი“ გადაშავებული ტბა, სადაც ახლა ფრანგების ეკლესია დგას; მის თვალწინ წაუკიდეს ცეცხლი გაუფალ ლაქაშებს, სადაც ახალი ყაზარმა აშენდა და საიდანაც ცეცხლწაყიდებული ფრინველი ყრანტალით, ჩხავილითა და წივილით მიფრინავდა ცისკენ, ღმერთისკენ, საჩიველად; მის თვალწინ იშლებოდა ძველი მიჯნები, ღობეები, ყორეები. მის თვალწინ იყრებოდა დამფრთხალი, დაშინებული მოსახლეობა ძველი ფუძიდან და მის თვალწინ სახლდებოდნენ პირველი კოლონისტები მიტოვებულ მიწაზე, ქათმის ბუმბულითა და სიმინდის მარცვლით მოფენილ ნასახლარებზე. მართალია, იმპერიის ოფიცერი იყო, გარკვეული თვალსაზრისით იმასაც წვლილი მიუძღვოდა ყველაფერში, რაც მის თვალწინ ხდებოდა, რაც იმ მახვილის სიმტკიცესა და სიძლიერეს ადასტურებდა მხოლოდ, რომლის მტვითავადაც თავიდანვე, თვალის ახელამდე, ჭკუაში ჩავარდნამდე განამწყესა იგი დედამ და სახელმწიფომ, მაგრამ ჯერ კიდევ აქ ჩამოსვლამდე, სასწავლებელშივე, შემთხვევით რომ შეიტყო—ვინ იყო და სადაური, იმის მერე ერთი დღე აღარ უცხოვრია მშვიდად, ერთი ღამე აღარ სძინებია არხენიან, ღრმად, უსიზმროდ, უცრემლოდ; ბალიშის ქვეშ დამალულ „ივერიას“ გაშლიდა და ჯიუტად აშტერდებოდა მისთვის უცნობ ასობებს, სილის მარცვლებივით რომ დაშვავებულ იყვნენ გაზეთის ფურცლებზე და სილის გულგრილობით, შეუვალლობით მალავდნენ მისგან მისივე წარმოშობის, მისივე დანიშნულებისა და მოწოდების საიდუმლოს. მაგრამ იმდროისთვის ერთი მეფე უკვე „გამოტირებული“ ყავდა და ზიზლითა და სიბრაზით წარმოიდგენდა ხოლმე, როგორ შეზარა მოკლული მეფის მუნდირის დანახვამ, როგორ აღრიალდა და როგორ დაასკდა მუხლებით იატაკს, როცა დარბაზში, ტირილისგან ჩაბეირებული მღვდლისა და პუდრით გადა-



ფიორებული ოფიცრების თანხლებით, მოკლული მეფის მუნდირი შემოიტანეს. მუნდირი თავის სიცარიელეს მოაკონწილებდა ჰაერში, ის კი მდულარე ცრემლით სტიროდა, მუხლებზე დამზობილი, როგორც გლეხი დასეტყვილი ვენახის ანდა დამწვარი საბძლის წინ. ბავშვებმა მგრძობიარობამ კი არ დააჩოქა, არამედ არსებობისთვის მებრძოლი და სამუდამოდ წელში გატეხილი კაცის უკიდევანო სასოწარკვეთამ, რადგან მოკლული მეფის მუნდირმა, უპირველეს ყოვლისა, უბედური, უიღბლო, „ურჩიის ვალში ჩებადნილი“ მშობლები გაახსენა, ხელმწიფის მზეს რომ ფიცულობდნენ, ხელმწიფის იმედით რომ ედგათ სული და მოუთმენლად ელოდებოდნენ იმ ბედნიერ დღეს, როცა მათი ერთადერთი შვილი ხელმწიფის სამსახურში ჩადგებოდა და, თუნდაც სიბერეში, იმათაც აზიარებდა ამქვეყნიურ სიამტკბილობას, „ურჩიის ვალიდან“ ამოიყვანდათ და, რაც მთავარია, მეზობლებში თავის მოწონების საშუალებას მისცემდათ. ცხარე ცრემლით სტიროდა, რადგან ხელმწიფე აღარ იყო, რადგან ხელმწიფე პირველ რიგში მის მშობლებს მოკვდომოდა და პირველ რიგში მისი მშობლები გადაკვეებოდნენ ალბათ ამ საზარელ ამბავს. „დღეაჩემი გაგიუღებდა. მამა თოკზე დაეკიდებო“ — ფიქრობდა შეძრწუნებული და მდულარე ცრემლით სტიროდა მოკლულ ხელმწიფესაც, ვაწბილებულ მშობლებსაც და საკუთარ თავსაც, რადგან დღეიდან აღარც იმის სწავლასა და მონდომებას ჰქონდა ფასი. ხელმწიფე აღარ იყო, სამყარო ინგრეოდა. და რაღა თქმა უნდა, აზნაურობის სიგელსაც აღარავინ დაიბრუნებდა უკან, ქუთაისში ნაყიდი კი არა, თავად ხელმწიფის ვაცემული რომ ყოფილიყო იგი. მაგრამ მის ცხოვრებაში პირველი მეფის მოკვლის დღე, საბედნიეროდ, მისი ბავშვური გულუბრყვილობის, ბავშვური რწმენისა და იმედის უკანასკნელი დღეც აღმოჩნდა. მოკლული მეფე ახალმა მეფემ შეცვალა და სამყაროს ამით არაფერი დაჰკლე-


ბია, არც არაფერი მომატებია. სამაგეროდ, თვითონ შეიცვალა, ბევრად უკეთესადა და ბევრი შეიძინა კიდევ. დანაჯარგმაც და შენაძენმაც ერთნაირად გააცამტვერა, რადგან რწმენის ადგილი ურწმუნობამ დაიკავა, — სიყვარულისა — სიძულვილმა, მოვალეობისა — იძულებამ. ახლა უკვე სულერთი იყო იმისთვის, ვინ იჯდა ტახტზე: მეორე (ანუ მესამე) თუ მესამე (ანუ მეორე). სიცილით კვდებოდა, ახალი მეფის გვირგვინის კურთხევაზე დასასწრებად, ქართველი თავდაზნაურობა ლამის ხანგალებით რომ დაერიო ერთმანეთს, არა მე უნდა ვიყო და არა მე მარშლის ამაღაშიო; ლამის ცოლშვილი რომ დაყიდეს, ცხენის, ჩოხისა და იარაღის შესაძენად და სექტანტებით ფეხშიშველნი, დაკონკილნი და მშვიერ-მწყურვალნი რომ ჩამობრუნდნენ უკან, რადგან არავინ მიაფურთხათ ზედ, აღთქმული ჩინ-მედლები კი არა, ფულიც ვერ იშოვეს სასესხებლად სახელმწიფოს ხელა ქალაქში და მამასისხლად შეტენილი, მეწვრილმანე ვაჭრებით დაყიდეს ქუჩა-ქუჩა, შიმშილით რომ არ ამოსძრომოდათ სული, როგორმე რომ ჩამოედწიათ შინამდე. მართალია, თავდაც, ასე თუ ისე, თავდაზნაურობას ეკუთვნოდა, მაგრამ აღარაფერი გაეგებოდა იმათი ვენებებისა, აღარაფრად მიაჩნდა იმათი ვაწამაწია. ის უკვე სხვა ცხოვრებით ცხოვრობდა, სწორედ იმ ცხოვრებიდან ცდილობდა ამოსვლას, ძალით რომ მოახვია თავზე მშობელმა და სახელმწიფომ, ყალბი სიგელის წყალობით. რა თქმა უნდა, ისევე მეფის სამსახურში იყო (სხვა რა გზა ჰქონდა? სხვა ვინ შეინახავდა? სხვანაირად როგორ ამოვიდოდა ან მეფისა და ან მშობლის ვალიდან?), მაგრამ მისი გული, ყაზარმაში კი არა, ქალაქში ფეთქავდა. ყაზარმაში თავს მოხვეული ვალიდან ამოდიოდა, ქალაქში კი შეგნებულად იგდებდა თავს

ოთარ ბილაძე  
რკინის თიხარი



მეფის სივერაგითა და მშობლის სიბე-  
 ცით უგულვებელყოფილ ვალში. ბევრი  
 სიმწარე აგემა ამ გაორებულმა ცხოვ-  
 რებამ, მაგრამ ბევრი დიადი, ამჟღერ-  
 ბელი წამიც განაცდევინა, რაც არათუ  
 უქარწყლებდა ხელახლა დაბადების  
 სურვილს, არამედ კიდევ უფრო უმტკი-  
 ცებდა რწმენას, მიუხედავად მრავალი  
 წინააღმდეგობისა, მრავალი გაუთვალის-  
 წინებელი მარცხისა, აუცილებელიც რომ  
 იყო მეორედ დაბადება, ამჯერად არა  
 დედის საშოდან, არამედ უმეცრების,  
 სიბნელის, გადაგვარების შავი კვერცხი-  
 დან. ხოლო იმდენად დიდი იყო ამ  
 შავი კვერცხის გამომტრევის სურვი-  
 ლი, კიდევ ერთმა, ყოვლად უსულგუ-  
 ლო, ყოვლად უსენინდისო მარცხმაც,  
 „ქართველთა კუნძულზე“, ჟურნულების  
 ოჯახში რომ დაატყდა თავს და ლამის  
 საერთოდ გაასწორა მიწასთან, მაინც  
 ვერ დააყრევინა ფარხმალი, მაინც სჯე-  
 როდა — რაკი უკვე სწორ გზაზე იდგა  
 — ამ ახალი უსამართლობის დაძლე-  
 ვასაც რომ შესძლებდა როგორმე, რო-  
 დისმე, და არ ყოფილა მეტნაკლებად  
 მნიშვნელოვანი მოვლენა, ბედითა და  
 მრწამსით მისი ტყულისცალი ქალაქის  
 ცხოვრებაში, მონაწილეობა რომ არ მი-  
 ელო, არ ჩარეულიყო, ანდა თუნდაც  
 არ გარეულიყო იმ ხალხში, რომლებ-  
 საც ესა თუ ის მოვლენა მნიშვნელოვ-  
 ნად მიაჩნდათ კიდევ ერთხელ შობილი  
 ქალაქისთვის. ისიც სხვებთან ერთად,  
 გულისფრიალით ელოდებოდა მატარე-  
 ბელს, რომელსაც ნინოების საღამოზე  
 მოპატივებული აკაკი მოყავდა, და იმა-  
 საც სიამაყის, სიხარულის ცრემლი  
 მოაწვა ყელში, როცა ბათუმელთა გუ-  
 ლისხმეირებით, ცოტა არ იყოს, შემც-  
 ბარსა და ვაგონის ვიწრო კიბეზე დაბ-  
 ნეულად შეყოვნებულ მგოსანს ქალბა-  
 ტონმა ქეთევანმა უთხრა: თქვენი სახით,  
 ბათუმშიც შემოადგინა განთიადმაო.  
 ისიც დამშვიდდა, იმანაც წინასწარ გა-  
 მარჯვებულად ჩათვალა თავი, როცა  
 ქალაქის თავის არჩევნების წინ, საბჭოს  
 დარბაზში ილია შემოვიდა მოულოდ-  
 ნელად და დინჯად, მედიდურად ჩაბრ-


ძანდა არჩევნების მეტეჯღერძანსაგარ-  
 ბელში. და იმანაც აქაზის დენისაგარ-  
 ლოსთან სამუდამოდ დაბრუნების და-  
 მადისტურებელ ნიშნად აღიქვა, როცა  
 წერაკითხვის გამავრცელებელი საზო-  
 გადოების სკოლის ეზოში პირველმა  
 ქართველმა მაჰმადიანმა ბავშვმა შემოა-  
 ბიჯა გაუბედავად და თავისი სიმორცხ-  
 ვის დასაძლევად თუ დასამაღავად,  
 მასწავლებლისთვის ძღვნად გამოტანე-  
 ბული, გულში ჩახუტებული დედალი  
 ცაში აისროლა. მაგრამ მაინც არაფერი  
 შეედრებოდა იმ საბედისწერო, იმ თავ-  
 ზარდამცემ წამს, როცა პირველად იგრ-  
 ძნო, შეყვარებული რომ იყო, ნატო  
 რომ უყვარდა, ცამეტი წლის გოგო,  
 მიზეზთა მიზეზი, გრძნობათა გრძნობა,  
 ვნებათა ვნება, სულის სიზმარი, გულის  
 მეორე მხარე, ფიქრთა მწყემსი, ხორც-  
 შესხმული ნათელი, შეუვალი სიწმინდე,  
 უხრწნელი სინორჩე, ბრმათა თვალის  
 ამხელი, ყრუთა სმენის გამხსნელი, ღი-  
 რსების, სისხლის, გვარის, შეგნების აღ-  
 მდგენელი, ეგვიპტიდან გამოყვანი,  
 გზააბნეულთა შუქურა და, იმავე დროს,  
 ღვთის რისხვა, როკაპის წყევლა, წარლ-  
 ვნა, მეორედ მოსვლა, რადგან, ყველა-  
 ფერს რომ თავი გავანებოთ, შეიღოშ-  
 კილად უფრო შეეფერებოდა, ვიდრე  
 გულისსწორად, ანდა თუნდაც მუხად,  
 და ამ სიყვარულის გამომქლავება, იმა-  
 ზე ნაკლები სირცხვილი როდი იქნებო-  
 და, ერთხელ უკვე რომ ეჭამა, განეცა-  
 და, გადაეტანა (თუკი ამას გადატანა  
 ჰქვია) იმავე სახლში, სადაც ახლა მი-  
 სი გაუგონარი, გაუგებარი, გაუმართ-  
 ლებელი, დასაძრახი, დასაგმობი, და-  
 საწყევლი, ჩასაქოლი, დასაწველი, ჩა-  
 მოსახრჩობი სიყვარული ბუდობდა.  
 რასაკვირველია, არავის და მათ შორის  
 ნატოსაც, არასოდეს გაუმხელდა თავის  
 გრძნობას, მაგრამ ველარც ამ გრძნობის  
 გარეშე იცოცხლებდა, ამ გრძნობაზე  
 ეკიდა, როგორც ნაყოფი ყუნწზე, რო-  
 გორც საერთოდ მისი სიცოცხლე —  
 ბეწვზე. ეს გრძნობა ავიწყებდა სამარ-  
 ცხვინო წარსულსაც და ეს გრძნობა  
 უჩენდა იმ ნამცეცა იმედსაც, უკვალოდ



რომ არ გაქრებოდა ამ ქვეყნიდან, რადგან, მართალია ცალმხრივად, ცალფა ძაფით, მაგრამ უკვე სამუდამოდ იყო დაკავშირებული ხვალინდელ დღესთან, მომავალთან, რამდენადაც ნატო, ბოლოს და ბოლოს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ხვალინდელი დღე იყო, მომავალი, და არა ჩვეულებრივი მიწიერი არსება; ხოლო ნატოს სიყვარული, უპირველეს ყოვლისა, ხვალინდელი დღის, მომავლის სიყვარულს ნიშნავდა და არა ქალისას. ამ სიყვარულით მომავალს უკავშირდებოდა, თუნდაც სიმბოლურად, და არა ქალს, მისი პოეზიის მეზას. ეს იყო და ეს. არა, კიდევ უფრო მეტი — ეს სიყვარული აძლევდა მხოლოდ საიმისო ძალასა და უნარს, ისევე სისხლზორციელ ფოთლად რომ ეგრანო თავი მშობლიურ ხეზე და არა დეკორატიული ფოთოლივით მიემაგრებინა იმავე ხისთვის საკუთარი არსება, იმედის ჩხირითა და სიჯიუტის მავთულით, როგორც იქამდე იქცეოდა. ეს სიყვარული მშობლიურ ხესთან, არათუ დაბრუნების ნებას აძლევდა, ერთბაშად უქარწყლებდა სიუცხოვის შეგრძნებას, ჯერ კიდევ ჩალექილს სულისა და გონების ნაოჭებში. და, რაც მთავარია, ეს სიყვარული ისევე თავის ცხრაწლიან ბავშვობაში აბრუნებდა, ხელახლა განაცდევინებდა დედას, ანუ იმ ერთადერთ ქალს, რომელიც ოდესღაც მისი დედა იყო, ვიდრე დედობას დაიფიქვებდა, ვიდრე, ფეხის ხმას აყოლილი, შვილს კურსანტში გაცვლიდა, თვითონ კი, პუდრით გადათეთრებულსა და ლიქიორით თვალაპირიალებულ „კაროენად“ გადაიქცეოდა, მხოლოდ და მხოლოდ ანგარებით დაკავშირებული იმასთან, ვინც, მხოლოდ და მხოლოდ შვილი უნდა ყოფილიყო მისი და არა „კაი ცხოვრების“ საწინდარი. ნატოს სახება, უპირველეს ყოვლისა, ამ „კაროენას“ ამეგებდა მისი ცხოვრებიდან და თავად იკავებდა იმის ადგილს, როგორც სიმბოლო დედისაც და შვილისაც ერთდროულად, ერთ სახეში გაერთიანებულ მარადიული დე-

და და მარადიული შვილი, სიუცხოე და სიყვარული, სათნოება და სიკეთეაი, რა იყო მისთვის ნატო. მაგრამ ეს მანც მისი პირადი გრძნობისა და გონების მიერ შექმნილი სიმბოლო იყო და არ არსებობდა მეორე კაცი, ვინც ასევე აღიქვამდა ამ სიმბოლოს, ვინც სიშლეგში, გარყვნილებაში ანდა ავადმყოფობაში არ ჩაუთვლიდა ამგვარ მკრეხელობას. ნატო ერთი კაცის რელიგია იყო, ის კი, ამ რელიგიის ერთადერთი მიმდევარი. ამიტომაც მალავდა თავის სიყვარულს. კი არ ეშინოდა, კი არ რცხვენოდა, არ უნდოდა, ვინმეს დაეკნინებინა, დაეგმო, წაებლწა, არასწორად დანახული და გაგებული. თავად არავითარი მანკიერი ზრახვა და სურვილი არ ჰქონია და არც შეიძლებოდა ჰქონოდა ცამეტი წლის გოგოს მიმართ, თუმცა როცა მორიგ ლექსს წერდა, დროსაც წყდებოდა და სივრცესაც, სადღაც, სულის მიღმა სამყაროში დაფრინავდა და ერთბაშად იშლებოდა მასსა და ნატოს შორის აღმართული ნებისმიერი ჯებირი, რომელიც მრავლად არსებობდა მიწაზე და რომელთა უგულუბელყოფაც, რბილად რომ ვთქვათ, პირწავარდნილი სიბრძევე იქნებოდა მისგან და მეტი არაფერი. მაგრამ იქ, სულის მიღმა, ნატოც ბეატრიჩესა და ლაურას შარავანდელით იმოსებოდა და თამამად დგებოდა იმათ გვერდით, დიდებული პოეტების უკეთილშობილესი და უწმინდესი სულიდან ამოზრდილი, ოცნებისა და იმედის ნაშიერი ღვთაებების გვერდით, რომელთაც ასაკი არა აქვთ და ცამეტი წლისანიც ისეთები არიან, როგორც ასცამეტის, ათასცამეტის, ათიათასცამეტისა. ასე თვითონ ფიქრობდა, რადგან მხოლოდ ასე შეეძლო თავისი სიყვარულის გამართლება, თუნდაც საკუთარ თავთან. ამართლებდა, რადგან არ შეეძლო იმისი უარყოფა, არ შეეძლო გაქცეოდა გრძნობას, რომლისთვისაც

მთარ ზილაძე  
რამინის თეატრი



მართლაც რომ არ არსებობს არავითარი წესი და საზღვარი, თავად ადგენს წესს, როგორც გვარის უხუცესი, და თავად იზომავს საზღვრებსაც, როგორც აღზევებული სახელმწიფო. არაფერზე აღარ შეეძლო ფიქრი, ამ სიყვარულის გარდა. თავის ოთახში გამოკეტილს, აღარც ორთქლმავლების განუწყვეტელი კვილო ესმოდა — საბარგო სადგურის გაღალმა ცხოვრობდა, უფრო სწორედ, დაქვრივებულ დედას უქირავე იქ ოთახი, სადაც მხოლოდ დედის სიკვდილის მერე გადაბარგდა სამუდამოდ. იქამდე არსად არ ცხოვრობდა; ხან დედასთან იყო, ხან ყაზარმაში. ვერც დედის გვერდით გაეძლო დიდხანს, ვერც უღედოდ. დედის გვერდით თავისი დიდუპული ბავშვობა ახსენდებოდა და გულზე სკდებოდა; ყაზარმაში კი, თავისი უსვინდისობა აწამებდა, წუხდა, მარტო რომ ტოვებდა დედას, თუმცა დედა არც უყვარდა, არც ძულდა, უბრალოდ, „დავალებული“ იყო იმისგან, თავს ვალდებულად თვლიდა, მაინც პატივი ეცა იმისთვის, თუნდაც როგორც მამამისის ქვრივისთვის; მაგრამ დედის არსებობა იმასაც უდასტურებდა, ოდესღაც სულ სხვა ადამიანი რომ იყო თვითონ, სულ რაღაც ცხრა წლის განმავლობაში, მაგრამ ესეც კმაროდა იმ იმედის საფუძვლად, როდისმე ისევ რომ მიაკვლევდა იმ ცხრა წლის ბავშვს თავისი სულის სარდაფში და ახლა ისე გაზრდიდა, როგორც თვითონ მიაჩნდა სწორედ და არა დედამისს. გარდა ამისა, დედამისი ერთადერთი ადამიანი იყო, ვისთანაც თავის სიყვარულზე შეეძლო ლაპარაკი, მართალია, გადაკრულად, შენიღბულად. მაგრამ გარკვეულ შევებსა და სიამოვნებას ესეც ანიჭებდა. რაც მთავარია, აქ, დედის გვერდით, უფრო თავისუფლად შეეძლო ლექსების წერა, ვიდრე ყაზარმაში, სადაც კალამს თუ დაგინახავდა ვინმე ხელში, სულს ამოგზიდა, ვიდრე არ გაიგებდა, თხოვნას წერდი, საჩივარსა თუ დასმენას. ხოლო დედა სიტყვის თქმასაც ვერ უბედავდა წერით გართულ შვილს, რად-

გან მხოლოდ ქალაღლისა სჯეროდა, და მხოლოდ ქალაღს სცემდა დაყვანს, არც მთლად უსაფუძვლოდ: ქალაღმა აზნაური გახადა, შვილი გაუნათლა და „კაი ცხოვრებას“ მოასწრო. სანამ სოფელში ცხოვრობდა, მეზობელთან რომ წაიკნეკლავდებოდა და დოინჯემოყრილი დაიძახებდა — ქალაღი მაქვს მეო — მეზობელი ფარხმალს ყრიდა, ხელებს შლიდა და ამბობდა: თქვენია, ბატონო, ქვეყანაო. ამიტომ, შვილის ნაწერებსაც ისევე სათუთად ინახავდა, როგორც აზნაურობის ყალბ სიგელს. იატაკზე მიმოფანტულ ფურცლებს — ფერფლივით რომ სცივოდა პოეზიის ცეცხლით დამწვარ ოფიცერს — მოკრძალებით, მადლიერების გრძნობით აგროვებდა, როგორც ებრაელი — ცის მანანას; ყველაფერს გადაადგებდა (აკი გადააგდო კიდეც); ფურცელს კი არა, ჩითს ფარჩისგან ვერ ანსხვავებდა, მაგრამ ღერბიან ქალაღს მილიონ ქალაღში გამოთარჩევდა მაშინვე. წერაკითხვა არ იცოდა, მაგრამ როგორ დიჯერებდა, სისულელე რომ ეწერა ქალაღზე, როგორც შვილი ეუბნებოდა ხოლმე სიცილით. ქალაღმა არ გააკეთილშობილა თავად? ქალაღი აიძულებდა, პუდრი წაესვა, სასმელს მიტანებოდა, საათობით მჯდარიყო სარკვესთან და შვილის ნაწუქარი, „თვალის ჩინივით გასაფრთხილებელი“ ხილაბანდი, ხან წალმა წაეკრა თავზე, ხან უკუღმა, თუმცა არსად არ ჰქონდა წასასვლელი და გინდაც ჰქონოდა, მაინც თოფით ვერ გაიყვანდნენ ოთახიდან, აკივლებული ორთქლმავლების შიშით. მაინც არ უტყდებოდა თავს, მაინც არ მისტიროდა მოშლილ კერას და შეფერებული ჰქონდა „კაი ცხოვრება“. შვილს მწარედ ეღიმებოდა, მაგრამ ამშვიდებდა კიდეც დედის სიბრძივე, რადგან ერჩია, ისევ სიბრძივის მსხვერპლი ყოფილიყო, ვიდრე სიჭკვიანისა. სიბრძივე თუ არ ამართლებდა, მეტნაკლებად გასაგებს მაინც ხდოდა იმ დანაშაულს, შვილის მიმართ რომ ჩაედინა დედას. უყაირათო, დაუდეგარი



ქალი იყო (აზნაური გახლდათ, ბატონო!), მტვერი ჰქამდა იქუთრობას; იმ ადგილს გადაფერთხავდა ხოლმე ზერელედ, სადაც ჯდებოდა, ხოლო გარშემო რა ხდებოდა, ვერც ამჩნევდა და არც აინტერესებდა. ფეხს ფეხზე გადაიდებდა და დასცქეროდა თავის ლამაზ ფლოსტებს (მეზობელმა ქალმა მიპყიდა — მწვანე, წითელი პომპონებით გაწყობილი. რომ არ შინებოდა, ქუჩაშიც იმ ფლოსტებით გავიდოდა ალბათ). აზნაურის ქალი გახლდათ, ბატონო, კარგი ცხოვრება უყვარდა და იშნოვებდა კიდევ; ჩემი ქმარი ვერ მოესწრო და იმისი წილიც მე უნდა მოვიხმარო — იტყოდა ხოლმე ხუმრობით, ვითომ ხუმრობით, პაპიროსს აბოლებდა (ჯერ იმას კითხავდა შვილს, პაპიროსის ყიდვა ხომ არ დაგვიწყებიაო, თუმცა ნაფაზს ვერ არტყამდა, ხველა აუტყებოდა მაშინვე) და ლიჭიორს წრუპავდა. განსაკუთრებით ფრანგული „ლიჭორი“ უყვარდა: ბენედიქტინი და შარტრეზი. „იმისთანაა რომე, შენი მოწონებული“ — ამბობდა ტუჩების წკლახუნით. შვილი გულში ბრაზობდა; დარწმუნებული იყო, მამამისიც იმისმა სისულელემ რომ შეიწირა: აღარც შვილი ინდობა, აღარც კარმიდამო, და ფართხაფურთხით ჩაბარდა სიკვდილს, როგორც უაზრო ომით გაბეზრებული ჯარისკაცი — მტერს. მაგრამ, რაკი მაინც დედა იყო, ითმენდა, უჩუმდებოდა; სათქმელს წერდა და ამით იოხებდა ცოტათი გულს. კითხვა რომ სცოდნოდა დედამისს, სათუთად კი არ შეინახავდა, ნაკუწებდა აქცევდა ალბათ მის ნაწერებს, უსაზღვროდ განრისხებული. „გულზე არ დაგადგეთ ლიჭიორი, არ დაგცადოთ, ქალბატონო“. „ამდენ პუდრს ნუ ისვამთ, თორემ რკინის თეატრში წაგიყვანენ და სცენაზე გათამაშებენ“. „ფლოსტები არ დაგეკარგოთ“. — წერდა მისი შვილი და ყაზარმაში ვარბოდა, პირში რომ არ შეეცინა დედისთვის, რომელიც გულმოდგინედ კრეფდა იატაკზე მიმოფანტულ ფურცლებს და დიდის ამბით ინახავდა აზნაუ-

რობის სიგელთან ერთად. მაგრამ მალე მოტყდა, საწყალი. სულ სიტყვეს უტყოდა. გაგანია ზაფხულშიც გაუქრობლად ენთო ნავთქურა. მიუცუცქდებოდა, გამხდარ, გამოლურჯებულ ლაჯებში მოიქცევდა და იყო ასე, აბუზული, ჩაფიქრებული, როგორც ქათამი წვიმიან ამინდში. „ცოლს რატომ არ ირთავო“ — ისე, სხვათაშორის ეკითხებოდა ხოლმე შვილს, მაგრამ, ძნელი სათქმელია, შვილის მომავალი აღარდებდათ თუ თვითონ ჭირდებოდა მიმეღელი. „თუ იცი, რა ხნისა ვარო“ — პასუხობდა შვილი. „შენზე რომ ფეხმძიმედ ვიყავი, იმ წელიწადს მამაშენმა ხელი ამოიგდო ტყეში, კესარიას ბაღანა დაეწვა აკვანში — ნადვერდელი შეაყოლა არტახებს — ბებიაშენმა კიდო, ძროხა გაყიდა და კაკილო მიყიდაო“ — ამბობდა დედა, ნავთქურაზე გადამჯდარი, როგორც კრუხი საბუღარზე. „კი მაგრამ, როდის იყო, როდის მოხდა ეს ამბებო“ — იცინოდა შვილი. „როდის და, შენზე რომ ვიყავი ფეხმძიმედო“ — პასუხობდა დედა მშვიდად, მობუზული, მოწყენილი, მოახლოებული სიკვდილით შემკრთალი; ტანი უგრძობდა ალბათ, მალე რომ უნდა გამოთხოვებოდა „კაი ცხოვრებას“, რომლისთვისაც დაუფიქრებლად გეწირა ყველაფერი და რომელიც არც ისეთი კარგი აღმოჩნდა ბოლოს, როგორაც აღრე წარმოედგინა, აღრე, აზნაურობამდე, როცა სხვებს ჰქონდა იგი — „კაი ცხოვრება“ — და როცა მოთმინებიდან გამოსული, დონიჭმემოყრილი, დამფრთხალსა და ალოდაკარგულ ქმარს დაჰყვიროდა: დაგვრჩა ბაღანა უსტაველიო. მაგრამ ახლა, სისულელით მოწეულის მოთმენა უფრო იოლი იყო, ვიდრე სისულელის აღიარება; გლეხის ქალი ხომ არ იყო, ვიღაცა, ნათქვამი რომ გადაეთქვა, გადაფურთხებული რომ აელოკა; თავისი სოფლის ერთი ჩასუნთქვა ჰაერი პომპონებთან

ოთარ ზილაძე  
რკინის თეატრი



ფლოსტებსაც ერჩია, ყვავილებით მო-  
ჩითულ ხილბანდსაც, მაგრამ როგორ  
გატყდებოდა, მეზობლებს როგორ ათქ-  
მევიწინებდა: არა შეჯდა მწყერი ხესაო.  
ყალბი იყო თუ ნამდვილი, ახლა მაინც  
ვეღარ იტყოდა უარს აზნაურობაზე და  
პატიოსნად უნდა მოეხადა ბოლომდე,  
როგორც თავისივე დაუდევრობით შეყ-  
რილი სენი. მართლაც, რაღა დროს სი-  
ნანული იყო; თავს სინანული სჯობია,  
ბოლო ეამს დანანებასაო, მაგრამ ყვე-  
ლაფერი თავიდან რომ დაწყებულ-  
ყო, ალბათ ისევ ქვას გახეთქავდა, ისე-  
ვე დაუფიქრებლად მოიგლეჯდა შვილს  
გულიდან. ერთი კაცისთვის მაინც  
რომ ეთქმევიწინებინა: თქვენია, ბატო-  
ნო, ქვეყანაო. დიახაც. დიახაც. დია-  
ხაც. სხვა რომ შეგნატრის, ისაა სწო-  
რედ „კაი ცხოვრება“. ამიტომ, კე-  
თილი უნდა ინებო და შენც მოითმინო  
ცოტა, შენც გაიყო ცოტა მსხვერპლი.  
დილიდან საღამომდე ორთქლმავლების  
კვირის უნდა უსმინო (რამ გადარია  
მაინც, ეს ოხრები!) და დილიდან სა-  
ღამომდე უნდა ყლაპო დამწვარი ნავ-  
თის ჭვარტლი: შავი მანანა „კაი ცხოვ-  
რებისკენ“ მიმავალ გზაზე, ახალი ღმერ-  
თის წყალობა. არც ძროხა გყავს მო-  
საწველი, რაც ქათმები -- დასაბუდე-  
ბელი. ხარ არხეინად. შენს „ბალანს“  
იმდენი პური მოაქვს, ნახევარი ვიობ-  
დება და ცარიელ ბოთლებთან ერთად,  
მერძევეს ატან. სად იყო სოფელში პუ-  
რი?! ჭადს მიაციკნიდნენ ხოლმე, ყვე-  
ლივით. ხი, ხი, ხი... ჩაის ავადმყოფს  
ასმევდნენ მხოლოდ. ჩაის გულისთვის  
განგებ გაიცეზდნენ ხოლმე თავს. ხი,  
ხი, ხი... მკედარს ვერ ჩააკმევდნენ  
ამისთანა ფლოსტებს. ხი, ხი, ხი... ხარ  
შენთვის არხეინად. ცარიელ ბოთლს  
გადგამ დერეფანში, გადააჯდები ნავთ-  
ქურას და ახრჩოლებული სითბო თან-  
დათანობით გილობს გათოშილ გულ-  
მუცელს. ქალობას გახსენებს (ხი, ხი,  
ხი). დედობას... და გაამაყებული (რა  
თქმა უნდა, ცოტა ლიქიორის დახმარე-  
ბითაც) ფიქრობ შენთვის: მე არ გავა-  
ჩინე? ხოდა, მეკუთვნის კიდევ. ახრჩო-

ლებული ნავთქურა შევლის მაგიერ.  
ჰარალალი, ჰარალი. ნეტად არიან  
ბრიყვნი. ხოლო მისი ბალანა უკვე სიბე-  
რის ზღურბლთან იდგა და მართლა ბა-  
ლანსავით იყო შეყვარებული მართლა  
ბალანაზე. „ნამეტანი პატარაა, თორემ  
შევირთავდიო“ — სიცილით ეუბნებო-  
და დედას. „მაგი არაფერი. მეც ბალანა  
შემირთო მამაშენმაო“ — პასუხობდა  
ქათამივით აბუზული დედა. „მამაჩემიც  
ბალანა იქნებოდა მაშინო“ — იცინო-  
და შვილი. „რას ჰქვია, ბალანა იქნებო-  
და! ბალანას როგორ წავყვებოდიო“ —  
წყინდა დედას. „მაინც, რა ხნისა იყოო“  
— არ ეშვებოდა შვილი. „კაცი ისეთი  
ოხერია, რა ხნისაც არ უნდა იყოს,  
ერთ ბალანას ყოველთვის დააბერებსო“  
— ქირქილებდა დედა. ასე იყო, ვიღერ  
დედა მოუყვდებოდა, ასე იყო შემოდ-  
გომის იმ წვიმიან დღემდე, როცა ლექ-  
სის წერით გართულს, უცებ ტანი უგრა-  
ნობდა, ნავთქურაზე გადაძვარი დე-  
დაბრის სული, ჩუმად, უხმაუროდ რომ  
გაპარულიყო ამ ქვეყნიდან. „რა მიყა-  
ვი ესო“ — შეიცხადა გულწრფელად,  
რადგან დარწმუნებული იყო, დედა სი-  
კვდილის წინ მაინც აღიარებდა თავის  
შეცდომას, სიკვდილის წინ მაინც ეტ-  
ყოდა, მე ავირიე, შვილო. ცხოვრებაო,  
რაც პაერზე მეტადაც ჭირდებოდა შვილს  
თუნდაც თავისი ჯოჯოხეთური სიყვა-  
რულის გასამართლებლად. გარდა ამი-  
სა, დედასთან საუბარი, რაღაც სულე-  
ლურ, გაურკვეველ, უხორცი იმედს  
უჩენდა, რისთვისაც დიდი მადლობე-  
ნი იყო დედისა, თუმცა არასოდეს  
წარმოუდგენია ნატო თავის მეუღლედ,  
არც მაშინ (მით უფრო მაშინ) და არც  
მერე, როცა ნატო გაიზარდა, იმდენად  
გაიზარდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს  
ბავშვიც გააჩინა, ერთბაშად გაუბათილა  
ასაკობრივი უპირატესობა და გადაასწ-  
რო კიდევ, რა თქმა უნდა, მდგომარეო-  
ბით, როგორც ჭარშია მიღებული, სა-  
დაც ჩინი განსაზღვრავს ყველაფერს და  
არა ასაკი. ნატოს მეტი ჩინი ჰქონდა,  
რადგან უკვე დედა იყო, ის კი, ისევ მა-  
რტო იდგა თავისი ცოდვის სანგარში;



თუმცა არც ეს იყო გასაკვირი, ასედაც უნდა მომხდარიყო, რადგან ნატო ღვთაება იყო, ის კი — რიგითი მოკვდავი. პეგასზე ამხედრებული, პოეზიის ცისფერ ღრუბლებში დაქროდა და მარადიულ ქალწულსა და უმანკო ჩასახვის სავანეზე სწერდა ლექსებს, ვიდრე ყაზარმოდან გამოგზავნილი ჯარისკაცი არ მოუბრახუნებდა კარზე უხეშად, ჯარისკაცულად — გიბარებენო. ხოლო ქუჩაში გამოსულს, გამოფხიზლებულს, თავისი სიყვარულიც ისეთსავე სიბილწედ მიაჩნდა, როგორი ცხოვრებაც დულდა და გადმოდულდა ირგვლივ. მაგრამ ასე იმიტომ მიაჩნდა, უარესად რომ დატანჯულიყო, როგორმე რომ ჩაეხშო, ჩაეკლა, თავისი სულელური, თავხედური, უმომავლო გრძნობა, თორემ, თუ იცოდა, რასაკვირველია, მხოლოდ თვითონ იცოდა, რომ თუკი რამე შეიძლებოდა კიდევ ყოფილიყო სუფთა, ამაღლებული, წმინდა, უცოდველი და უბიწო მის ცხოვრებაში, სწორედ ეს გრძნობა იყო, რაზედაც უფლება არ ჰქონდა და რის გარეშეც არაფერს წარმოადგენდა, არაფერს — სილის მარცვალს სილის ზღვაში. კიდევ კარგი, ქვეყანა არეული იყო, კიდევ კარგი, უკვე კართან იდგა აღსასრულის დღე და სარაევოში დამბაჩის გავარდნადა აკლდა, ერთმანეთს რომ დარეოდნენ კბილებამდე შეიარაღებული, წერას აყოლილი, გაპირუტყვეებული სახელმწიფოები, რათა მოესპოთ და მომსპარი იყვნენ, შთაენთქათ და შთანთქმულიყვნენ, ქვა ქვაზე არ დაეტოვებინათ, არაფერი არ დაეტოვებინათ — ნანგრევის, ჩონჩხისა და ლეშით გამოძარი ყვავის ყრანტალის მეტი, რადგან მეტს არც არაფერს იმსახურებდნენ, მაგრამ ერცპერცოგის მკვლელი აგვიანებდა, ყოყმანობდა, აჭიანურებდა, თითქოს საბა ლაფაჩის ჯიბრზე და ისიც ხელახლა ათეთრებდა ჯიბეში დაქმუქმულ „თხოვნას“, მთავარმართებლის სახელზე დაწერილს, რომელსაც, ომის დაწყებისთანავე, პირველივე კოცონისთვის უნდა შეექეთებინა იგი, როგორც ძვე-

ლი, მზეზე გამოშრალი, ქართი გამოფიტული ნაფოტი. გაოგნებული დაბოროილობდა უკაცურ ქუჩებში, ზღვაზე გადიოდა და დაჟინებული ჩასცქეროდა წყვილიაღში გაუჩინარებულ სტიქიას, გაუჩინარებულს, განუწყვეტილვ რომ ფეთქვალა, შფოთავდა, ბორგავდა, მისი გულივით. „ღამღამობით ნუ დადიხართ მარტო. თორემ შეიძლება, ვინმე ვერ გიცნოთ და გაუგებრობა მოხდესო“ — აფრთხილებდნენ ტერორისტები. „მადლს იზამსო“ — სიცილით პასუხობდა საბა ლაფაჩი. ასე კი იმიტომ ამბობდა, მართლა რომ უნდოდა სიკვდილი, სიკვდილი და არა თვითმკვლელობა, რადგან საკუთარი ხელით მკვდარი, არა თუ ვეღარ დამალავდა, საქვეყნოდ გამოაქვენებდა თავის სილაჩრეს, ყველას ერთნაირად ათქმევინებდა, ლაჩარი ყოფილაო. არა და, არ იყო ლაჩარი, აღარ იყო; იმ დღის მერე, როცა პირველად აუჯახყდა მუნდირს, როცა დავით კლდიაშვილთან ერთად, ბრძანება არ შეასრულა, ტყვია არ დაუშინა უიარაღო დემონსტრანტებს, რისთვისაც განრისხებულმა ვეზირიშვილმა ახსნა-განმარტების დაწერა მოთხოვა ორივეს, მაგრა ფეხები ვერ მოჭამა ვერც ერთსა და ვერც მეორეს, რადგან არანაკლებ განრისხებულმა კლდიაშვილმა ტყვისათვის მიახალა მაშინვე პირში — მე ჯერ ჩემს სინდისს ვუსმენ და მერე თქვენს გიჟურ ბრძანებებსო — მთლად გათამამდა, მთლად გაგულადდა და იმ დღის მერე ჯიუტად უმტკიცებდა საკუთარ თავს, მისი გამბედაობა მისი ჭეშმარიტი ბუნების განუყოფელი თვისება რომ იყო და არა წამიერი ალტკინების ანდა სხვათა წამხედურობის ნაყოფი. უბრალოდ, იქამდე გამბედაობაც ისევე ჰქონდა დაკარგული, როგორც ჭეშმარიტი ბუნება. იმ დღის მერე, რამდენი შეხედებოდა დავით კლდიაშვილი, ყოველთვის ღიმილით მიუღელქვავდა ხოლო-


**ოთარ პილაძე**  
რაინის მთაბარი



მე: ერთ ბედს ქვეშა ვართ, საბავ, მე და შენ, ერთგულად ვზიდოთ ჭაპანი ჩვენი, და ისიც ერთგულად ეწეოდა გამბედლობის ჭაპანს, შიში ვერ იხსნის სიკვდილასაო—უბნებოდა მასთან ჭკუის საკითხავად მოსულ მუშებს, თუმცა თავად ისევ ორ ცეხცლს შუა იყო გამბული, ისევ მუნდირი ეცვა და არა მუშის ბლუზა, ვერ გადაეწყვიტა, ვისი ტყვიით მომკვდარიყო, მუშისა თუ ჯარისკაცისა, რადგან სულერთი იყო მისთვის, ვისი ხელით მოკვდებოდა, რადგან მისი სატანჯველი არც მუშის სატანჯველს ესადაგებოდა და არც ჯარისკაცისას, ერთისთვისაც გაუგებარი იყო და მეორისთვისაც. თვითონ კი, ამ მეორედ მოსვლის უამს, ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე, რძემუშუმშრალი გოგოს „კდემამოსილებზე“, „სისპეტაკეზე“, „ღვთაებრივ სიდიადესა“ და „გულთა გარდამქმნელ სიბრძნეზე“ წერდა ლექსებს. „მე ადამიანის მხარეზე ვარო“ — ერთნაირად ეუბნებოდა მუშებსაც და ჯარისკაცებსაც და დარცხვენილი, დაბნეული ამატებდა: თუ კაცს არ გაუგე და არ აბატიე, გინდა აქეთ იყოს, გინდა იქით, მაინც ერთნაირად გაპირუტყვდებო. მერე მაზარის საყელოს აიწვედა და დახეტილობდა უკაცურ ქუჩებში. ზღვიდან ცივი, ნესტიანი ქარი უბერავდა. ძალი არ გაიგდებოდა გარეთ. ხალხი თბილ ბინებში ელოდებოდა აღსასრულს. ის კი, მიდიოდა, მიუყვებოდა ქუჩებს, თავის საფიქრალში ჩაკეტილი, როგორც საიდუმლო საბუთი — სეიფში. უცებ სიბნელიდან ქალის ხმამ დაუძახა: ეი, ხელიკო, საით გაგოწვეიაო. საბამ ხმისკენ მიიხედა. ქალი სადარბაზოსთან იდგა, ფეხი კიბეზე შემოედო და წვივისაკრავს ისწორებდა. საბას გაელიმა და უფრო აუჩქარა ნაბიჯს. მიდიოდა და მეძავის ხრინწიანი, უსაბო ხმა ედგა ყურებში. მერე ნატოს ჭიშკარი დინახა და გაუქვირდა, გაუხარდა, დაფრთხა, გაჩერდა — ერთდროულად. გაუბედავად შეეხო სახელურს, მაგრამ ჭიშკარი არ შეუღია. არც უფიქრია, ჭიშკრის შეღება. უბრა-

ლოდ, მხოლოდ მიფერე გათვლილ რკინას. მერე ჭიშკარს მომლოდინე, ცაფუფით შეიხსნა მაზარის ღილები და ქვეითკრის ღობეს შეახტა. მეორე წუთას უკვე ღობის იქით იდგა ნესტიან წყვილიდში. სახლი არ ჩანდა. საერთოდ არაფერი არ ჩანდა. თვალთან ვერ მიიტანდა თითს. წინწახრილი იდგა და მძიმედ სუნთქავდა. ცოტახნის მერე უკანვე გადმოველო ღობეს, მაზარის ღილები შეიბნია და გზა გააგრძელა. „აი, თუ ბებერი ვარო“ — ახლა მოუგონიშნი მეძავს, თუმცა მეძავს სიტყვა „ბებერი“ საერთოდ არ უხსენებია.

დრო კი გადიოდა. დასაღუბად განწირული ქვეყანა დღითი-დღე, ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდა აღსასრულს. დიმიტრიც უკვე განწირული იყო, უკვე ველარაფრით დაღწევდა თავს გარდაუვალ უბედურებას, თუმცა, გელა რომ დაიჭირეს პირველად, მიუხედავად თავისი მრწამსისა, რაც ერთხელ უკვე გამოეთქვა ქუჩაში, თანაც გელას დასაცავად, ბუნებრივ წუხილთან და სინანულთან ერთად, რაღაცნაირი, ძნელად გამოსახატავი, ძნელად გასამართლებელი შვებაც იგრძნო, თითქოს ვიწრო ფეხსაცმელი გაიძრო და ერთმანეთზე მიჭყლებილი თითები თავისუფლად გაშალა; არადა, ეს წამიერი შეგრძნება შვებისა, თავისუფლებისა (სულ თავაწეული მაინც აღარ ივლიდა საკუთარ სახლში), სწორედ შვებასთან და თავისუფლებასთან სამუდამოდ გამოთხოვებას ნიშნავდა. ასე მომაცვდავი გამოიხედავს ხოლმე თვალში ცოტახნით, ფუჭი იმედი რომ ჩაუსახოს ჭირისუფლებს და, მეორე წუთას, უფრო მეტად დაწყვიტოს იმათ გული. სხვა საკითხია რა მოხდებოდა, გელას მოთმინების უნარი რომ ჰქონდა, სასჯელი პირნათლად მოეხადა და, დიმიტრის მრწამსის შესაბამისად, ახლა უკვე სულ სხვა პიროვნება დაბრუნებულყო უკან. მაგრამ არ შეიძლებოდა, ასე რომ მომხდარიყო, რადგან გელა (როგორც მალე დადასტურდა) არ იყო ამ ქვეყნისთვის გაჩენილი; არ შეეფერებოდა



აქაურობას, ანდა აქაურობა არ შეეფერებოდა იმას, როგორც უნაგირი ძროხას, ანდა ძროხა უნაგირს. მართალია, არავინ დაიჯერა გელას ქურდობა (ხალხში ხმა გავრცელდა, პოლიციამ ჩხრეკვისას, ქალთა გიმნაზიის გამგის სამკაულებში აღმოუჩინაო. ქალთა გიმნაზიის გამგე მთელი წლის გაქურდული იყო და ის საქმე თითქმის დახურულად ითვლებოდა), მაგრამ მაინც აღმაშფოთებელი იყო მისი საქციელი: არც მშობელს უწევდა ანგარიშს, არც კანონს. დაიქვრდნენ — გაიქცეოდა; ისევ დაიქვრდნენ — ისევ ვარბოდა. ხან მატარებლიდან ჩამოათრევდნენ ხოლმე, ხან უცხოური გემიდან. არ შეეძლო შეპაუბროდა იმას — უსამართლობა ერქვა თუ უსვენდისობა — რასაც სხვა, მასზე არაფრით ნაკლები, მილიონობით ბავშვი უმტყვიანეულად და უდრტვიანეულად ეგუებოდა. გადამეტებული სიამაყითა და ასევე გადამეტებული უნდობლობით იყო შეპყრობილი და ამიტომ, უნდოდა თუ არ უნდოდა, ყოველთვის რალაცას აშავებდა. ყოველ შემთხვევაში, გარედან მაყურებლის თვალში ასე გამდიდრდა, რაც, რა თქმა უნდა, ხელს აძლევდა პოლიციას, თუკი პოლიცია მართლა უგონებდა ქურდობას და რალაც სხვა მიზეზთა გამო, მართლა უპირებდა დალუბვას. დანაშაულს, ბუნებრივია, სასჯელი მოსდევდა, სასჯელს კი — ახალი დანაშაული, რადგან სწორედ სასჯელთან შეურიგებლობა აბედვინებდა იმას, რაც სერიის მაყურებელთა აღშფოთებას თუ არა, ვაოცებას ყოველთვის იწვევდა, ანუ სერიის მაყურებლებს თანდათან იმ აზრსაც უღვივებდა, გარდაუვალი რომ იყო მისი დალუბვა, თითქოს სამართლიანიც, რადგან სახელმწიფო კი არა, მამა არ მოგითმენს ამდენს. სხვათაშორის, მამამისივით იყო ისიც ატეხილი. მამამისის არ იყოს, იმანაც ერთბაშად ააფორიაქა, აალაპარაკა მთელი ბათუმი. ზოგი იცინოდა, ზოგი წუხდა, ზოგს ეცოდებოდა, ზოგი კი, სავსებით სერიოზულად მოითხოვდა, სანიმუშოდ დაესაჯათ იგი

აზიზებს მოედანზე, რათა სხვა ბავშვებსაც ესწავლათ ჭკუა და უფროსების ხათრი და პატივისცემა ჭკონიდან, რადგან არ აერიათ ისედაც არეული ქვეყანა. პოლიცია რა შუაში იყო, პოლიცია წესრიგს იცავდა, მაგრამ ვეღარ ერეოდა ამდენ დამთხვეულს. რა ვახდა, ბოლოს და ბოლოს — იძახდნენ გაგულისებულნი, მსუყედ ნასადილევი, საქვეყნო საქმეთა განსჯის გუნებაზე მოსულნი. რაც შეეხება ქალბატონ ელენეს (ალბათ ესეც აღიზიანებდა ხალხს), გეგონებოდათ, ყველაზე ნაკლებად ისაა დინტერესებული ამ ამბითო. ისევ ისე თავაწეული, წელგამართული დადიოდა, გოროზი, ამპარტავანი, თითქოს ასე, უსიტყვოდ, მხოლოდ და მხოლოდ თავისი გარეგნობით არწმუნებდა ქალაქს, არაფრით არ შეიძლება ჩემი შვილი ქურდი იყოსო; სხვა, რაც გნებავთ, ოღონდ ქურდი არაო; ქურდების დედები არც ასე წელგამართულები დადიან და არც ასე მშვიდად დუმანო. მაგრამ ქალაქმა ბევრი რამე არ იცოდა და ამიტომ, ბევრი რამე ეშლებოდა. ყველაზე ნაკლებად ქალაქმა ის იცოდა, თუ რა ცეცხლი ენთო ქალბატონ ელენეს გულში. ვიდრე ქალაქი წუხდა თუ ბრაზობდა, იცავდა თუ კიცხავდა გელას, ქალბატონმა ელენემ უკვე იცოდა, განწირული რომ იყო მისი შვილი, უფრო ადრე იცოდა, ვიდრე ის პირველად გაიქცეოდა ციხიდან, ვიდრე მისი დევნა და დაჭერა ჩვეულებრივ მოვლენად იქცეოდა ქალაქისთვის, ისევე როგორც ზღვის ალექვება და დაწყენარება. როგორც კი გელას დაჭერის ამბავი შეიტყო და ჯერ კიდევ განრისხებულმა, ჯერ კიდევ შეურაცხყოფილმა, პოლიცემისტრის კაბინეტში შედგა ფეხი, მაშინვე მიხვდა, ტყუილბრალოდ რომ იმცირებდა თავს. შესაძლებელი რომ ყოფილიყო, უიმისოდაც გამოუშვებდნენ გელას, ანდა საერთოდ არ დაიქვრდნენ, თუნდაც

ოთარ პილაძე  
 რკინის თიანჭრი



ბაბუამისის ხათრით, რადგან თბილისის გუბერნიის მთავარი მოსამართლე აქაური პოლიციისთვის იმდენად დიდი და ანგარიშგასაწევი კაცი ვახლდათ, არ შეიძლებოდა, აქაურ პოლიციას არ სცოდნოდა, გელა, უპირველეს ყოვლისა, ვიღაც თვითმკვლეელი მსახიობის შვილი კი არა, თბილისის გუბერნიის მთავარი მოსამართლის შვილიშვილი რომ იყო. მაგრამ, ეტყობა, გელას დანაშაულის სიმძიმე აქაურ პოლიციას საშუალებას აძლევდა, მიუდგომელი და შეუვალი ყოფილიყო ზემდგომთავისაც. მართალია, დიდი დანაშაულია, უმსგავსობაა, ეკლესიაში აბიო მეფის სადიდებლის სიმღერა, მაგრამ არც ისეთი მიუტყეველი, თანაც ბავშვისთვის, მოსწავლისთვის, მაშინვე ციხეში რომ გაექანებინათ, არც მშობლისთვის ეკითხათ და არც მასწავლებლისთვის, თუ რატომ უნდა მოქცეულიყო მოსწავლე ასე, რომელიც ჭრჭერობით არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო სახელმწიფოსთვის პოლიტიკურად საშიშ პიროვნებად („ეს პოლიტიკური ცეკობაა, ქალბატონო“), თუნდაც მისი არასრულწლოვანების გამო. მაგრამ როცა პოლიციისტებისგან ისიც შეიტყო, გელას ქალთა გიმნაზიის გამგის გაძარცვაც რომ უმტკიცდებოდა, თავზარი დაეცა, სუნთქვა შეეკრა, თავში სისხლი აუფარდა და ორივე ხელით ჩააფრინდა იატაკზე დაბჯენილი ქოლგის ტარს, თითქოს სკამი გამოეცლიათ უცებ, თითქოს საწამებლად შემოეყვანათ აქ და, წამიწამზე, კაბას შემოახვედნენ ტანზე, ძუძუებს დაუშანთავდნენ, თუმცა პოლიციისტერი თავაზიანობისა და გულსინძიერების განსახიერება იყო და მეტი არაფერი. „ისა, ფუი. დასწყევლოს ღმერთმა. ძალიან ვწუხვარ, ქალბატონო. რომ იცოდეთ, როგორ ვწუხვარ. კიდევ კარგი, მამამისი ვერ მოესწრო ამ ამბავსო“ — ამბობდა გაღიმებული, სავარძლის საზურგეზე გადაწოლილი. მაგრამ, როგორც კი მისი ქმარი ახსენა პოლიციისტერმა, ერთბაშად

ისეთი, გამოგნებელი, სასიამოვნოდ გამოძაცარიელებელი სიმწვედე დაეფუქა, თითქოს პოლიციისტერი მადლობას უხდოდა კარგი შვილის გაზრდისთვის. არათუ ქალთა გიმნაზიის გამგის გაძარცვა, არამედ ეკლესიაში ჩადენილი უმსგავსობაც, „პოლიტიკური ცეკობაც“, მონაპორად მოეჩვენა მაშინვე. ისევ მყარად დაჯდა სკამზე, ამაყი, გოროზი, ქოლგის ტარზე ხელჩამოდებული. რატომღაც იქით გაუგულისდა პოლიციისტერს, აგდებულად, დამცინავად შეხედა, როგორც სიტრუეში გამოჭერილ კაცს, რადგან უკვე ისიც იცოდა, პოლიციისტერი რაღაც სხვა, ძნელად ამოსაცნობი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი მიზნით რომ ხუტავდა თვალს გელას „უწესო საქციელზე“ და დაბეჯითებით ცდილობდა, მაინცდამაინც ქურდად, მძარცველად გამოეყვანა იგი. ახლა ამან შეაფუხა, ვერ მიხვდა, ვერ ამოხსნა უცებ, რა რჯიდა, რა ამოქედებდა პოლიციისტერს ამგვარი სისაძაგლის ჩასადენად. აი, სად გამოადგებოდა ახლა მამა! მაგრამ უმალ შვილს გასწირავდა, უმალ პოლიციისტერს აუბამდა მხარს, უმალ შვილის ქურდობას ირწმუნებდა, ვიდრე მამას გააგებინებდა თავის ახალ უბედურებას და ერთხელ კიდევ ათქმევინებდა: მშობლის წინ მარბენალ კვიცს ან მგელი შეჭამს, ან მგლის შვილიო. „რატომ გინდათ, მაინცდამაინც ჩემი შვილი რომ იყოს ქურდიო“ — მოლუშულმა, წარბებაწეპილმა ჰკითხა პოლიციისტერს. პოლიციისტერმა სავარძელს ზურგით უბიძგა, წინ წამოვარდა და მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო. ცოტა ხანს ასე იყო, მაგიდაზე იდაყვებით დაყრდნობილ ხელეებს ასავსევებდა. მერე მსხვილი, საგულდაგულოდ გათლილი ფანქარი აიღო, საქალაღებზე რამდენიმე მკვეთრი ხაზი ჩამოუსვა ზედხედ და თქვა: დიახ, მართალი ბრძანდებით, მე ვინდა, ქურდი იყოს თქვენი შვილი და არა პოლიტიკური დამნაშავე, სხვათაშორის, ისევ თქვენი შვილის სასარგებლოდო. პო-



ლიცმენისტერის მოულოდნელმა გულახ-  
დილობამ უარესად დააბნია ქალბატონი  
ელენე: დარწმუნებული იყო, პასუხს  
თავს აარიდებდა იგი, ანდა ისე არ უპა-  
სუხებდა, როგორც უპასუხა. ერთი წა-  
მით ისიც იფიქრა, ხომ შეიძლება, მამა-  
ჩემთან უკვე შეთანხმებულიც კი იყოს  
პოლიცმენისტერი და იმასთან ერთად  
ჰქონდეს შემუშავებული გელას გადარ-  
ჩენის დეგმაო. რა გასაკვირი იყო, პო-  
ლიცმენისტერს პირველად თბილისის  
გუბერნიის მთავარი მოსამართლისთვის  
რომ გაეგებინებინა მისი შვილიშვილის  
ამბავი და მერე ამისთვის, რადგან გელას  
რამე თუ უშველიდა, ან ვინმეს გამო თუ  
უშველიდნენ, უმალ ბაბუა იქნებოდა ის  
და არა დედა; მით უფრო — მკედარი  
მამა. გარდა ამისა, ეტყობა მართლა არ  
არსებობდა სხვა გზა, ეტყობა, გელას  
გადარჩენა თუ უნდოდათ, აუცილებლად  
ქურდობა უნდა დაებრლებინათ  
მისთვის, რაც ბაბუამისს, რა თქმა უნ-  
და, არ შეეშლებოდა და რასაც, თუკი  
ეს მართლა ასე იყო, ალბათ თვითონვე  
შესთავაზებდა პოლიცმენისტერს. მოკ-  
ლედ, მამამისიც და პოლიცმენისტერიც  
ალბათ ისე მოიქცეოდნენ, როგორც გე-  
ლასთვის იქნებოდა ხელსაყრელი. სა-  
წინააღმდეგოს ფიქრშიაც ვერ დაუშვებ-  
და. მაგრამ ისევე პოლიცმენისტერის ხმამ  
გამოარკვია ამ დაბნეული, ერთდროუ-  
ლად დამაიმედებელი და დამაბნეველი  
ფიქრებისგან. პოლიცმენისტერი ისევე პა-  
რალელურ ხაზებს ავლებდა საქალა-  
ღეზე და ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა,  
კარგახანმა გაიარა, ვიდრე იმის ნალა-  
პარაკვეს ჩაწვდებოდა, ვიდრე ამოიც-  
ნობდა, რისი თქმა სურდა პოლიცმენის-  
ტერს. თუმცა ახალი არაფერი უთქ-  
ვამს, მის ნაფიქრალს იმეორებდა  
თითქოს ხმამალა. როგორც იმის ნა-  
ლაპარაკევიდან გამოდიოდა, ზოგი ჭი-  
რი მარგებელიც იყო, რადგან გელა-  
სთვის გაცილებით აჯობებდა, სისხ-  
ლის სამართლის დამნაშავე ყოფი-  
ლიყო და არა პოლიტიკური; პოლიტი-  
კურ დანაშაულს თურმე სიკვდილამდე  
არ აპატიებდნენ, არ დაუვიწყებდნენ,

ლაქად წაყვებოდა მთელი სიცოცხლის  
მანძილზე და გინდაც ნემსის წყურველი  
გამძვრალიყო, დღევანდელი...  
ბა მართლაც ბავშვობით ჩადენილი და-  
ნაშაულის გამოსასყიდად, მაინც ვერ  
მოიშორებდა, მაინც გაუქირდებოდა  
მისი ოჯახისთვის შესაფერი გავლენისა  
და პატივის მოპოვება მომავალში, რო-  
ცა იმისი ქურდობა ხვალ აღარავის  
ემახსოვრებოდა, ხოლო დღეს ათასნაი-  
რად შეიძლებოდა გამართლება, თუნ-  
დაც, ჰმ... ხელმოკლეობით. ჰმ... ობ-  
ლობით. ანდა სულაც სულსწრაფობითა  
და ტოლამხანაგებში თავის გამოჩენის  
სურვილით. ბავშვი რომ რაღაცას მოი-  
პარავს, კიდევ შეიძლება იმის გაგება,  
ქალბატონო. ჩვენც ვყოფილვართ ბავშ-  
ვები, ჩვენც მშობლები ვართ, ბოლოს  
და ბოლოს... ხომ შეიძლება, უცებ ისე  
მოსდომებოდა ლიმონათი და ნამცხვა-  
რი, თვითონაც ვერ გაერკვია, ვის ჯიბე-  
ში ყოფდა ხელს. შეიძლება, სულაც  
შეყვარებული ყავს, და იფიქრა, ლიმო-  
ნათზე და ნამცხვარზე დავპატიეებო...  
თავი მოაწონა შეყვარებულს. ამ ასაკში  
არიან სწორედ ბავშვები მისახედი,  
ქალბატონო. ყოყლოჩინობენ, დიდობენ,  
ვაყვარებენ. მაგრამ ამის პატიება კი-  
დევე შეიძლება. სიმღერაც კია, შეყვა-  
რებული ვის არ ყოლიათ... მაგრამ, მაგ-  
რამ და კიდევ მაგრამ, ხელმწიფეს რომ  
აუჯანყდება ბავშვი, სახელმწიფოს რომ  
აიგდებს აბუჩად (სხვათაშორის, რა  
ვიცი, ვინ ოხერია, ან ვინ იგულისხმე-  
ბა აბიო მეფეში?), ჩვენ უმწეონი ვართ,  
ესე იგი, ჩვენ ვერაფრით ვეღარ მივეხ-  
ნარებით, ქალბატონო. ჩვენ ხელმწი-  
ფემ დავგესვა აქ, მეცა და მამათქვენიც,  
და რბილად რომ ვთქვათ, ჩვენგან დი-  
დი უმადურობა იქნება, კალთა ვაფა-  
როთ იმის მტრებს. ბოლოს და ბოლოს,  
აქ პოლიციაა და არა ხელმწიფის  
მტერთა აღსაზრდელი პანსიონი. ხახ.  
ასე რომ, როგორი პატივისმცემელიც  
არ უნდა ვიყო თქვენი და თქვენი

ოთარ ბილაძე  
რეჟისორი



განსვენებული მეუღლისა... ახლაც ყუ-  
რში მიღვას იმის ხმა, ქალბატონო. ახ-  
ლაც თვალწინ მიღვას... არა, გათავდა,  
იმის ბადალი აღარ მოევიწინება ჩვენს  
სცენას, ქალბატონო. მაგრამ მაინც  
ბედნიერი ყოფილა, ამ დღეს რომ ვერ  
მოესწრო. ამ ამბავს რომ გაიგებდა,  
მაინც გაუსკდებოდა გული, ქალბატო-  
ნო...

— ჩემს ქმარს გული არ გასკდომია.  
ჩემმა ქმარმა თავი მოიკლა, — თქვა  
ქალბატონმა ელენემ მშვიდად, აუღელ-  
ვებლად. წელგამართული იჯდა, ქოლ-  
გის ტარზე ხელჩამოდებული და მა-  
მაზე ფიქრობდა, ბრაზიანად, ღვარძ-  
ლიანად: იმანაც გაწირა გელაო.

— რას მეუბნები?! — შეიცხადა  
პოლიცემისტერმა, ისე გულწრფელად,  
ისე ბუნებრივად, ქალბატონო ელე-  
ნეც აღელდა, შეწუხდა ანაზღად.

— ჩემს ქმარს გული არ გასკდომია,  
— კამეორა სასწრაფოდ. — გაზეთებ-  
მა ყალბი ცნობა გამოაქვეყნეს. მამა-  
ჩემს ხათრით.

— ნუ ამბობთ! ნუ იტყვიან! — იყ-  
ვირა პოლიცემისტერმა — ვერ დავი-  
ჯერებ, ქალბატონო... ფუი. ისა. კი მაგა-  
რამ, რატომ უნდა მოეკლა თავი? რა სჭი-  
რდა საამისო? ხალხი ხელისგულზე ატა-  
რებდა.. ჩემს შვილებს ახლაც კედელზე  
უკიდიათ იმისი სურათი... თუმცა, —  
უცებ გაიღიმა. გამომცდელად გამოხედა  
ქალბატონ ელენეს და გააგრძელა, უკ-  
ვე მშვიდად, უკვე ღიმილგარეული ხმით.  
— თუმცა... ჰმ. ჰმ. ვინ რა იცის, რა  
ხდება ფარდის იქით. კულისებში. თქვე-  
ნისთანა ლამაზი ქალის ქმრობაც დიდი  
გმირობაა...

— ერთი თხოვნა შემისრულეთ მხო-  
ლოდ, — გააწყვეტინა ქალბატონმა  
ელენემ, თუმცა ჯერ თვითონაც არ  
ჰქონდა გარკვეული, ვის შეეხებოდა  
მისი სათხოვარი: ქმარს თუ შვილს:  
მკვდარი ქმრის სახელზე ზრუნავდა, თუ  
ცოცხალი შვილის მომავალზე. პოლიც-  
ემისტერს სახე შეეცვალა: ყურადღე-  
ბად, გულისხმიერებად იქცა ისევ. ფანქ-  
რიანი ხელი საქალაღებზე ედო. თით-

ქოს დაწერამდე, გუნებაში ერთხელ  
კიდევ იმეორებდა ფრანგული ტრეტი  
თხოვნა მხოლოდ, — გააგრძელა ქალ-  
ბატონმა ელენემ. — იქნება მაინც, რო-  
გორც თქვენვე სთქვით, „პოლიტიკური  
ცელქობისთვის“ დაგესაჯათ ჩემი შვი-  
ლი... ეს ალბათ უფრო შეესაბამება სი-  
მართლეს.

— როგორ გეკადრებათ! როგორ გე-  
კადრებათ! — უარესად შეიცხადა პო-  
ლიცემისტერმა. — ლუპავთ? ციმბირ-  
ში გინდათ ჩააღვით? ვერა! არა! სხვას  
ნიმართეთ. ბოლოს და ბოლოს, მამამი-  
სი ჩემი მეგობარი იყო. მეც გამიწიეთ  
ანგარიში, მეც გამიგეთ, ქალბატონო.  
— ფანქარი ბრაზიანად, უხეშად გა-  
უსვ-გამოუსვა საქალაღებზე, თითქოს  
ადრე გავლებული ხაზების გადასაშლე-  
ლად. ერთმანეთით გადაკვეთილი ხაზე-  
ბი გისოსებიან საარკმელსა თუ გალიის  
ზადეს დაემსგავსენ. ყოველ შემთხვე-  
ვაში, ასე მოეჩვენა ქალბატონ ელე-  
ნეს.

— საქმარისია. დამარწმუნეთ. ბრწყი-  
ნვალე კახუისტი ყოფილხართ. ვერც-  
ერთი ვეჭილი ვერ მოვა თქვენთან. —  
შესძახა სხაპასხუპით, ლაპარაკი რომ არ  
გაეგრძელებინა პოლიცემისტერს.


უკვე ფეხზე იდგა: მალალი, შავად  
აწოწილი, გოროზი. ფეხი უძაგდაგებ-  
და, მაგრამ არფერი შესტყობია გარეგ-  
ნულად. კართან იყო უკვე მისული,  
პოლიცემისტერი რომ დაეწია. სხარტად  
გაუღო კარი და, გაღიმებულმა, მოწი-  
წებით დაუკრა თავი. თან მუნდირის  
კალთებს იქაჩავდა ძირს. ისე დაშორდ-  
ნენ ერთმანეთს, თითქოს აღარაფერი  
ჰქონდათ გასარკვევი, თითქოს ორივეს  
ერთი და იგივე საზრუნავი მოეშორე-  
ნინა თავიდან, თითქოს ორივეს ერთნაი-  
რად მიაჩნდა, გელასთვის ქურდობის  
დაბრალება ერთადერთი გამოსავალი  
რომ იყო, თუკი გელასთვის სიკეთე უნ-  
დოდათ, თუკი იმის მომავალი აღარ-  
დებდათ და არა ის საჩოთირო, სწრაფ-  
წარმავალი უსიამოვნება, რაც პირადად  
შეხვედებოდათ გელას უწყსობის გამო.  
ქალბატონ ელენეს უბრალოდ შეეშინდა

ამ მომღიშარი, თავაზიანი (რამდენადაც შეეძლო) პოლიცემისტერისა და ტანმა უგრძნო, ნებისმიერი წინააღმდეგობა უფრო უარეს ბოროტებათა მოსაგონებლად რომ აღაგზნებდა იმას. ის მუშაობდა, საქმე ჰქონდა და ვინც ხელს შეუშლიდა, ისევე და ისევე, მის წისქვილზე დაასხამდა წყალს. ქუჩაში რომ გამოვიდა, საფუძვლიანად მერე მიხვდა, თვითონაც რომ გაეწირა შვილი, ყოველ შემთხვევაში, არაფერი ეთქვა და მოემოქმედებინა შვილის სასარგებლოდ, რადგან გულის სიღრმეში თვითონაც ეველაფერზე თანახმა იყო, თუკი გელას მართლა ეშველებოდა რამე; თუმცა იმასაც გრძნობდა, სწორედ ახლა, პოლიცემისტერის კაბინეტში, მისი თანდასწრებით და თანხმობით — რამდენადაც დემილი თანხმობის ნიშანია — სამუდამოდ რომ გადაწყვეტილიყო გელას ბედი, და არა გელას სასარგებლოდ, რის დაჯერებასაც ჯიუტად ცდილობდა, არამედ — საზიანოდ, რისი დაჯერებაც არაფრით არ უნდოდა. „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო“ — შეშფოთდა უნებურად. ერთი წამით უკანვე მიბრუნება დააპირა, გარკვევით რომ ეთქვა პოლიცემისტერისთვის და კატეგორიულად მოეთხოვა: ჩემი შვილი იმისთვის დასაჯეთ, რაც დააშავა, და არა იმისთვის, რაც არ დაუშავებიაო. მაგრამ უკვე თვითონაც არ შეეძლო აერჩია, რა სჯობდა პირადად მისი შვილისთვის: დალუპვა თუ შერცხვენა. ალბათ მაინც — შერცხვენა, რადგან ფეხიც არ შეუწელებია და ამაყი, გოროზი, შავად აწოწილი მიუყვებოდა ქუჩას.

ველას დაქერა, სხვათაშორის, არც ნატოს შეუცხადებია, მაინცდამაინც. ეგ იყო, რომ გუნებაცა და გარეგნობაც ერთბაშად გამოეცვალა, იმდენად მოულოდნელად, დიმიტრი თავისუფლად გამოლაპარაკებასაც ველარ უბედავდა, რაღაცნაირად დაბოროტად გრძნობდა იმასთან თავს. ადვილი შესაძლებელია, მხოლოდ და მხოლოდ, გარდამავალი ასაკის ბრალი ყოფილიყო ნატოს უეცარი გარდაქმნა, მაგრამ დიმიტრის, რა-

ტომდაც, ერჩია, გელას დაქვეით უფილიყო გამოწვეული, ვიდრე მისთვის უცხო, მისთვის საიდუმლო ბუნების უნონონომიერებით, რაც თითქმის უფრო სახიფათო იქნებოდა თავად ნატოსთვის, ვიდრე მეზობლისა და თანატოლის უბედურებაზე წუხილი. ნატო კი, არც სიტყვით გამოთქვამდა თავის წუხილს და არც უსიტყვო ცრემლით, ასე უხვად რომ სდიოდა დედამისის თვალს. უბრალოდ — გულგრილი, გულჩათხრობილი და დაუდევარი გახდა. თუ არ გაახსენებდი, ლუქმას არ ჩაიდებდა პირში, თუმცა მაშინაც უნდოდა, უგემურად ილოდნებოდა და ერთი სული ჰქონდა, როდის წამოდგებოდა სკამიდან, ლოგინს გაუსწორებელს სტოვებდა, თმაგაჩეჩილი, პერანგის ამარა გამოდიოდა თავისი ოთახიდან და მთელი დღე წუწუნით, ბუზღუნით დაეძებდა წიგნს, რომელიც ხელში ეჭირა. ზღვაზე ისევ დადიოდა, მაგრამ ზღვიდან მობრუნებული, ძველებურად, თვითონვე კი არ გაფენდა გასაშრობად თავის საცურაო კოსტუმს, სადაც მოხვდებოდა, იქ მიაგდებდა, და, ლექვის მოფსმულივით, ყოვლად შეუფერებელ ადგილას გაჩნდებოდა ხოლმე პატარა გუბე. თვითონ კი, პიანინოს მიუჯდებოდა და იქამდე უკრავდა (ადრე ყელაწეული ეხვეწებოდა დედამისი, თუ არ დაუკრავ, ან რას სწავლობდი, ან რა ჯანდაბად გვიანდა ეს შავი ყუთიო), სანამ თითის წვერები დაუბუყდებოდა და ზურგი გაუშემდებოდა. კი არ უკრავდა, აცოდვითლებდა კლავისებს; თითქოს კბილებდაკრეჭილ პიანინოს აღიზიანებდა, აძლევდა და არც აძლევდა თავის ხელებს შესაქმელად. პიანინო წუხდა, კენესოდა, მოთქვამდა და დიმიტრის, უნებურად ისევ ძველი დრო ახსენდებოდა, თავისი დამფრთხალი ბავშვობა, სტუმრების ყრიაშლით გაოგნებულს, ვილაც დამთხვეული ოფიცერი გასისხლიანებული ლეჩაქით გადახვეულ ხელს

ოთარ ბილაძე  
რამინის თეატრი



ცხვირწინ რომ უტრიალებდა და ახარებდა: აი, მე როგორი ვავა მაქვსო. „შეიკვებე შენი ვავაო“ — ახლა პასუხობდა დიმიტრი, და მართლაც, იმისი ვავა დიმიტრის სატკივართან, საფიქრალთან და სადარდელთან შედარებით, მოგონილი იყო, სასაცილო. დიმიტრი ჯერჯერობით მხოლოდ გრძნობდა, ჯერჯერობით კიდევ არ იცოდა, მაგრამ უკვე მოუტრჩინელი, მშვიერი ბარტყივით პირდაბჩენილი „ვავა“ სჭირდა გულში და მთელი სიცოცხლე საკუთარი ხორცი თნდა ერჩინა იგი, რადგან სხვას მაინც არაფერს მიირთმევდა — გაუმადლარი, ღორმუცელი, კაცისჭამია. გელა კი, ამასობაში, ზედოზედ გამორბოდა ციხიდან. ქვას აპობდა, ქვიტიკის შლიდა, რკინას კვენტდა და ისევ კანონის შეურყეველ კედელს აწყებოდა ბოლოს. ხოლო იმ კედელს უფრო მეტი ხელი ესხა, ვიდრე თვითონ, ერთ დარტყმას ასით პასუხობდა და, ბოლო-ბოლო, ისევ თვითონ ინგრეოდა, თვითონ ინაყებოდა და თავპირდასისხლიანებული ციხეს უბრუნდებოდა, რათა ერთხელ კიდევ გამოქცეულიყო იქიდან. ხოლო დიმიტრი, გელას მორიგი გამოქცევიდან მორიგ შეპყრობამდე, ისევ ფშუტი თავთავივით თავაწეული დადიოდა სახლში. გული უგრძნობდა, მის სხვენში რომ აფარებდა თავს გამოქცეული გელა. საეჭვოდ, შემამოფოთებლად ჩაწყნარდებოდა ხოლმე სხვენი, მაგრამ იმას როგორ იკადრებდა, ჯოხი მიეკაკუნებინა ჭერზე და სხვენში გატრუნული ბიჭისთვის დაეყვირა: ვიცი, რომ მანდა ხარ და გირჩევნია, შენი ნებით გამეცალო, ვიდრე პოლიციისთვის დამიძახნიაო. ხოლო ერთ დღეს, როცა მისმა ქალიშვილმა ხელსახოცგადაფარებული თეფში ოფიციალის გულგრილობით ჩაუტარა ცხვირწინ და თავისი დამთხვეული მეზობლის დასაპურებლად სხვენს მიაშურა, ჯერ სიცლი აუვარდა, (უკვე შემჯდარი ყავდა ეშმაკი), მერე კი თავზარი დაეცა, რადგან მთელი არსებით იგრძნო, ყოველი წამის დაყოვნება გამოუსწორებელი შეც-

დომა რომ იქნებოდა, დიდი ბოროტება რომ იქნებოდა საკუთარი შვილის წინაშე, რომელიც ისე დაუბრუნებინა სიკეთესა და სიყვარულს, ნებისმიერ ხაფანგში შეყოფდა თავს, ისევე გულგრილად, როგორც ხელსახოცგადაფარებული თეფში ჩაატარა წელან. დაყოვნება ნამდვილად დანაშაული იყო და თანაც ისეთივე ბინძური, როგორც ბრმისთვის — ჯოხის, ანდა კოსტასთვის ხის ფეხის მოპარვა, ხის ფეხისა, რომელიც ღამდამობით ბალიშის მაგივრობას უწყევდა და ურომლისოდაც დღისით სარდაფის კიბეზეც ვერ ამოვიდოდა, ქვეყანა რომ დაენახა. ამიტომაც იყო, ღამის შუალამისას, თავსხმაში, ფეთიანივით რომ გამოვარდა შინიდან და კი არ აპყვა ეშმაკს, ზედ ჩამოეკიდა — მიშველეო, რადგან თვითონ ისე იყო დაბნეული, არ იცოდა, სად უნდა მისულებოდა, ვისთვის უნდა მიემართა. მიდი, მიდი, მართალი ხარ, რომ იცოდე, რა სიკეთეს სჩადიხარო — აქეზებდა ეშმაკი — გელას მაინც დაიჭერენ, მაგრამ რაც უფრო მალე დაიჭერენ, იმისთვისაც აჯობებს და შენთვისაცო, ვეკილი კაცი ხარ, ჩემგან რა გესწავლებაო. მარტი იყო, ცა ფეხად ჩამოდიოდა. ქალაქი არ ჩანდა, თითქოს წყალს წაუღიაო. არც ახსოვს, როგორ გარბოდა თავსხმაში, როგორ შევარდა პოლიცემისტერის კაბინეტში, როგორ მოითხოვა მაშინვე წყალი, თითქოს ამის გულისთვის გამოქცეულიყო შინიდან, წყურვილისთვის ვერ გაეძლო, და ახლა თან წყალს სვამდა, თან წარამარა მადლობას უხდოდა ვილაც ყბაახვეულ ქანდარმს, პოლიცემისტერის ნიშანზე კედლიდან რომ გამოდიოდა თითქოს, ჭიქას უესებდა და ისევ კედელში შედიოდა, არც ის ახსოვს, რა იბოდილა, რას მიედ-მოედო, ვიდრე, თავისი ჭკუით, მეტად მოხერხებულად შეაპარებდა პოლიცემისტერს, თქვენ რომ პორტსა და სადგურში ექვთ, რატომ არ შეიძლება, ის კაცი სადმე სხვენში იმალებოდესო. თუ კაცი ხარ, ერთი გამაგებინე, კახუსტი რას ნიშნავსო —



ჰკითხა პოლიცემისტერმა. შერევილი მარტი იყო, ცა ფეხად ჩამოდიოდა. ცარიელ ქუჩაში, სარკესავით მოკრიალებულ ასფალტზე, აკონწიალებული ნათურის მბეჭუტავ შუქზე, მავთულს გადამწყდარი ჩიტი კედებოდა. ნავსადგურში გემები ღმუროდნენ. სადგურიდან ორთქლმავლის შეკვივლება ისმოდა, თორემ ისე უკაცურს გავდა ქალაქი. მარტი იყო, ყველაზე გიჟი თვე. მტირალაზე თოვლი იდო. ნესტიანი სიცივე ძვალრბილში ატანდა. არაფერი ჯობდა ახლა შინ ყოფნას და ლოგინში წოლას. გინდაც არ დაგძინებოდა, არაფერი დაშავდებოდა, გაუყუჩდებოდი სითბოს, ჩაკიდებდი ხელს რომელიმე ფიქრს, როგორც გლეხი — ურმის ქალს, და ნელა, ტაბით, შეიძლება სასიამოვნოდაც კი გაგეყვანა დრო. ის კი პოლიცემისტერის კაბინეტში იჯდა და ჰიქას ჰიქაზე ცლიდა, ვერაფრით ვერ იკლავდა წყურვილს. თან დაბნეული იმეორებდა გუნებაში: კაზუსტი, კაზუსტი, კაზუსტიო, როგორც იღუმალებით მოსილ ბიბლიურ სიტყვას, რომელსაც, მზირი გამეორებისგან, თავისთავად დაეკარგა იღუმალი აზრიცა და მნიშვნელობაც. ქუჩაში ჩამოვარდნილი ჩიტი უკვე მომკვდარიყო. სველი, აჩეჩილი ბუმბულიდან მხრის გაშიშვლებული ძვალი გამოეყო, წკირივით გადატეხილი. ეგდო ასფალტზე, ელოდებოდა, როდის გაათრევდა მაწანწალა ძაღლი, ანდა ვინმე მადლიანი, როდის ჩაგდებდა სანაგვე ყუთში. წვიმა გაშმაგებული ტყეპნიდა მძიმე, ტყვიასავით მძიმე და სწრაფი წვეთებით, თითქოს ასფალტში უპირებდა ჩამარხვას, ჩაგლესვას, ჩაკარგვას, გათენებამდე, მაწანწალა ძაღლის ანდა ვილაც მადლიანის გამოჩენამდე რომ მოესპო ამ ბრმა სიკვდილის კვალი. დიმიტრი კი პოლიცემისტერის კაბინეტში იჯდა და ალმური გადასდიოდა სახეზე. კეფაში თითქოს ჩაქუჩს ურტყამდა ვილაცა და ისიც

უნებურად აბრუნებდა თავს, მართლაც ხომ არ მიდგას ვინმე უკანო. მზანველი ჟანდარმი მხოლოდ წყლის დონის მელად გამოდიოდა კედლიდან; გადაუვსებდა ჰიქას და ისევე კედელში უჩინარდებოდა. ოთახში ისა და პოლიცემისტერი იყვნენ მარტო. ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ და უღიმოდნენ ერთმანეთს. დიმიტრის ცეცხლი ეკიდა. კაზუსტი, კაზუსტი, კაზუსტიო — გიჟივით იმეორებდა გუნებაში. ცოტაც და ალი ავარდებოდა ალბათ. გაძლება რომ გაუჭირდა, ზრდილობა ფენებზე დაიკიდა, ცხვირსახოცს ჰიქიდან წყალი დაასხა და გავარვარებულ კისერზე დაიფინა. „როგორ იცვლება ცხოვრება! მამათქვენს, ჩემს პატივცემულ კოლეგას, თავზე ხელაღებული ავაზაკიც ანგელოზი ეგონა; ჩვენ კი, მის შვილებს, ანუ მე და თქვენ, ანგელოზის ცელქობაც ავაზაკობად გვეჩვენებო“ — ამბობდა პოლიცემისტერი, ძალიან ნელა, ძალიან დიდხანს, ლეჭვით, ზოზონით, ათასი ყოვლად უსარგებლო, ყოვლად შეუფერებელი სიტყვის მოშველიებით, მაგრამ დიმიტრის მაინც ესმოდა, მაინც პირდაპირ ტვინში ურტყამდა პოლიცემისტერის ნალაპარაკევი. „არავითარ შემთხვევაში. არავითარ შემთხვევაში. არავითარ შემთხვევაში“ — ლულულულებდა უაზროდ, რადგან თვითონაც არ იცოდა წესიერად, რისი თქმა უნდოდა, რას უარყოფდა: მამის გულუბრყვილობასა თუ საკუთარ გულნამცეცობას. სროლა რომ ატყდა ქალაქში, დაფეთებული წამოვარდა ფეხზე და იყვირა: მოკლავენ, მოკლავენო! „ჩვენ არავის არ ვკლავთ. ჩვენ თქვენს სიმშვიდეზე ვზრუნავთ!“ — რატომღაც გაუბრაზდა პოლიცემისტერი, მაგრამ მაშინვე გაიღიმა, თავი გადააქნია, ხელით ანიშნა, დაჯექიო, და გააგრძელა: ისა. ფუი. დასწყევლოს ღმერთმა. სპექტაკლია. დიხ, პატარა სპექტაკლიო.

გაგრძელება იქნება



მუხრან მამაკარიანი

**კვლავაც ნატვრაში გავა  
სანუთრო?!**

ყველა, ვინც კაცი იყო კაცური, —  
ნატვრითურთაა საფლავს ჩასული.

დღესაც, ვინც ნაღდი ძეა ადამის, —  
გაუმხელელი ტანჯავს ნატვრავე.

კვლავაც ნატვრაში გავა სანუთრო?! —  
ვაი, რომ გადის კაცნო კაცურნო!

**სიტყვა თქმული  
ისევ ფილადელფოს კიკნაძის მიერ  
ისევ ქმათა თვისთა თანა  
ისევ შუამთაში**

(ციკლიდან „1832“)

როგორც ახალი ნაჭინჭრაქალი, —  
ტოკავს ასკილი, ანდა გრაკალი:  
ზუსტად იმგვარი, ზუსტად ისეთი  
(ყველა სიგლახის როა მიზეზი), —  
სულყველაფერზე თავის კანტური,  
საქციელია არაქართული!

უცხოვს როდესაც ჰკოცნი იაზონს  
და ზურგზე ისვამ, როგორც იპბო,  
თავმა თუ არა, ტვინუსუარო,  
ტანმა ქე მაინც უნდა გიაზროს, —  
რა შეიძლება მოჰყვეს იმ ამბორს.

მე ამას მხოლოდ იმიტომ ვამბობ, --  
ვიცი: ხამს ხოლმე რა დროს ძმა ძმისთვის,  
ვიცი, რა მოჰყვა მედეას ამბორს,  
როგორ დავკარგეთ, მახსოვს, სანმისი.

როგორც ახალი ნაჭინჭრაქალი, —  
ტოკავს ასკილი, ანდა გრაკალი,  
ზუსტად იმგვარით, ზუსტად ისეთით  
(ყველა სიგლახის როა ზიზეზი), —  
სულყველაფერზე თავის კანტურით, —  
ენაც დავკარგეთ კნინლა ქართული!

### მოაჯირს აკლდა, მახსოვს, რიკული

*ათასში ერთხელ,*

სოლოლაკს ზემოთ,

გონთ გაიღვებებს დგნალი ყვითელი

და ტიცვიანის სტრიქონის გემო,

არა დღეისა,

იმჟამინდელი.

მოაჯირს აკლდა, მახსოვს, რიკული,  
შორს ბალი ჩანდა ბოტანიკური.

### და ძაღლი ყმუის

სარკმელს ურიცხვი ენარცხვის მუმლი,  
ბებერი კომში წაქცევაზეა.

სიკვდილი სახლებს გარშემო უვლის, —  
ვინ წაიყვანოს: არჩევანშია!...

და ძაღლი ყმუის, ყმუის და ყმუის...

ჩემს გაჩენაში ურევია თუკი გამჩენი,  
ჩამციებია, დალოცვილი, რასლა დაისი?!  
სიცოცხლე კია უმაღლესი, ვიცი, სასჯელი,  
მაგრამ გავქეცე?!  
არ გავქეცე?! —  
რა სჯობს, — არ ვიცი!

## შახვედრა გურიაში



ვიყავი მონმე,  
გურიაში ვნახე პირადად,  
ჩემს ტარიელთან,  
ჩემს გივისთან,  
ჩემს ამირანთან,  
ვეებერთელა ჟღალი ყანნი რომ დაყირავდა, —  
ფეხზე წამოხტა რანაირად სისხლი ფირალთა.

ვიყავი მონმე,  
გურიაში ვნახე პირადად,  
ანასეულში,  
ცხავათაზე,  
ნასაკირალთან,  
თავშეკავებას, ღამის წყვდიადს, როგორც სინათლე,  
ენარცხებოდა გააფთრებით სისხლი ფირალთა.

## უბედურება რა გინდა მეტი?

უბედურება რა გინდა მეტი? —  
რომ დაიძახო: — ქურდს ქუდი ეწვის!..  
არ მეგულემა მადღრებში ერთიც,  
რომ არ იტაცოს მყის ქუდზე ხელი.

უბედურება რა გინდა მეტი?

## სამღურავი

გკითხულობ ლექსებს...  
უფალო, სად ხარ?!  
უკეთუ აქ ხარ,  
დალოცვილო,  
კითხვა არ იცი?! —  
სხვისია სიტყვა,  
სხვისია ხმა,  
სხვისია ქარგა?! —  
და რაღა დარჩა,  
თუ გიყვარდე,  
როა თავისი?!

და მოშაირე ამნაირი ერთია განა?! —  
ვაი, რომ არა!

ის არაფერი, —  
ეს რომ ასე არ იცის ხალხმა!

საქმე ის არი! —  
დაუღლია კრიტიკას ხახხა, —  
და პროეტებად ითვლებიან ესენი ახლა.

**ფრიად დამვიანებულნი,  
მაგრამ ფრიადრე აბტუალური რეპლიკა  
სრულიად საძართველოისა და მეფისა  
არჩილისა მიმართ**

ლექსი ჩემი სჯობს გვარად და ტკბილად სასმენლად ყურისა,  
მაშინც რუსთველსა აქებენ, მე იმან გამაგულისა.

თეიმურაზ პირველი.

თქვა ზელმწიფური ლექსები, თვით რუსთველის მოსაწონისი,  
ლექსთა მკითხველთა მელექსედ ხან ის აქეს და ხან ისი.

ნოდარ ციციშვილი

კახთა მეფე თეიმურაზ ყოველთა უკეთესია.

მაშუკა მღვივანი

ბევრელ მასშია ცილება, ამბობდენ სჯობსო ეს მასო.


არჩილ მეფე

ამხანაგებო,  
მეგობრებო,  
მოყვრებო,  
მტრებო.  
ნათესავებო,  
მეზობლებო,  
დედებო.  
დებო,  
ქართლო,  
კახეთო.  
იმერეთო. —

ქვემოც და ზემოც:  
ვერ გრძნობდე უნდა კაცი ლექსის რამდენად გემოს, —  
ის რომ იკადრო.  
რაც იკადრა ბატონმა თემომ.  
დამეთანხმება:

კახი,  
კოლხი,  
ტაოხი,  
კლარჯი,  
ჯავახი,  
მესხი,  
თუში,  
სვანი,  
ერუში,  
შავში...

რაც არაერთხელ თქვენ გასმიათ ბატონო არჩილ! —  
თვით ცეროდენა  
დღეს არ იტყვის  
იმ სიტყვას ბავშვი.



ვინ?! —  
ხელოსანი ვამჯობინო ხალას ხელოვანს?  
ბნელა? —  
თუ ბნელა? —  
კი, ბატონო! —  
მაგრამ დღე როა?

### არა, გიორგი

არა, გიორგი, ჯერ კიდევ არი,  
ისეთი კაცი ჯერ კიდევ არი,  
რასაც ის დაწერს, — ვერ დაწერს სხვაი,  
ვერ დაწერს, თუგინდ მოიკლას თავი.

არა, გიორგი, ჯერ კიდევ არი,  
ისეთი კაცი ჯერ კიდევ არი, —  
და თუ არ არი „შესანიშნავი“,  
ეს იმიტომ, რომ არ არი მკვდარი.

### ენა ქართული

ქართული მარტო ენაა?! —  
ქართული ქართველთ რწმენაა!  
ღმერთია!  
ბედისწერაა!  
ზღვა როა! —  
იმოდენაა!

### ჩამოკახილი

მტრული აშოროს მზერა!  
ავს არ ეხილოს თვალს! —  
ჯვარი სწერია გელათს!  
ჯვარი სწერია ჯვარს!



### როცა გედი არ გწყალობს...

(ერთი პოეტის ნაამბობი, ავტორის მიერ კეთილსინდისიერად  
გალექსილი)

...არის ცთუნება (მაშ, ამქვეყნად რისთვის არსებობ,  
თუ შენ ჭკუაზე არ გახედნე გიჟი საწუთრო?);  
დაღლილი ხელი ქალის წელზე ჩამოასვენო  
და— რაც სხვისია — შეუმჩნევლად დაისაკუთრო!

ტროლეიბუსი... გასასვლელში გოგონა მარტო..  
— ახლა ჩადიხარ, გენაცვალე?  
— მიბრძანდით.  
— გმადლობთ.

ან კიდევ (ასეც ხდება ხოლმე!): სალაროს რიგი..  
ქალის და კაცის ზედახორა... მავანი — მავანს:  
— ბოლო თქვენა ხართ, ქალბატონო?  
— გაინი იქით!

— რა ბრძანეთ?  
— ხელი გააჩერე!... უყურე ამას?!  
მარტო ლანძღვა რომ არ იკმაროს, — რას შვრები მერე?!  
მოდით და კაცმა

ამის შემდეგ  
ლექსები წერე!

### პოეტის ცხოვრება

პირველი წიგნის გამოსვლას ელის,  
მერე მეორე წიგნზე ოცნებობს.  
ნატრობს — მესამე როდის გამოვა,  
მერე მეოთხე, მეხუთე... ასე  
ელის და ითვლის წიგნებს,

კრებულებს

და სათვალავი ეშლება: ბოლოს  
არც ახსოვს — როდის რა გამოვიდა  
და არ ახარებს მორიგი ტომი,  
რადგან მის იქით — იმ

„შესწორებულ“

და იმ „შეცვებულ“ გამოცემასაც  
ხედავს, რომელსაც ვერ მოესწრება...



რაოდენი მოთმინება გმართებს,  
რომ ღამაზებს არ დაუხვდე სადმე  
და რომ გული მოიოხო ამით,  
არ შეასხა ქეძაფი ან შხამი!

რა მედგარი გული უნდა გქონდეს,  
რომ კაცებში გასძლო თუნდაც ორ  
დღეს  
და თავზე არ ჩამოიცვა ყულფი  
ან კედელს არ მიანარცხო შუბლი?!

მიკვირს, — ეგრე როგორა ხარ  
მშვიდი,  
როცა ქვეყნად ამდენია ხიდი?  
რანაირად იმორჩილებ სურვილს,  
სარკეში როს იხედები მარტო,

რომ ბოღმისგან არ გადგინდეს  
ერმიტაში,  
მბტნიპანი,  
პრადო?!

თუმცა, ახლა ისე გაძღა ხალხი, —  
სიღამაზეს აღარ უხდის ღალას  
და „ჩაცმული“ თუ „შიშველი მახის“  
ინტერესი აღარავის არ აქვს!

ოთხკუთხედი თეძოები მოსწონთ,  
ძუძუები — ალუბლების ხელა...  
და ამგვარი ახირება მონშობს,  
რომ შენ სახეს — უფერულს და  
მოგრძოს —  
მაღე ხ ა ტ ა დ აღიარებს ყველა!

ჩვენაზური ნოველა

ერთ ციცქნა სამზარეულოში  
ოთხი ქალი  
შეყუყულა.  
დედაკაცებია თუ დიასახლისები,  
ცოლებია თუ დედები,  
ძვირფას კაბებში და ჯინსებში  
გამონწყობილნი —  
სიგარეტს აბოლებენ და მუსაიფობენ.

„Marlboro...“  
„Kent...“  
„Pall Mall...“  
„ზაფიგალკები“:  
იპონური,  
შვედური,  
ამერიკული —  
ყველაფერი საზღვარგარეთული  
აქვთ!..)

ქალები სხედან და მუსაიფობენ..

ოთხი საათია უკვე  
მათი ტუჩების ამონაბოლქვით  
იფლინდება პატარა სამზარეულოს  
კედლები, ჭერი...  
ტელეფონი —  
შავ მავთულზე გამობმული თეთრი  
ფინია —  
სამზარეულოშია გამოტანილი

და დროდადრო წკვენკავენს,  
რაც ოდნავ ახალისებს  
უღიმღამო საუბარს,  
ყველასა და ყველაფერს რომ ეხება,  
იმ ოთხეულის გარდა,  
მაცვივარსა და გახუქურას შუა რომ  
მოკვლათებულა

და სიგარეტს წუნის...  
გვერდით, სასტუმროში —  
ძვირფასი ავეჯია ანტიკვარული  
(გეორგ IV-ს სასახლიდან  
ჩამოტანილი):  
ვერცხლის ლარნაკები, მარმარილო,  
ბროლი...

ამ დარბაზში — არავის შეესვლება.  
„ტბპ“ — აწერია საძილე ოთახსაც,  
სადაც ლოდონიკოს სტილი მეფობს:  
ბაროკო, როკოკო...

„კო-კო-კო... — კაკანებს  
დიასახლისი, —  
კოსტუმი მოიტანესო გასაყიდა...“  
„კაა-კარგია...“ — კრიანობენ

ქათმები,  
თან დანატულ წამწამებს ნაბავენ  
და კენიანი ნისკარტებით  
ჩინური ფაიფურის ფინჯნებიდან  
ყავას წრუპავენ.  
(მერე ამ ფინჯნებს

გადმოაპირქვავებენ  
და ნალექის მიხედვით  
მარჩიელობას მოყვებიან:  
ვის რა ბედი მოეღის...)

მათი ქმრები კი —  
ერთი ციხეშია,  
ერთი — რესტორანში ქეიფობს,  
ერთი — რაიონის ხელმძღვანელია  
და ორლობების ტალახს ზელავს,  
ერთი კი — შორეულ არგენტინაში  
ცერულით დადის  
და ქართული კულტურის ამ  
მონაპოვრით  
უცხოელებს აგიჟებს.

სამზარეულოში  
მელნით თითებმოთხვრილი ბიჭუნა  
შემოდის.

— დედი, ამოცანა არ გამოდის...  
— მომკლა ამ ბავშვმა! — კენესის  
დიასახლისი,—  
მომწყდი თავიდან!..  
ბიჭუნა გადის.  
ქალები საუბარს აგრძელებენ  
და საკვამლე მიღები  
ბოლავენ,  
ბოლავენ,  
ბოლავენ —  
ნიშნად იმისა რომ თბილისში  
სამუშაო დღე  
ჯერ არ დამთავრებულა.

### კ ა ჟ ი ა

ციკლების და პოემების  
მოყვარულო მგოსნებო,  
ერთი ლექსი თუ გქონიათ  
როდისმე საოცნებო?  
ერთი სიტყვა, ერთი ბგერა —  
მართალი და საჩინო,  
რომლის მერე ლექსის წერა  
ალარ არი საჭირო?!

მე ისეთი ვერ დავწერე  
ლექსი სამაგალითო,  
თუმცა ბევრი სისულელე  
შემიძლია გავრითმო.  
მაინც იმედს არა ვკარგავ  
(აქ თავდება კაფია), —  
იქნებ ლექსად გამოგადგეთ  
ჩემი ე პ ი ტ ა ფ ი ა?!

სიყვარულზე დაწერილმა ლექსმა თუ არ გაიყოლა  
შენი გრძნობის ნაწილი მაინც, —  
არ ვარგებულა ის ლექსი  
და შენც არ ყოფილხარ პოეტი!



### უფოთლო ხეები

თოვლზე დარჩა კვალი თეთრი ცხენების  
როგორც კვამლი, სული მიაქვს ქარიშხალს.  
ახლა მინდა სიტბო შენი ხელების,  
ცაზე ცივი ვარსკვლავები გახშირდა.

მიღონებენ გულს უფოთლო ხეები,  
ცივად მიცქერს ციდან მთვარე ნაკლული,  
სამშობლოში ნუთუ არ ვიხსენები,  
ქრისტესავით შენთვის ჯვარზე გაკრული.

ახლა მინა რაღაც უფრო ცივია,  
სულს სწყურია უფრო მეტი სინათლე, —  
ნუთუ ბედი ერთხელ არ გამიმართლებს?!

ირგვლივ ცივი ფანტელები ცვივიან,  
ველებს ფარავს თოვლის თეთრი მანტია.  
ლურჯად მხოლოდ ჩემი სული ანთია.

### მომღერალი ქვის ბაღადა

მერაბ ბერძენიშვილს

დარაჯობენ ლეკვნი ალგეთს,  
მგლის ძუძუ

რომ უწოვიათ,  
ლოცავთ დედის თბილი ბაგე,  
ქვაზე ნათელს უთოვია.

პირზე დასდით

ლურჯი თქორი, —  
მადლი მზის და

მადლი ღვთისა,  
და ვარდს ისხამს ლომთაგორის  
ქვა მჩინარი ღიმილისა.

და ტკარცალებს ქვაში ცეცხლი,  
ქვაში გამხელილი ვნება,

თოვლია თუ წვიმა ვერცხლის,  
ქვაში ვარდის ფერი დნება!

ქვაში ხსოვნა გარდასულის,  
ქვაში ამონეული სევდა,  
ქვაში გადასული  
სული.

დალოცვილი ქართლის დედა.

დგას კვარცხლბეკზე გამართული,  
საქართველოს მინას ლოცავს,  
ფოთოლს ისხამს გაზაფხულის  
და ქვა სუნთქავს ისე ცოცხლად, —

ქვაში გამხელილი ფერით,  
ქვაში ალენილი ცეცხლით,  
ქართლის ცხელი გული მღერის  
და წკრიალებს ხმაში ვერცხლი.

ქვაო, ქვაო, მომღერალო,  
დაღვრილ სისხლის უკვდავებავ.  
ცაში ლოცვად აღმავალო,  
შენს სულს ვინ გაუმკლავდება?!

ამოგიდგამს ენა ჩიტის  
და ვარსკვლავებს შეჭიკჭიკებ...  
ქვა კი არა, ორი ბიჭი,  
ჯერ რომ მართლა გვანან ჭინკებს.

უსვენიათ მკლავზე ფართო,  
გორგასალის მძიმე ხმალი.  
დედის ლოცვა თავზე ათოვთ  
და ზრდით ქართულ მიწის მადლი.

გასცქერიან მღვრიე ალგეთს,  
მგლის ძუძუ რომ უწოვიათ,  
ანგელოსის ლოცავთ ბაგე,  
ქვაში ბედი უპოვიათ.

გადასულა ქვაში სული,  
ალენილი ვარდის ფერით.  
მტერი კვდება დაზაფრული,  
მადლიანი მიწა მღერის.

ციდან ღვთის მადლს უთოვია,  
ჩვენს ხმალს ვინ გაუმკლავდება?!  
ბავშვებს დედა უპოვიათ,  
საქართველოს — უკვდავება!..

## ვინ გაუსწორებს თვალს...



როგორც ნაგაზი ძვალს,  
ეჭვი მღრღნისა და მკლავს,  
ვინ გაუსწორებს თვალს  
ხვალ საქართველოს ცას!  
ვინ,  
ვინ  
გაავლებს ღრმად  
მამულის ველზე კვალს,  
ან რა იქნება ხვალ,  
ან რა გაჰყვება ქარს?  
როგორც ნაგაზი ძვალს,  
ეჭვი მღრღნისა და მხრავს...

ვინ გაუსწორებს თვალს  
შოთას,  
აკაკის,  
ვაჟას,  
ვინ დაუმშვენებს მხარს  
დავითს,  
ილიას,  
ტატოს?  
ჩანგს ხელს შევასებო რა ჟამს,  
მათ კურთხეულ ხმას  
ვნატრობ...

ვენდობი გალაკტიონს,  
ვიდრე ცეცხლი მწვავს მეტი,  
ჩემს ვარსკვლავს უნდა ვდიო  
გიჟი ცხენების ეტლით!

გრიანებს ორბელიანი  
და ხმაღზე იდებს ხელს,  
ვიცი, არაა გვიანი.  
მტერს გამოლადრავს ყელს...

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო“,  
თაყვანი ეციოთ ახალს,  
იმდენი ფერი გვათოვს,  
ხვალ სხვა სასწაულს ვნახავთ!

ყველა თავისას რთავს,  
ყველა თავისას ძახავს,  
ჩემსას ვაღმერთებ ცას,  
ნუთუ ამიტომ მძრახავთ?!

გინდ მომინათლეთ ნაკლად,  
გინდა შემიქეთ გარჯა,  
სხვა ფერს დავეძებ სამკალს,  
მზეს სხვას ვუგზავნი აჯას.

ყველა თავისას რთავს,  
ყველა თავისას ჭრის,  
მე თაყვანსა ვცემ ბრმად,  
რის სიყვარულიც მჭირს.

და როგორც ძალღი ძვალს,  
ექვთი მღრღნისა და მკლავს,  
ვინ გაუსწორებს თვალს  
ხვალ საქართველოს ცას!..

მორჩა! — ყველას უარი,  
აღარავინ მჭირდება,  
ეს ცა გაუხუნარი  
უკვდავებას მპირდება.

რა ბალები დაზრდილან,  
რა ხეები ჰყვავიან,  
აგსებულან თაფლითა,  
თავზე ოქროს მაყრიან.

მორჩა! — მღვრიე ქარებით  
არ წუხს სული ობოლი,  
ჩემი ნაზი ბნკარები,  
ვაზის თოთო ფოთოლი.

შენსკენ მოვეხარები,  
მეძახიან მინდვრები,  
გამწე, ფიცხი ხარები,  
თივის ზორბა ზვინები.

მორჩა! — ყველას უარი,  
აღარავინ მჭირდება,  
ფერი გაუხუნარი  
უკვდავებას მპირდება!

შფოთით დაუცხრომელით,  
ახლა ნულარ ღონდები,  
ვიცი, წავა ყოველი,  
მაგრამ ჩვენ არ მოვეკვდებით...

გია ლომაძე

# თეზაური კატი

ზარის ხმამ გაპყვეთა ოთახში დაგუბებული ღამეული სიჩუმე და მთვლემარე კედლებს მიაწყდა. მძინარე ქალიშვილი შეკრთა, ხელის ფათურით მიაგნო ყურმილს და მასთან ერთად, ელრიალა ბგერების ნაკადიც მოხსნა.

— გისმენთ! — თქვა ძილისგან ძალაგამოცილი ხმით.

ყურმილში სიჩუმე იყო.

— გისმენთ! — გაიმეორა ქალიშვილმა.

— გემუდარებთ, ნუ დამიკიდებთ ყურმილს! ძალიან გთხოვთ...

— დიახ... — თქვა ქალიშვილმა, ძილი განერიდა და გაურკვეველობის გრძნობა დაეუფლა. თვალები გაახილა და უნებურად ყურმილს ხელი მოუჭირა. — რა თქვით? — იკითხა გაოცებით.

— ნუ დამიკიდებთ ყურმილს, ძალიან გთხოვთ... — ხმა შორიდან, თითქოს სხვა სამყაროდან ისმოდა; ოდნავ ჩახლეჩილი ბარიტონი იყო და ნაწყვიტ-ნაწყვიტი ჩქარი სუნთქვა უცნობის

მლელვარებაზე მიანიშნებდა. ხმა სრულიად უცნობი იყო, ადრე არასოდეს გაეგონა.

— დიახ... ვინ ხართ?

— ვიცი, რომ გეძინათ... — თქვა ცოტაოდენი დუმილის შემდეგ უცნობმა.

— მერე? იმიტომ დარეკეთ, რომ ეს ჩემთვის გეცნობებინათ? — უკვე სავესებით გამოფხიზლებული, საწოლიდან გადმოიხარა და სანათურა აანთო. შუქმა თვალები ისევ დაახუჭვინა.

უცნობი დუმდა.

— ხომ არ გეჩვენებთ, რომ მაგ მიზნით დილით აჯობებდა დარეკვა, დაახლოებით რვა საათსა და ცხრის ნახევარს შორის?

— არ შემიძლია დილით დარეკვა... — თქვა უცნობმა, — ნუ დამიკიდებთ ყურმილს, სულ ცოტა... რამდენიმე წუთს მელაპარაკეთ მხოლოდ! ეს ხომ საოცრად უმნიშვნელო რამაა თქვენთვის...

სევდიანმა, გაბზარულმა ხმამ უეც-



რად უჩვეულო სიბრალულის გრძობა აღუძრა, რომელიც ცნობისმოყვარეობაში გადაიზარდა და ყურმილის დადება გადააფიქრებინა.

— მერწმუნეთ! — თქვა ჩემად, თითქმის ჩურჩულით უცნობმა, — ჩემთვის სულ ერთი იყო, ვისთან მოვხვედებოდი და ვინ აიღებდა ყურმილს...

ვინა ხართ თქვენ? — გააწყვეტიანა ქალიშვილმა.

— თაბაშირის კაცი!

— რა თქვით? — „მთვრალია ალბათ“, — გაიფიქრა.

— არა ვარ მთვრალი! — სწრაფად თქვა უცნობმა, თითქოს ქალიშვილის გონებაში წამით გაელვებულმა ფიქრმა ყურმილში გადაინაცვლა და ტელეფონის უჩინარ, საღაც მიწაში ჩამარხულ სიფრთხანა მავთულებს გაყოლილი, უცნობს მისწვდა. — არა ვარ მთვრალი... მარტო ვარ, ნაშუაღამევს კი უფრო ვგრძნობ მარტოობას, როგორც ნიჩბებდალეწილი ნავი ფიქრთა იღუშალებით სავსე ოკეანეში...

— მერე? — ინერციით იკითხა ქალიშვილმა.

— მითხარით რამე... თბილი და სააღერსო. მე ახლა ყველა ის სიტბო მინდა, რაც წლების განმავლობაში უნდა მიმელო ალბათ... მომეფერეთ!

— რა თქვით? ეს კი მეტისმეტია!

— არა! — თქვა კაცმა, — ყველა სხვისთვის იქნება მეტისმეტი, ჩემთვის კი არა!

— კი მაგრამ, თქვენ ვითომ ვინ ხართ?

— რა მოხდა? — იკითხა უცნობმა მძიმედ, ბრაზის სიძებე აულერდნენ ამ სიძიმეში, ჯერ სუსტად, მერე კი შმაგად, — ნუთუ არ შეგიძლიათ, რამდენიმე წუთი მისმინოთ და არაფერი უარყოთ? მე ხომ ისედაც ყველასაგან უარყოფილი ვარ?

„ვინ უნდა იყოს?“ — გაიფიქრა ქალიშვილმა. კაცის ხმაში იყო რალაც ისეთი, რაც მის საოცარ გულწრფელობაზე მეტყველებდა და ეს აბნევდა,

ცნობისმოყვარეობას უმძაფრებდა და უფრო.

— რატომ ხართ უარყოფილი?

— თქვენ სუყველამ მარტოობა მომისაჯეთ! — მშვიდადა თქვა უცნობმა.

— რატომ? — ამ უეცარმა გადასვლამ დააბნია ქალიშვილი.

— რატომ? — გაიმეორა კაცმა, თითქოს სევდის ხის გადამწიფებული ნაყოფივით ძირს დავარდნილი ხმით,

— რატომ?... მე ხომ საოცრად მიყვარდა ბელურა ზამთარში, ჩემი ფანჯრის წინ რომ იჯდა ვალენის თავზე მობუზული და დაღვრემილი... მე ხომ საოცრად მიყვარდა მოხუცი, ადრე გაზაფხულზე ჩემი ქუჩის კუთხეში ფერმკრთალი, სათუთი ივების მოწყვეტილ სიცოცხლეს რომ ყიღდა გროშების ფასად თავისი უბადრუკი ცხოვრების გასახანგრძლივებლად... მე ხომ ის პაწია ვასაკაც მიყვარდა, ერთხელ, ზაფხულის თბილ, ჯადოსნურ ღამეში რომ შემომხვდა საღღაც ხტუნვით მიმავალი და ტროტუარის კიდეზე ახტომას ღამობდა...

— ვერაფერი გავიგე, — თქვა ქალიშვილმა.

— ვერაფერს გამოგებთ, ვინც ზან ხართ! — თითქმის იყვირა უცნობმა, — გინახავთ ოდესმე მაწანწალა ძაღლის შავედრებელი, შიშით და მისი პირველყოფილი ბუნებისთვის შეურაცხყოფელი მორჩილებით სავსე თვალები? — უეცრად იკითხა კაცმა.

„არა, — „ნუთუ ვინმეს ასეთი თვალები აქვს?“ — უნებურად გააფიქრა. იმდენად უცნაური და უჩვეულო კითხვა იყო და საერთოდ უცნობის საუბარიც ისე უცნაური ეჩვენა, რომ უეცრად გადაწყვიტა, მამასხარავებენო... — ვინ ხართ? — ისევ იკითხა დაბნეულმა.

— რა მნიშვნელობა აქვს ამას თქვენთვის? — უხეშად შეუბრუნა კითხვა კაცმა.

**პია ლოვაძე**  
თაბაშირის კაცი



— არ ვიცი... — ჩილაპარაკა მანონ ლასაურამ (ასე ერქვა ქალიშვილს). უცნობის წრფელმა კილომ კიდევ უფრო დააბნია, ყურმილის დაკიდება, ამ მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთი მარტივი და ლოგიკური გადაწყვეტილება კი გამორჩა.

— თქვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ამას, — გაიმეორა უცნობმა, — რატომ არაფერს მეტყვიან თბილს და სააღერსოს? — ბრაზის ინტონაციები პრეტენზიამ შეცვალა.

— განა თქვენთვის ასე აუცილებელია, სრულიად უცნობი მოგვეფროთ? — ამის თქმა ლაპარაკი ქალიშვილმა, ან კი რა უნდა გითხრათ? — დაამატა, წინა კითხვის უაზრობა რომ გაიზარა.

— რასაც შეძლებთ, ის მითხარით! ხომ ეუბნებით ვილაცას?.. თუმცა... თუმცა ნურაფერს მეტყვიან! თქვენ ხომ ისედაც საოცრად ალერსიანი ხმა გაქვთ...

ქალიშვილი საბოლოოდ მოექცა გაურკვევლობის ტყვეობაში. უცნობი განუწყვეტლივ ლაპარაკობდა, პოლუსურად სცვლიდა თემებს. ბგერების კასკადი იღვრებოდა ყურმილიდან, უაზროდ უსმენდა მანონ ლასაურა. ბოლოს სიჩუმე ჩამოწვა...

— ყოველი ადამიანი, — მოესმა უცნობის დანაწევრებული, მშვიდი ხმა, — ყოველი კაცი, რომელიმე ცხოველს ჰგავს და ამ ცხოველის ხასიათი, ბუნება და ბედია დაბუდებული მასში...

— ქალები? ქალებზე რას იტყვიან?

— ნამდვილი ქალები ქენებისგან განსხვავებული ცხენებს ჰგავან!

— უცნაურია... არასოდეს მსმენია ასეთი რამ ვინმეს ეთქვა.

— ნამდვილი ქალები ხვდებიან ამას ადრე თუ გვიან. კიდევ სხვა რამითაც ჰგვანან ისინი მორჩილ ცხენებს...

— რით?

— ადვილად ეგუებიან სხვა მხედარს! — კაცის ხმაში ისევ ჩაისახა ბრაზი.

— რატომ ამბობთ ამას?

— რასაც ვფიქრობ, უმსჯელობა — ხმამაღლა თქვა კაცმა, — სიმართლეს ქალსა და კაცს შორის უხამსობაა, მიშველი უხამსობა; ვილაცები ახერხებენ ამის დაქინებით აღნიშვნას საზოგადო საპირფარეშოების და, არც თუ ისე იშვიათად, სახლების სადარბაზოების კედლებზე და არავის უკვირს, გარდა ახლად კითხვანასწავლ ბავშვებისა, ყველა შემხვედრ წარწერას რომ კითხულობენ ბავშვური სიამაყით და სიხარულით... ჰო, მართლა, ქალების საპირფარეშოებში თუ წერია ხოლმე უხამსობები?

— არ ვიცი, — გაეცინა ქალიშვილს, — რატომ წერენ მინც? — უნებურად იკითხა.

— მაგისტვის ცხოვრობენ მხოლოდ. მათი წარმოდგენა ცხოვრებაზე აქედან გამომდინარეობს, ეს არის საწყისი და დასასრულიც... ხომ საზიზღრობაა?

— დიახ!

— მეც ამ საზიზღრობებზე ვლაპარაკობ ამ შუალამისას, არ გიკვირთ?

— ძალიან!


— მაპატიეთ! — უცერად მოშველებული, ჩავარდნილი ხმით თქვა კაცმა, — მე ავად ვარ... ძალიან ავად ვარ, ყველა ავადმყოფობაა ჩემში, რაც არსებობს და რის არსებობაც ჯერ არ იციან...

— რა გეშველებათ, აბა?

— არაფერი მეშველებს! — სევდიანად ჩილაპარაკა კაცმა, — არაფერიც ვის ინტერესებს უბადრუკი, ქუსლზე საინვენტარიზაციო ნომერამოტივრული თაბაშირის კაცი, მშობრიან სარდაფში რომ დგას. ვის ინტერესებს რატომ ვარ აქ? ორიგინალობის მაძიებელ ყალბ პოეტ ქალებს ალბათ...

უცნობი დადუმდა. საოცარი ტკივილი იგრძნო ხმაში, ეს ტკივილი თითქოს ყურმილიდან გადმოიღვარა და ქალიშვილის სულს შეეხო. — „რა არის ეს?“ — გაიფიქრა შემკრთალმა...

— რატომ არიან ჩვენი პოეტი ქა-



ლები ასე ულამაზონი? — უეცრად იკითხა კაცმა.

— არ ვიცი, არასოდეს მიფიქრია ამაზე. ისე, ალბათ არა სჭირდებოდა გარეგნული სილამაზე, პოეზია ხომ თავისთავად მშვენიერებაა?

— კი, ნათრევი, გაძარცვული მშვენიერება, მაგრამ საოცრად ამაყი... იმ ქალს ჰგავს, რომელთანაც დაწვეები თუ არა, საკუთარი თავის უბადრუეობას იგრძნობ.

მანონ ლასაურას არაფერი უთქვამს, იმ უეცარ ტკივილზე ფიქრობდა, უცნობმა რომ აღუძრა წამიერად...

— გვიანაა ახლა, — თქვა კაცმა, — ძალიან გვიანაა. ახლა მეძავეების უბადრუე, პრიმიტიულ სხეულმბსაც კი სძინავთ ალბათ. მე უნდა წავიდე... შეიძლება კიდევ დავრეკო?

— დარეკეთ!..  
— მე მხოლოდ ღამით შემიძლია გელაპარაკოთ.

— რატომ?  
— დღე არ შემიძლია... ნუ მკითხავთ, რატომ... — ხმაში მუდარამ გამოჟონა.

— კარგი, — თქვა მანონმა, — დარეკეთ როცა შეძლოთ.

— მაშინ ტელეფონის ნომერი მომეცით თქვენი.

— კი მაგრამ, როგორ დარეკეთ თუ არ იცოდით? — გაოცდა მანონ ლასაურა.

— პირველივე ავკრიფე, რაც თავში მომივიდა...

— უცნაურია, რაღა მაინცდამაინც ჩემთან მოხვდით?

— თქვენ არ გჯერათ ჩემი! — თქვა კაცმა, — დამიჯეროთ მინდა! გესმით? დამიჯეროთ!..

• მანონმა ტელეფონის ნომერი უთხრა.  
— პერანგის კალთაზე დავიწვრე, — თქვა კაცმა.

- რატომ? გაეცინა ქალიშვილს.
- არსად დამეკარგება!
- კი მაგრამ, ხომ გადაირეცხება?
- სხვაზე გადავწერ მერე.

— კარგი, — ისევ გაეცინა მანონს, — ნახვამდის, აბა!

— კარგად ბრძანდებოდეთ, დიდი მადლობელი ვარ თქვენი...

ხმა გაწყდა. წყვეტილმა ზუმერმა გამოჟონა ყურმილიდან და უხიაგი კინით დაჩხვლიტა ოთახში დაგუბებული სიჩუმე. მანონ ლასაურამ ყურმილი დადო. უცნობი რომ გულწრფელი იყო, ამაში ადვილად დარწმუნდა ახლა, ყურმილი რომ დაკიდა, მაგრამ უცნაური და უჩვეულო იყო ყველაფერი.

შუქი ფიქრობთ. იწვა და უცნაურ კაცზე ფიქრობდა. ცოტა ხანში ჩაეძინა კიდევ...

●  
დიდი ქალაქი იყო: ქუჩებით, მოედნებით. შუაზე გამკვეთი მდინარით და მასზე გადებული ხიდებით, ძეგლებით, შადრევნებით, ტროლეიბუსებით, ტრამვით, მანქანათა მდინარეებით, პიკის საათებით, მეტროთი, სასტუმროებით, რესტორნებით, მეძავეებით, საყადმყოფოებით, და პროზექტორებით, გაუქმების პირზე მისული გადატენილი სასაფლაოებით, პარკებით, სკვერებით, ინსტიტუტებით, ტელეცენტრით, კინოსტუდიით, სამედიცინო გამოსაფხიზლებლებით, საერთაშორისო აეროდრომით, სტადიონებით, იპოდრომით, თეატრებით, მუზეუმებით, საკონცერტო და კინოდარბაზებით, ქარხნებით, ფაბრიკებით, სამშაბათს და ხუთშაბათს დამკრძალავი პროცესიებით, შაბათ-კვირას ნათლობებით, ქორწინებებებით, ძეგლებით, სამშობიარო სახლებით, უპატრონო ბავშვთა სახლებით, სკოლებით, საბავშვო ბაგებით, ზოოპარკით...

მდებარეობა — ზღვის დონიდან ხუთას ათი მეტრი. ჰავა — ზომიერი, ატმოსფერული ნალექები — 800 მმ წელიწადში. მოსახლეობა — მილიონ ორას ოცდათორმეტი ათასი, 59 ეროვნება

ზია ლოვაჟი  
თაბაშირის აკაკი



ნების წარმომადგენელი. დაარსების თარიღი — ძველი წელთაღრიცხვის მეორე-მესამე საუკუნე.

— აილო თუ არა ყურმილი, იმწამსვე იცნო. სანამ აიღებდა, მანამდე მოასწრო გაფიქრება. რომ ის უნდა ყოფილიყო. არ ეძინა, იწვა და კითხულობდა.

— მე ვარ. თაბაშირის კაცი... — თქვა უცნობმა, ისევე აღელვებული ხმა ჰქონდა.

— ვიცი, — თქვა მანონმა, — გიცანით.

— არ დაგვიწყებიავართ? — ეპვი გამოკრთა ხმაში.

— არა, — იცრუა მანონმა.

— ნუ მატყუებთ! ჩემი მოტყუება შეუძლებელია... მე უამრავი დღეა მატყუებენ. მაგრამ არ ვტყუვდები!

— ჰო, მოგატყუეთ! — უბრალოდ თქვა მანონმა.

— კი მაგრამ, რატომ უნდა მომატყუოთ? — წრფელი გაცემით იკითხა უცნობმა, — თქვენ ხომ სრულებით არ მიცნობთ? ვისაც ძალზე კარგად იცნობენ, იმას ატყუებენ ხოლმე.

— მეგონა, გეწყინებოდათ, დამავიწყდით-მეთქი, რომ მეთქვა.

— მე არაფერი მწყინს!

— სულ არაფერი? — გაიცინა მანონმა.

— არაფერი! — გაღიზიანება დაეტყო კაცს.

— ბედნიერი ყოფილხარ, აბა!

— არ ვარ ბედნიერი, — ჩუმად თქვა უცნობმა, — არც არასოდეს ვყოფილვარ... რატომ მელაპარაკებთ? — იკითხა უეცრად.

— რატომ? — დაიბნა მანონი. არც უფიქრია ამაზე, რატომ ელაპარაკებოდა უკვე მეორედ, სრულიად უცნობს; ახლა გაიფიქრა და ვერაფრით ახსნა. — არ ვიცი... — თქვა ცოტა ხნის შემდეგ. ხომ მოხოვეთ?

— მერედა, უარის თქმა არ გეხერხებათ?.. თქვენ შეგებრალეთ! იცით, რომ საბრალო ვარ, და ამიტომ მელაპარაკ-

ებთ! ისე, მათხოვარს ტყუილად ბენ შაურიანს გაზინთუე უეცარი ბრაზი ჩაგუბებულიყო ხმაში.

— არა...

— აბა?

— არ ვიცი, — ჩუმად თქვა მანონ ლასაურამ, — მართლაც არ ვიცი...

კაცს არაფერი უთქვამს. ყურმილში მისი ხშირი სუნთქვა ისმოდა მხოლოდ.

მანონი იწვა და უცნობის შორეულ სუნთქვასთან ერთად, წვიმის შრიას უსმენდა; რალაცნაირი იღუმალების ელფერი მიიღო ყველაფერმა. — წვიმს, — თქვა უნებურად, — წვიმს...

— არა, — თქვა კაცმა, ხმა გამოეცვალა, თითქოს სხვა რეგისტრზე გადაართო, რალაცნაირი მუსიკალური საკრავივით, — არა... ეს ნაცრისფერთვალე-ბიანი ქალწულის სევდაა, თავისი მიჯნური სიკაბუჯე რომ დაჰკარგა და ახლა როცა წვიმს, დადის მარტოხელა, უჩინარი და მას დაეძებს. ყველა სარკმელში იხედება და ვერ პოულობს, ილარე-ბიან ფანჯარები ნამტირალევი ლოყებივით; ჩვენ კი რალაცნაირი მოუსვენრობა გვიპყრობს... მარტოხელა ადამიანებს აკითხავს იგი ხშირად; ანძებდალენილ, აფრებგანძარცულ, გარიყულ ხომალდებს რომ ჰგვანან სიბერის ხავსიან ნაპირზე... ალბობს სევდა გამომშრალ გულებს — ნიჟარებს და ხანდახან რომელმეს ეულ ცრემლადქცეული ეღვენთება გაყვითლებულ, ასოებგაფერმკრთალეულ ბარათს, რომელმაც მათივე მიზეზით დაიგვიანა თურმე სულამდე რომ მიეღწია... — უცნობი დადუმდა, თითქოს ბოლო ბგერასთან ერთად, სუნთქვაც შეწყვიტა.

მანონ ლასაურას მოეჩვენა, რომ მარტო იყო ამ ვეება ქალაქში, არარეალურ სამყაროში გადაენაცვლა ოთახს და სიღრმეში მოჩანდა ოღნავ შეღებილი კარი უცნობის სამყაროში. საოცარმა უცნობისმოყვარებამა იტაცა უცებ. „ვინ არის? — გაიფიქრა. საოცრად მოუნდა გაეგო უცნობის სევდის, უიმედობის, ბრაზის, სიხარულის მიზეზი; ფიზიკურად აღედგინა გონებაში მისი



პორტრეტი. — რამდენი წლის ხართ?

— იკითხა ჩუმად.

— არ ვიცი!

— როგორ? — გაცდა მანონი, — თქვენი წლოვანება არ იცით?

— ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ამას! არც თქვენთვის! გონება ხომ ძალზე ხშირად უსწრებს ან ჩამორჩება ასაკს. წლოვანება ილუზიაა მხოლოდ, ვინაიდან ჩვენ იმ დღიდან ვიწყებთ კვდომას, როცა ვისახებით; მერე ვიბადებით, რომ გარკვეული წლების შემდეგ მოგვკვდეთ. ჩვენ ნატვრის შარავანდელით ვმოსავთ ასაკს. ბავშვობაში სიჭაბუკეს ადგას ეს შარავანდელი, სიჭაბუკეში — სოლიდურობას, შუახანში — სიჭაბუკეს, სიბერეში კი ბავშვობას ვნატრობთ ისევ, რადგან დარწმუნებული ვართ, თავიდან დაწყების საშუალება რომ მოგვეცეს, ყველაფერს გამოვიყენებდით, რაც ვერ გამოვიყენეთ... ჩვენ მაშინ ვგრძნობთ წლოვანებას, როცა უკმაყოფილონი ვართ... — კაცი დადუმდა. — ხანდახან მგონია, — თქვა ცოტა ხნის შემდეგ ჩუმად და ნალვლიანად, — რომ უსასრულო, მთვლემარე, უზრუნველი სიმშვიდის საყაროდან გამოგვაგზავნეს ხანმოკლე შევბუღებით: რასაც ვნახავთ, გავიგებთ, მოვასწრებთ, შევქმნით და მერე ისევ მარადიულ სიმშვიდეს ვუბრუნდებით. თუმცა არავის უნდა იქ დაბრუნება, იმიტომ რომ, არ ვიცით სად სჯობს, დარწმუნებულები ვართ, რომ აქ, მშფოთვარე ქაოსში, სადაც დავეძებთ ილუზორული სიმშვიდის კუნძულებს — კმაყოფილებას; და ამ ძებნაში ვწყვეტთ ყვაილებს, ვთვლავთ სხვების მოწყვეტილებს. საამისოდ დავხვეწეთ ჩვენი ურთიერთობა, ეთიკა, მორალი... „ის რაც კარგია უმრავლესობისთვის — კარგია ყველასათვის!“ — ვყვირებ ჩვენ და ამ ყვირელში ვერც კი ვამჩნევთ, რომ ზოგი ჩვენგანი სწორედ იმ უმცირესობას განეკუთვნება... ჩვენ ვდუმვართ მაშინ, როცა უნდა ვიყვიროთ და ვყვიროთ, როცა უნდა ვდუმდეთ... — ბოლო სიტყვა უეც-

რად ატეხილმა ზველამ წააჭყველებს ეტყობოდა, ხელი დააფარა წინა კბილებზე. — მაპატიეთ! — სული მოითქვა ბოლოს, — გაციებულნი ვარ მგონი... რას ვამბობდი? დიდი ხანია ასე ვარ, დავიწყებ რამეზე ლაპარაკს და თუ აზრი გამიწყდა, უნებურად იმწამსვე მაიწყდება სათქმელი.

— წლოვანება ვიკითხე თქვენი.

— ჰო... თქვენ? თქვენ რამდენი წლის ხართ?

— განა ქალს ამას ეკითხებიან?... — სისულელეა! — გააწყვეტინა კაცმა, — ვითომ რად არ უნდა ჰკითხონ ასაკი ქალს? სიყალბეა ეს, კაცების ათასწლოვანი ფარისევლობაა მათ წინაშე... ვითომ რა ემატება ან აკლდება დაკლულ ბატკანს იმით, დანა-ჩანგლით ჰამენ თუ ხელით, თუნდაც დაუბანელი ხელით? მთელი ქვეყნიერების ეტიკეტს ერთი უბადრუკი სარეცელი და ჭუჭყიანი ზეწარი აბათილებს, განა ასე არ არის?

— არ ვიცი, — თქვა მანონ ლასაუ-რამ.

— არ იცით... ჯერ არ იცით. თუმცა, რა სპირობა ამის ცოდნა? რასაც არ ვხედავ, არ არსებობს, ვამბობთ და თვალებს ვხუჭავთ... — უცნობი დადუმდა... — უნდა წავიდე ახლა, — თქვა ცოტა ხნის შემდეგ ნალვლიანი ხმით, — იცით, რომ შემეძლოს... რომ შემეძლოს ყოველდღე დაგირეკავდით.

— რატომ არ შეგიძლიათ? — გაცდა ქალიშვილი.

— ვერ გეტყვით... — თქვა კაცმა, — ანდა რატომ გვაქვს სუყველას ეს ცნობისმოყვარეობის დაუოკებელი, შმაგი ეჩინი? ნუთუ არ შეგვიძლია გვქონდეს ურთიერთობა ვინმესთან და არ ვკითხოთ, ვინ არის? საიდან მოვიდა? სად მიდის? რატომ მიდის? რატომ მოვიდა? რისთვის? როგორ? რანაირად?.. რისთვის არის ამდენი კითხვითი ნაცვალსახელი ყველა ცივილიზებულ ენ-

**ზია ლომაძე**  
თაბაშირის აკაცი



აში? ისინი მაშინ გაჩნდნენ ალბათ, როდესაც ადამიანმა ბუნების ჰარმონიის ბაღე გაწყვიტა, ახლის ილუზიურის ქსოვა დაიწყო და ყოველ ახალმოქსოვილ რგოლთან კიდევ უფრო ებმება შიგ, ხოლო იმას, ვისაც თავის დაღწევა უნდა იქიდან, უფრო მეტად ებორკება ხელ-ფეხი: სიღრმეში კი ჩვენს მიერვე შექმნილი აზროვნება-ობობა ზის და იმ მასალას გვაწვდის, რითაც ვქსოვთ. ყველაფერს ამას გონიერებას ვეძახით!..

— რა არის იგი? — იკითხა მანონ ლასაურამ, — რა არის გონიერება?

— ხუნდები ჩვენს სულზე... სული კი უხილავ, ჩვენს მიერვე შექმნილ საოცრად მტკიცე გალიაში დამწყვედეული ჩიტი, ფრთხილით მუდამ ცივ კედლებს რომ აწყდება და მხოლოდ მაშინ პოულობს თავისუფლებას, როცა ადამიანი კვდება. მერე კი დაფარფატებს უსასრულობაში, ადამიანთა მიერ დაგებულ მახეთა ლაბირინთებში, ან დასდევენ ისე, როგორც ბავშვი პეპელას და ვერავენ იჭერს, ამიტომ თვლიან, რომ არ არსებობს იგი. ჩვენ ის გვწამს მხოლოდ, რისი დანახვაც შეგვიძლია! ზელით უნდა შევხვთ, რომ დავრწმუნდეთ მის არსებობაში... — თაბაშირის კაცი დადუმდა. ყურმილში მისი ხშირი აჩქარებული სუნთქვა ისმოდა.

მანონ ლასაურაც დუმდა...



ქალაქის რკინიგზის ცენტრალურ ვაგზალში „მუშაობდა“ გრიშა ამბოკაძე. კაცი ორმოცდაათი წლის, მუდამ პეწიანად ჩაცმულ-დახურული. მარტოხელა ქურდი, ამფსონი არასოდეს ჰყოლია და როგორც თვითონ თვლიდა, ეს ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რომ ციხეში არასოდეს მჯდარა. საოცრად ფრთხილი იყო, მის „საქმეებს“ რამდენიმე თვის ინტერვალი საზღვრავდა მუდამ. მოვლილი ჰქონდა მთელი ქვეყნის რკინიგზის ცენტრალური ვაგზლები. მისი პროფესიის ქვაკუთხედი ასაკის

ამოცნობა იყო, რაშიც ისევე ვაძურობდა ფული, რომ მსახიობი ჰქვოდებოდა. ლურნი იყვნენ მის წინამე. ავტობატური შემნახველი საკნების სპეციალისტი იყო გრიშა ამბოკაძე. მსხვერპლს „ობიექტს“ ეძახდა. ამოირჩედა თუ არა შორივ „ობიექტს“, შემნახველი საკნების დარბაზში შეჰყვებოდა, თავის ხელბარგს — სოლიდურ, ყავისფერ პორტფელს, მოპირდაპირე მხარეს შეინახავდა და შეუმჩნევლად პროფესიონალური სიღინჯით შეთვალღიერებდა „ობიექტს“, რომლის ასაკი დადგენილი ჰქონდა უკვე, ორი-სამი წლის მიახლოებით მაინც. მერე შეუჩნევლად გაჰყვებოდა „ობიექტს“ და როცა დარწმუნდებოდა, იგი ვაგზლის რესტორანშია ან რომელიმე სახის ტრანსპორტში ავიდაო, ხუთი-ათი წუთის ძალდაუტანებელი სერიზობის შემდეგ ბრუნდებოდა უკან, შემნახველ საკანთა დარბაზში. ასეთი შემნახველი ავტომატიური საკნების მომხმარებელი ათიდან შვიდ შემთხვევაში, თავიანთი დაბადების თარიღს ჰკრეფენ ჩამკეტ დისკოზე (ამაში გრიშა ამბოკაძე ოცი წლის გამოცდილებით იყო დარწმუნებული), რაც სავსებით ლოგიკურია, ვინაიდან, დაბადების წელი იშვიათად ავიწყდება კაცს. გრიშა ამბოკაძე დინჯად, აუჩქარებლად აკრეფდა „ობიექტის“ დაბადების სავარაუდო თარიღს; პირველივე თუ არ დაემთხვეოდა, მესამეს იშვიათად ასცდებოდა. მშვიდად გადმოიღებდა ობიექტის კუთვნილ ბარგს და ასევე მშვიდად, აუჩქარებლად გავიღოდა ვაგზლის შენობიდან. ვაგზლის წინა ავტოსადგომზე საკუთარი ავტომობილი ელოდებოდა, მერე ხალხმრავალ ქუჩებს გასცდებოდა, სადმე ჩიხში გააჩერებდა და მანქანაშივე გასინჯავდა ბარგს. ფულის გარე, არაფერს ჰკიდებდა ხელს, თუნდაც უძვირფასესი, იშვიათი ნივთი შეხვედროდა, არასოდეს დაუჭერია საქმე ნაძარცვის შემსყიდველებთან, ესეც ერთ-ერთი მიზეზი იყო მისი მოუხელთებლობისა. ხანდახან საკმაოდ მსხვილ თანხას ხვდებოდა გრიშა ამბოკაძე, რო-



მლის ერთ ნახევარს აუცილებლად შემ-  
ნახველ სალაროში შეიტანდა. რამდენი-  
მე ადგილას ჰქონდა გახსნილი ანგარი-  
ში. მერე ისევ დინჯად აიტანდა ბარჯს  
სადგურში და თავის ადგილზევე შეი-  
ნახავდა. თავისი პორტფელი მერე ან  
მესამე დღეს გამოჰქონდა, სხვათა შო-  
რის, თვითონაც თავის დაბადების თა-  
რიღს ჰკრეფდა დისკოზე...

„დამუშავებული“ ობიექტი გზაში,  
ან დანიშნულების ადგილზე ჩასვლისას  
გებულობდა ფულის გაქრობის ამბავს,  
პატარებლის ქურდებს ან იმ ქალაქს  
ბრალდებოდა ძარცვა, სადაც ჩავიდო-  
და...

გრიშა ამბოკაძე კი ცხოვრობდა  
მშვიდად, როგორც მარტოხელა პენ-  
სიონერს შეეფერებოდა (პენსიას ერ-  
თი ყალთაბანდის მიერ დამზადებულ  
ყალბი საბუთებით ღებულობდა). არც  
ცოლი ჰყავდა და არც შვილი. აქტიურ  
მონაწილეობას ღებულობდა სახლმმარ-  
თველობის მიერ დაგეგმილ და ჩატარე-  
ბულ ღონისძიებებში. სახლმმართველო-  
ბაში უბნის საპატიო მოქალაქეთა და-  
ფაზეც კი ჰქონდათ მისი სურათი. რამ-  
დენიმე წელიწადში „საქმეებს“ ჩამო-  
შორდებოდა გრიშა ამბოკაძე, სადმე  
აგარაკს შეიძინდა პენსიონერის უფ-  
ლებით და იქ უდრტვინველად დაღვე-  
და დარჩენილი ცხოვრების დღეებს...

არეულობა სუფევდა № ქუჩის მე-  
თოთხმეტე სახლის ეზოში „იტალიურ  
ეზოს“ რომ უწოდებენ ზოგნი. მთელი  
სახლის ბინადარნი აივნებზე გამოფე-  
ნილიყვნენ შაბათის სარეცხივით. ეზო-  
შიც მრავლად მოეყარათ თავი. არეუ-  
ლობის მიზეზი მესამე სართულიდან  
მომდინარე ხმაური იყო; ერთ-ერთი  
საამშენებლო ტრესტის რიგითი ბუ-  
ღალტერი მელიტონ მალულარია, პირ-  
ველად თავის სიცოცხლეში, ეჩხუბე-  
ბოდა ცოლს აგრაფინას. თავად ჩხუბის  
მიზეზი კი მელიტონის და აგრაფინას  
ერთადერთი ვაჟის არჩევანი იყო, ამ

დილით სამქმარგანაშეები ქალი რომ  
შეერთო და სახლში დაერეკა. თმქმნე-  
ბურად დამიხვდიოთ. ეს კი ვერ აიტანა  
მელიტონ მალულარიას ციფრებთან,  
ხარჯთაღრიცხვებთან, გახსნილ და გაუ-  
ხსნელ კრედიტებთან და მარჯვნივ მიწე-  
რილ ნულლებთან ბრძოლით დაღლილმა  
სულმა და აბუნტდა; მთელი საათი იყო  
უქვე; ლანძღავდა ერთგულ აგრაფინას,  
სამსახურს, ცხოვრებას, მარჯვნივ მიწე-  
რილ ნულებს, სამქმარგაყრილ რძალს  
და თავის ბედს...

მერე სიჩუმე ჩამოწვა უცებ, მეზობ-  
ლებმა ყურადღება დაძაბეს, რალაციის  
მოლოდინში და არც გაწბილებულან;  
მესამე სართულის აივანზე გამოჩნდა  
სველი ტილოთი თავწაკრული მელი-  
ტონ მალულარია, ბოლმიანი მზერა მო-  
ავლო მეზობლებს. უსახელო მაისურა  
ეცვა და ჩია მზრებზე ქალარა ღინლი  
მოჩხუბარი ძალღვივით აბურძგვროდა.  
დინჯად დაუყვა ხის მოჭრიჭინე კიბეს  
ეზოსკენ. ხელში ამ სიტუაციისთვის  
უცნაური საგნები ეჭირა: — დიდი,  
ოცდახუთსანტიმეტრიანი ლურსმანი  
და ჩაქუჩი. წელში გამართულმა, თით-  
ქოს უეცრად გაზრდილმა, ამაღლებულ-  
მა გადაჭრა მღუმარე ეზო და შუაგულ-  
ში, სარეცხის თოკების გასაბმელად  
დარტობილ ხის ბოძთან მივიდა. მშვი-  
დად ჩააჭედა ლურსმანი თავის სიმაღ-  
ლეზე, ხელით მოსინჯა მერე, მყარად  
თუ იჯდა მორში. მეზობლები გაცი-  
ბულეები უყურებდნენ, ვერ მიმხვდა-  
რიყვნენ, რა ხდებოდა. მელიტონ მა-  
ღულარია ეზოს კიდისკენ წავიდა, ჩა-  
ქუჩი ფრთხილად ჩამოდო თავიზე, კი-  
დევე ერთხელ მოავლო თვალი მეზობ-  
ლებს, ამჯერად ბოლმით აღარ იმზი-  
რებოდა; ყველამ დაინახა ჩია მელი-  
ტონი, წელში მოხრილი, უღონო, ჩუმი  
და ლანდღვით მშვიდი, თითქოს მუდამ  
ტირილისთვის გამზადებული თვალე-  
ბით. მაგრამ ეს იყო ერთ წამს, მხო-  
ლოდ ერთ წამს, მერევე წამს მელიტონი

**გიგა ლომაძე**  
თბაბაშორის კაპი

თითქოს ამოღდა ყველასა და ყველაფერზე, მზერა დაებინდა, წელიწადი გაიმართა, სახვევი გადაიძრო თავიდან და გვერდზე მოისროლა.

— შვიდობით აგრაფინა! — დასძახა ხმით, რომელსაც მთელი ორმოცდაათი წელი ინახავდა ალბათ და ვერავინ წარმოიდგენდა რომ ამ ჩია კაცში ასეთი ხმა ბუღობდა, საღლაც, სიღრმეში, თითქოს გრიგალისგან ატაცებული მოსწყდა მელიტონ მალულარია ადგილს, ბოძისკენ გაიქცა და შუბლით შეასკდა ლურსმანს...


ავივლებულმა ეზომ წამოშალა კაცები, ბოძის ძირში გაშხლართულ მელიტონს მისცვივდნენ...

თავდაბინტული მელიტონ მალულარია სამი საათის შემდეგ თავის ფეხით დაბრუნდა სახლში. მხარში აგრაფინა ედგა. აივნებზე ისევ გამოეფინენ მეზობლები. მიდიოდა ცოლ-ქმარი კიბისკენ და მიაცილებდა პირზე ხელეშაპერნილი დაფუბებული სიცილის ესკორტი...

ლორა ხუშიტაშვილი ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩის კიდეზე იდგა. ეს მისი ადგილი და დრო იყო — ყოველდღე ექვსიდან რვა საათამდე. თუმცა რვამდე დაცდა არც სჭირდებოდა. არასოდეს მიჰყვებოდა ახალგაზრდებს, მათგან არაფერს ელოდა სახეიროს. სოლიდური ასაკის კაცებს აქცევდა ყურადღებას, გარეგნობას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ისინი არ იყვნენ ისე მომთხოვნი, როგორც ახალგაზრდები, ნაკლებად იღლებოდა მათთან და ფული, რაც ლორასათვის მთავარი იყო, საკმაოდ ჰქონდათ, თანაც მაღლიერი გულუხვობით უხდიდნენ. ლორა არასოდეს ყოფილა ავად ვენერიული სენით, საოცრად ეშინოდა ავადმყოფობის და ამ მხრივ ოჯახის უფროსები გაცილებით საიმედონი იყვნენ, ვიდრე ახალგაზრდები. ამჯერად მანქანის ყიდვა უნდოდა ლორა ხუშიტაშვილს და ამისთვის აგ-

როვებდა ფულს. ახლოს იყო მიზანთან და, რა გასაკვირია, თუ მესამე სტრუქტურის კუთვნილებად უქვეყნებულ ერთმა წარმომადგენელმა იგივე საშუალებით საკმაოდ მოზრდილი პირამიდა აიშენა. ავტომობილის ყიდვის შემდეგ ერთ ხანს კიდევ გაჰყვებოდა ამ საქმეს; ცოტაოდენ დანაზოგს რომ გაიჩენდა, საერთოდ გაანებებდა თავს, გაჰყვებოდა ცოლად რომელიმე „პინგვინს“ (ასე უწოდებდა ახალგაზრდა კაცებს) არადა, იცხოვრებდა ისე, როგორც სურდა. კინოთეატრებში სიარული, კარგად ჭამა და ძილი უყვარდა ლორა ხუშიტაშვილს. ეს უქანასკნელი მუდამ აკლდა, თავისებური პროფესიული დავადება იყო. მართო ცხოვრობდა ერთთახიან ბინაში. მოზობლებიც ამავე ქალაქში ცხოვრობდნენ, მამამისი სახლში არ უშვებდა, დედამისსაც უკრძალავდა შვილის ნახვას, თვეში ორ-სამჯერ ძმები მოაკითხავდნენ და სცემდნენ (ორი ძმა ჰყავდა). ლორა ოცდასამი წლის იყო, საოცრად მიაძირა სახე ჰქონდა, რითაც შეცდომაში შეჰყავდა სუყველა და იმ „პინგვინსაც“ შეიყვანდა. ხშირად იცვლიდა სამუშაო ადგილს, სამ თვეზე მეტი არც ერთ სამსახურში არ უმუშავია. ლორა ხუშიტაშვილს მტკიცედ სწამდა რომ ყველაფერს მოაგვარებდა ცხოვრებაში და მერე დიდი წარმატებით ითამაშებდა ერთგული მეუღლის და საზოგადოებაში გამოსული ქალის როლს (საერთოდ, ცხოვრება კინო ეგონა). მთავარი იყო კარგად ჩაცმა, სამკაულები, თეატრები, ოპერა, რამდენიმე წიკითხული წიგნი და ბრძნული საუბარი ყურმოკრულზე...

დილის ექვს საათზე დგებოდა ფერდინანდ ზედგენიძე. ოცდაორი წლის ახალგაზრდა. სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემდეგ მუშაობდა ქალაქის ცხიმიკომბინატში. ექვს საათზე უნდა ამდგარიყო, რომ ქალაქის მეორე ბოლოში მდებარე სამსახურამდე მიეღ-



წია; რვა საათზე ეწყებოდა მუშაობა. ექვსზე უმთავრდებოდა, საღამოს რვა საათზე ეძინა უკვე. ჯარის შემდეგ უმაღლეს სასწავლებელზე ფიქრობდა, ახლა კი თანდათან რწმუნდებოდა, რომ აბსურდი იყო სწავლაზე ფიქრი, შაბათი და კვირაც ძილს ხმარდებოდა. გამომუშავება კარგი ჰქონდა ფერდინანდ ზედგენიძეს; ცოტა ხანში ავტომანქანა „ზაპოროჟეცს“ იყიდდა და ეგონა, რომ ამით ბოლო მოეღებოდა ამ გაუთავებელი ძილის პრობლემას. მანამდე კი ერთფეროვნად მიედინებოდა ცხოვრება: ძილი-ცხიმკომბინატი-სახლი-ძილი... თითქოს უხილავ წრეში იყო მოქცეული. კარგი მუშა იყო, პირნათლად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, დილით ცხიმკომბინატში ტრამვით მიმავალ ფერდინანდ ზედგენიძეს, თითქოს სავალდებულო სამხედრო სამსახურში იყო ისევ...

ლატარიის ბილეთებს ყიდდა ამბაკო მიქაშავიძე. უნივერსალური მალაზიის წინ იჯდა ზამთარ-ზაფხულ ხის უზურგო სკამზე, წინ დაბალი ყუთი ედო, დასტებად დაწყობილი ლატარიის ბილეთებით. ათი წელი იყო ამ სამუშაოზე, პენსიაზე გასვლის შემდეგ. მანამდე ქარხანაში მუშაობდა. შვილები და შვილიშვილები უშლიდნენ მოხუცს მუშაობას, მაგრამ ვერას აწყობდნენ; ამბაკო მიქაშავიძეს ერთი დღეც კი ვერ წარმოედგინა უმუშევრად. ერთთავად ჩუმად იჯდა თავის სკამზე, არავითარ რეკლამას არ უწყევდა ლატარიის ბილეთებს, მაგრამ მისი კონკურენტთა გასაკვირბად, გეგმასაც ასრულებდა და სისტემატურად ასაღებდა ზეგეგმით რამდენიმე დასტას. მოწინავე გამსაღებლად ითვლებოდა სამმართველოში. ამბაკო მიქაშავიძეს შიში სტანჯავდა, რომ არ დაეთხოვათ და უმუშევარი არ დარჩენილიყო; სხვა სამსახურს ვეღარ შეძლებდა აწი. სახლში მის მიერვე გა-

კეთებელი ერთი ხის ჩემოდანი ჰქონდა ამბაკო მიქაშავიძეს, ვეება მარტო მით დაკეტილი. რომლის ხელის ნიშნები კი არა, მიახლოვებაც კი აკრძალული ჰქონდა სუყველას. პატარაობისას ყველას, ჯერ შვილებს, მერე შვილიშვილებს ცნობისმოყვარეობა სტანჯავდათ, ჩაეხედნათ, რას ინახავდა ამბაკო მიქაშავიძე თავის კიღობაში, მაგრამ ან შიში და რიდი იყო დიდი, ან კიდევ ვერ აღებდნენ და ცნობისმოყვარეობა ცნობისმოყვარეობად რჩებოდა. მერე კი დასაკებასთან ერთად, ავიწყდებოდათ კიდევაც რკინის საწოლს ქვეშ შედგმული ხის ჩემოდანი...

ამბაკო მიქაშავიძის სიკვდილის ორი თვის შემდეგ გახსნეს კიღობანი შვილებმა. სამამულო ომის მონაწილის რამდენიმე მედალი, სათუთად გახვეული დოღბანდში, „შრომის ვეტერანის“ მედალი, ნახევარი კილო რვა ნომერი საფანტი, ცარიელპოლზებიანი პატრონტაში, ქლექით დაღუპული პირველი ცოლის გაყვითლებული ფოტოსურათი და ათი წლის განმავლობაში „ზეგეგმით გასაღებელი“ ლატარიის ბილეთების აკურატულად დაწყობილი მრავალი დასტა იპოვეს შიგ...

— ჩემს ქუჩაზე ისევ ყიდიან იებს...  
— სეველისაგან ათრთოლებული ხმით თქვა თაბაშირის კაცმა.


— იებს? — გაოცდა მანონ ლასაურა, — იების დრო ხომ გავიდა უკვე?

— ჩემს ქუჩაზე-მეთქი!.. ისევ დგას ის მოხუცი და ჰყიდის მოწყვეტილ სიცოცხლეს ვროშების ფასად... იციო, რაზე ყვებიან იები გაზაფხულის მფრთხალ ღამებში?

— არა...

— სიყვარულზე, რომელიც არ დასცალდათ... ჩურჩულებენ და ჩურჩულით იცლებიან, მერე კი, დაცლილებს,

**გია ლომაძე**  
თაბაშირის კაცი



წყალთან ერთად ყრიან ან წიგნებში ინახავენ, უტყვე მუმიებს აკეთებენ მათგან, და მერე, დიდი ხნის შემდეგ, როდესაც სულს მოედება ხავსი, სახეს კი ნაოჭები, უეცრად წააწყდებიან და იგვრძნობენ, რა მაცდურია დრო და როგორ გააყოლეს მას მშვენიერების გრძნობა ისევე, როგორც ოდესღაც უთვალავი ყვავილი ვადაღვრილ წყალს. უეცრად ხვდებიან, რომ თვითონაც დაცლილან და მუმიებად უქცევიათ სხეული — სულის ტაძარში. ის კი, ვინც იები უძღვნა ოდესღაც, ან საღვთის შორს არის, ან კიდევ ახლოს... ტაძარი კი, რომელშიც ერთ დროს იების მაცნე მშვენიერების სული იდგა, ავსილა უკმარისობით, წვრილმანი ინტრიგებით, უხასიათობით, შურით სასოწარკვეთით, ავამდყოფური პატივმოყვარობით და ხავსზე დაკიდებული იმედის სადგომი გამხდარა... ჩაფიქრდებიან და დახურავენ იის მუმიებიან წიგნს, სათუთად ჩამოდებენ თავის ადგილზე; მესხიერებით გადასწვდებიან გაზაფხულის იმ მკრთალ ღამეებს, როცა სიყვარულზე, გულის ამაჩქროლებელი მოლოდინით სავსე დღეებზე ჩურჩულებდნენ ლარნაკში ჩადებული, ფერმკრთალი სათუთი იები... მერე კი, უეცრად გაახსენდებათ, რომ ის ვენეციური ლარნაკი კარგა ხანია გატყდა, ეს გახსენება ძლევთ; ახსენდებათ ყველა ნივთი, რაც გატყდა მათ სახლში და არც მოსდით თავში, რომ თვითონაც იმედის სალბუნით შეყოწიწებულ, გაბზარულ ნივთებად ქცეულნი და კი არ ფრენენ, დიდი ხანია მიწაზე დაფორთხავენ. ცხოვრების მდინარე კი მიედინება უსასრულობაში და მიაქანება მათ ცარიელ ნავებივით... — თაბაშირის კაცი დადუმდა... — ხე უსულოდ, — თქვა ცოტა ხნის შემდეგ, — უსულო ხე შეშა; ბალახი—თივა; ადამიანი გვამი... არა კაც ჰკლა! ა-რ-ა კ-ა-ც ჰ-კ-ლ-ა! — დამარცვლით გაიმეორა, — თქვენ, ადამიანებში მათ სულელებში ეძებთ ყვავილებს და სწყვეტთ მათ ისე, როგორც გვირილებს მინდვრად და ამ

დროს ყვივით: არა კაც ჰკლა! თქვენი ყვივლის შიშით სავსე მზარეულს უნდა ღალადი ჟონავს: ნუ მომკლავ შენ, მსოფლიოდ და მხოლოდ მე! — უკანასკნელი სიტყვები თითქმის ყვირილით აღმოხდა თაბაშირის კაცს და ხველა აუტყდა. დიდხანს ახველებდა, მყევარე, მშრალი ხველა იყო.

— ისევ გაცივებული ხართ ალბათ, — თქვა მანონმა.

— უჰ, — სული მოითქვა კაცმა და გაიცინა, ხმამალა იცინოდა.

— რა გაცივებთ? — გაოცდა მანონი, რა გაცივებთ? — დაბნეულმა გაიმეორა.

— თაბაშირის კაცის გაცივება არ შეიძლება... — იცინოდა კაცი, — იმიტომ... იმიტომ რომ, ცივია მუდამ...

მანონ ლასაურა უსმენდა კაცის სიცილს და გრძნობდა მის სიწირფელს.

— მისმინეთ! — უეცრად შეწყვიტა სიცილი და ისეთი კილოთი, რომელიც საერთოდ გამორიცხავდა წამის წინა მზიარულებას, იკითხა კაცმა, — რას აკეთებთ თქვენ?

— რას უნდა ვაკეთებდე? — დაიბნა მანონი.

— პროფესია მაინტერესებს თქვენი.

— ჰოო... კინოსახიობი ვარ.

კაცს არაფერი უთქვამს. — ბავშვობაში... — თქვა ცოტა ხნის შემდეგ ნაღვლიანად, — ბავშვობაში საოცრად მიყვარდა კინო... კინო და პარადები; ეკრანზე კოვბოებისა მშურად მუდამ, პარადებზე კი იმ კაცის, ვისაც დროშა ეჭირა კოლონის თავში...

— მერე?

— მე ვინ გაცლის, მთელი ცხოვრება ბავშვი იყო? ერთიც შემძულდა მერე და მეორეც...

— რატომ?

— რაღაც საერთო ვიპოვე მათში.

— ვერ გავიგე.

— თქვენ ვერასოდეს გაიგებთ ამას!

— თქვა თაბაშირის კაცმა, — ვერასოდეს!

— რატომ? — გაოცდა მანონ ლასაურა.



— არასოდეს მოგიწევთ ამაზე ფიქრი... თქვენ არასოდეს ფიქრობთ იმაზე, რაც არის... თქვენ იმაზე ფიქრობთ მუდამ, რაც გსურთ და იმაზე, რაც იყო...

მანონს არაფერი უთქვამს, ვერაფერი გაიგო.

— მისმინეთ! — ჩუმად, ჟინიანი ჩურჩულით ჩაილაპარაკა კაცმა, ეპკით შეკრული ბგერათა კონა იყო, — შემიძლია გენდოთ? ხომ არავის გაანდობთ, რასაც გეტყვით ახლა?

— არა... — გაოცდა მანონი, — ვის რა უნდა ვუთხრა?

— იმათ! — თქვა თაბაშირის კაცმა შიშით სავსე ხმით, — იმათ!.. იქნებ თქვენც იმათთან ხართ? — მითხარი! იმათთან ხართ თუ არა?..

— არა... — თქვა მანონ ლასაურამ, რალციანი გრძნობა დაეფულა, რომელიც ცნობისმოყვარეობაში გადაიზარდა თანდათან, რაზეც კაცის უკიდურესად დაეჭვებული და შიშით სავსე კილო უბიძგებდა.

— მე არ ვიცი. ვინ ვიყავი სანამ თაბაშირის კაცად ვიქცეოდი! — სწრაფად, ჩურჩულით ჩაილაპარაკა უცნობმა, — არაფერი მახსოვს, რაც მანამდე იყო... გარდა ბავშვობისა, ისიც მხოლოდ ისე, როგორც ოაზისი მეხსიერების გადახრუკულ უდაბნოში; იმასაც ხანდახან თუ წააწყდები მეხსიერების უდაბნოში ხეიტიალისას... ისინი კი მაიძულებენ! — უეცარი ბრაზი ჩაესახა ხმაში, — ისინი მაიძულებენ, გავიხსენო ვინ ვიყავი! ისინი თვლიან, რომ ის უნდა ვიყო, რაც მათ უნდათ და რაც მიაჩნიათ... ბიოგრაფიებს მიგონებენ სამისოდ და მაიძულებენ შევეთვისო მათ მიერ შეთითხნილ ცხოვრებას. რალციანი შეუპოვარი ჟინით აკეთებენ ამას. რახან არაფერი მახსოვს, ჰგონიათ, რომ იმ სიცარიელეს შეავსებენ თავიანთი ჟინით, რომელიც ჩემს მეხსიერებაშია... არ იციან, რომ იქ სიცარიელე არ არის — სიმშვიდეა იქ! უსასრულო, უკიდურესად სიმშვიდე! მაგრამ მათ უნდათ განდევნონ იგი და სასოწარკვეთის,

ტკივილის, გაცრუებული იმედების, ილუზიური სიხარულის, ოპტიკური ნარცისობის, ლალატის, მანკიერების, შურის გორგალი ჩადონ მის ადგილზე. მათ უნდათ, რომ თავიდან გავიარო ის, რაც სამუდამოდ დავივიწყე. თავიანთ თავს უნდათ დამამსგავსონ. არ იციან, რომ ის რაც არ მახსოვს, ჩემივე თანხმობით ჩაეფლო სიმშვიდის სანეტარო, უსასრულოდ ღრმა მორევში. მათ უნდათ, რომ იქ დამაბრუნონ, საიდანაც განმდევნეს თავიანთი გულგრილი სისასტიკით... — კაცი დადუმდა. — ხომ არავის ეტყვით? — იკითხა მერე ეპკით, — არ შეიძლება, მათ ეს გაიგონ! თორემ კიდევ უფრო ეცდებიან თავისას. ისინი ღიზიანდებიან მუდამ, როცა წინააღმდეგობას უწევენ; მით უმეტეს, გააზრებულ წინააღმდეგობას, ამაზე შმაგდებიან!.. ხომ არავის ეტყვით?

— არა... — თქვა მანონმა, უცნობის მღელვარება გადაეღო თითქოს, — არავის!

— მართალს ამბობთ?

— ჰო... — თქვა მანონმა, — თქვენ არასოდეს ვიცდიათ გაგებხსენებინათ?

— არა! დარწმუნებული ვარ, არაფერი იყო ბავშვობის შემდეგ!

მანონი სდუმდა. უცნაურობის საბურველში იყო გახვეული ყველაფერი.

— მე არავის ველაპარაკები თქვენს გარდა... — თქვა თაბაშირის კაცმა.

— რატომ?

— თქვენთან შემიძლია ლაპარაკი მხოლოდ!

— სხვებთან?

— არავის ვიცნობ თქვენს გარდა.

— იმათ ხომ იცნობთ, ვისზეც წეღან მითხარი?

— იმათთვის არასოდეს მითქვამს არც ერთი სიტყვა!

— როგორ — გაოცდა მანონი, —

**გია ლომიაძე**  
თაბაშირის კაცი

ნუთუ მართლა არავისთან ლაპარაკობთ ჩემს გარდა?

— მე საოცრად მიჭირს თქვენთან ლაპარაკიც... თქვენ არ იცით, რაოდენ ძნელია ჩემთვის ტელეფონთან მისვლა. საოცარი შიში მიპყრობს ხოლმე მუდამ...

— რისი გეშინიათ?

— იმათი! — ჩუმაღ თქვა კაცმა, მათ რომ გაიგონ ეს, იმწამსვე გამოიყენებენ; თქვენც ჩაგრთავენ თავიანთ ზრახვებში. მათ იციან, როგორ დაარწმუნონ და გამოიყენონ ყველა თავიანთი მიზნის მისაღწევად. მათ ყველაფერი გათვლილი და გაანგარიშებული აქვთ... თქვენთან ლაპარაკისას სავსებით დაუტყველი ვარ მათგან. მათ არ უნდა იცოდნენ, რომ ლაპარაკი შემოძლია!

— რატომ? — მანონი უცნაურ ექსტაზში იყო.

— დუმილი ერთადერთი იარაღია ჩემი!

მანონ ლასაურას არაფერი უთქვამს. რალაცნაირ მღელვარებას შეეპყრო. უჩველოს, გაუაზრებელს...

— ერთხელ ბავშვობაში, — სიჩუმე გაწყვიტა — თაბაშირის კაცმა, — მოხეტიალე ზოოპარკში ვავიპარე სკოლიდან. მთელი დღე დავდიოდი გალიიდან გალიამდე; არაფერი მახსოვს ახლა იქ ნანახიდან, გარდა პატარა, ბეწვგაქუცული ციყვისა, ხორბალში რომ დარბოდა უხილავი მიზნით შეპყრობილი. საოცრად ვგავართ იმ ციყვს სუყველა, ცხოვრება ის ბორბალია, ჩვენი არსებობით რომ ვაბრუნებთ, მიზანი კი სრბოლა. თუმცა ვერ ვგრძნობთ, რომ წრეში დავრბევართ. მივრბივართ და ერთმანეთს ვასწრებთ, როცა გასწრებას აზრი არა აქვს...

მანონი იწვა და უსმენდა. თითქოს უძირო უფსკრულის პირას იდგა სიღრმით მონუსხული და იქ ქაოსურად ირეოდნენ ბუნდოვანი, უკონტურო, უფორმო ლანდები. რალაცნაირ სიახლოვეს გრძნობდა კაცის მიმართ, მაგ-

რამ აშკარა იყო დისტანცია მასსა და თაბაშირის კაცს შორის. უცნობის ნებით თუ ირღვეოდ, მტარდებოდა ან ფართოვდებოდა. მანონ ლასაურა გრძნობდა, რომ ამ დისტანციის მიღმა უსასრულო სამყარო იყო უცნობის სულისა და ცნობისწადილი იპყრობდა უფრო. ათასი სახე დაატრიალა გონებაში, მაგრამ ვერც ერთის იერი ვერ მოარგო თავის შთაბეჭდილებას. ვერაფერი გაეგო ამ უცნაური კაცის, ვერაფრით ჩამოეყალიბებინა მისი იერი და რაობა...

არქიტექტორ გურამ საგინაშვილს ნელა მიჰყავდა მანქანა ლამპონებით განათებულ გზაზე. სევდა შემოსწოლოდა გულს. გვერდზე ხუთი წლის ვაჟიშვილი ეჯდა, რომელიც თავის ყოფილ ცოლთან მიჰყავდა ახლა. მესამე წელი სრულდებოდა, გაცილებულები იყვნენ და ბავშვს მხოლოდ კვირა დილით ატანდნენ სალამომდე...

— მამა! ნახე? თავგმა გადაირბინა! წამოიძახა ბავშვმა.

გურამ საგინაშვილს არაფერი უთქვამს, ჩაფიქრებული გაჰყურებდა გზას. — მამი, გააჩერე, რა! უკან დაებრუნდეთ, თავგი მინდა ვნახო!..

კაცმა უხმოდ მოაბრუნა მანქანა. — სად იყო? — ჰკითხა ბიჭს.

— აი, აქ, მამი! ამ ბოძთან უნდა იყოს... გადავალ რა, ვნახავ!

— გადანი, ოღონდ ხელს ნუ მოჰკიდებ!

— არ მოვკიდებ... უბრალოდ დავხედავ და მოვალ — ბიჭი მანქანიდან ჩამოხტა და ტროტუართან მიიღრბინა. ერთხანს წელში მოხრილი, თავჩაღუნული მიჰყევბოდა კიდეც, მერე ჩაუცქდა.

გურამ საგინაშვილი ჩაფიქრებული მძიმედ აწვებოდა რალაც უშედეგათოდ, მძიმედ აწვებოდა რალაც...

— მამი! წავიყვანოთ? რაა? ჩემთან წავიყვანოთ! — ბიჭმა მანქანასთან მიი-

რბინა. თან მაღიმალ იხედებოდა უკან, სადაც თავი ეგულებოდა. თვალები ედღერებოდა და ალტაცებით ავსებოდა.

— არა, შვილო, არ შეიძლება...

— რატომ? ჩემთან იცხოვრებს, გალიაში ჩავსვამ და ყოველდღე რძეს დავალევენებ!

— არა, შვილო, გალიაში ვერ გაძლებს... მაგას თავისი მამა ეყოლება და ალბათ იმასთან გარბის ახლა. შენ რომ ვინმემ წაგიყვანოს, სულ უჩემოდ ხომ ვერ გაძლებ?... ასე იქნება მაგიც...

— მაშინ მანქანით წაგიყვანოთ თავის მამასთან!

— ვერ მივიყვანო, — გაეცინა გურამ საგინაშვილს, — ჩვენ ხომ არ ვიცით, სად ცხოვრობს? — ჯიბიდან შოკოლადის ფილა ამოიღო, — აჰა! — გაუწოდა ბიჭს, — ნახევარი შენ ჭამე, ნახევარი კი თავუნას მიეცი...

ბავშვი ისევ ტროტუარისკენ გაიქცა. თავი იქ დახვდა მონუსხულივით მიკრული ბეტონის კედეს. მინდვრის თავი იყო, პატარა აცქვეტილი ყურებით. ბიჭმა შოკოლადის ფილა დატეხა და თავს წინ დაუყარა, — ჭამე, თავუნა! ჭამე, ნუ გრცხვენია! — დაუყვავა ჩუმად, ფერებით...

— შეჭამა? — ჰკითხა კაცმა, ბიჭი რომ მანქანასთან დაბრუნდა.

— არა, ჩემი შერცხვა. მეც წამოვედი, ეტყობოდა, ძალიან უნდოდა ჭამა და ხელი არ შევეუშალე... — ბავშვი ჩაფიქრდა, — მამა! — თქვა ცოტა ხნის შემდეგ, — რატომ კლავს კატა თავს?

— არ ვიცი... — თქვა გურამ საგინაშვილმა. მართლა არ იცოდა, ბავშვისათვის გასაგებად როგორ ეთქვა, რატომ კლავდა კატა თავს და არც უნდოდა პატარა ბიჭუნას ეს სცოდნოდა. — არ კლავს, შვილო, პირიქით, კატა და თავიკი დიდი მეგობრები არიან!

— აბა ტელევიზორში რომ აჩვენებენ, კლავსო?


გურამ საგინაშვილს არაფერი უთქვამს. შერე ადგა და შვილი მუხლებზე დაისვა, საჭე მისცა სამართავად...

— ჩვენ ხომ ყველანი ვართ გადამბეჭდები? — თქვა თაბაშირის კაცმა, — და ხომ უნდა ვიგრძნოთ ვინმეს დაცემით როგორ დაიჭიმება ჯაჭვი? თუ მეტისმეტად ბევრნი ეცემიან, ვიცით, ვერ ვძლევთ დაცემულთა სიმძიმეს და ვწყვეტთ ამ ჯაჭვს, რომ ჩვენც არ გადაგვიყოლონ!.. ჩვენც ვტოვებთ მათ თავიანთ დარდთან და წუხილთან, როგორც კეთროვნებს და არავის ვაკარებთ ჩვენს განცდებს, ვინაიდან არ ველით თანაგრძნობას. მივდივართ მარტონი და მივთრევთ ცოდვათა გრძელ ჯაჭვს, რომელიც ყოველ ნაბიჯზე იმავე ნაბიჯით გრძელდება უფრო...

— უცნაური კაცი ხართ, — თქვა მანონ ლასაურამ, — უცნაური...

— არა! — გააწყვეტინა კაცმა, — გინახავთ ოდესმე უცნაური თაბაშირის ქანდაკი? მით უმეტეს, საინვენტარიზაციო ნომრით დადასტურებული? მე ხომ ის უბადრუკი მოვალეობაც კი ვერ შევასრულე, რისთვისაც შემეშინეს... იქნებ არ შემეძლო? — ჩურჩულზე გადავიდა იგი, — იქნებ არ მინდოდა იმის გაკეთება, რისთვისაც ჩამომასხეს? ახლა კი იმისათვის ვარ აქ, რომ შემაკეთონ და უკან დამაბრუნონ ჩემი მოვალეობის შესასრულებლად?... ისინი ვერასოდეს შეძლებენ ამას! მე არ მინდა მათი წესდება, სადაც წერია, რომ უნდა შემაკეთონ! აუცილებლად უნდა შემაკეთონ, რომ ვიცხოვრო ისე, როგორც ყველა ცხოვრობს... მე არ მინდა! არ შემიძლია ეს!.. — ჩურჩულმა აღელვების უკიდურეს ზღვარს მიაღწია და თითქოს დაჭიმული სიმი გაწყდა — მაპატიეთ! — თქვა ცოტა ხნის შემდეგ ჩვეულებრივი ხმით, — არ ვიცი რატომ. ხშირად მიპყრობს ხოლმე ბრაზი და ვეღარ ვერევი მას, მიყოლებს ხოლმე ისე, როგორც ქარისგან ატაცებული ფოთოლი მასზე მცოცავ ჭიანჭველას... ნუ მიწ-

ზია ლომაძე  
თაბაშირის აკაცი



ყენთ!.. ნუ გაგიკვირდებათ ჩემი უხეშობა...

— ერთი რამ მიკვირს მხოლოდ, რასაც მუდამ არიდებთ თავს, მითხარით ვინ ხართ? თითქოს არ მენდობით...

— პირიქით... — ჩუმაღ თქვა თაბაშირის კაცმა, — თქვენ ერთადერთი ხართ, ვისაც ვენდობი.

— მაშინ რატომ არაფერს ყვებით თქვენზე? რასაც ამბობთ თქვენ შესახებ ბუნდოვნებით და გაურკვეველობით არის მოცული...

— ჩემთვისაც ბუნდოვანია... — ნაღვლიანად თქვა კაცმა. — არაფერი შემიძლია გითხრათ... არ შემიძლია ამის თქმა!.. გჯერათ?

— ჰო... — თქვა მანონ ლასაურამ და უეცრად იგრძნო, რომ რაღაც საიდუმლო იფარებოდა კაცის ნაღვლიან ხმაში, მეტად მნიშვნელოვანი უცნობისათვის და ალბათ საშინო მათი ურთიერთობისათვის. კაცის წრფელი კილო მიანიშნებდა იმაზე, რომ მართლაც არ შეეძლო ამის თქმა და მანონ ლასაურას თუ ესმოდა მისი, არ უნდა ჩასძიებოდა...

თაბაშირის კაცი დუმდა.

დუმდა მანონ ლასაურაც.

ორივე თავისას ფიქრობდა...

ლამპიონებით განათებულ გზაზე, ტროტუარზე ჩამწკრივებული ხეთა მკრთალ ჩრდილში მოაბიჯებდა მთვრალი კაცი; მოქალაქე ლერი რეზიაშვილი. დაბადებული 1951 წლის 17 ივნისს პასპორტი VI-TH № — 6345912, უპარტიო, უცოლ-შვილო, არასრული უმაღლესი განათლებით. ზოგისთვის ღოთი იყო, ზოგისთვის „კაი ბიჭი“, ზოგისთვის ხელმოცარული კაცი, ზოგისთვის ხულიგანი, ზოგისთვის უსაქმური, ზოგისთვის საერთოდ არაფერი. მას კი ყველა და ყველაფერი უყვარდა. არასოდეს არაფერზე დასწყვეტია გული. არაფერს მოითხოვდა და რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ალბათ ასევე

ჩუმაღ შეუმჩნევლად თითქოს ხმელი ფოთოლი გვიან შემოდგომაზე მისწვდებოდა ცხოვრების ხეს. ზედნატი ჩინოვნიკი რომელიღაც დიდ დაწესებულებაში პროფესიული გულგრილობით გააუქმებდა პასპორტს VI-TH №—6345921 და არც მოუვიდოდა აზრად რომ ამ პასპორტს ატარებდა კაცი, რომელსაც ყველა და ყველაფერი უყვარდა და მხოლოდ ამიტომ იყო გაჩენილი ამ ქვეყანაზე...

ლამპიონებით განათებულ გრძელ გზაზე მიაბიჯებდა მოქალაქე ლერი რეზიაშვილი თავისი ცხოვრების შემოდგომისკენ. მთვრალი კაცი ოდნავ მიიწვოდა და ჩუმაღ ღლინებდა უცნაურ მელოდიას რომელიც საოცრად ნაცობი იყო და ამავე დროს უცნობი, უცნაური...

— ცხოვრება პატარ-პატარა გამარჯვებებისა და დიდი დამარცხებებისაგან შედგება... — თქვა თაბაშირის კაცმა.

— რატომ?

— ჩვენ შარავანდელით შევგოსეთ ბევრი რამ, რაც საოცრად მარტივი და ჩვეულებრივია თავისი ჭეშმარიტი არსით. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ცხოვრება უბრალოდ, მარტივად, ისე, როგორც ყვავილები და პეპლები ცხოვრობენ თუნდაც... ჩვენს მიერ შექმნილი შარავანდლები გვამარცხებენ მუდამ. ჩვენ ვმონობთ მათ, ნუთუ არ არის ეს ყველაზე დიდი დამარცხება?

— გამარჯვება რაღაა? პატარ-პატარა გამარჯვებები?

— არ ვიცი... იქნებ ფეხშიშველა სირბილი წვიმაში?.. ან ხის კენწეროზე ასვლა ქარში? იქნებ ლექსი კარგად შექმნილი ან ბგერათა ნაკადი შეხმატკბილებული? იქნებ ბელტრა, წამით დანახული ფანჯრიდან, პირს რომ იბანს ქუჩის პირას გუბემი? იქნებ შიშველი ბანაობა მთვლემარე ზღვაში? არ ვიცი, არასოდეს განმიცდია გამარჯვების სი-



ხარული... არ ვიცი, რა არის იგი გამა-  
რჯვება... — ბოლო სიტყვებში ნალველ-  
მა იმძლავრა ისევ.

ნუთუ არასოდეს გიგრძნიათ ის,  
რასაც ამბობთ?

— არა! არასოდეს! არაფერი მახ-  
სოვს! ჩემი სული თავისუფალია ჩემ-  
გან, თქვენი ყველასი კი — დევნილი  
საკუთარი მესხიერებით!

— იცით... — თქვა მანონ ლასაურამ,  
— თქვენ რატომღაც მუდამ ანცალკე-  
ვებთ თქვენს თავს დანარჩენებისაგან...

— ეს ასეც არის, მე განცალკევებუ-  
ლი ვარ! — გააწყვეტინა თაბაშირის კა-  
ცმა.

— ხანდახან მგონია, — თქვა მანო-  
ნმა ჩუმად, — რომ ყველაფერს უარ-  
ყოფთ, არაფერი მოგწონთ...

— არა! — თქვა ცოტაოდენი დუმი-  
ლის შემდეგ მღელვარებისგან ათრთო-  
ლებული ხმით თაბაშირის კაცმა, —  
ჩემთვის ყველაფერს უფრო მეტი ფა-  
სი აქვს... საოცარია ყველაფერი ჩემს  
ფანჯარებს მიღმა. თბილი, ლამაზი და ყო-  
ველი წამი სავსეა განუთქორებელი ფე-  
რალოვნებით და ხმოვანებით... საოცარია  
გამოღვიძება განთიადისას. როცა  
ლამე ნელა იხდის მოციმციმე ვარსკე-  
ლავებით მოოქვილ გრილ მოსახამს:  
დგებარ ფანჯარასთან და თვრები სი-  
ცოცხლის სურნელით... გეუფლება  
სიხარული მარადი დაბადებისა, თით-  
ქოს ნავარდობ უამრავ ჰანგებზე აქლე-  
რებულ ფერადოვან სივრცეში... თენ-  
დება ახლა! გესმით სიოს შრიალი? სად-  
ღაც იღვიძებს პატარა ჩიტო, გესმით,  
გალობს უკვე?..

— ღამეა ახლა, — თქვა მანონ ლა-  
საურამ, — ღამეა და ბნელა...

— შეხედეთ! — გააწყვეტინა თაბა-  
შირის კაცმა ალტყინებით და ჟინით, —  
შეხედეთ! მზეს წვიმაში და აჟრიაპულე-  
ბულ ბაეშვებს, პაწია ხელებით რომ  
იჭერენ თბილ წვეთებს. ნუთუ არ არ-  
ის კარგი? შეხედეთ ხანდაზმულ წყვილს  
ნელა რომ მიუყვებიან ხეივანს ხელჩაკი-  
დებულნი, შერწყმულნი წლებით და

მზრუნველობით, ნუთუ არ კარგია  
მაზები? შეხედეთ, პატარა ჩიტო, ვე-  
უტი თმა რომ შუბლზე ჩამოშლია, ვე-  
ნება ჩანთით ხელში რომ მიაბიჯებს, ნუ-  
თუ არ არის კარგი? შეხედეთ ღიღბე-  
ლებიან სახეზემგომოკიდებულ კაცს,  
ახალ ფეხსაცმელებში ქუჩის პირას რომ  
დგას დაბნეული მანქანათა მდინარები-  
სგან, ნუთუ არ არის ლამაზი? შეხედეთ  
აბრების ფირნიშთან მომლოდინე ჰა-  
ბუქს. ვილაღაც ელის, ნუთუ არ არის  
კარგი? შეხედეთ, ქალიშვილს ქარში  
თმაგაშლილს, საღდაც მიდის, მიფრი-  
ნავს თითქოს, ნუთუ არ არის მშვენიე-  
რი? შეხედეთ გოგონას, მოთამაშეს  
ბლაგვდრუნჩიან ლეკვთან, არავინ რომ  
არსებობს მათთვის, თამაშის გარდა,  
ნუთუ არ არის კარგი? შეხედეთ ჩი-  
ტებს, გაბნეულებს ლაყვარდოვანი ცის  
გუმბათზე, ნუთუ არ არის მშვენიერი,  
შეხედეთ, გახუნებული ასფალტის ბზა-  
რში ამოწვერილ ბალახის სიფრიფანა  
ლეროს, ნუთუ არ არის კარგი? შეხე-  
დეთ მზით სავსე გვირილებით შემო-  
სილ ველებს, ცისთვალებს, ენძელებს,  
იღუმალებით სავსე გარინდულ ტყეებს,  
მოჩხრიალე ნაკადულებს, სიცოცხლით  
სავსე ზღვებს. მოსარკულ ტბებს, ნის-  
ლით დაბურულ სპეტაკ, ამაყ ბუმბერა-  
ზი მთების მწვერვალებს, ნუთუ არ არ-  
ის კარგი? მშვენიერი! საოცარი!.. მაგი-  
ურად ქდერდა კაცის ხმა. მანონ ლასა-  
ურა თითქოს გრძობდა სურნელს თი-  
ბათვისა, მოლივლივე ზღვის ალერსიან  
შრიალს, გრილ სიოს ტყისპირისას,  
ფრთოსანთა ქდურტულს... გონებაში  
ირეოდა ყველაფერი; წამიერად კრთე-  
ბოდა ადრე ნანახი, მაშინ შთაბეჭდილე-  
ბა მოუხდენელი სურათები და თავიდან  
იძენდა მნიშვნელობას უფრო ძლიერს,  
საბოლოოს და იბეჭდებოდა მის სულ-  
ში.

იწვა თვალებდახუტული, მინდობილი  
თაბაშირის კაცის ხმას ისევ, როგორც  
ხმელი ფოთოლი ქარში...

**გია ლომაძე**  
თაბაშირის კაცი



ქალაქის სასწრაფო დახმარების სა-  
ავადმყოფოს პროზექტურის №1 მაგი-  
დანზე ორმოცი წლის კაცი განისვენებდა,  
სამი საათის წინ მოიყვანეს უკვე მკვდა-  
რი. საბუთები არ ჰქონდა თან. ქუჩაში  
იპოვეს გულმკერდის არეში ბასრი სა-  
გნით მიყენებული ჭრილობით. ჩაცმუ-  
ლი იწვა მაგიდაზე, სისხლი შეხმობოდა  
უზადოდ შეკერილ ნაცრისფერ პიჯაკ-  
ზე, რომელიც სრულად ჰქონდა ახლა,  
ვინაიდან მკვდარი იყო. სახის ნაკვთები  
სიმწვდით ავსებოდა. იმ უბნის მილი-  
ციის ოპერატორი, სადაც იგი მოჰკვლეს,  
შეუსვენებლივ სერავდა ღამეულ ქუ-  
ჩებს ბოროტმოქმედების ძებნაში. სამ-  
ძებრო განყოფილების ფოტოგრაფი  
შემთხვევის ადგილზე გადაღებულ ფი-  
რებს ამქლავებდა. ჭირისუფლები ნაც-  
ნობ-მეგობრებს ურეკავდნენ, ნახევარ  
საათში მილიციებში და საავადმყოფო-  
ებში დაიწყებდნენ რეკავს. იგი კი იწვა  
მშვიდად, უღრტივინელად. მისივე მსგა-  
ვისის, მოყვასის მიერ მოწყვეტილი ამ-  
ქვეყნიურობას. ფიქრი რომ შეძლებო-  
და, ახლა ვერაფრით გაიგებდა, ვინ მო-  
ჰკლა და რატომ...

№2 მაგიდაზე ახალგაზრდა კაცი იწ-  
ვა გულმკერდჩანგრეული; მორიგი  
მსხვერპლი მორიგი ავტოკატასტროფისა.  
სიცოცხლეში მუდამ დარწმუნებული  
იყო, რომ კარგად მართავდა მანქანას და  
ყველგან შეიძლებოდა ხიფათი მოსვლო-  
და, ოღონდ მანქანაზე არა... მუდამ ჩქა-  
რობდა, მუდამ სხვებზე ადრე უნდოდა  
მისვლა დანიშნულ ადგილზე და საბო-  
ლოოდ მივიდა კიდევ... ამ ქვეყანაზე  
დარჩა მარტოხელა დედა და საცოლე,  
რომელიც ხვალ დილით ელოდებოდა  
მისი ტელეფონის ზარს; შაბათი იყო და  
ქალაქგარეთ აპირებდნენ გასეირნებას  
მეგობრებთან ერთად...

№3 მაგიდაზე უთვისტომო, უსახლკა-  
რო ლოთის გვამი განისვენებდა. რამ-  
დენიმე დღის გაუპარსავი წვერი კი-  
დეც უფრო უღრმავებდა დახუჭულ  
თვალთა უბეებს და უგრძელბდა წვე-

ტიან ნიკასს. ფუძის მოტყევილობა მრ-  
იყვანა აქ. სად მიდიოდა, რატომ და რა-  
სთვის, თვითონაც არ იცოდა ალბათ.  
მის სხეულს სამედიცინო ინსტიტუტის  
ანატომიის კათედრა შეიძენდა...

№4 მაგიდაზე ოცდათვრამეტი წლის  
კაცი იყო. კეფა ჰქონდა ჩატეხილი ბლა-  
გვი საგნით. ქალის გამო მოხვდა აქ; სა-  
მი წელი იყო მისი საყვარელი და კი-  
დეც იქნებოდა ალბათ რამდენიმე ხანს,  
ქალის ქმარი რომ არა, რომელიც ერთი  
ღამით ადრე დაბრუნდა მივლინებიდან  
და სარეცელში მის ადგილზე სხვა ალ-  
მოაჩინა. მკვლელს იქ, საძინებელ ოთა-  
ხში არაფერი უთქვამს, უაზროდ შეიგი-  
ნა მხოლოდ და გარეთ გამოვიდა; სადა-  
რბაზოსთან ჩასაფრდა აგურით ხელში,  
სმენა და ყურადღება დაძაბული, დამუ-  
ხტული საშინელი ძალით და ცივი, ერ-  
თადერთი გადაწყვეტილებით. ცოტა  
ხანს დასჭირდა დაცდა, ჭერ გაიგონა,  
როგორ გაიტაკუნა მისი ბინის საკე-  
ტმა სიჩუმით ავსებულ სადარბაზოში,  
მერე მსხვერპლის აჩქარებული ნაბიჯის  
ხმა კიბეზე, აცალა სადარბაზოდან გა-  
სვლა, მტაცებლური ინსტინქტი კარნა-  
ხობდა ამას. მერე ფეხაკრეფით გაჰყვა  
უკან, კვარტლის ბოლომდე მიჰყვებო-  
და შორიხალში. მერე უეტყრად მოსწყდა  
ადგილს და რამდენიმე ნახტომით დაე-  
წია განწირულს. და სანამ იგი ინსტიქ-  
ტურად მხრებში მოხრილი და თავდად-  
რეკილი მობრუნებას მოასწრებდა, აგუ-  
რის ერთი დარტყმით გამოაგზავნა აქ  
პროზექტურაში...

№5 მაგიდაზე პროფესიონალი ქურდი  
იწვა. სხეული იარებით და ტატუირებით  
ჰქონდა მოსვირინგებული. მარჯვენა ფე-  
ხის ტერფზე „დამბანე ფეხები, ლამა-  
ზო“ ამოესვირინგებინა, მარცხენაზე —  
„ისინი დაილაღნენ“. რესტორნიდან მო-  
ასვენეს აქ. სადაც თანამეინახეების და  
მთელი დარბაზის თვალწინ თითქმის მი-  
ბრჯნით ესროლა მილიციის მაიორის  
ფორმაში გამოწყობილმა მისმა ყოფი-  
ლმა ამფსონმა, რომელიც ერთი კვირის  
გამოსული იყო ციხიდან. ესროლა მშვი-  
დად, ხუთიოდ ნაბიჯის სიშორიდან. ოთ-



ხვერ ზედზედ, მერე გაბრუნდა და აუჩქარებლად გადაჭრა რესტორნის დარბაზი, კიბე ჩაირბინა მხოლოდ. ქუჩაში მდგომი მოპარული მანქანის საჭეს მიუჯდა და ადგილს მოსწყდა. რესტორანში ყველას, გარდა მოკლულის თანამეინახეებისა ეგონა რომ მკვლელი მართლა მილიციის მაიორი იყო. თანამეინახეები კი თავზარდაცემულები ისხდნენ; მათ იცნეს იგი, ისიც უცებ გაიზარეს, რატომ დატოვა მკვლელობა სავაზნეში კიდევ ოთხი ტყვეია და ისიც კარგად იცოდნენ, რომ ქურდის მკვლელისგან უკვე ყველაფერი იყო მოსალოდნელი. არავის დაინდობდა ცოფიანი ძაღლივით. არეულობით ისარგებლეს და ნელა გაიპარა სუყველა. შემთხვევის ადგილზე გამოცხადებულ ოპერ-გუგუს მხოლოდ ერთი დაბნეული ახალგაზრდა „ფრაერი“ დახვდა, რომელიც ახლა მილიციის განყოფილებაში იყო დაკითხვაზე და დაბადების დღეს იწყველიდა იმის მაგივრად, რომ მის მიერ არჩეული გზა დაეწყევლა...

ნერ მაგიდაზე ჩვიდმეტი წლის ქალიშვილი განისვენებდა. საშინლად იყო დასახიჩრებული. დაუმთავრებელი სახლის მეცხრე სართულიდან იყო გადმოვარდნილი. ქალიშვილი ღამის თორმეტ საათზე რომ იმყოფებოდა იქ, იმაზე მიანიშნებდა, რომ თავისი ნებით არ გადმომხტარა, ან აიძულეს. ან კიდევ გადმოაგდეს. რამდენიმე კაცმა დაინახა მხოლოდ, როგორ დაასკდა ქვაფენილს ყრუ ხმით სხეული და მერე, სანამ სასწრაფო დახმარების მანქანა მოვიდოდა, იწვა ნაცრისფერ ასფალტზე გათვლილი მიხაკივით. აქედან მეორე დღეს, საღამოს წაიყვანდნენ, ვინაიდან ამაღამ არ ელოდებიან სახლში, მშობლების ვარაუდით თავისი თანაკურსელი გოგოს აგარაკზე იყო ქალაქგარეთ, მთელი კვირა ეხვეწა მათ მანამდე, იქ გაეშვათ მთელი დღით...

დანარჩენი მაგიდები ცარიელი იყო, თოთხმეტი მაგიდა იყო კიდევ. მაგრამ ჯერ ღამის ორი საათი იყო მხოლოდ...

მკრთალად ციმციმებდა შუქი ქალა-

ქის სასწრაფო დახმარების საავადმყოფოს პროზექტურაში, ერთსადაცღამე შენობა მთავარი კორპუსის მოწინავე ბით ოღნავ შემადღებულ ადგილზე იდგა, ვრცელი, ხეებით დაბურული ბაღის ბოლოში. სქელი, თეთრი საღებავით ნახევრად ამოვსებულ ფანჯრებიდან ჟონავდა მკრთალი შუქი. თითქოს გზის მანიშნებელი შუქურა იმქვეყნიურობაში...

ადრე დილით სისხლის სამართლის ექსპერტიზის მუშაკები ეწვეოდნენ პროზექტურას.

დარბაზის მუხის პანელებით გაწყობილ კედლებზე შეეფარებინა თავი საქართველოს ნაციონალურ კოლორიტს: ხმალ-ხანჯლებს, აბჯარ-მუზარადს, თუშურ ხალიჩებს, იმერულ დოქებს. თიხის და სპილენძის ჯამებს, დამბაჩებს, გრძელ, სამდარიან სატევრებს, მაჭახელებს, ყანწებს, თუნგებს... დარბაზის ბოლოში წითელი აგურით ამოყვანილი ბუხარი, ბუხრის ქონგურზე შანდლები. შუა კედელთან ჭრელფარდაგადაფარებული განიერი ტახტი, ტახტზე ზოლიანი მუთაქები, ატლასის ყურთბალიშები, კაკლის ნარდი...

დარბაზის შუაგულში გრძელ, განიერ მაგიდასთან თავშეყრილი სტუმრები. სტუმრებზე „ლასთ ფეიშნ“, „ნინა რიჩი“. „კინგ საიზ“, „კარდენ“, „შინელ“, „ბესტ ვეარ“, „სალამანდრა“, „ბიდერმან“. „გაბორი“, „სამოა“, „კლიმა“, „კოლორადო“, „საფარი სტილ“, „ტოპმენ“, „მაგრიფ“... დაღესტნური ვერცხლი, ეგვიპტური ოქროს სამაჯურები, ჭინჯილები, საყურეები, მარჯანი, ძოწი, სარდიონი, ზურმუხტი, ბრილიანტი...

მასპინძელი, ირაკლი ხავთასი კმაყოფილებით შეავლებდა ხანდახან მზერას მაგიდას. მზერაში გამოსჭვიოდა საშუალო გონების, მატერიალურად

გია ლოგაძე

თბაქოშირიის კაცი



სხვებზე უზრევლყოფილი ადამიანისთვის დამახასიათებელი მედიდურობა და მანიაკალური ქინი ირგვლივ მყოფზე მალთა დგომისა. ინსტიტუტში მუშაობდა ერთ-ერთი განყოფილების გამგედ, თანამდებობის ტრფიალი არ გახლდათ, რადგან, მისი აზრით, უფრო საიმედო და მყარი დასაყრდენი — ფული ჰქონდა. მამამისისგან ცნობილი მეცნიერისგან, საკმაოდ დიდი დანაზოგი, ნაციონალურ სტილში აშენებული აგარაკი და შრომებზე საავტორო უფლება დარჩა. რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი იყო თავად, ძალზე უმნიშვნელოების, მაგრამ თვითონ დარწმუნებული იყო, რომ საუკეთესო ნაშრომები ჰქონდა და შეუპოვარი, ავადმყოფური ქინით ელოდა, რომ ამას აღნიშნავდნენ. მის ირგვლივ ისეთივე ხალხი იყო, როგორც თვითონ, ხოლო ერთნაირი გონებრივი ადამიანთათვის მათი მსგავსის აღიარება ყველაზე ძნელი საქმეა და ამიტომ ყველა სდუმდა; ეს კი, ირაკლი ზავთასის უკმაყოფილობის და ცინიზმის მიზეზი ხდებოდა, რასაც იგი სხვების კიცხვით, დაცინვით ინახავდალურებდა. იგი საოცარი დემაგოგით გამოირჩეოდა (ეს უკანასკნელი ზომ ათენას ფარია იმათთვის, ვინც არაფერს აკეთებს სასარგებლოს) მიუხედავად იმისა, რომ ძალზე განათლებულ ოჯახში იყო აღზრდილი და მთელი ოცდახუთი წელი კულტურას ემსახურებოდა, მას პროვინციალის შეზღუდული გონება ჰქონდა, რომელსაც უნდა ყველაფერი ახსნას, თავისებურად ხსნის კიდევაც და ბოლოს იმ დასკვნამდე მიდის, რომ ყველაფერი იცის ამ ქვეყნისა. ირაკლი ზავთასი დარწმუნებული იყო, რომ ყველაზე უკეთ ერკვეოდა ლიტერატურაში, ისტორიაში, პოლიტიკაში... თავისი სწობური ბუნების გასაძღომად იგი მუდამ ცდილობდა ეტრიალა ხელოვანთა შორის, ეძებდა მათთან ნაცნობობას და არცთუ ისე იშვიათად პოულობდა კიდევ. ხშირად აწყობდა თავის აგარაკზე ნადიმებს მათ პატივსაცემად...

ქალბატონი ცინუკი. ირაკლი ზავთასის მეუღლე, უცხო ენაზე ვერცხდებოდა, სის დიპლომიანი დიასახლისი. ისე განიცდიდა თუ ვინმეს მასზე კარგი კაბა ეცვა ან ძვირფასი სამაჯური ეკეთა, როგორც სტიქიურ უბედურებას. წლები ჩაცმასა და საკუთარი სხეულის მოვლაზე ზრუნვაში ჰქონდა გატარებული. მის ირგვლივ მუდამ იყვნენ ისინი, ვინც მის მაგივრად გასწევდა იმ სამსახურს, რასაც დიასახლისობა ერქვა. ორი ქალიშვილი ჰყავდათ ტყუპები, — (აქ ყველაზე მაგრად გაუმართლა ცინუკის, თორემ მეორედ არასოდეს ჩაიდნდა იმას, რაც მის გარეგნობას შენარჩუნებას ეჭვის ქვეშ დააყენებდა), ისინი მოახლემ გაუზარდა, რომელიც ოცი წელი სრულდებოდა უკვე, მათ ოჯახს ემსახურებოდა. ახლა მზრუნველი დიასახლისის როლს თამაშობდა ქალბატონი ცინუკი და გონებაში არჩევდა სუფრაზე მსხდომთაგან მომავალი სიძეების კანდიდატურას, ქალიშვილები ოც-ოცი წლისანი იყვნენ უკვე...

ვიქტორია სანიშვილი, ორმოცს მიღწეული ცისფერთვალემა ქალი ფილოლოგი იყო. უკვე მეთექვსმეტი წელი სრულდებოდა, წერდა დისერტაციას და ამ ათი წლის განმავლობაში განუზომელი პრეტენზია შეიძინა ლიტერატურის ცოდნისა. მესამე წელი იყო, ზედიზედ იბარებდა მისაღებ გამოცდებს ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში და იქ მოღვაწეობასთან დაკავშირებით ფრიად საეჭვო რეპუტაცია ჰქონდა გარკვეულ წრეებში. გაუთხოვარი იყო. ფეხსაცმელებს, კაბას, თავსაფარს და ალბათ სხვა რამესაც ერთი ფერისას ატარებდა მუდამ. ლამაზი ქალი იყო...

ემანუილ დლონტი, კინოსტუდიის სასცენარო განყოფილების ერთ-ერთი რედაქტორი, რომლებითაც საესეა მთელი ქვეყნის კინოსტუდიები და რომლებიც რეჟისორებთან, ასისტენტებთან ერთად ქმნიან აზრს, რომ მხოლოდ ეს სამი თანამდებობაა ამ დაწესებულებაში. გოლიათური აღნაგობის, თამაშ-



ვერცხლილი ორმოცდახუთი წლის კაცი იყო. განუყრელი ჭრელი პიჯაკებით და ანეკდოტების უთვალავი მარაგით მსახიობთა ცხოვრებიდან. იგი იმ უღარდელ ადამიანთა ჯგუფს განეკუთვნებოდა, რომლებიც ყველაფერზე თანახმანი არიან, ოღონდ თვითონ იყვნენ კარგად. უცოლო იყო, არც არასოდეს ჰყოლია. სცენარებს წერდა მულტიპლიკაციურ ფილმებისათვის და ათიოდე წლის წინ დაწყებული სერით თითქმის მონომოლიზაციას მიადგინა. ოცდამეორე სერია ჰქონდა ახლა წხად. ოცდაორევე ფილმში უცვლელი პერსონაჟები მონაწილეობდნენ: მზაკვარი მელა ანტუანეტა, ხარბი, ბოროტი და ამავე დროს სულელი მგელი კარლო, მლიქვნელი, მსუქანი ტურა იოსები, კეთილი ზღარბი ბესარიონი, დათვი მიხა (რომელსაც ყველა სერიაში ეძინა) და მამაცი თხა მელქისედექი. ეს უკანასკნელი, ისეთ შიშის ზარს სცემდა ეკრანებს გადაციცებით მიჩერებულ უდანაშაულო ბავშვებს, რომ კადრში მის გამოჩენაზე მათი ბავშვური, გულუბრყვილო სიმპათიები მგელ კარლოსა და მისი დამქაშების მხარეზე იხრებოდა მუდამ...

სულთ და ხორცით შინაბერა ელიზა თვაური, გაურკვეველი ასაკის... ასაკს ისე უფრთხილდებოდა, როგორც უბიწოებს, ამ უკანასკნელს კი დარწმუნებული იყო, მთელი ჯანსაღი მამაკაცობა ემუქრებოდა. ისიც სასცენარო განყოფილებაში მუშაობდა. ენერგიას, რომელიც საქორწინო სარეცელზე უნდა დაეხარჯა ალბათ, უთავბოლო კამათებსა და ქვეყნის გასწორების პროგნოზირებას ახმარდა: რატომღაც დარწმუნებული იყო, ატლანტისელთა, ამ მითითური, საიდუმლოებით მოცული ერის პირდაპირი შთამომავალი იყო. პოეზიას გახლდათ ნაზიარები; პატრიოტიზმზე წერდა და სიყვარულზე. პროზას ვერ იტანდა, მამაკაცებს არარაობად თვლიდა იგი, მისთვის ყველა მამაკაცი ბუნების უკუღმართობის დამადასტურებელი ფაქტი იყო. სიყვარულზე ისეთივე წარმოდგენა ჰქონდა, როგორც თექვს-

მეტი წლის ქალწულს და ეს ყველაფერი აღრმავებდა უფსკრულს მასს და მამაკაცებს შორის. თუმცა არც ისინი იდგნენ ამურისაგან გულდაკოდილნი ამ უფსკრულის პირას, მავედრებელი თვალებით იქ, სადაც გაღმა ნაპირზე ამავად იდგა ვარდისფერ საცვლებში გამოწყობილი პოეტი ელიზა თვაური... ქორეოგრაფი მანუჩარ ბარბაქაძე, ცნობილი ანსაბლის ყოფილი მოცეკვავე, საიდანაც რაღაც ბუნდოვანი მიზეზების გამო დაითხოვეს. მისი ინტერპრეტაციით, ბევრი ეხვეწეს, მაგრამ არ დარჩა, ვინაიდან ჭეშმარიტი ხელოვანი იყო. ბოროტი ენები კი (ვაგლახ! ასე მრავლად რომ მოიძებნებოდა ადამის და ევას ნაშიერებს შორის), რაღაცებს ყვებოდნენ სექსუალციაზე, აზარტულ თამაშობებზე... ამჯერად ქორეოგრაფად მუშაობდა. მის მიერ დადგმული ცეკვები ყოველთვის გამოირჩეოდა იმ ილეთების და ნახაზების სიუხვით, რომლის შექმნასა და დამუშავებაში მის არაერთ ნიჭიერ კოლეგას მიუძღოდა წვლილი. მისი საუბრის ძირითადი თემა ის ქალაქები და ქვეყნები იყო, რომელიც ანსამბლთან ერთად მოიარა. ყველაზე მთავარს კი, უფრო დამაჯერებელი რომ ყოფილიყო ალბათ, ყველაზე იშვიათად ყვებოდა, ეს იყო ევროპის ერთ-ერთი ქვეყნის ულამაზესი დედოფლის ამბავი — მანუჩარით მოხიბლულმა ანსამბლი სასახლეში რომ მიიწვია. რა მოხდა იქ, სასახლეში, ამაზე არაფერს ამბობდა მანუჩარ ბარბაქაძე (მსმენელის ფანტაზიას და წარმოსახვას უბიძგებდა ამით) და სამშობლოს სიყვარული რომ არა, ჩვენი მამა-პაპათა ძვლებს სიყვარული რომ არა, ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტის სიყვარული რომ არა... — აქ იგი თხრობას შეწყვეტდა, თვალს რომელიღაც წერტილს გაუსწორებდა, მსმენელთა თავებს ზემოთ საქართველოს გაუმარჯოსო, — უეცრად დასძახებდა

ბია ლომაია  
თბაზორის აკაცი



და სულმოუთქმელად დასცილიდა სას-  
მისის ერის მხსნელის იერით. წარმოსა-  
დგევი გარეგნობის კაცი იყო, ოცდათხუთ-  
მეტი წლის, ცოლს გაშორებული; ვერ  
გაუძლო მანუჩარ ბარბაქაძის უთავბო-  
ლო სასიყვარულო ინტრიგებს. ერთი  
შვილი ყავდათ, რომელსაც მანუჩარ  
ბარბაქაძე მხოლოდ ალიმენტს უხდი-  
და...

მუსიკათმცოდნე საშა ხომერიკი, ნა-  
ხერხემოცილი ფიტულივით კაცი, ორ-  
მოცდაათს მიღწეული, რომელსაც ელი-  
ზა თვალის თქმით, კაცის მხოლოდ  
ხმა ჰქონდა; საშა ელიზას განუყრელი  
მოწინააღმდეგე იყო ხელოვნებაზე ატე-  
ხილ ყველა მშფოთვარე კამათში. საშა  
ხომერიკის სტიქია მუსიკა იყო, აქ  
იგი ისე გრძნობდა თავს, როგორც  
თხუნელა მიწაში. ხომერიკს არაფრით  
შეეძლო ხმამალა კომენტარის გარეშე  
მუსიკალური ნაწარმოები მოესმინა,  
ხანდახან ხმის გამძლიერებელსაც ჩა-  
უწევდა, რომ მისი კომენტარი გავგოთ,  
ოპერაში კი ნებისმიერ დრამატიულ  
ტენორს ჯაბნიდა პარტერიდან. საშა  
საოცარი კონსერვატორი იყო: ყველა-  
ფერს ეწინააღმდეგებოდა ახალს, რო-  
გორც მუსიკაში, ისე ცხოვრებაში.  
არგუმენტად ის მოჰყავდა, რომ რო-  
გორც პირველში, ისე მეორეში კაცობ-  
რიობამ ამოწურა თავისი შესაძლებლო-  
ბანი, უმადლეს საფეხურს მიაღწია და  
ყოველი ახალი უგუნურობის, უნიჭო-  
ბის და მასობრივი ფსიქოზის გამოვლე-  
ნა იყო. მისი კონსერვატიზმი მძიმე  
უღლის მატარებელი მისი ცოლი იყო,  
რომლის ცხოვრება თითქმის შუა საუ-  
კუნეების ზნეობრივ და ეთიკურ ნორ-  
მებში მიმდინარეობდა... არარაობებს  
შუდამ აქვთ ტირანიისკენ მიდრეკილება,  
ხელსაყრელი შემთხვევა თუ მიეცათ;  
საშა ხომერიკი ტირანი იყო. — თავისი  
ოჯახის ტირანი. შვილები არ ჰყავდათ,  
მათი უშვილობის მიზეზი მისი მეუღლე  
იყო და ხომერიკმა ყველანაირად დაუმ-  
ძიმა ქალს ეს მისგან დამოუკიდებელი  
გარემოება...

დრამატული თეატრის მსახიობი ზეი-

ნაბ შიოშვილი; ასაკით ორმოცის, გარე-  
გნობით — ოცდაათის, ქალი საყვარე-  
ლს სიყვარულო ინტრიგებში, თავისი საყ-  
ვის კარგი მცოდნე, კარგი მსახიობი  
იყო. იმდენად განიცდიდა მის მიერ  
განსაზიერებულ როლებს, რომ კარგად  
ზღვარს და თეატრს გარეთაც იმ  
ცხოვრებით ცხოვრობდა, რითაც სცენა-  
ზე. ამის გამო საკუთარი გრძნობები  
დაუჩლუნგდა და სხვისით ცხოვრობდა.  
ბოლო ხანებში გრძნობდა ასაკის შემო-  
ტევას. ქმარს გაშორებული იყო, ბავშ-  
ვები არ ჰყავდათ და ზეინაბ შიოშვილს  
ყოველი თეატრალური სეზონის დამ-  
თავრების შემდეგ ეუფლებოდა რალა-  
ნაირი სევდა, რასაც გამოგონილი სიყ-  
ვარულით იქარწყლებდა. ჩვიდმეტ-  
თვრამეტი წლის ჭაბუკები მოსწონდა  
უფრო...

დრამატურგი იასე ბეალავა... ერიდე  
წვრილთვალა კაცს და მსხვილთვალა  
ქალსო, ამბობს ხალხური სიბრძნე  
(იასე — ქალი უთუოდ მსხვილთვალა  
იქნებოდა), რაც სავსებით უგულვებლ-  
ყვეს ზოგი რაიონის და ქალქის თეატ-  
რების მთავარმა რეჟისორებმა და მათი  
რეპერტუარი იასე ბეალავას წყალო-  
ბით რამოდენიმე წლით შეივსო, რამაც  
თეატრები ერთმანეთის ჩაცმულობის  
დათვალიერების, საუბრების და რბილ  
საგარძღებში მთქანარების მოყვარული  
ხალხის თავშესაფრად აქცია. მისი პიე-  
სების შინაარსი: ახლად ინსტიტუტდამ-  
თავრებული, ასპირანტურაზე უარნათქ-  
ვამი ახალგაზრდა ინჟინერი (წარმოსა-  
დგევი გარეგნობის, ყველა ქალი იხიბლე-  
ბა მის დანახავაზე და გული საამურად  
უძგერთ, კარგად სვამს, უალრესად გა-  
ნათლებულია, იცის სამზო ან ძიუღო)  
თავისი სურვილით მიდის ქარხანაში სა-  
მუშაოდ; მეორე პერსონაჟი, მასზე  
ცოტათი უფროსი (ეგოისტი, წარსუ-  
ლის გადმონაშთებით სავსე კარიერის-  
ტი, მოქვენელი ადამიანი) გეგმის შეს-  
რულების დაჩქარების გამო უნდა მას  
ხელი მოაწერიანოს რალაცა დოკუმენტ-  
ზე. დადებითი პერსონაჟი მორალური  
პრინციპების გამო უარს ამბობს. უარ-



ყოფითი ინტრიგებს მიმართავს, ამ საზიზღარ საქმიანობაში გათული ნაკლებ ყურადღებას აქცევს თავის მიჯნურს (ლამაზი, პოეტური სახელი) რომელსაც მოქმედების რაღაც ერთ მეთად ნაწილში დადებითი პერსონაჟი შეუწყვარდება და იმწამსვე თვალი აეხილება ყოფილი მიჯნურის შავბნელ ზრახვებზე, რომელიც თურმე იმიტომ ეუბნებოდა პოეტურ, გულშიჩამწვდომ სიტყვებს ასწლოვანი ჭადრის ქვეშ, მისის თბილ, მთვარიან ღამეს, რომ ქალიშვილის მამა ქარხნის დირექტორი იყო (მკაცრი, მომთხოვნი, საქმეებში ჩაფლული კაცი) და ცოტა ხანში მინისტრად უნდა გადაეყვანათ. ყველაფერს თავისი დასასრული აქვს და, მით უმეტეს ბოროტებას — ფინალში უარყოფითი პერსონაჟის ინტრიგებს და მაქინაციებს ფარდა ეხდება; ქალიშვილი მას კაიკაცობის ნიღაბს ჩამოგლეჯს მამამისის წინაშე. უარყოფილი მუქარით, რომ ამ საქმეს ასე არ დასტოვებს, წავა სადაც ჯერ არს, ტოვებს სცენას (ქარხანას), ქარხნის დირექტორი თავის ქალიშვილს და დადებით პერსონაჟს ხელს ჰკიდებს და სცენის შუაში მდგომნი ბედნიერი ღიმილით უშტერებენ მზერას რამპის ჩირაღდნებს. ისმის შრომის სიმღერა (ფარდა)... ეს სიუჟეტი იმდენად ჰქონდა დახვეწილი იასე ბეალავას, რომ სამოქმედო ადგილს, პერსონაჟთა სახეებს შეცვლიდა და ახალი პიესაც მზად იყო.... იასე ბეალავა რედაქტორთა საუბედუროდ, საოცარი, შესაშური პროდუქტიულობით გამოირჩეოდა, წერდა ლექსებს, პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულ ათასსტრიქონიან პოემებს. მოთხრობებს, ნოველებს, ოთხი (მართალია, ჯერ გამოუქვეყნებელი) რომანიც ჰქონდა და რადგან მწერლისთვის ყველაზე ძლიერი ძალა, სანამ ნაწარმოებს სამსჯავროზე გაიტანს, თავმოყვარეობა და პასუხივებლობაა, რაც ათასეული წლების განმავლობაში უკულტივირდებოდა ადამიანს, ხოლო იასე ამ მხრივ სრულებით არ განსხვავდებოდა ხიდან ცალ-

ფეხჩამოდგმულ შორეულ წინააღმდეგობურ რედაქტორებს და სტილსტეტებს დადი...  
 ჯაფა ადგათ მისი ნებისმიერი ნაწარმოების გამოქვეყნებაზე. მკითხველს კი ქვეშეცნეულად უქვეითდებოდა გემოვნება, პირველად რომ არ გავგოს საკუთარი ქმნილების გამოქვეყნების გემო, იასე ბეალავა ისეთივე გრაფომანი დარჩებოდა, როგორც მრავალი სხვა, ნებისმიერ კულტურულ ერს რომ ჰყავს და ლიტერატურისათვის ვაცილებით უკეთესი იქნებოდა...

რეჟისორი ლაურა ქსოვრელი, ექვსი სრულმეტრაჟიანი ფილმის ავტორი. ყველა ფილმის მთავარი გმირი ქალი, რის გამოც სუყველას ავტობიოგრაფიული ეპიზოდის იერი დაჰკრავდა. სცენარს თითონ წერდა, ხატავდა, უკრავდა, ყოველმხრივ განვითარებული ქალი იყო. ყველაზე დიდი სიამოვნება მისთვის მის ფილმებზე საუბარი იყო, რა თქმა უნდა დადებითი შეფასება, თვითონაც შემთხვევას არ უშვებდა, არ შეეშო თავისი ფილმი. ვაჟიშვილი ჰყავდა, რომელიც სარეჟისორო ფაქულტეტზე სწავლობდა ისევე, როგორც რეჟისორთა უმრავლესობა, რაც ქმნის აზრს, თითქოს ხელოვნებაში პროფესია მემკვიდრეობით ვადაღის: რეჟისორის შვილი — რეჟისორი, მხატვრის — მხატვარი, მოქანდაკის — მოქანდაკე და ასე შემდეგ... ლაურა ქსოვრელის ბოლო მხატვრული ფილმი მაგნე წესჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლას ემსახურებოდა. მაგრამ მოხდა საოცარი, ამ ფილმის ნახვის შემდეგ მაყურებელს ექმნებოდა აზრი, რომ პირიქით ამ წესჩვეულებათა პროპაგანდას ემსახურებოდა იგი...

საბავშვო პოეტი კაკო ლაშვი, ხუთი შვილის მამა. სავსე მრავალრიცხოვან ზრუნვით და ასევე მრავალრიცხოვანი პატარა-პატარა პრობლემებით. ერთერთ გამომცემლობაში მუშაობდა ლიტერატურულ მუშაკად. არავისთვის არასოდეს უწყენინებია. სულ მცირეც


**გია ლომაძე**  
 თბილისის აკად



კი. თვითონ რა სწყინდა, ან რა ახარებდა, არავის აინტერესებდა. რალაცნაირად ჩაკეტილი იყო უხილავ ნაჭუჭში. თითქმის ყველა პატარამ იცოდა მისი ლექსები, მერე კი, ასაკთან ერთად, როგორც დაპატარავებული ტანსაცმელი, ისე ავიწყდებოდათ. სტუდენტობის და ახალგაზრდობის მეგობრებსაც ავიწყდებოდათ ხშირად. კაკო ლაშვი რალაცნაირი შეუპოვარი ჟინით ყიდულობდა ლატარიის ბილეთებს. არასოდეს მოუგია რამე, მაგრამ სჯეროდა, რომ მოიგებდა. არ იცოდა, რომ ლატარიის თავდაპირველი დანიშნულება და პრინციპი მდიდართა გართობა იყო.

ეკა დვალი, მწერალი, ავტორი დეტექტიური ჟანრის რომანებისა. მისი რომანები პირველივე ფრაზიდან ითრევენ მკითხველს, მაგალითად: „მართო სოკოლოვის ფანჯარაში შუქი დილაძე ენთო“... ან „სერჟანტი მიქელაძე ღამის მორიგეობას ამთვარებდა, როცა სამორიგეოში ტელეფონმა დარეკა“... მის ყველა რომანში პროფესიონალი ბოროტმოქმედები ყოველთვის ჰკლავდნენ ქალებს და ბავშვებს ბინის გაძარცვის დროს. ეკა დვალი სრულიად კმაყოფილი იყო თავისი ცხოვრებით. ქმარი ინჟინერი იყო და ყველაზე ერთგული მკითხველი მისი რომანებისა. შვილები არ ჰყავდათ. ეკა დვალი ვერ იცოდა შვილის გაჩენისათვის, სულ რომანებზე მუშაობას ემთხვეოდა ფეხმძიმობა და აბორტს იკეთებდა. ქმარი კითხულობდა რომანებს, მოთმინებით ელოდებოდა და არ კარგავდა იმედს, რომ რამდენიმე თვით მაინც შემოელოდა ეკას საწერი...  
გერიონი; პოეტი-ქამელეონი. გერიონი ფსევდონიმი იყო, რომელიც გარკვეული მოსაზრებების გამო დაირქვა ოცდაათიანი წლების მიწურულს. დაირქვა, რომ ათეულ წელს ამაყად ატარა და მერე იგივე გარკვეული მიზეზების გამო, ვადაგასული გველის ტყავივით რომ დააპირა გამოცვლა თავზარდაცემულმა აღმოაჩინა რომ ყველა იცნობდა გერიონს, ამბერკი თავზარაშვილს

(მისი სახელი და გვარი) კი მხოლოდ შინაურები, თითო-ორი ჯერ კიდევ შემორჩენილი ნაცნობი და გამომცემლობათა ბუღალტრები. იგი ძალზე ფართო დიაპაზონის პოეტი იყო. ნებისმიერ თემაზე შეეძლო დაეწერა ლექსი თუკი საჭირო იქნებოდა. შეიძლება ამიტომაც ჰქონდა უზარმაზარი აგარაკი ერთ-ერთ ფეშენებელურ კურორტზე, „პატარა ქოხი“ ზღვისპირზე, რამოდენიმე ბინა ამ ქალაქში სიძებებისთვის და ქალიშვილებისთვის და ასევე რამდენიმე შემნახველი სალაროს წიგნაკი. ამჭერად პერსონალური პენსიონერი, ერთ-ერთი გამომცემლობის უფროსი კონსულტანტი ვახლდათ...  
ექიმი გინეკოლოგი ელისო ცირამუა. თავისი საქმის დიდი მცოდნე. უამრავი პაციენტი ჰყავდა. მათ რაოდენობას მისი ღუმელი განსაზღვრავდა. ღუმელი იყო მისი შემოსავლის წყარო, ღუმელში უხდიდნენ გასამრჯელოს. უამრავი ქალის მრუშობის ამბავი იცოდა. ამის ცოდნაში უხდიდნენ უთვალავ ფულს, თითქოს ის იყო შთავარი, არავის გაეგო მათი დაცემულობის ამბავი...  
გაგა მესხელი, ახალგაზრდა პოეტი, მისი ლექსების კრებული არასოდეს უნახავს ვინმეს, მაგრამ იგი პოეტი იყო, უფრო დიდი პოეტი. ვიდრე რამდენიმე რჩეულის ავტორი. პოეტობა ძველ-რბილში ჰქონდა გამჭდარი. მუდამ მზად იყო, ხალხის ოღნავი თავშეყარის ადგილი რომ ეპოვა, ლექსი ეთქვა. ყველგან დაუპატიჟებელი სტუმარი იყო, ძნელად მოიძებნებოდა ვინმე, ოდესმე დაეპატიჟებინოს იგი. მესიის იერით დაიარებოდა მუდამ. მესხელი ფსევდონიმი იყო. ნამდვილ გვარს ისე გაურბოდა, როგორც თავი კატას; ნამდვილი გვარი მართლაც არაპოეტურად ქლერდა — ნაბიჭკრიშვილი...  
თეატრის და კინოს მსახიობი ივეტა ჩანტლაძე, მუდამ მხიარული, მუდამ კარგ გუნებაზე მყოფი ოცდათხუთმეტი წლის ქალი. სპექტაკლებში მუდამ დეკორატიული როლები ჰქონდა, ასე განსაზღვრა თუ შეიძლებოდა. ქერა,



მწვანეთვალება აპრეხილი ცხვირით. აპლიკაციური სილამაზე ჰქონდა. სტუმრად ყოფნის სენით იყო დაავადებული. სახლში თითქმის არ იყო. ტანსაცმლის გამოსაცვლელად თუ შემოივლიდა და ხანდახან დასაძინებლად. მარტო ცხოვრობდა, მშობლებს ჯერ კიდევ სტუდენტობისას გამოეყო. ქმარი არ ჰყავდა და არც თვლიდა საჭიროდ, ვერაფრით შეეგუებოდა ერთფეროვნებას. არავის, არასდროს, არაფერში უშლიდა ხელს თუნდაც უნებლიეთ. იმდენად უცნაური იყო მისი ეს თვისება მასზე შეყვარებული კაცებისათვის, რომ იბნეოდნენ და გრძნობა უცივდებოდათ; იმდენად იყვნენ მიჩვეულები ქალებისაგან გამომდინარე სირთულეებს, ინტრიგებს და ფათერაკებს. ივეტა კი იცინოდა მუდამ...

ტელევიზიის დიქტორი არნა ჩირაძე; ტელემავრებლებს ერთი უკვირდით მუდამ, როგორ ახერხებდა იგი ყოველდღე სხვადასხვა კაბის ჩაცმას. არასოდეს სცმია ერთიდაიგივე. რასაკვირველია, არნა ჩირაძის ხელფასი არ ეყოფოდა ორას ოთხმოცდათვრამეტ კაბას წელიწადში (ამდენჯერვე უწევდა შეხვედრა ტელემავრებელთან) და ვინაიდან იგი ერთგულად ემსახურებოდა თავის პრინციპს, ყოველი ვადაცემისას ახალი სამოსით შეხვედროდა ტელემავრებელს, ერთ გამოსავალს მიავანო. მორჩებოდა თუ არა სამსახურს, წინასწარშეთანხმებულ მყიდველთან გარბოდა, მიყიდდა ერთხელ ჩანაცვამ კაბას და ასევე წინასწარშეგულიანებულ სპეკულანტთან იყო ახლის საყიდლად. ყიდვა-გაყიდვის რთული გრაფიკიც ჰქონდა შედგენილი ერთი თვის სიზუსტით და ისეთ დონემდე მიიყვანა ეს საქმე, რომ თვით შემთხვევითობაც, ეს ურთულესი ფენომენი, უძლური იყო ამ გრაფიკის წინაშე. აქვე უნდა ითქვას, რომ არნა ჩირაძეს ქმედით დახმარებას უწევდა მისი ქმარი ერთ-ერთი კვლევითი ინსტიტუტის მუშაკი და, რასაკვირველია, სამუშაოსგან თავისუფალ საათებში... არნა ჩირაძის შვებუ-

ლების დროს ისვენებდნენ ორივენი ამ უთავბოლო ყიდვა გაყიდვისგან. არჩილ სანაძე, ორმოც წელიწადი ნებული მწერალი პროზაიკოსი. ამ ორმოციდან ოცი წელია ელოდნენ მისგან ძლიერ მოთხრობას ან რომანს, თვითონაც ელოდა...

მირიან ასათიანი, ახალგაზრდა კინოსახიობი. ხულიგნებს, დარდიმანდებს და განებივრებულ ახალგაზრდებს თამაშობდა მუდამ...

ლონდა ჩადუნელი, უმაღლესდამთავრებული უსაქმური. ერთადერთი მოვალეობა, რასაც გრძნობდა, ადგილიდან აღვიღზე ინფორმაციის გადატანა იყო...

მანონ ლასაურა, კინომსახიობი, თვრამეტი წლის საოცარი სილამაზის ქალიშვილი. კეთილშობილებით დახვეწილ, ამაყ სხეულში ანკარა, უმანკო სული ედგა, რომელიც ყოველ მის სიტყვაში, მიხრა-მოხრაში ან უბრალო უმნიშვნელო მოძრაობაშიც კი იგრძნობოდა...

უჩა არდიშვილი. თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი, ფერმკრთალი ჰაბუკი. ნათამაშევი ჰქონდა ერთი როლი მანონ ლასაურასთან და სიგიჟემდე უყვარდა იგი. არავინ იცოდა ეს, არც მანონ ლასაურამ და ვერავინ ხვდებოდა, აქ მყოფთაგან არავის აინტერესებდა მისი სიყვარული, ვინაიდან უჩა-არდიშვილის პიროვნება ჯერ ძალზე უბადრუკი იყო მათი ცნობისმოყვარეობა რომ გაემძაფრებინა, ხოლო გრძნობა სუფთა და გამჭვირვალე ჰქონდა, როგორც, დილის ნამი...

თეა და მარი, ირაკლი ხავთასის ქალიშვილები; ჰყეტელა ტანსაცმლით, ხმამაღალი ლაპარკით, ნაძალადევი ცინიზმით, გულგრილობის და ყველაფერის მობეზრება-მოიუღებლობის ნიღბით ერთნაირ სახეებზე, სხლეულში—სიძვა, სულში — სიცარიელე...

ნუგზარი, თემო, კახა, ზაზა — თეას და მარის კურსელები, დამტკბარნი ასაკის სილალით, ალტაცებულნი ენთუზი-

**გია ლოგაძე**  
თბაათორის კაცი



„ზმით სასმელისგან და ამდენი ცნობილი გვაქვს. ასაკის მიერ მორცხვობას, ტრაპეზის დასაწყისში რომ გამოიჩინებოდნენ, თანდათან, ყოველ შესმულ სასმისთან ერთად დევნიდა ირონიული ღიმილი და ასევე თანდათან არასასურველნი ზღმობდნენ მათი სქესის უფროს წარმომადგენელთათვის...“

იცლებოდა სირჩები, ორთომელები, აზარფეშები, თასები, ყანწები... მოსაბეზრებელი გახდა მასპინძლის ირაკლი ხავთასის სნობური სადღეგრძელოები, ახალგაზრდებიდან ნუგზარი და გახა ისხდნენ სუფრასთან; დანარჩენებს ვერანდაზე სტერეომაგნიტაფონი ჩაერთოთ და თავდავიწყებით როკავდნენ. საშა ზომერიკი თანდათან უწყვედა ხმას ელიზა თვაურთან კამათში. ამსტერდამზე ყვებოდა მანუჩარ ბარბაქაძე. არნა ჩირაძე. ცინუკი ხავთასი და ზეინაბ შიოშვილი კაბებზე და ძვირფას თვლებზე საუბრობდნენ; ყასიდად უწონებდნენ ერთმანეთს ჩაცმულობას და ძვირფასეულობას. რედაქტორებს ლაქმადედა ისე ბუალავა, სიამოვნებდა მის თანამოკალმეთ და იმ მწერლების ურთავდნენ, რომელნიც იქ არ იყვნენ და არასოდეს მივიდნენ. გაჯა მესხელი თვალბეჭდვითი ამბობდა თავის ახალ ლექსს. მოჩვენებითი ინტერესით უსმენდა ზოგი, არჩილ სანაძე ირონიით, გერიონი დაუფარავი სიმბათით; თავისი ახალგაზრდობა თუ აგონდებოდა. ემაწილ ლლონტს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი თამადის, ირაკლი ხავთასის დათობა და დამბობა და ყოველ მის სადღეგრძელოს ხუმრობაში გახვეული ირონიული რეპლიკებით ამკობდა. ამქვეყნად აღარ იყო კაკო ლაშხი. მთვრალი იყო უჩა არღიშვილიც; ბრაზი მოსდიოდა თავის გაუბედაობაზე, მანონ ლასაურასკენ გახედვაც კი ეშინოდა სიმთვრალის იმედი ჰქონდა დათობამდე, მაგრამ ამოდ.


„მანონ ლასაურას სული ეხუთებოდა ამდენი უაზრობით სავსე დარბაზში. ფრაზების ნაწყვეტები ესმოდა მხოლოდ. მარტო იყო, სულ მარტო. უბა-

ღრუკად მოეჩვენა ყოველივე სხეული თანდათან ვესებოდა მეტროსთან. ჰაერი წებოვანი გახდა თითქმის მთვრალი კაცების ენინან, ბილწ მზერას, თითქოს ტანსაცმელს ხდიდნენ და ოფლიან ხელებს უფათურებდნენ სხეულზე. თანდათან გრძობდა რომ უცხო იყო მისთვის ყველა იქ მყოფი. აღრე არასოდეს უგრძენია ეს. ახლა იგრძნო პირველად და ისეთი სიმძაფრით, რომ დარწმუნდა...

თანდათან ცარიელდებოდა სუფრა. ვერანდაზე გადავიდა სუყველა და ბოლომდე აწეული ხმის გამაძლიერებლებიდან გადმოდინარე რიტმს აყოლილნი როკავდნენ ალტაცებულნი სიმთვრალით, უზრუნველობით, კმაყოფილებით. დაბანგულნი მოკლული დროის ენით. მაგიდასთან ოთხნი ისხდნენ მხოლოდ: ირაკლი ხავთასი, მისი მოწინააღმდეგე ემანუილ ლლონტი, ნუგზარი და გახა. ეს უკანასკნელი სუფრის მოქმედ წევრებში აღარ ეწერა უკვე, მაგიდაზე თავჩამოდებულს ეძინა ღრმა, მთვრალი ძილი.

— რატომ არ იცეკვავ? — ჰკითხა პროზაიკოსმა არჩილ სანაძემ მანონ ლასაურას. სახეზე უდარდლობის ექსტაზი აღბეჭდვოდა, საკინძე გახსნოდა და მომინაჩრებული ჭვარი ბზინავდა მკრთალად.

- არ მინდა...
- არც ჩემთან იცეკვებ?
- არა, არც თქვენთან! — მშვიდად თქვა მანონმა და გაიღიმა თავისი გადოსნური ღიმილით.
- რატომ? — წყენა და გაოცება ერთიანად არჩილ სანაძემ.
- არ შემიძლია აქ ყოფნა...
- არჩილ სანაძე შეკრთა, თითქოს პირველად დაინახაო, ისე შეხედა.
- წავიდე მინდა, — თქვა მანონმა.
- სად?
- სახლში... ქვემოთ, ქალაქში.
- გაგაცილებთ!
- არა. ალბათ გიმძიმოთ აქაურობის დატოვება, მარტო წავალ.
- მანქანის ტარება იცით?



მანონმა თავი დაიქნია, გაბრუნდა და  
ნელა დაუყვა კიბეს ვერანდიდან.

— რაც აქ მოვედი, სულ წასვლა მინ-  
და მერე, — მძიმედ თქვა არჩილ სა-  
ნაძემ ეზოდან რომ გადიოდნენ.

მანონს არაფერი უთქვამს.

— რომელია თქვენი მანქანა? — ჰკი-  
თხა ქვემოთ ქუჩაში რომ გავიდნენ.

— ეს... — არჩილმა კარები გამოა-  
ღო და მანონს გასაღები გაუწოდა. მე-  
რე მანქანას შემოუარა და მანონის გვე-  
რდით დაჯდა.

მანონ ლასაურამ ძრავა ჩართო და  
ნელა დასძრა მანქანა ადგილიდან...

ზემოთ, ვერანდაზე, თავდავიწყებით  
როკავდნენ წყვილები. დარბაზში ემა-  
ნუილ ლლონტი ახლო იყო გამარჯვე-  
ბასთან. ნუგზარი საპირფარეოში გა-  
სულიყო, გული ერეოდა, ცრემლები  
ჰქონდა თვალებზე მომდგარი. უდრტივი-  
ნეულად ეძინა გახას...

ქვემოთ კი, ვრცელი დაბურული ბა-  
ლის ბოლოში, კაცის სიმაღლე ბზის  
ბუჩქებით შემორაგულ ფანჯატურში  
მანუჩარ ბარბაქაძეს ვიქტორია სანიშვი-  
ლი გადაეწვინა მწვანედ შეღებილ ხის  
მერხზე და გულგახურებული მიაჭენე-  
ბდა ადამისა და ევას მიერ უხსოვარ  
დროში გაკვალულ გზაზე. უკვე მესამე  
წელი იწყებოდა საყვარლები იყვნენ  
და კონსპირაციული ურთიერთობის  
მძიმე პირობებს გულმოდგინედ, უდა-  
ნაკარგოდ ინაზღაურებდნენ ყველა ხე-  
ლსაყრელი შემთხვევისას...



— კარგი ჰქენით რომ წამოხვედით!  
— თქვა არჩილ სანაძემ, მთვრალი იყო,  
მაგრამ უცნაურ სიფხიზლეს გრძნობდა.

— ალბათ... — მანონმა სიჩქარე გა-  
დართო, მანქანამ თანდათან აკრიფა სი-  
სწრაფე.

— თქვენი ადგილი არ იყო იქ...

მანონს არაფერი უთქვამს, გზას გას-  
ცქროდა.

— გესმოდათ, როგორ ლანძღავდნენ  
იმით, ვინც იქ არ იყო?

— რატომ არ იყვნენ?

— ისინი არასოდეს მოველენ  
თან!

— რატომ?

— ნამდვილი მწერლები და ხელოვა-  
ნები არიან და იმიტომ... — არჩილ სა-  
ნაძეს უეცრად მოაწვა სევდა.

— ესენი?

— ესენი მიტმასნილი ხალხია. საო-  
ცრად იოლად თვლიან იმას, რასაც აკე-  
თებენ. ამით არ იციან. რა არის ნამდ-  
ვილი შემოქმედება. არასოდეს უგრძ-  
ენიათ იგი. პატივმოყვარეობით დამუ-  
ხტულნი და განდიდების მანიით შეპყ-  
რობილნი, რაღაც გარკვეულ კატეგორი-  
ას მიეკუთვნებიან. ყველგან არიან ასე-  
თები...

მანონი დუმდა.

— ნამდვილი ხალხი... — ჩუმად თქვა  
არჩილ სანაძემ, — საწერ მაგიდას უს-  
ხედან ახლა, როცა ყველას სძინავს და  
ფიქრობენ, ებრძვიან ფიქრთა მორე-  
ვებს... ან სძინავთ ბოლოს და ბოლოს!  
მშვიდი, ჯანსაღი ძილით...

— რატომ არაფერს ეტყვიოთ მერე?

— ვის?

— ამით.

— მე იგივე გავხდი, თანდათან. ჩემი-  
ვე სურვილით, — უეცრად თქვა არჩილ-  
მა, — ამათი ცხოვრება მომეწონა უფ-  
რო, რაღაც გარკვეულ, უმნიშვნელო  
წამს, რომელიც ყველაზე ძლიერი წა-  
მი გამოდგა ჩემს ცხოვრებაში... რაც  
ამათ გადავეყიდე, არაფერი გამომდის!  
თანაც მრცხენია იმათი, ვინც ნამდვი-  
ლად აკეთებს საქმეს. ეს კი მაღიზია-  
ნებს! ვერ ვეგუები იმათ უპირატესო-  
ბას, ჩემი პატივმოყვარეობისთვის საო-  
ცრად მტკივნეულ უპირატესობას და  
კიდევ უფრო ვეფლობი დამყაყებულ  
ჭაობში...

— მე მომწონს თქვენი მოთხრობები!

— თქვა მანონმა.

— გამაღობო! მე ვერასოდეს დაე-

გია ლოგიაძე

თბაათის რაიონი



წერ მაგის მსგავსს... თუმცა შემედლო  
ილუზიებს რომ არ ავეყოლოდი.

— შეეცადეთ...

— ყოველი ორშაბათიდან ვაპირებ,  
— ნაღვლიანად გაეცინა არჩილ სანა-  
ძეს, — ყო-ვე-ლი ორ-შა-ბა-თი-დან, —  
გაიმეორა და მარცვლით, — წასულია  
ჩემი საქმე!...

მანონს არაფერი უთქვამს. მანქანა ქა-  
ლაქში შევიდა უკვე. წითელ შუქზე  
გაჩერდნენ. მანონმა კაცისკენ გაიხედა;  
არჩილ სანაძე ჩაფიქრებული გასცქერო-  
და შუქნიშანს. მერე მანონის მზერა იგ-  
რძნო და მოიხედა. მანონმა გაიღიმა.  
ტალღასავით გადაედო ღიმილი არჩილ  
სანაძეს და ერთი წამით, ერთი პატარა  
წამით ისევ იმ ოცი წლის, იმედით, სი-  
ხარულით, ოცნებებით სავსე ჭაბუკად  
იგრძნო თავი...

შუქნიშანი მწვანეზე გადაირთო და  
მანქანა ადგილს მოსწყდა.

— დიდი მადლობელი ვარ! — უთხ-  
რა მანონ ლასაურამ მის სახლთან რომ  
გაჩერდნენ.

— პირიქით... — ისევ თავის ფიქრე-  
ბში იყო არჩილ სანაძე.

— უკვე გვიანაა, ინსპექცია აღარ შე-  
გხვდებათ ალბათ. — უთხრა მანონმა.

— არა, აქედან ახლოს ვცხოვრობ  
და ნელა ვივლი...

— კარგად ბრძანდებოდეთ! — ხელი  
გაუწოდა მანონმა, — დიდი მადლობე-  
ლი ვარ!

არჩილ სანაძემ ხელი ჩამოართვა.  
მანონი სადარბაზოსკენ წავიდა. კაცი  
უყუარებდა მიმავალს, მერე ნელა დაძ-  
რა მანქანა...

კიბზე ასვლისას, გარინდულ სადარ-  
ბაზოში მანონ ლასაურამ უცრად იგრ-  
ძნო, რომ საოცრად უნდოდა გაეგო  
თაბაშირის კაცის ხმა. ესმინა ამ უცნა-  
ური კაცისათვის. სწრაფად აირბინა კი-  
ბე და სახლში შევიდა.

შხაპს რომ იღებდა, სააბაზანოს კარი  
ღიად ჰქონდა დატოვებული. ტელეფონ-  
ის ზარი რომ გაეგო; დარწმუნებული  
იყო, თაბაშირის კაცი დარეკავდა...

ფანჯრებს მიღმა, ქუჩაში, შარბაცით  
მიაბიჯებდა მთვრალი კაცი. ღიმილით  
მიირწეოდა ლამპიონებით განათებულ  
ტროტუარზე, სახლში ცოლი და ხუთი  
ბავშვი ელოდებოდა...

ხუთოთახიან ძველი წიგნებით და  
ავეჯით გატენილ ბინის საძინებელ  
ოთახში ეულად იწვა ოცდათორმეტი  
წლის არქიტექტორი გურამ საგანაშვი-  
ლი. თავის ყოფილ ცოლზე ფიქრობდა.  
ახლა, ღამით. იმ ღალატსაც აპატიებდა,  
სამი წლის წინათ რომ შეესწრო. ყვე-  
ლაფერს აპატიებდა ღამით... მზად იყო,  
ამდგარიყო საწოლიდან და ბავშვთან  
ერთად წამოეყვანა. ეს ღამით, დღე  
კი საოცრად სძულდა. ახლა იწვა ძილ-  
გატეხილი და ნატრობდა, რომ მალე  
გაზრდილიყო ბიჭი ან მისი ყოფილი  
ცოლი გათხოვილიყო. თვითონ არავინ  
ყვარებია მერე. არ სჯეროდა, რომ ვი-  
ნმეს შეიყვარებდა კიდევ...

გრძნობდა ამბოჯაძეს მშვიდი ძილით ეძ-  
ინა თავის ოთახახევრიან ბინაში. არა-  
ფერი ესიზმრებოდა. საქმეები ჩინებუ-  
ლად მისდიოდა. ერთი თვის შემდეგ  
მორიგ გასტროლებზე აპირებდა გამგ-  
ზავრებას, რამდენიმე ქალაქის ცენტრა-  
ლური ვაგზლების ავტომატური შემნა-  
ხველი საქნები უნდა მოესინჯა. ერთი  
თვე იქნებოდა „ტურნეში“, მერე კი  
თუ ყველაფერი კარგად დამთავრდე-  
ბოდა, ზღვაზე დასასვენებლად წავიდო-  
და სექტემბერში...

მელიტონ მალულარია, როგორც ყო-  
ველთვის, შეურიგდა შეურიგებელს.  
ახალდაქორწინებულებს ორი ოთახი  
დაუთმო. თვითონ და აგრაფინა პატა-  
რა ოთახში გადაბარგდნენ, საწოლებ-  
თან ერთად, სურათბეგ-ყვითლებული  
საოჯახო ალბომი შეიტანეს ოთახში.  
რძალი საოცრად ღამაში იყო, ბიჭი —  
ბედნიერი. აგრაფინას საქმე და სახრუ-  
ნავი მოემატა ოჯახში. მთელი ამ ამბი-



დან ნაიარევი დარჩა მელიტონს შუბ-  
ლზე. ახლა შუშაბანდში იჯდა მელიტონ  
მალეულარია და სამსახურიდან წამო-  
დებული ხარჯთაღრიცხვაში ებრძოდა  
ციფრებს და მარჯვნივ მიწერილ ნუ-  
ლებს. ფრთხილად გაჰკრავდა ქვებს სა-  
ანგარიშოზე, მათი ტკაცუნით რძლის,  
შვილის და აგრაფინას ძილი რომ არ  
დაეფრთხო...

ეძინა ფერდინანდ ზედგენიძეს; ხვალ  
ჩვეულებრივ ექვს საათზე იყო ასადგო-  
ბი...

ლორა ხუშიტაშვილი „გაზ-24“-ში  
იჯდა თავის მორიგ თაყვანისმცემელთან  
ერთად, მელიტონ, სამსახურებრივ საქ-  
მეებზე ფიქრით გასივებულ თავზე ეფე-  
რებოდა თლილი, გრძელი თითებით,  
ამ ღამით კმაყოფილი დარჩებოდა...

სუფრა საბოლოოდ არეულიყო ირაკ-  
ლი ხვეთასის აგარაკზე. ზოგი დასაძინე-  
ბლად წასულიყო უკვე.

არჩილ სანაძე სახლში იყო უკვე და  
საოცრად გამოფხიზლებული ებრძოდა  
გულმონოლილ საკუთარი თავის უბად-  
რუკობის გრძნობას. საწერ მაგიდაზე  
დახვავებული და დაუმთავრებელი ხე-  
ლნაწერების შეხედვისას თვითმკვლე-  
ლობაზე ფიქრობდა. ამიტომ არიდებდა  
აღბათ თვალს.

ერთ-ერთი უბნის ჩაბნელებულ ჩიხში  
ვილაცა ვილაცასთან ანგარიშს ასწორებ-  
და ბასრი დანით...

ერთ-ერთ ქუჩაზე ხიდან-ხემდე, ბუჩ-  
ქიდან-ბუჩქამდე გადარბენით, ფეხსაც-  
მელების, წინდების, მაისურის და ტრუ-  
სების ამარა მიეშურებოდა შინსაკენ,  
პირწმინდად გაძარცული ერთ-ერთი და-  
წესებულების პასუხისმგებელი მუშა-  
კი...

რომელიღაც სახლში მოწოლილ ცო-  
ღვებს ებრძოდა მბორგავი მომაკვდავი...

სასწრაფო დახმარების მოლოდინში...  
ოღნენ სადღაც, მშობიარობის მოლოდინში...

ერთ-ერთ სადარბაზოში პირველკურ-  
სელი ქალ-ვაჟი თავდავიწყებით კო-  
ცნიდა ერთმანეთს...

მაღალი სახლის სახურავზე ამძვრა-  
ლიყო პატარა ბიჭი სამოსწავლო ტე-  
ლესკოპით და სამყაროს ჰერეტდა...

ქალაქის ერთ-ერთ ფსიქიატრიული  
საავადმყოფოს ეზოში, ორსართულიანი  
კორპუსის კედელთან ასფალტზე ადა-  
მიანი იწვა. ამავე კორპუსის პირველი  
სართულის ბინადარი იყო. ყველაზე  
მშვიდი პაციენტები ჰყავდათ ამ სართუ-  
ლზე. როგორღაც ახერხებდა შუალამით  
პალატიდან გამოსვლას და მეტრნახევა-  
რი სიმაღლის ლავგარდანზე ცოცვით  
ექიმის კაბინეტში შეღწევას. ათი წელი  
გაატარა აქ, თავისი ფეხით მოსულა.  
მშვიდი და უწყინარი იყო, მხოლოდ გა-  
რეთ გაყვანას რომ დაუპირებდნენ, მა-  
შინ ზდებოდა აგრესული და არც გაჰ-  
ყავდათ. ერთთავად მთელი დღეები კე-  
დლისკენ ზურგშექცევით იდგა გაშე-  
შებული. არასოდეს დალაპარაკებია ვი-  
ნემეს. ამ საავადმყოფოს მესვეურებს  
„გამომგონებლებს“, „მეცნიერებს“,  
„ნაპოლეონებს“, „პროკურორებს“,  
„მწერლებს“ და სხვა სახელებს შორის  
მოკრძალებით და უცნაურად ეღერდა  
მისი სახელი: „თაბაშირის კაცი“. ერთი  
საათი იქნებოდა, რაც უძრავად იწვა  
მტკრიან ასფალტზე. სული აღარ ედგა  
სხეთლში, წონასწორობა ვერ დაიცვა  
ლავგარდანზე ცოცვის დროს და კეფით  
დაასკდა ასფალტს, რამდენიმე წუთში  
გარდაიცვალა მშვიდად, გრძნობაზე  
არც მოსულა. არავინ იცოდა, რომ იგი  
ღამით რაღაცნაირად ახერხებდა ექიმის  
კაბინეტში შეღწევას და ტელეფონით  
დარეკვას. არაფერი იცოდნენ მისი წა-  
რსულისა. ასაკიც მიახლოებით ეწერა  
ავადმყოფობის ისტორიაში...



გარეუბანი. შემოდგომის დღე.  
ცივი მონყენა დაკეტილ ტირის.  
შიშველი სერი. იმ სერს გადაღმა  
მიტოვებული ნაკვეთი ტირის...

დაბალი ცა ჰგავს მოუვლელ ეზოს.  
ქარები თივის ნარჩენებს გვიან.  
არ ეზარება მიწას ლოდინი —  
მოაკითხავენ ადრე თუ გვიან...

### თბილისი და ლუბლიანა

ჩვენს მხარეში მოყვრის ძებნას  
მუდამ თვლიდნენ უბრიანად;  
სანიმუშოდ კმარა მარტო  
თბილისი და ლუბლიანა.

ვერც სიშორემ,  
ვერც სიშურემ  
ცა ვერ მოაღრუბლიანა;  
ერთმანეთის სუნთქვაც ესმით  
თბილისსა და ლუბლიანას.

ყოველ კუნჭულ-კუთხიანა,  
გზიანა და უბნიანა,  
ლუბლიანა თბილისს ლოცავს  
და თბილისი — ლუბლიანას.

საკაცთმოყვრო მომავლის მზეს  
ვინც მგლურ თვალებს უბრიალებს,  
ის ერჩიოს,  
რომ მიბაძოს  
თბილისელს და ლუბლიანელს.

მეგობრობის უკვდავ გრძნობას  
ლექსი ვინ დაუგვიანა?  
მეც ამიტომ ავირჩიე  
თბილისი და ლუბლიანა.

სიყვარულმა ძმობის ბაღი  
მორთო, მოაღრუბლიანა;  
ცხოვრობს ორი ძმადნაფიცი —  
თბილისი და ლუბლიანა.

### სარკმელი

მტკივანი ზეცა სულში გრუხუნებს  
უკვე რამდენი გავიდა წელი;  
მეოცე იყო ის საუკუნეც,  
ავადმყოფ ბავშვს რომ უბიძგა ხელი...

ახლა ამაოდ მიზეზებს ვარკვევთ,  
ის საიდუმლო დრომ თან წაიღო.  
შემოაბნელებს საღამო სარკმელს,  
რომ არასოდეს აღარ გაიღოს!..

არ ღირს ყოველივე დაინახო,  
არ ღირს ყოველივე მოისმინო, —  
თუ გინდა ცხოვრება გაინაღდო,  
ზედმეტი დარდი მოიცილო...

მიტომ დაბრმავდა ჰომეროსი,  
რომ ყველა ფერი დაინახა...

ფერი ბევრია ყოველ დროში.  
ერთი აირჩიე ბაირალად;

ხმებს, მშვენიერ ხმებს ვეთხოვები,  
უკვე საკმაოდ მოისილა...  
მიტომ დაყრუვდა ბეთჰოვენიც,  
რომ ყველაფერი მოისმინა...

## უძლაველი

მშიერ შაშვს უხმოდ შევეთავაზე შინ შემოფრენა.  
(გარეთ მასავით ჭახჭახებდა იანვრის ყინვა).  
შაშვი გაფრინდა...  
მაინც რა ხარ, თავისუფლებავ, —  
შიმშილსაც ძლიე,  
ყინვასაც და...  
ადამიანსაც!..

### ლ. ნ.ს

მეგობარი კი ვარ,  
თუკი რამეს შევლის;  
მეც შენსავით მტკივა  
ხასიათი შენი...

გული უხმოდ ჰკივა,  
გული — არას მჩენი;  
მეც შენსავით მტკივა  
სიმარტოვე შენი...

არმაზისკენ მივალ  
თუ ზედაზენს — ფრენით,  
მეც შენსავით მტკივა  
მოლოდინი შენი...

### ფიქრის თარგმანი

„მე მწარედ შევცდი, როცა ერთ-ერთ ჩემს პოემაში  
დავწერე — მხდალი ქართველები გარბოდნენ-მეთქი.  
მე შევცდი, რადგან კავკასიის მიუვალ მთებში  
ყარაბაღულთ მოჯირითე ყველა მთიელი.  
კოხტა ჩოხაში გამონყობილი,  
წვრილ წელზე ვერცხლის რომ შევნოდა ქამარ-ხანჯალი  
და განკეპილი უღვაშები უთამაშებდა,  
ტომით ქართველი მეგონა მაშინ..“

ეს საბოდიშო პატარა ლექსი  
თავისთვის ჰქონდა ჩაფიქრებული  
ერთ ახალგაზრდა, ცინიკ პორუჩიკს,  
ცისფერთვალემა პოეტს, რომელსაც  
ბეშტაუს მთებთან შემოალამდა...

მას მერე წელი ასორმოცი გავიდა უკვე.  
მე კი ის ფიქრი (როგორც ხედავთ) ქართულად ვთარგმნი.

## საით მითქარუნებ, იმედის ტაიჭო

იმედის ტაიჭო, საქართველოსავ,  
მამაც მხედარივით ზღაპარს შემოისვამ.

საით მითქარუნებ ქარული მარულით?  
შეგერგოს, შეგერგოს, მამულის მარილი...

იმედის ტაიჭო, ნალდაუხავსავო,  
მუმლი დახვევია მართლა მუნხასაო

და კორიანტელი ლაგამს გაღეჭინებს?!  
ნეტა, იმ მაღალ ღმერთს მაღლა აღეჩინე...

იმედის ტაიჭო, გასნი და გაიჭერ,  
მაგ ბენვის ლაპლაპით სიხარულს მანიჭებ.

საით მითქარუნებ ქარული მარულით?  
შეგერგოს, შეგერგოს, მამულის მარილი...

დე, ცხელი ფლოქვებით მკერდი დამიღენე,  
სულიც დამღევია მცხეთის ყვავილებზე!..

## მზინანი ჩრდილი

შენ ჩრდილში ხარო,—მისაყვედურეს.  
რა ვქნა, სიცხეა მოძალებული;  
უჩინრად ყოფნა ყოველთვის იყო  
რჩეულთა ნატვრა მოკრძალებული.



მზემ გლესს კეთილი ძილი უსურვა  
და მიეფარა თვალთა სანიერს.  
წამოეზარდა ტოტი უსურვას  
და ვარსკვლავებმა მალლა  
ასნიეს...

მერე მოვარდა ქარი ხმიერი  
და გამორეკა ტყიდან ყველა ხე...  
არსად არ სჩანდა ძეხორციელი  
და უჩინარი სხლავდა ვენახებს.  
ჟამი ჩქარობდა — მიწყევ მბრუნავი,  
რომ მნათი ცაზე ამოეყვანა...  
იდგა გლესი და ჭვრეტდა მდუმარედ  
შეცვლილ სოფელს და შეცვლილ  
ქვეყანას.

...ბოლოს და ბოლოს გამოვედი  
იმ ბურანიდან,  
როცა გარკვევით არაფერი გესმის და, დუმხარ.  
გონების ზეცა ნისლეულით შემოლობილი —  
გადაიწმინდა.  
და დავინახე ბავშვი, რომელიც  
ველზე თხის არვეს აბალახებდა  
და იფნის სახრეს მიწის გავას უტყვლაშუნებდა.  
ის და მე ერთი ვიყავით ერთ დროს,  
ჩვენი პანია ნაფეხურები  
სოფლის შუკებმა დაიმახსოვრეს.  
ახლა მე მინდა მოვაბრუნო ის ბავშვი ჩემსკენ,  
და დავანახო სახე ჩემი — მისი სურათი გადიდებული.  
ის ზურგშექცევით  
იფნის სახრით გაჰყურებს არვეს,  
ვესაუბრები,  
იგი ისევ გაჰყურებს არვეს,  
ყურში ჩავდახი, ვემუდარები,  
ის უპასუხოდ, მოუხედავად  
ხელით მაჩვენებს თიკანს, რომელიც  
დედათხას მისდევს და არ შორდება.  
...და როგორც იქნა გამოვედი იმ ბურანიდან,  
როცა გარკვევით  
არაფერი გესმის და, დუმხარ...

გონების ზეცა  
ნისლეულით შემოღობილი —  
გადაინმინდა...



(სიზმარი ხიროსიძისა და ნაბასაჯი ფიქრის შემდეგ)

ქანაობს მიწა...  
რიგრიგობით ფეთქდება მთები,  
ისმის ყვირილი,  
ბავშვის კენესა, ქალის კივილი;  
ხმა — მოგუდული, მოქვითინე,  
ხმა — უსასოო...  
საით წავიდე, ყველგან შიში ჩასაფრებულა  
და ირგვლივეთი  
ხიფათებით შემოღობილა.  
ვეცემი, ვდგები!  
დამსხვრეული ქვები — ზღარბები  
სერავენ შიშველ ფეხისგულებს  
და ცხადლივ ვხედავ:  
ცისფერ წვეთებით იწინწკლება  
მწყურვალი მიწა...  
კვლავ ორი სხივი იმედივით მინთია მხრებზე.  
ეს ორი ბავშვი — ჩემი აწმყო  
და მომავალი  
ამ უსასტიკეს ყოფის გამო  
მე მოხოვენ პასუხს...  
მიეფორთხავ გზა-გზა, უმწეობით გამასხრებული  
და მზის ბლავილი  
მკვეთრად ისმის ჰორიზონტს მიღმა.  
ქანაობს მიწა...  
მზე ხრიალებს...  
ქანაობს მიწა...

### ქველი კოლხური მოტივი

ზოგის ბედის გზა ხსნილია,  
ზოგის განასკვულა.  
გული ბოღმით ავისილია,  
სკუა, ბაბა სკუა!  
მზე ფიქრებში ჩაიქსოვე,  
დღეს სიბნელე თუა.  
ჩემი სიტყვა დაიხსომე,  
სკუა, ბაბა სკუა!  
ვილას ეტყვი კაცი მართალს,  
ეს ცხოვრება ყრუა.  
ხელს ვერავინ გაგიმართავს,

სკუა, ბაბა სკუა!  
სიტყვა ხმალად ააეღვე  
და აგემე მტყუანს.  
ცხენი მზისკენ გააგელვე,  
ეჰი, ბაბა სკუა!  
შენი ხალხი გელოდება —  
მტერი გაუთელე.  
უსინათლო გელოდება —  
ბნელი გაუთენე;  
გულდაჭრილი გელოდება —  
წყლული გაუმრთელე...  
ახლა უნდა შველა ჩვენებს, —  
ჟამი განასკვულა.  
ცხენი ყალყზე შეაყენე,  
მიდი, ბაბა სკუა!

— „აკეთებ რამეს?“ — გეკითხებიან,

— „აპირებ რამეს?“ — მოგძახიან

უაზრო ქართ რამქრალი დღეები...

— „აკეთებ რამეს?“

— „ფიქრობ რამეს?“

— „აპირებ რამეს?“

ო, ტყვიებივით ტვინს გიხვრეტენ

ეს უპასუხო მწარე კითხვები.

ზიხარ თუ დგახარ, ან მიყვები რუსთველის პროსპექტს,  
წვიმს თუ დარია, —

ყველგან, ყოველთვის თავზე გადაგია

ღვთაება შენი მოთმინებისა!

მიდი-მოდინ... ხედები წაცნობებს,

გილიმიან და შენც უყურებ მილიმარე სახით —

უხილავ ბაკნიდან თავგამოყოფილი.

შენს საწუხარს და გულწაკლულობას

ლიმილის ჯავშნით იცავ და იცავ!

— „რა საძაგლობაა!“ „რა ლაჩრობაა!“ —

ხმამაღლა როდი ლაპარაკობ, მხოლოდლა ფიქრობ.

და როს უზიხარ საწერ მაგიდას

და თუ ღამეა —

სანთლად გინთია მარტოსულობა, —

ხარ სვესვიანი და უბედურიც!..

ყოველდღიურად, თან-და-თან-ნო-ბით.

იკუმშება ყულფი — კითხვები. —

— „აკეთებ რამეს?“

— „ფიქრობ რამეს?“

— „აპირებ რამეს?“

მე — შუქნიშანი — ვდგავარ გზასთან და  
 ცისფერ სახეზე ანთებულ ფერებს არ აკვირდება ძეხორციელი,  
 და, შეუმჩნევლად, წყნარად, თანდათან  
 იცვლება შუქი... ჩემს გზაჯვარედინს თელავს სუსტი და თელავს ძლიერი.  
 ამოდ ვდგავარ, ამოდ ვიცვლი  
 ფერებს, მიმიკებს... (რა მემართება!)  
 ჩემს დასანახად არავინ იცლის,  
 ყველა თავის გზით მიემართება.  
 გამასხრებული ვარ შუქნიშანი და მანქანების ჯოგი გრიალებს,  
 მწვანეს და წითელს ერთი ფასი აქვს...  
 და ვილაც ამბობს: — „როგორც გენებოს, ისე მიდი და ისე იარე,  
 არ გაუფრთხილდე არვის ხასიათს.  
 აქ ვინც დაასწრებს — გზებიც მისია,  
 ვინც არა, იმას უამი ახვეტავს“...  
 ეს რკინის ჯოგი ვინ მომისია,  
 რკინა ასე რამ გაათავებდა!...  
 ისევ უჩუმრად ვდგავარ გზასთან და  
 ცისფერ სახეზე ანთებულ ფერებს არ აკვირდება ძეხორციელი,  
 და, შეუმჩნევლად, წყნარად, თანდათან  
 იცვლება შუქი... ჩემს გზაჯვარედინს თელავს სუსტი და თელავს ძლიერი.



წყურვილი ჩემი —  
 აქლემების ირიბი მზერა —  
 ამ უდაბნოთი გაღმეულია  
 მე წამოვიწყე ჩემი სიმღერა  
 და არავისი არ მეშინია.

ხმლის წვერს ამცდარი წინაპრის  
 სისხლი  
 მიამბობს ზღაპარს,  
 ჩემი ყოფნის და დარჩენის ზღაპარს.  
 მეშვიდე დღეა, არ არის დენი,  
 ჩურჩულებს ლამპა,  
 ოთხი ბებიის ნაქონი ლამპა...

თორ-აბჯრიანი საუკუნენი  
 სადღაც შორეთში მიღიმამულან  
 და ჩემი მრავალტანჯული გენი  
 კიღია ღამეს როგორც ღამურა,  
 ავადმყოფივით აბოდებს სისხლი;  
 ჩურჩულებს ლამპა  
 ოთხ ბებიის ნაქონი ლამპა...

— „მშვიდობა იყოს  
 ნეტაი და  
 უმოსავლობას აღარ დავეძებ“ —  
 მპასუხობს ჩუმად

მოხუცი ქალი,  
 სამი შვილი რომ წაართვა ომმა  
 და აღარ დარჩა ქვეყნად არავინ  
 მშვიდობის გარდა.

თენდება მძიმედ  
 ფერწასული ქრიზანთემებით...  
 ამ შემზარავი სიზმრებიდან  
 გამომაფხიზლე,  
 მომეცი ძალა,

ღმერთო,  
 მტერთა მისატყევი, —  
 შურისძიების ხანძარს,  
 ღმერთო,  
 ნუ მიმაფიცხებ.

## ხ ი ღ ი

გაუქმებული  
 ხიდი  
 ძველი  
 ბურჯმორყელი,  
 ტანჯვით ნაშენი,

წინაპართა ნაოსტატარი;  
 უნდა გავიდე  
 თუ გაუძლო  
 და არ ჩაინგრა,  
 ასი წლის მერეც

გადაივლის  
ხიდზე ავდარი;  
გაველ,  
ჩაეხედე  
უფსკრულსა და

კლდოვან ნაპირებს...  
არც ეს ხიდი და  
არც მე  
სიკვდილს  
ჯერ არ ვაპირებთ.



როგორც ფეხმძიმე ქალის სხეულში  
ჩემს გულშიაც  
მწიფდება სხივი,  
რომ ტკივილებით დალდასმული  
შვას სიყვარული.

### ვიქტორ ხარას უკანასკნელი სიმღერა

მომიალერსე,  
მომიალერსე,  
თორემ დანები  
უკვე აღესეს,  
თვალსაწიერი

ჩექმით დალუქეს,  
ნახდა ბიჭობა  
და სიჩაუქე,  
მომიალერსე, სიჭაბუკვე,  
მომიალერსე!

### ღამის სტუმარი

შემოდი ჩემთან,  
ამოყევი  
ძველი სახლის  
მონწულ კიბეებს...  
გათბი,  
დაპურდი,  
მუხლი გამართე,  
მიუფიცხე ბუხარს ზურგი  
და საფეთქელი,  
მიმოიხედე,

თუ რამ იყოს შენთვის ძვირფასი,  
რაც ბნელ ქუჩებში  
გზის გაგნებას გაგიადვილებს,  
ნაიღე,  
შენთვის მიჩუქნია,  
ალალი იყოს! —  
ოლონდ გახსოვდეს,  
ახლა ყველას  
მკვდარი ჰგონიხარ.

მდინარეს გაჰყვა  
დიდედაჩემი  
ვით ალუბლის  
მოღლილი  
ტოტი

გაზაფხულზე  
ყვავილობისას —  
გაოცებულნი  
და  
მშვენნიერი.

ეს კაცი ახლა დიდი ხნისაა.  
ყოველდამ, როცა სინათლეს ანთებს,  
ოთახიდან ვიღაცა ქრება...  
ასე იყო პატარობიდან,  
მოლოდინმა დაშრიტა თვალი...

ძვირფასო ჩემო,  
რაც შენში მიყვარს  
მე მოგანიჭე  
და  
მე მეკუთვნის.

როცა სხვის მკერდზე დაივანებ  
და გაყურდები  
ნალველმა რომ არ დაგიხრას გული  
გაიხსენე,  
აღარ მიყვარხარ.

დიდი ხნის წინათ  
ისპაჰანში  
წინაპარს ჩემსას  
მონა ქალი შეუსყიდია,  
თავისუფლება უბოძებია,  
მაგრამ მომხდარა  
სასწაული  
და თვით გამხდარა  
მონა  
მისი სიყვარულისა.

პაპის სისხლია  
ძარღვიდან რომ  
ამოხტეს უნდა,  
სილა შემომკრას  
და შენს ცრემლებს  
გადამარჩინოს.

წვერგაღუნული კალამივით  
ფხაჭუნობს თავგი.

მატულობს ყინვა  
და ნაკვერჩხალი.  
უკვე მესამედ  
ჰგვი  
ჩემს ოთახს...  
მე გაგიღიმებ,  
შენს თვალებში შეკრთება ქალი,  
ჩემი ქალი,  
ძვირფასი ქალი...

და გვიხარია.

... თქვენ შორის  
მხოლოდ მესაფლავებ  
მოიხადა ვალი ჩემდამი  
და იმანაც კი  
ერთი ლურსმანი დააკლო კუბოს,  
სახურავის დაჭედებისას  
ხომ შეიძლება  
ამ თებერვლის შუალამეში  
დამიბეროს და  
გავცივდე კიდევ...





საქართველო  
ბიბლიოთეკა

სოფალი ოვალო

# ნათელა იანაძე

ქვემო ნაპრატი






ანა პარღიაშვილი



გორის პასტერნაკი



შაჰოღოვა




საქართველო  
ბიბლიოთეკა

ფიგა კვიციანიძე




საოლმეურნეთ მიწვრება



უჯარმა

# ბრაუნსკა

„თქვანს: ვითათბიროთ“...  
(„ვეფხისტყაოსანი“)



დარიალის ჯოგა



გივი ყანდარელი





ახს მხიბიძე

## არჩევანი მე...

ცნობილმა მთარგმნელმა ცილა ჩხეიძემ ფართო ფორმატის საერთო რვეული გამომოცა და მთხოვა, — ეს ერთი კარგი გოგონას ჩანაწერებია, მისმა მეუღლემ მომიტანა, შოდი, გულდასმით წაიკითხე, მე ვგონებ, ძალიან საინტერესო რაღაცებიანო. ეს მოხდა „ლიტერატურული საქართველო“ რედაქციაში. იქიდან წამოსულმა რვეული მაჩაბლის ქუჩაზევე გავხალე და კითხვა დავიწყე, ვკითხულობდი ქვემოთაც, სხვა ქუჩებში, შემდეგ მეტროში, შემდეგ ისევ ქუჩაში. შინ მივედი და ერთი ვრცელი ჩანაწერი უკვე წაკითხული მქონდა. იმავე დამეს წავიკითხე სხვა ჩანაწერებიც. ყველა ჩანაწერი ცალკე მოთხრობა იყო, თუმცა არც ერთი არც დასაუთრებული იყო, არც ავტორის გვარსა და სახელს გვაცნობდა. როგორც შემდგომ გავიგე, ჩანაწერების ავტორს, მართლაც მთლად ახალგაზრდას, ორი შვილი ჰყოლია, — ბავშვებს რომ მივადინებ, მაშინ ვწერ, რომ არ ვწერო, არ შემიძლიათ. ქალბატონმა ცილამ და მე მხოლოდ სათაური მოვაგონებინეთ ერთ-ერთი ჩანაწერისათვის რომელიც ორივეს ძალიან საინტერესო მოთხრობად მივაჩინია, და „ცისკარის“ ნკითხველებს გვათავაზობთ. თუ თქვენც ასე მოგეჩვენებათ, მეგობრებო, ერთად დავულოცოთ პატარა ქალბატონ ანას, განათლებით ეკონომისტს, ახალბედას, სასიამოვნო გზა.

რედაქტორი ივანე ნინოშვილი

მრთი საღამოს ბარათაშვილის ქუჩაზე, ხილთან ახლოს მდებარე სახლში, ზუსტად იმ სართულზე და იმ ბინაში, სადაც მე ვცხოვრობდი, ოჯახური თათბირი შედგა. დამსწრე პირნი: დედაჩემი, ბიძაჩემი, ბიცოლა და მამიდა. საკითხი მხოლოდ ერთი ირჩეოდა — შეიძლება თუ არა ოცდაექვსი წლის ქალი, გადასარევი შესახედავი, ჰკვიანი, უმაღლესადმთავრებული და ყველა სხვა ღირსებით შემკული, გაუთხოვარი დარჩენილიყო. ეს იდეალური ქალი მე გახლდით. რა თქმა უნდა, საქმროც უცებ გამოიძებნა, უახლოეს საღამოს გვესტუმრა, სწორედ ისეთი, მე რომ შემეფერებოდა, იმავე თვისებებით, პლუს მანქანა. გვიმ იმ საღამოს ბრწყინვალედ ითამაშა თავისი როლი. წასვლისას ყველა ქალს ხელები დაგვიკოცნა, ჩემი კი ცო-

ტა დიდხანს შეაჩერა და თვლებში მიყურებდა, შევთანხმდით თუ არაო. ეტყობა, ჩემს თვლებშიც ამოიკითხა რაღაც და ორიოდ კვირის შემდეგ განცხადება შევიტანეთ ქორწინების სახლში.

მეორე დილას გვიმ გამომიარა მანქანით და საყიდლებზე წავედით. წასვლით კი წავედით, მაგრამ ველარ მივედით. გვიმს ვუთხარი, არ მისაუზნია და მშობლებს ვუთხარი. საერთოდ, დილას კარგად საუზნობა მიყვარს. მთაწმინდაზე ავედით. მწვადები და კიდევ რაღაც რაღაცეები შევუკვეთეთ, მერე გვიმ ორი ბოთლი ღვინოც მოატანინა. მარტო მე დავლიე, საუკესთან არ ვსვამო. თავში ამივარდა. აღარც მახსოვს, რას ველაპარაკებოდი, მაგრამ სულ იცინოდა. უკან

რომ ვბრუნდებოდით, უცებ მანქანა გა-  
აჩერა და თმაზე მომეფერა.

— მე მგონი არ შეემცდარვარ არჩე-  
ვანში.

— ნამდვილად არა.

— შენ?

— ჯერ ეს მოთხარი, ასარჩევი ბევრი  
გყავდა?

— ისე რა.

— მე კი არა. ბიჭები საერთოდ ვერ  
მიტანენ. კოცნაც კი არ ვიცი, როგორია.

— ვერ წარმოვიდგენ.

— ვისაც გინდა ჰკითხე. მოიცა! —  
მანქანასთან ვილაც ბიჭმა ჩაიარა, ეტყო-  
ბოდა სოფლული იყო. დავუძახე:

— დედას გაფიცებ, შენ ჩემთვის გი-  
კოცნია როდისმე?

ბიჭმა თავი დახარა და გივის გახედა,  
მერე ჩაიციხა და წავიდა.

— ჩემი შეეშინდა, თორემ იტყოდა.  
ფანჯარაში თავი გაეყავი და დავუყ-  
ვირე:

— ნუ გეშინია, სიმართლე სთქვი!

სიცილით თავი დაგვიქნია, კიო.

— სტყუის, გივი, სტყუის! მე მაგას  
პირველად ვხედავ.

— მშვენიერი ბიჭი სჩანს, ტყუილს არ  
იკადრებს. მაგრამ არა უშავს, მიპატიე-  
ბია.

— დანარჩენი?

— ვნახოთ.

საბურთალოსკენ გავუხვიეთ. წინ ერ-  
თი მანქანა ჩავვიდგა, ხან ერთ მხარეს  
ჩაიწეოდა, ხან მეორეს.

— მძღოლი მე მეპრანჭება, გივი, არ  
ექვიანობ?

— ქალბატონო ნინო, ნუთუ ორმა  
ბოთლმა ისე დაგაბრმავათ, ვეღარ ხე-  
დავთ, რომ მძღოლი ქალია და ჩემსკენ  
იხედება და არა თქვენსკენ.

ნამდვილად სასაცილო იყო, მაგრამ  
მე მხოლოდ ცალყბად გავიღიმე. უეც-  
რად მუცელში თითქოს ნემსებით სავსე  
კოლოფი ჩამიბიჭქავავსო — ისე ამტ-  
კივდა. გავიბრუნე, არ ვიცოდი, როგორ  
მეთქვა გივისთვის.

— გივი, აი, იმ სახლთან გამიჩერე  
რა, ჩემი სკოლისდროინდელი მეგობარი

ცხოვრობს და მინდა დავპატიჟო ქორ-  
წილში, — თან ვიფიქრე, თუ ვიფიქრე არ  
წამომყვეს-მეთქი, და უფიქრობდა. ბარძა-  
ნებული მანქანიდან ჩამოვხტი. ბარძა-  
ყბის მთელი ძალით მივაჯირე ერთმა-  
ნეთს და მხოლოდ მუხლებს ქვევითა ნა-  
წილით შევევარდი სადარბაზოში. არჩე-  
ვის დრო არ მქონდა, პირველსავე კარზე  
დავრეკე. არავინ მიპასუხა. ვეცი მეო-  
რეს, ბავშვის ხმა გაისმა: „დედიკო სახ-  
ლში არ არის“. სიმწრით ფრჩხილები  
ხელისგულებს ჩავასვი და მეორე სარ-  
თულზე ავედი. ასეთი რამე არასოდეს  
დამმართნია. ზღაპრის მაგვარად, ორი  
ისარი რომ შემხვედროდა იმ წუთში—  
ერთი ბანკის მილიონიანი ჩეკით, მეორე  
კი ორი ნულით აღნიშნული, უეჭველად  
მეორეს ავირჩევდი.

სანამ კარი არ გააღეს, ზარიდან თითი  
არ ამიღია.

— ბოდიში, ძალიან... ცუდად ვარ...  
შეიძლება? არსება, რომელსაც ჩემი  
დახშული გონება ვერ აღიქვამდა, გვერ-  
დზე გაიწვია და რამდენიმე წამში მე სა-  
ნუკვარ ადგილზე აღმოვჩნდი.

ცოტა ხანში დაეწყინარდი და თითქოს  
სიხარულმაც ამიტანა, რომ გადავარჩი.

ნელ-ნელა, როგორც სიზმარს იგონე-  
ბენ, გავიხსენე აქ შემოსვლა. თეთრი კა-  
რი ოქროსფერი წარწერით, წელსზე-  
მთ შიშველი კაცი. სახე ვერ გავიხსენე,  
ალბათ არც შემიხედავს. პერანგი კი არ  
ეცვა, ეს ზუსტია და... ოჰ, ღმერთო, რა  
გადასარევი ტანი ჰქონდა! გამელიმა. ეს  
ალბათ მომეჩვენა, როგორც სიზმრად  
ნანახი. სჩანს ლამაზი; ხელები დავიბანე  
და ახლა-ლა გამახსენდა სირცხვილი. გავ-  
წითლდი, არ ვიცოდი, რა მეთქვა მას-  
პინძლისთვის. გამოვედი. კაცი არ სჩან-  
და. ჯერ სამზარეულოში შევიხედე, მე-  
რე ოთახში. კედლები ნახატებით იყო  
აპრელებული, ზოგი კარგი იყო, ზოგი  
საშუალო, ზოგსაც არც თავი ეტყობო-  
და, არც ბოლო. იატაკზე ეყარა, მოკ-  
ლედ რომ ვთქვა, ათასი წვრილმანი: ბო-  
თლები, ფირფიტები, წიგნები, ფუნჯე-  
ბი, ნაწვევები და ფულიც კი. ვიფიქ-



რე, ან დილას ცოლთან იჩხუბა, ან საერთოდ აქ ქალი არ დადის-მეთქი.

ოთახს მეორე კარიც ჰქონდა, აივანზე გასასვლელი, და კაციც იქ გასულიყო. ძალიან მაღლობელი დავრჩი ასეთი ტაქტისთვის და ვიფიქრე, ჩემად გავიპარები-მეთქი. კართან გავჩერდი, ვერ გადამეწყვიტა როგორ მოვქცეულიყავი, ისევ მოვბრუნდი და აივნის კართან მივედი. მაშ არ მომჩვენებია, ტანი ნამდვილად იშვიათი ჰქონდა: სულ მცირე მოძრაობაზეც კი კუნთები ისე ერხებოდა, თითქოს ზეწრის ქვეშ თავი დარბისო, კანი კი გალოკილი კნუტივით უბზინავდა. დავაკაქუნე და შემოვიდა. რომ დავინახე ახალგაზრდა ბიჭის სახე, უფრო გავფითლდი:

— დიდი ბოდიში შეწუხებისთვის, მაგრამ, იცით, ძალიან ცუდად ვიყავი.

ორი თავით ჩემზე მაღალმა თავი გვერდზე გადასწია, გოჯა-გოჯა დამათვალიერა, ენა გააწვლაპუნა და საკმაოდ ცივად მკითხა:

— კარგად ჩარეცხე?  
დაბნეულმა თავი დავუქნიე.

გაიჟყანა. მივხვდი, მასხრად მიგდებდა.

— ხომ არ შეგაშინე, ცუნცულ? — ნიკაპზე თითები მომიხსვა. — კიდევ ხომ არ მოგინდა იქ შესვლა?

უკან დავიწიე. მინდოდა მეთქვა, რომ ის იყო უზრდელი, თავხედი და თანაც ბაქია, რომელიც უცხოსთან შიშველი დადის, რათა თავისი სილამაზე გამოფინოს. ვერ გავბედე, მხოლოდ უკან ვიხევდი.

— ოჰ, ფრთხილად! — ხელით გამაჩერა, ჩემს უკან, იატაკიდან თოჯინა აიღო, უხელო და ცალფეხა, თმების ადგილზე მხოლოდ ნაჩვრეტები უჩანდა, — ქალია და ფეხით შედგომა არ უყვარს, ხომ იცი!

მერე ხელკავი გამოძლო და კარისკენ წამიყვანა. ცალი ხელით საეკეტი გადასწია, მეორეთი ჩემი ხელი გადააბრუნა და ხელისგულზე მაკოცა.

— თქვენი მონა-მორჩილი ზაზა მოღებამე. დარწმუნებული ვარ, ჩემს პა-

ტივისცემას არ დაივიწყებთ! *ქართული*  
ტყეებით გამოსტუმრა და კარიც დახურა  
კოტა ხანს ვიდევო, მერე ჩამეცინა  
და კიბეზე დავვიწვი.

— ეი, რა გქვია? — ზაზა კარებში იღგა.

— ნინო.  
— სიგარეტი არა გაქვს?

— არა, მე არ ვეწევი.  
ხელი ჩაიქნია და ისევ შევიდა.

გივი ღიმილით შემხვდა, მეც კარგ ხასიათზე დავდექი. რაღაც მოგჩანებ ჩემს მეგობარზე და წავედით. მალულად ვათვალიერებდი გივის და ზაზას ვადარებდი. არა, გივი სჯობია, უფრო ლამაზიცაა და სერიოზულიც. თუმცა... ძალიან თეთრი ხელები აქვს და პატარა ღიბიც. რა სისულელეა, არც მე ვარ ჩამოსხმული.

დასაძინებლად გვიან დავწევი. მეგონა, დაღლილს სწრაფად ჩამეძინებოდა, მაგრამ ფიქრებმა არ მომასვენეს. ვეხუტებოდი ბალიშს და ვფიქრობდი, რომ რამდენიმე კვირის შემდეგ სხვის ლოგინში ვიწვებოდი, სხვის ოჯახში. დილას კი... დღერთო ჩემო, რა გამჭოლი მზერა აქვს გივის დედას! რა საშინელება იქნება ის დედა! თანაც საინტერესოა. წარმოვიდგინე გივი ჩემს გვერდით. ბრ! ალბათ ბანჯგვილიანი მკერდი და ფეხები აქვს. ნელ-ნელა, ჩემდაუხებურად გონებაში ამოცურდა მზზინვარე კანი და მოხტუნავე კუნთები. ხელი შევახე და ისე ნაზად მოვეფერე, თითქოს მეშინოდა, ბეწვი არ აეშალოს-მეთქი. მკლავები მხრებზე შემომხვია და მაგრად მიმიკრა. შემიძლია დავიფიცო, თუკი ეს ვინმეს სჭირდება, რომ სურვილი პირველად ვიგრძენი. მაშინვე დამცინავი თვალები წარმოვიდგინე და შემრცხვა. როგორ შეიძლება ასეთ რამეზე ფიქრი, როცა საქორწინო კაბა შეკვეთილი გაქვს!

ანა მხიმიძე  
არჩევანი მძ...



როგორც იქნა დამძინა. გულდამძიმებულს გამომეღვია. გვის ღღეს არ ველოდი, სამსახურში იყო. უგემურად ვისაუბრე და მკერავთან წავედი. მერე ამხანაგთან შევიარე, წავიკორავეთ.

გულს რაღაცა მიღრღნიდა, სინდისი მაწუხებდა და რატომ, ვერე ვხვდებოდი.

წამოწვიმა და უცებ გადაიღო. სასიამოვნო იყო ქუჩაში ხეტიალი. სადა ვარ ახლა? აჰ, აი ამ ქუჩაზე რომ ჩავუხვიო და ცოტა მარჯვნივ გავიარო, იმ სახლთან მივალ, გუშინ რომ ვიყავი. ხომ არ მეწლება? არა, არ შეგმცდარავარ. მალაზიაში შევედი და გამყიდველს ჩავჩურჩულე, კარგი სიგარეტი ხომ არ გაქვს-მეთქი. მესაიდუმლოს ხმით დამისახელა რაღაცა უცხოური. მთელი შეკვრა ვიყიდე.

მეორე სართულის ოქროსფერწარწერიანი, თეთრი კარი ღია დამხვდა. ხარი მანც დავრეკე.

— ჰოუ! შემოდი! — შემომესმა.

ზაზა სამზარეულოში იყო, წინსაფრის მაგივრად პირსახოცი შემოეხვია და ჭურჭელს რეცხავდა. ოდნავადაც არ გააკვირვებია ჩემი დანახვა, სტუმრებს ველოდები და მომხმარე, თუ გცალიაო.

სიგარეტებს ქალალი შემოვაცალე და გაფუწოდე.

— როგორც ხედავთ, არ დამვიწყნია თქვენი პატივისცემა.

ზაზამ კოლოფებს დახედა.

— სასწაული ყოფილხარ. მოიცა, საბაზანოში ხომ არ გინდა შესვლა?

— უჰ, ძალიან ძვირი დამიჯდება, — გამეცინა.

მე ვრეცხავდი, ზაზა ამშრალეზდა და გაუჩერებლად ლაპარაკობდა. ლაპარაკობდა ყველაფერზე და საბოლოოდ ვერაფერი გავიგე. პირდაპირ არაფერზე არ მბასუხობდა. დიდი გაჭირვებით გამოვიძიე, რომ მხატვარი იყო და რომელიღაც ეურნალის რედაქციაში უხდებოდა სიარული.

ზაზა იმდენად ბუნებრივად იქცეოდა და ლაპარაკობდა, რომ მეც ამიყო-

ლია. გუშინ სულ სხვანაირი იყო, ღღეს კი ძმასავით უბრალო, და შემოხვებოდა ჩემი გუშინდელი სტუმრებისა.

— რა დავაწყო სუფრაზე? — ვკითხვებოდა.

— არაფერი, თვითონ მოიტანენ. ა, მგონი მოდიან კიდევ.

კბეზე ბრავაბრუგი მოისმა.

— კი, მაგრამ, პერანგს არ ჩაიცვამ?

— პერანგს? — ისე შემომხედა, თითქოს ახლა დამინახა პირველად. — ხო, ახლავე.

გამეხარდა. მას თურმე ბუნებრივად მიაჩნდა ზაფხულში შიშველი სიარული და მეტი არაფერი.

ხუთნი შემოვიდნენ: ორი გოგო და სამი ბიჭი. საკმელ-სასმელი სამზარეულოში შემოიტანეს. ერთ-ერთი ბიჭი, რომელსაც ორივე ხელში ბოთლები ეკავა, პირში კი ჭრელი მიხაკი გაერჭო, მომიახლოვდა და პირი მომიშვირა:

— ეს თქვენ! — მიხაკი გამოვართვი და ახლა თავისუფლად ალაპარაკდა:

— ამ სახლში უამრვი გოგო ყოფილა, თქვენსაირ ლამაზს კი პირველად ვხედავ.

მეც თავისუფლად შემეძლო მეთქვა, რომ არ მენახა მისნაირი ლამაზი ბიჭი, მაგრამ ვინაიდან არ მომწონს ლამაზი ბიჭები, კომპლიმენტი აღარ გამომივიდოდა.

გოგოებმა უსიამოვნოდ ჩამათვალიერეს. მერე დალაგება დაიწყეს. როგორღაც ზედმეტად ვიგრძენი თავი და ზაზას ვთხოვე, წავალ-მეთქი. მან მხრები აიჩჩია, როგორც ვინდაო, მაგრამ რამაზი ჩავგერიო, — მიხაკი რომ მაჩუქა, ის, — არსადაც არ გაგიშვებთო, და ძალით შემთარია, გვერდით მომისვა და თამაღობა დაიწყო. სუფრასთან ჯდომა მარტო იმისთვის მიყვარს, რომ სადღეგრძელოებს ვუსმენ, ეს კი რამაზს ბრწყინვალედ გამოსდიოდა. ამავე დროს ხაზგასმული ყურადღებით მექცეოდა, ყოველ წუთს შემომხედავდა და საქმელებს მთავაზობდა. სიტყვებიც და მოძრაობებიც რამაზს ნატიფი, თითქოს წინასწარ გაანგარიშებული ჰქონდა,



მთლიანად კი ისეთ თვითდაჯერებას გა-  
მოხატავდა, როგორც მხოლოდ ქალე-  
ბისგან განებებულ ბიჭებს აქვთ.

მაღე ერთი გოგოც შემოგვემატა.  
წინ ჩახსნილი ქვედა კაბა მარტო სამ  
ლილზე შეეკრა და ყოველ ნაბიჯზე  
მშვენიერ ფეხებს აჩენდა, მკერდი ისე  
ლამაზად მოუჩანდა თხელი ნაჭრის ქვეშ,  
რომ უნებურად ზედ თავის დადება მო-  
გინდებოდათ.

— გოგოებს გაუმარჯოს, — თქვა დო-  
ლომ, ჩანთა ტახტზე მიაგდო, მერე სა-  
თითაოდ ჩამოუარა ბიჭებს და ყველას  
ტუჩებში აკოცა, — ფირფიტები მოვი-  
ტანე, მაგარი რამეები.

თემო დოდოს ჩანთას მივიარდა, რა-  
მაზმა კი ბუზღუნე დაიწყო, სუფრას  
ნუ მირევთო. დოდო პირგამოტენილი  
უღრენდა, შენმა სადღეგრძელოებმა  
თავში სიმსივნე გამიჩინაო; მივიდა ზა-  
ზასთან, პირთან მიტანილი ჭიქა დაად-  
გმევინა და საცეკვაოდ გაიყვანა.

ჩემთან თემო მოვიდა, მერე რამაზი.  
თავბედიც მაწყევლინა. რამაზმა ხელე-  
ბი წელსქვევით, თითქმის თეძოებზე  
შემომხვია და ზედ მიმიკრო. სხვებს  
გადავხედე. დაახლოებით ჩვენნაირად  
ცეკვადა ყველა და ზედაც არ გვიყუ-  
რებდნენ. ჩემთვის გავიფიქრე, რომ ვე-  
ჩხუბო რამაზს, იტყვიან, ვილაც გაუთ-  
ლელი ყოფილაო, და აკანკალებული  
დაველოდე მუსიკის დამთავრებას. ზა-  
ზამ ბოთლები გაიტანა სამზარეულოში,  
მეც გავყვი.

— ვიცეკვოთ? — მკითხა ღიმილით.

— არა ზაზა, მე წავალ, გვიანია.

— როგორც გინდა.

გული დამწყდა, რომ ასე ადვილად  
მიშვებდა.

— თუ გინდა, ხვალ დილით მოვალ  
და მოგეხმარები დალაგებაში.

— ამას მე თვითონ მივხედავ, — მერე  
თითქოს რაღაცა გაიხსენა ძალიან მნი-  
შვნელოვანი, — ისე გამოიარე.

რამაზის დანახვა არ მინდოდა და ჩუ-  
მად წამოვედი.

მეორე დილას სამსახურში წავედი. ახლობლები ქორწილში უნდა დამეპა-  
ტიყნა. გოგოები გაგიყდებიან — მათ  
იციოდნენ, რომ არავინ არ მიყვარდა.

პანტაფურტით მომამყარეს ახალი ამ-  
ბები. კადრების განყოფილების უფრო-  
სი მომკვდარა, ჯერ არ დაუსაფლავებია-  
თ და მის ადგილზე ხოცვა-ჟლეტაო.  
დარეჯანს, ორმოცი წლის ქალს, ტყუპი  
გაუჩენია, მდივანი კი ბაღში უნახავთ  
ვილაც ბიჭთან ჩახუტებულო. ვუსმინე,  
ვუსმინე და წამოვედი. მერე-ღა გამახ-  
სენდა, რომ დაბატიყება სულ დამვი-  
წყნოდა. თუმცა... მერეც მოვასწრებ.

თეთრი კარი ჩაკეტილი არ იყო, ალ-  
ბათ ნამთვრალევეს დაავიწყდა დაკეტვა.  
შევედი. რაღაც გამაბრუებელი სუნი  
მეცა, მუსიკის დაბალი ხმა შემომესმა  
ოთახიდან. შევიხედე და გავშეშდი:  
ტახტზე დედიშობილა დოდო იჯდა,  
ეწეოდა და საღლაც უსასრულობაში  
იყურებოდა. ზაზა სავარძელში იჯდა,  
რადიოს გვერდზე, ყელზე ქალის თავსა-  
ფარი შემოეხვია. მიყურებდა და სუ-  
ლეულურად იღიმებოდა. მიყურებდა,  
მაგრამ ვერ მცნობდა. ახლა მივხვდი,  
რისი სუნიც იდგა და გარეთ გამოვგარ-  
დი.

ვინ ოხერი მექაჩებოდა, რას მოვეთ-  
რეოდი ამ სახლში! თავგადასავლები  
მომინდა! ჰოდა მივიღე კიდევ. კმარა!  
ახლავე უნდა ვნახო გივი და დავწყნარ-  
დე. გივი ასეთი შტერი არ არის.

სამსახურში დაფურეკე და ვთხოვე,  
სალამოს ჩემთან მოსულიყო, სალამოს  
რაღაც კრება გვაქვს და ხვალ ვნახავო,  
რაღაც ჭკუფი არის ჩამოსული ფილარ-  
მონიაში და ბილეთები ავიღეთ. დამეა-  
ვებული წავედი სახლში.

როცა ასეთ კონცერტებს ვესწრები,  
ალარავინ და ალარაფერი აღარ მახსოვს,

ანა მხიძიმ  
არჩევანი მძ...



წარმოვიდგენ, რომ მეც მომღერალი ვარ, ვდგავარ გაბრღვილებულ სცენაზე, მაცვია ლამაზი კაბა, მოხდენილად ვცეკვავ, ვატყვევებ ყველას და ბედნიერი ვარ. მერე მოაქვთ ყვავილები, ხელს მართმევენ, მკოცნიან. შემდეგი სიმღერა მე თვითონ დიდ სიამოვნებას მანიჭებს, იმდენად დიდს, რომ ტანი ქავილს მიწყებს. ტაში. დარბაზიდან ვიღაცა ამოდის უზარმაზარი თაიგულით, ჭრელ მიხაკებს შორის ზაზას სახე მიღიმის. რატომ ზაზასი? თავი მოვაცილე და გივის თავი ჩავსვი თაიგულში, ასე სჯობდა.

შესვენებაზე გარეთ გავედით. გივი ლიმონათის მოსატანად წავიდა. ვიღაცამ დამიძახა. რამაზი ამხანაგებს გამოეყო და გადამკოცნა.

— ერთხელ დღის სინათლეზე მინდა გნახო, მართლა ასეთი ლამაზი ხარ, თუ მეჩვენება? — ლამაზ კბილებს მანათებდა.

— ნუ მაწითლებ, ჩემს ყვითელ კაბას არ მოუხდება, — ძალიან მინდოდა არაფერი მეკითხა რამაზისთვის, მაგრამ მაინც წამომცდა:

— ზაზა აქ არის?

— ზაზა? არა, არ წამოვიდა, რაღაც ვერა ვარ კარგადო.

გული ჩამწყდა, შეიძლება ახლა ის მართლა ცუდად არის, შეიძლება მიმხედავიც არავინ არ ყავს, არც ვიცი. დოლო... ის თვითონ არის მისახედი.

მთელი მეორე განყოფილება ზაზაზე ფტიქრობდი. სულაც არ არის ცუდი აღამიანი, იქნება რამეთი დავებმარო? მითუმეტეს, თუ ეს ჩემთვისაც სასიამოვნო იქნება.



დილას ზაზა შინ არ დამხვდა. ნასადილევს კიდევ წავედი. რაღაცას ხატავდა.

— ხელს შეგიშლი, წავალ.

— არა, არ შემიშლი, — დაბეჭდილი ფურცლები გამომიწოდა, — ერთი ეს წაიკითხე და მითხარი, რას დახატავდი ასეთი მოთხრობის შესაფერისს.

წავიკითხე.

— მე მგონი სოფლის ეზოს დავხა-

ტავდი, ჩამავალ მზეს, წყლის ჰორმს ტორიფს, რომელსაც მტირალი დღის სახე ექნება.

— ჰმ, მერე-და სად არის მანდ ტირიფი?

— მე წარმოვიდგინე.

— ისე არა უშავს, მაგასაც დავხატავ. ფანქარი მიაგდო და სიგარეტს მოუკიდა.

— ეს შენი ნახატებია?

— ყველა არა, რომელი მოგწონს? ვაჩვენე.

— ეგ საკმაოდ ცნობილი მხატვრისაა. აი, ის კი ჩემია.

სურათზე საკმაოდ უცნაური სახეების მთელი გროვა ეხატა. მოცინარი, მტირალი, შეშინებული და განრისხებული სახეები. არაფერი თავის ადგილზე არ ჰქონდათ, მხოლოდ თვალები საოცრად ნათლად მეტყველებდნენ განწყობილებაზე.

— სოფელში, საფლავის ქვებზე მინახავს კაცუნები. იმათა ჰგვანან.

— შენაირი შემფასებლები რომ მყავდეს, ჩემი საქმე გაცილებით უკეთესად წავიდოდა. მაგ სურათში...

სხვები უფრო უარესები იყო.

ერთ სურათთან შევჩერდი. ჩანჩქერის ქვეშ პატარა გოგო იდგა, ხელები ზევით აეწია და იცინოდა. მეორე კი ნაპირზე ჩაუტყქულიყო და ფეხისგულს ითვალეირებდა...

— ეს კარგია. ვისია?

— ეგეც ჩემია. — თან ხატავს.

— გუშინწინ დილას აქ ვიყავი. კარია ლია დამხვდა.

შემომხვდა, არ ესიამოვნა.

— ჰო, გუშინწინ ვერ ვიყავი კარგად. ლაპარაკის ტონით მანიშნა, არ ღირს მაგაზე საუბარიო, მეც შევცვალე თემა.

— ახლა რა გავაკეთო?

გაკვირვებით შემომხვდა, მერე ჩაიცინა:

— ჯერ დაჯექი.

რა სულელი ვარ, კითხვა სხვანაირად უნდა დამესვა.



— იმის თქმა მინდოდა, რაზე ხომ არა გაქვს დასარტყი ან ვასაკეთებელი.

— ააა. მამ... შენ რა, საქმე არა გაქვს?

— არა.

მაგიდიდან ფუნჯი აიღო და ბეწვის მოცლა დაიწყო.

— მაშინ გაიხადე და დაგხატავ. ლამაზი მკერდი გაქვს.

ხელები თავისთავად წინ წამოვიდნენ, წელში მოვიხარე. ერთ წამში რამდენჯერმე აღვიდგინე მეხსიერებაში მისი სიტყვები. მინდოდა მეზოვა მათში უხამსობა, რომ მეც მკვახედ მეპასუხა და წაგსულიყავი აქედან, მაგრამ ნათქვამი ისე ჟღერდა, როგორც „ჭარი გააღე, ცხელა“. თავი მაინც ვერ შევიკავე.

— ზაზა, ვინა გგონივარ?

შემათვალისწინებ და ჩაიციანა:

— ნინო ვარო, მითხარი, მაგრამ ახლა ესაა და არკს უფრო ჰგავხარ.

— დიან, ნინო, და არა დოლო!

— მერე, ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს?

ციცხლი წამეკიდა ნუთუ ასეთი ხეპრეა, რომ ჩვენს შორის განსხვავებას ვერ ხედავს.

— ისა, რომ უნდა მიხედე, მე ყველა ოხერთან კაბას არ ვიხდი!

დამცინავად შემომხედა, მომიახლოვდა და ნიკაბზე წამაგლო ხელი.

— ცუნცულ, ეგებ ისიცა სთქვა, ამ ოხერმა ძალით მომიყვანა სახლშიო?

მართალი იყო და რა მეთქმოდა. ხელი აგკარი, ჩანთას დავავლე ხელი და წამოვედი. ზაზას სიცილმა გამომაცილა.

თავს დამცივებულად ვგრძნობდი.

შევე მერამდენედ ვეკითხებოდი ჩემს თავს, რა მიზიდავდა ამ გადაგვარებული ადამიანისაკენ. სილამაზე? — არა. სიბრაღული? — არა. ცნობისმოყვარეობა? — არა. იქნებ სიყვარული?.. არა, არც ეგ.

თვლები ცრემლით მქონდა საეხე და უცებ ვერ გავარჩიე, ვინ გამაჩერა.

— ნინო! ნინიკო, რა დაგემართა?

თვლები დავახამხამე, ცრემლი ჩამოგორდა და თითქოს გონებაც გამიანთდა:

— ყველაფერი ერთად!

— რა ყველაფერი, რა მითხარხარა მერი, ჩემი ყველაზე ახლო მეგობარი მაჯანჯღარებდა.

— ჰა? არაფერი, ისე, ჩემთვის ვთქვი.

— აბა, ქუჩაში რა გატირებს, მითხარი.

ხელები კისერზე შემოვხვეი და ისე ჩავიხუტე, როგორც ნაწყენი ბავშვი დედას.

— მიყვარს... ზაზა... მიყვარს.

მერის სიცილი აუტყდა.

— გაგისკდა გული! როგორ შემაშინე. წამოდი ახლა ჩემთან და დალაგებულად მომიყვი, ვინ გაწყენინა.

მერამ ხელი დაიქნია და მწვანეთვლებიანმა მანქანამ გაჩერებისას გუბის წყალი გემრიელად შემოგვაშხეფა.

მერის ლამაზი არა და მიმიხედვლი კი ეთქმოდა. იქნებ ლამაზიც იყო, მაგრამ სერიოზული იერი და ძალიან ჰკვირანური თვლები ბიჭებს ყოველთვის აშინებდა. სინამდვილეშიც ჰკვირანი იყო და ალბათ ამიტომაც — ნაკლებად ბედნიერი. გარეგნულად ცივი ჩანდა, ამ დროს კი ყველაფერი უყვარდა და რაც უყვარდა, იმას მთელ გულს ჩააყოლებდა. თავიდანვე რატომღაც ყველას ერიდებოდა. ერთხელ მითხრა:

— ნამდვილ სიამოვნებას მაგნიტოფონთან ვგრძნობ, ძალას — ქალღმერთს და მხოლოდ შიშს — ადამიანებთან.

ჩემი მონაცოლი ჩუმად მოისმინა, მერეც კარგა ხანს არ იღებდა ხმას, რაღაცას ფიქრობდა.

— როგორ ფიქრობ, ბევრს ეწევა? — მკითხა ბოლოს.

მხრები ავიჩიჩე, მე სულ სხვა რამე მაწუხებდა.

— იქნებ არც მკითხება, მაგრამ მე გივის უფრო ვიჩივდი, კარგი ბიჭია.

— რჩევა კარგი საქმეა, მაგრამ გულით მითხარი, ჩემს ადგილზე რომელს ამჯობინებდი?

ანა მხიძმ  
არჩივანი მძ...

ლაპარაკი ზარის ხმამ შეგვაწყვეტი-  
ნა. ცოტა ხანში მერის დედა შემოვიდა,  
ნათესავები გვესტუმრნენ და გამოდი-  
თო, მაგრამ წასვლა ვარჩიე.

— ნინო, გინდა ხვალ საბანაოდ წავი-  
დეთ? — გული მომიგო მერიმ. იცოდა,  
რომ ზღვაში ბანაობა მიყვარდა. —  
დამირეკე და შეგხვდები.

ჯერ მხოლოდ მუხლებამდე შევდი-  
ვარ წყალში, ხელით ვისველებ ფე-  
ხებს, მერე მუცელს, ხელბს, ბოლოს  
წელს. მხრები მითამაშებს და ვიციანი,  
მერის წყალს ვაწუწუებ და სიღრმეში  
გავრბივარ. არ მიცუტრავ, არა, უბრა-  
ლოდ ტალღებს ვეაღერებ ხელებით  
და ისინიც მპასუხობენ. ზურგზე ვწვივ  
და ყურებს წყალში ვუშვებ, რომ ზღვის  
საიდუმლო გავიგო. თმები მარაოსავით  
იშლება გარშემო. მერე მე და მერი  
ამოვდივართ და ქვიშაზე ვწვივით, მე  
გულადმა, ის პირიქით. ტალღებს მზე  
ეჯიბრება ალერსში. ბეწვები შრება და  
ნელ-ნელა სცილდება დაკომიულ კანს.  
ახალგაზრდების ხმაური მესმის, მაგრამ  
ისინი შორს არიან, მზეზე შორს.

— ზაზა, შენ არ იკატავებ?

თვალეები გარბიან და ნაცნობ, სანატ-  
რელ ზურგს ასკდებიან. მერი მე მიყუ-  
რებს.

— ის არის?

ხმას არ ვიღებ, თავი მივარდება. მერე  
ვღვებ და უკან მიუხედავად შევდივარ  
ზღვაში. არ მესმის, მაგრამ ვგრძნობ,  
ვიღაც მომყვება. ძალა მელევა.

— კარგი ცურვა გკოდნია, ცუნცულ!  
— გვერდზე ამომიდგა.

— მე მშვენიერი სახელი მაქვს.

— გაბრაზებული ხარ გუშინდელზე?  
არა, ისე შენც კი ჩიტი ხარ.

— ბოდიშს ვიხდი.

— მოდი რა ვქნათ, იცი? ჩავყვინთოთ  
და ვინც უფრო დიდხანს გაძლებს წყა-  
ლქვეშ, მართალიც ის იქნება!

გამეცინა. ამ ბავშვურ თამაშზე მა-  
ინც დავეთანხმე, ჩემი გამძლე ფილტ-  
ვების იმედი მქონდა.

— ერთი, ორი, სამი!

ჰაერი ღრმად ჩავისუნთქეთ და ჩავ-  
ყვინთეთ. ღიმილით დაველოცე ჯამარ-  
ჯების წუთებს, მაგრამ უცებ ტანზე  
ხელის ფათური ვიგრძენი. ზაზამ ხე-  
ლით მოძებნა ჩემი ხელი და მიმიზიდა.  
ვერ გავუძალიანდი, ანდა უფრო სწო-  
რად, არ გავუძალიანდი, რადგან მისი  
სხეული, რომელიც ჩემსას ეკვროდა,  
მისი ტუჩები და ენა, რომელიც ნაზად  
ამშრალებდა ჩემს სველ ტუჩებს, ხელე-  
ბი, სალტესავით რომ მიჭერდა, თბილი  
იყო, ასჯერ, ათასჯერ უფრო თბილი, ვი-  
დრე ზღვა და თვით მზეც კი.

ნაპირზე ზაზამ შემაჩერა:

— ნინო, მოხვალ ამ საღამოს ჩემ-  
თან?

ერთიანად ჩამოვიღვენთე. თანხმობა  
დანებებას ნიშნავდა, უარისთვის კი არც  
ძალა მქონდა, არ სურვილი. წარმოვი-  
დგინე, რაც მოპყვებოდა საერთოდ  
ჩემს სტუმრობას და თავი დაუუქნიე:

— მოვალ.

მერიმ მხოლოდ ავტობუსიდან ჩამო-  
სვლის შემდეგ ამოიღო ხმა:

— შეიძლება ერთი რამე გთხოვო?

— მითხარი.

— გივი არ მოატყუო.

— რას ლაპარაკობ, ეგ აზრადაც არ  
მომსვლია. ხომ მოგაყევი, როგორც მო-  
ხდა ყველაფერი, გადაწყვეტილიც არა  
მქონდა არაფერი.

— ახლა? — მერი ღიმილით მომაჩე-  
რდა.

— ახლა გადაწყვიტე.

— შენ უკეთ იცი, — მერი გადამეხ-  
ვია და მაკოცა. — მე თუ დაგჭირდი  
რამეში, იცი, სადაცა ვარ აბა, კარგად.

სადგურზე ვიყავი, სახლამდე შორი  
იყო, მაგრამ ფეხით წასვლა ვარჩიე. არ  
მინდოდა ვინმე ნაცნობს შეგხვედრო-  
დი და ვიწრო ქუჩებს დავუყევი. ერთ-  
ერთ ჩიხურთან გავჩერდი, ყურმილი  
ჩამოვიღე, ყურზე მივიდე და ჩავფიქრ-  
დი.

ჩიხურს ხანშიშესული კაცი მოუხან-  
ლოვდა. სიმართლესთან უფრო ახლოს  
იქნება, თუ ვიტყვი, რომ მოგორდა,

რადგან, ჩემზე დაბალს, მუცელი მეცხრე თვეში გადამდგარი ორსულებით გაბეყვოდა. ფუჰ, რა სიძაგლობა! ალბათ დაჩრწმუნებულა, ცხოვრებაში რაც კაცს სჭირდება, ყველაფერს მიაღწია და ისღა დარჩენია, თავისი ტიკი უნაზესი ხორავით ამოავსოს, მერე მიეგდოს ტახტზე და ისე მოინელოს. თუმცა სილამაზეს მაინც ეტრფის — ძვირფასი ქსოვილის გატკეცილი შარვალი, უცხოური პერანგი და ახალთახალი კრიალა ფეხსაცმელი აცვია, მაგრამ ეს ვერ უფარავს სიმპიჩნეს. ოფლმა მგონი ფეხსაცმლის ტყავშიც გამოატანა.

რამდენჯერმე ავკრიფე ნომერი, ოღონდ მარტო ორი ციფრი, შემდეგ ვკიდებდი ყურმილს. ადგილი დავუთმე: — დარეკეთ, ჩემი დაკავებულა.

დიღხანს ლაპარაკობდა, ყვიროდა, მერე უცებ შეწყვიტა საუბარი და სასაცილოდ გატუხტუხდა.

გივის დავურეკე სამსახურში. ყურმილი თვითონ აიღო, მაგრამ ჩემი ხმა არ გადიოდა და იძულებული ვიყავი სასმენში მელაპარაკა. ვთხოვე, სამსახურის შემდეგ ჩემთან მოსულიყო სახლში. შემპირდა და მართლაც, ზუსტად შვიდის თხუთმეტ წუთზე მოვიდა. კარგ ხასიათზე იყო, სამსახურში დაწინაურებას უპირებდნენ და გულით ხარობდა.

მე კი სადილი გავაცხელე, სუფრა გავშალე, ამასობაში დედაც მოვიდა და მაგიდას მივუსხედით. დალილები გემრიელად ილუქებოდნენ, მე კი ხახა გაშრალი მჭონდა, ნერწყვისაც ვერ ვუღაპავდი. როცა კონიაკის ბოთლი ავიღე და გივის ჭიქას დავუმიზნე, ხელი დააფარა.

— აჰ, არ დამისხა, მანქანით ვარ.

— მაშინ მე დავლევ, — ჭიქა ჩემსკენ მოვწეე, დავასხი და უცებ გადავკარი.

— როდის მერე შეგიყვარდა სასმელი? — გაეღიმა დედას.

— არც ახლა მიყვარს, — კიდევ დავისხი, — იმ დღის მერე არ დამიღვევია, განსოვს, გივი, ფუნჯულორზე რომ ვიყავით?

— იმ დღის მერე არც ისე დიდი დროა გასული.

—ჰო, ათიოდე დღე, მაგრამ ამ მცირე დროში ბევრი რამე შეიცვალა, მერე ვიხსენებ კი მე, — მეორე ჭიქა დავწვინე და დავლიე.

— რა მიკიბულ-მოკიბულად ლაპარაკობ, არ მესმის. — დედას აღევლება დეტყო.

— დედა, გივი დღეს მე მოვიყვანე აქ, რომ ბოდიში მომეხადა იმ ერთადერთი ტყუილისათვის, იმ დღეს რომ ვუთხარი. ახლა ტყუილს ველარ ვიტყვი.

და მოვიყვი ყველაფერი, რაც იმ წყევულ თუ ბედნიერ დღეს და მას შემდეგ მოხდა. ბოლოს შევხედე ორივეს. გივის თვალები თევფისთვის მიეშტერებინა და ჩანგალს აწვალებდა, დედა კი გაშეშებული იჯდა, თვალები სამჯერ მაინც გასდიდებოდა.

— და შენ ახლა მასთან მიდიხარ... დარჩები?

— ხო, დედა. როგორც ხედავ, არავინ არ მაძალებს, არც ავცეტებულვარ, არა. შეგნებულად მივიღივარ იმიტომ, რომ ყველას მირჩვენია, შენზე ძალიან მიყვარს დედა. და თუნდაც მერე მთელი სიცოცხლე ვინანო, დღევანდელ საღამოს არაფრით არ დავთმობ.

დედამ უცებ ჩამოყარა მხრები, სახეზე ხელები აიფარა და აკანკალებული ხმით მითხრა:

— წახვალ და ველარც დაბრუნდები. კარებშილა შეგჩერდი:

— მე შემეძლო ყველაფერი ჩუმად გამეკეთებინა და ვერაფერსაც ვერ გაიგებდ, მაგრამ უნამუსო არა ვარ. ამისთვის მაინც შემირბილეთ ჩემი ცოდვა და მაპატიეთ ორივემ.

ასევე უძრავად მჯდომარე დავტოვე ორივე და წამოვედი. ჩემს თავს არ ვეკუთვნოდი, როცა ზაზას ოთახს მივადექი, შესასვლელში უცხო ბიჭი გამომეგება, არც შემოუხედავს, კარს ფეხი მოარტყა და უცებ ნახევრადსინელებში აღმოვჩნდი იმ სუნიტ შეწუხებულ, ერთხელ უკვე რომ ვიგემე.

ანა მხეიძე  
არჩევანი მძ...



ზაზას გარდა სამნი იყვნენ, გათიშულები, არამქვეყნიური გამომეტყველებით აქეთ-იქით მიყრილები. ძლივს მივალწიე კუთხეში მიყრილ წიგნებამდე და უღონოდ დავეშვი.

ესეც ჩვენი შეხვედრა!

ნელა მოვდიოდი ქუჩაში, ოცნებას ლამაზი სურათებით ვკვებავდი, ისე როგორც ზოგიერთ ფილმში მინახავს: ქალი შედის მოსუფთავებულ ოთახში, ლარნაკში ყვავილებია, სუფრაზე ტუბილეული და ხილი, კაცი ღიმილით ხვდება, ეხვევიან ერთმანეთს, განუყოფრებელ სიტყვებს ჩურჩულებენ. ამას კი არც გავხსენებია!

რამდენიმე წუთის წინ გული მოვუკალი ყველაზე საყვარელ ადამიანს, ჩამოვიშორე სამუდამოდ კარგი მეგობარი, წიხლი ვკარი ყველას ამის გულისთვის. ამას კი, ამ ლამაზ პირუტყვს, არც გავხსენებია!

რატომ, რატომ, რატომ მოვიქციე ასე, ხომ ვიცოდი, რომ მას არ ვუყვარდი. ხომ პირდაპირ მითხრა, რომ მეც იგივე ვარ მისთვის, რაც დოდო, ან თინა, ან მაია. დასრულებული იდიოტი ვარ, მაგრამ არცა ვარ. განა ჩემი ბრალია, რომ სწორედ ეს პირუტყვი შემეყვარდა და სწორედ ისეთი, როგორსაც ვიცნობ? სიყვარული რომ ასარჩევი იყოს, როგორც მალაზიაში გამოფენილ წიგნებს აირჩევ შენი ხასიათის სარგოდ, ყველაფერი რიგზე იქნებოდა, აღარც ჩხუბი, აღარც ლაღატი და განქორწინება. ნეტა გული გვეკითხებოდეს!

ცრემლები მკერდის ცხარში ჩამიცურდა. ხელით მოვძებნე ტვირისახოცი და მოვიწმინდე. ახალა შევამჩნიე, რომ ზაზას გარდა ოთახში აღარავინ იყო, ის კი სავარძელში იჯდა და რაღაცას ბუტბუტებდა. მივედი და სავარძლის სახელურზე ჩამოვჯექი. დავუძახე. არც განძრეულა. თვალები, რომლებშიც ხან დაცინვა, ხან ფიქრი, ხანაც ნდომა კრთოდა, ახლა გაპყინოდა და შუშისას ჰგავდა. მოულოდნელად სიხარულმა ამიტაცა. აი, ასეთი მაინც, სრულიად უგონო, ხომ შემძლო დამესაკუთრებინა, რასაც

ვფიქრობდი, ყველაფერი შეიქცა თუ შეიქცა მოვხვიე ხელები და გულზე მოვიფრეხე. ჯერ წყნარად იყო, მერე ხელი მკრა და წამოიყვარა:

— შენ არა ხარ დედაჩემი!

აივანზე გავედი და მოაჯირს გადავეყუდე. დიდხანს ვიდექი გარეთ, მერე შემეცვდა, შევედი და ტახტზე ჩამოვჯექი. ვიფიქრე, დავწვები-მეთქი, რომ უცებ ზაზა ადგა, ტახტზე გადმოესვენა და თავი კალთაში ჩამიდო. შიშმა ამიტანა, ხომ შეიძლება რაღაც მოეჩვენოს და ორ თვლაზე კატის კნუტივით მიმადრჩოს? არ ვინძროდი, წელიც დამელაღა. ზაზამ თავი რამდენჯერმე გააქნია, პირი გააღო და ამოაღებინა. ფრთხილად ავუწიე თავი, გამოვეცალე, კაბა ავიკრიფე და სააბაზანოში გავიქეცი. გავიხადე და იქვე მიგდებული ზაზას პერანავი გადავიცვი, პირსახოცი დავასველე.

სახე მოვუწმინდე. შემომხედა, გაიღიმა.

— ნინო, რა კარგია, შუბლზე დამადე, თავი მისკდება.

— როგორა ხარ?

— არა მიშავს, შენა?

— ბრწყინვალედ. — გაშეცინა, თავქვეშ ბალიში ამოვუდე, — შეგიძლია დაიძინო?

ვერც მოასწრო სიტყვის თქმა, ისე დაეძინა. მხოლოდ ახლა ვიგრძენი დაღლა. კაბა გავრეცხე, გავფინე, მერე სავარძელში მოვიკალათე და ჩამეძინა.

გათენებისას ზაზას ხმამ გამომაღვიძა, გაოცებული მიყურებდა:

— მანდ რას აკეთებ?

— გიცდი, რომ დამხატო.

— რას ბავშვობ, მოდი აქ დაწექი, დავეტყვით, — ზაზა ადგა, ტახტი გაშალა და საბანიც ამოიღო, — თუ გინდა, მანდ მე დავიძინებ.

— არა, იყავი — ხელ-ფეხი სულ დამბუჯოდა, მივედი და კიდევ დავწექი.

ახლა დახუტე თვალები და მეც დამაძინე, თორემ თავის ტკივილი მომკლავს, — გულდაღმა ვაწვა და ხელები ბალიშის ქვეშ შერგო. ძილის გატეხვას შეუჩვევლმა, მეც სწრაფად დავიძინე.



როცა გაშეღვიძა, ზაზა ხელზე დაყრ-  
დნობილი შემომტკეპროდა.

— პირლიას გეძინა, ნერწყვიც გადმო-  
გსვლია შე დორბლიანო. — ხელით მო-  
მიწმინდა ლოყა და იმ ადგილზე მაკოცა.

— თუ შეიძლება კაბა მომიტანე, —  
შევეხვეწე.

მაშინვე ადგა და ოთახი მოათვალი-  
ერა.

— სად არის?

— სააბაზანოში, დავითხუბნე და გავ-  
რეცხე.

— ჰოო, ახლავე, — ფეხშიშველამ გა-  
ირბინა და კაბა შემომოიტანა. — გაუ-  
თოვება არ უნდა?

— უნდა.

— მერე ადექი, ჩემს პერანგს მოგი-  
ტან.

— შენი პერანგი მაკვია.

— აბა რატომ არ დგები? მე გავიუ-  
თოო? მე შენზე ზარმაცი ვარ, თორემ  
კი, — ნახტომით ჩაწვა ლოგინში.

კაბა მოვიფარე ფეხებზე და სამზარე-  
ულოში გავედი. გავაუთოვე და ჩავიცვი.

— მესიკვიდილება ახლა სამსახურში  
წასვლა. ნინო, შენ მიდიხარ?

ნაღვლიანად შევხედე:

— შინ ვერ მივდივარ.

— იყავი აქ, ვის ეჩხუბე?

— დედას.

— ბრაზიანია? — ზაზა წვერს იბარ-  
სავდა და ბატარა სარკის ზემოდან გად-  
მომხედა.

— არა. ჩემი ბრალია. ზაზა, შენი ამ-  
ხანაგები დღესაც მოვლენ? მხრები აიჩე-  
ჩა, რა ვიციო.

— მოდი სალამოს სადმე გავისვირ-  
ნოთ.

— კი, ბატონო, — მერე ირონიულად  
გადმომხედა, — იმათზე რატომ მკითხე,  
არ მოგწონს რომელიმე?

— მაგიყებს შენი მიხვედრილობა.

— მაინც რომელი აითვალისწუნე ასე  
ძალიან?

— შენ.

— რას გადამეკიდე და მლანძღავ, ვერ  
გავიგე! — საბოლოოდ მოწესრიგდა,

მომიხსლოვდა და ხელები ილიის ქვეშ  
მომხვია, — ოხერი ვარ?

— მაღლობა ღმერთს, შეგე მინიჭდა...  
გამახსოვრდა ჩემგან.

დიდხანს მიყურა თვალებში, სახე თა-  
ნდათან შეეცვალა.

— მე ყველაფერი მახსოვს, ოღონდ  
შენ ნუ შემახსენებ, — ამ სიტყვებით  
დიხარა და მაკოცა. ამჯერად მეც ავყე-  
ვი და ტვინიც ამერია.

— ცუნცულა, რა მხურვალე კოცნა  
გცოდნია, — ყურში მიჩურჩულა, სახეს  
ვარიდებდი, რომ ასეთი არეულობა არ  
შემეჩნია. — გინდა დავრჩე?

— არა, არა. სალამოს გნახავ.

— კარგი. გასაღები შენ წამოიღე, კა-  
რადის თავზე დევეს.

შეხვედრის ადგილი დაეთქვით და წა-  
ვიდა.

სალამომდე წუთითაც არ დამისვენია,  
დავალაგე, დავრეცხე, სადილის მაგვარი  
რალაცა მოვამზადე, მერე დავიძინე და  
ჩემს „ოხერ“ მასპინძელთან პაემანზე  
გავეშურე.

გზად დედასთან დავრეკე. დაუძახეს.

— გისმენთ! — ამ ერთი სიტყვით უა-  
მრავი გრძნობა გამოხატა: შიში, მოლო-  
დინი, სიბრალული და სიმკაცრეც.

— დედა, მე ვარ! — ხმა არ გამცა და  
განვაგრძე: — კარგადა ვარ, მისმენ?  
ზაზაც კარგად მექცევა... ძალიან ვუყვარ-  
ვარ. მხოლოდ შენ... დედა! დედიკო,  
ნუ სტირი, რა! დღეს ნუ გამომიტირებ,  
დღეს ალბათ ყველაზე ბედნიერი დღე  
მაქვს. და მაპატიე. ვიცი, მაპატიებ. ჩემ-  
ზე უკეთესი ვინ გყავს...

დავიდა ყურმილი. მე კი ისევ ვჩურ-  
ჩულვებდი:

— ჩემო საყვარელო, გატყუებ, მაგ-  
რამ რომ გაიგო, რა დღეშია შენი ერთა-  
დერთი შვილი, გული ველარ გაგიძლებს,  
ნახევრად უკვე ისედაც მოგიკალიო.

ადგილზე თხუთმეტი წუთით ადრე  
მივედი, თუმცა შემდეგი თხუთმეტი  
წუთიც და კიდევ იმდენი ტყუილად ვი-

ანა მხაიძე  
არჩევანი მმ...

ცადე. ზაზა არ სჩანდა. ლმერთო მალა-  
ლო, ნუთუ ღღესაც დავავიწყდი? მაშინ  
ის-ლა დამრჩება, მტკვარში ვეძებო სიმ-  
შვიდე. მაგრამ აღარ დამჭირდა: შორი-  
დან დავინახე მოცინარი გარუჯული სა-  
ხე და მოგრძო წაბლისფერი თმა, რომე-  
ლიც სიარულისას ფაფარივით უხტოდა  
თავზე. ცდილობდა ტუჩები ადგილზე  
მოეთავსებინა და არ გამოსდიოდა.

— ნაღდად შენმა დილანდელმა კოც-  
ნამ დამაბნია, თორემ არ დამავიანდე-  
ბოდა. შინ მოვდიოდი და შუა გზიდან  
დავბრუნდი. — სიცილით გადამხვია ხე-  
ლი და თითქმის ილიის ქვეშ ამოდებუ-  
ლი წამაჩანჩალა. — ახლა საით?

— საახალწლო ნაძვის ხეზე!

— კი, მაგრამ, — ზაზამ საათზე დაი-  
ხედა, — ჭერ შვიდი არ არის, თანაც ივ-  
ლისია.

— მერე რა, იქნებ ჩემთვის სწორედ  
ღღეს დგება ახალი წელი?

— ჰმ, დასაშვებია. ოღონდ თხელი პე-  
რანგი მაცვია და არ გამაცივო, იცოდე.

კომკავშირის ხეივანში ავიყვანე.

— აი, ეს არის ჩემი ნაძვის ხე. ჩემია-  
მეთქი, იმიტომ, რომ მე დავრგე. ერ-  
თხელ სკოლიდან წამოგვიყვანეს შაბა-  
თობაზე და მაშინ. ხომ ლამაზია?

— ყველაზე კეკლუცი. მაღლიერი მო-  
მავალი თაობა არ დაივიწყებს შენს  
ამაგს. შეიძლება ამ ადგილზე ძეგლიც  
დაგიდგან.

— მე კი მეგონა, ძეგლებს მხოლოდ  
კარგი ნახატებისთვის დგამდნენ.

— რა თქმა უნდა, მაგისტრისაც. ახლა  
უცებ აზრი დამეხებად, ჩემი ძეგლიც აქ  
დავადგმევინო. კარგი სუნია! — ჰაერი  
ღრმად შეისუნთქა.

— ზაზა, გიყვარს შენი საქმე?

ლოინჯშემოყრილი, თავაწეული და  
თვალდახუჭული იდგა.

— შენ ახლა ბევრი კითხვა გაწუხებს  
და ამიტომ მე თვითონ გეტყვი ყველა-  
ფერს: გვარი, სახელი იცი. ოცდათერთ-  
მეტი წლის ქართველი რომ ვარ და  
უცოლო, ეგეც იცი. უმაღლესდამთავ-  
რებული, უპარტო, მყავს მამა და დე-  
დინაცვალი, მოსკოვში გათხოვილი უფ-

როსი და, ჭორიკანა მეზობლები, სახლში  
ვარგარეთ არ ვყოფილვარ, კმმმ, რაღაც  
ვობაში გადავიტანე წითელა, ყბაყურა  
და ამოვიჭერი გლანდები. გამომრჩა  
რამე?

— ქალებთან დამოკიდებულება.

— მაგას გამოვტოვებ. განსაკუთრე-  
ბული აზრი არ გამაჩნია.

— აქ მოსვლის მიზეზი?

— შენი ახალი წელი. უნდა ვიმღერო,  
ვიცეკვო და ვითამაშო. ახლა მე წითელ-  
ქუდა ვიქნები, შენ კი მგელი, მოვდი-  
ვარ.

ხელი მოღუნა, ვითომ დაკრიფა, ზოგი  
თმაში გაირჭო, ზოგი კალათს დაადო,  
თან რაღაც ბავშვურ სიმღერას მღეროდა  
წითელქუდაზე და ცეკვა-ცეკვით ტრია-  
ლებდა.

— ყურადღება! მგელი უნდა გამოჩნ-  
დეს, მაგრად დადექი.

— მგელს ინფარქტმა დაარტყა და  
საავადმყოფოში წაიყვანეს! — ასე სა-  
საცილოდ მე არ გამომივიდოდა და  
ამიტომ ავიცილე როლი. წითელქუდა  
მოიღუშა.

— რაღა ვქნა, ვის შევავშმევინო თავი?  
სულ ერთია, ბებია მაინც შემჭამს სიბე-  
რეზე ჩივილით. რა უბედური ვარ!

გულთ ვიცინოდი, ზაზამ კი ყვავი-  
ლები მოიშორა და ახლა საჩუქარიო,  
მომთხოვა. საკოცნელად გამოიწია.

— ეგ ხომ უკვე გაჩუქე?

— ის ძველ წელს იყო!

— სირცხვილია, ხალხი დადის! —  
ხელით მოვიშორე.

— ნეტავი შენ! — ბალახზე წამო-  
გორდა, ბალიშად ხელი გამოიყენა და  
ღეროს დაუწყო წიწკნა: — როცა ვერა-  
ვინ ვერ გხვდავს, მაშინ არ გრცხვენია?  
გავბრაზდი, უცებ ვერ მოვძებნე სა-  
კადრისი პასუხი.

— შენ კი, რასაც სახლში აკეთებ, ყვე-  
ლაფერი შეგიძლია აქ გააკეთო? — გა-  
ეცინა და გამეხარდა, რომ ვაჯობე სიტყ-  
ვაში: — განსხვავება მხოლოდ იმაშია,  
რომ მე მეტის მრცხვენია, შენ — ნაკ-  
ლების.

საათს დავხედე. ცხრის ნახევარი იყო.



ათსათიანზე კინოში შევთავაზებ შეს-  
ვლა.

— უჰ, ეგ სადღაა? კინოში იმის მერე  
არ ვყოფილვარ, რაც სრულწლოვანი  
გავხდი და ყველა ფილმის ნახვის ნება  
დამირთეს. არც თეატრში ვყოფილვარ,  
ტელევიზორსაც კი ვერ ვუყურებ ხო-  
ლმე.

— აბა, რას აკეთებ საღამოობით?

— არაფერს. ხან დალილი ვარ და  
აღრე ვწვები, ხან ვიღაცა დამადგება  
თავზე და ვსვამთ. სიმართლე გითხრა,  
ყელში ამომივიდა, სიწყნარე მენატრე-  
ბა! — გულახდილობა დაეტყო ხმაში.

— იცი, რა მალიზიანებს ყველაზე ძა-  
ლიან ადამიანში? სიზანტე, უინტერესო-  
ბა. გინდა ახალგაზრდა იყოს და გინდა  
— ბებერი.

ზაზამ წამოიწია და ბოროტად გამი-  
ცინა.

— თუ გინდა მეგობრები ვიყოთ, ჩე-  
მო ცუნცულ, ჰკუთის დარიგება არ დამი-  
წყო. კარგად დაიხსოვმე!

რა გავწყობა, დავიხსოვებ! ჰკუთის  
სწავლებას კი მაინც ვეცდები, ოღონდ  
სხვა გზით.

კინოდან ფეხით წამოვედი. ფეხს  
ვითრევდი, არ მინდოდა ზაზასთან მარ-  
ტო დარჩენა, მეშინოდა. თითქოს ამის-  
თვის არ წამოვსულიყავი სახლიდან. გა-  
თენებას ვნატრობდი, როგორც მალა-  
მოს. დამით ხომ ყველაფერი გაზვიადე-  
ბულად საშინელი სჩანს.

როცა ზაზამ სინათლე აანთო და ოთა-  
ხი მოათვალიერა, სხვაგან მოგვედრი-  
ლვართო, იხუმრა, მერე სამზარეულოში  
შევიდა, ქვაბს ჩახედა და სიამოვნებით  
დაიკრუტუნა. პირგამოტენილი ენას მა-  
ინც არ აჩერებდა: ასპროცენტისანი დე-  
დაკაცი ხარ სისუფთავის სენით შეპყ-  
რობილიო, სადილი უმაროლოა და უბე-  
მური, მაგრამ რა ვქნა, მშიაო. საცო-  
დავ დომილს ძლივს ვაკოწიწებდი, ჰა-  
მაც ვცადე, მაგრამ პირველივე ლუქმა  
ყელში გამეჩხირა. მოგვიანებით, როცა  
ჰურტული დავრეცხე, ისიც კი გავიფიქ-  
რე, გავიპარები ახლა და დედასთან წა-  
ვალ, მოვუყვები ჩემს ბედოვლაობას

და მის კალთაში ტირილით გულს ვი-  
ჭერებ-მეთქი, მაგრამ ამ დრტნ-ჩახანს  
დამიძახა.

გახდილი იყო და ლოგინში არხენიან  
გორაობდა. რა ენაღვლებოდა, მისთვის  
ეს საქმე ვაშლის კრფაზე იოლი იყო.  
იქვე ზონარს მისწვდა, სინათლე ჩააქრო  
და ძალით დამსვა ტახტზე. ზურგიდან  
მომეხვია და საკინძეს დასწვდა გასახს-  
ნელად:

— შენც მოგწონს, როცა სხვები  
გზლიან?

სირცხვილით დამწვარი წამოვხტი:

— არა... მე თვითონ.

გავიხადე და ჩავწექი. მომეხვია და  
ისევ გაჩერდა, პერანგს ორი თითი წა-  
ვლო:

— ეს რაღად გინდა? ო-ო, ცუნცულ-  
ნინო, დამტანჯე!

ცულ სიზმარში მეგონა თავი. მესმო-  
და კაცის მიძიმე სუნთქვა, შიგადაშიგ  
რაღაც სიტყვები, მეხვეოდა ლამაზი ტა-  
ნი, რომელიც ახლა მეზიზღებოდა და  
აუტანელ კანკალს მგვრიდა.

მეგონა უსასრულობამ განვლო, სანამ  
ზაზა მიწყნარდებოდა. სიმშვიდე მეც  
გადმომეღო და ჩუმად ვიწექი. ალბათ  
დაეძინა-მეთქი, რომ გავიფიქრე, წამოდ-  
ვა, სიგარეტს მოუკიდა. ბოლომდე მოს-  
წი უსიტყვოდ და ახალს მოუკიდა.

— ნინო, როგორ გითხრა... შენ... ჩე-  
მამდე არავისთან არ ყოფილხარ?

გავიტრუნე. თავი გადააქნია, თითქოს  
ნათქვამის წაშლა უნდაო:

— მაგას ხომ თვითონაც მივხვდი, რას  
გეკითხები.


სინათლე აანთო და დამამტერდა:

— რამდენი წლისა ხარ?

— სრულწლოვანებას დიდი ხანია გა-  
დავაბიჯე და მაგისთვის არ დავსჯიან.  
არც აკიდებას ვაპირებ, ასე რომ შემ-  
ფოთდი; როცა მოგწყინდები, მაშინ წა-  
ვალ, თუ გინდა ახლავე, — წამოვიწიე,  
მაგრამ მხრებზე დამაწვა და ნიკაბი ნი-  
კაზე მომალაო.

— არც იტირებ?

ანა მხეიძე  
არჩივანი ში...



— არა! — გამელიძა.

— და მომეფერები? — ძლივს, სულ ოღნავ გამოკრთა მის თვალეზში ის გრძნობა, რომელიც წიგნების მაღაზიაში არ იყიდება, და მე ცრემლნარევიად ვთქვი:

— ბევრს, ბევრს.



ზარის ხმამ გამოგვალვიძა. ზაზა ტრუსების ამარა წამოხტა.

— აქ არავინ შემოუშვია! — დავადვენე და საბანი თავზე წამოვიხურე, ხმაზე ვიცანი — დოდო იყო.

— ოთახში არ შეხვიდე! უთხრა ზაზამ.

— ვითომ რა მოხდება?

— სტუმარი მყავს.

— ძან მორცხვი სტუმარი კი გყოლია. თუ ვიცნობ?

— არა, უცხოელია.

— მითუმეტეს. ან იქნებ გგონია, ეკვიანობის ნიადაგზე ჩხუბს დავუწყებ?

— არ შეხვიდე-მეთქი! — ზაზამ ხმას აუწვია.

— კარგი, ჰო, ნუ გადაირევი ახლა. აჰა, პავლიკამ გამომატანა შენთან, დამიბარაო, მითხრა. ფული გაქვს ახლა?

— მაქვს, მოიცა, გამოვიტან.

ზაზა იმ დღეს სამსახურში არ მიდიოდა, სახლში უნდა ვიმუშაოო. მე ვუთხარი, გავისეირნებ-მეთქი, ბაზარში წავედი, ორი ბადე პირამდე გავაგსე და შინ დავბრუნდი. შინ, თუ სასტუმროში? ის ხატავდა.

— ზაზა, რა მოვამზადო სადილად, რა გიყვარს?

— გრემი, ენისელი, ვარციხე.

— მიპასუხე! — ფეხი დავუბაკუნე.

— სულ ერთია, ჩემი კუჭი ყველაფერს აიტანს.

— მაშინ გაიხადე ფეხსაცმელი და შეგიწვივ.

— ხელს ნუ მიშლი.

ხახვი შემოვიტანე, კუთხეში სკამზე ჩამოვჯექი და რჩევა დავიწყე.

— სახელოსნო არა გაქვს? ახლა თითქმის ყველა მხატვარს აქვს თავისი სახელოსნო.

— ეგ ხახვი მოაშორე აქედან, თვალეზს მჭრის. რაც შეეხება სახელოსნოს, მაგას აი ამდენი ფული უნდა, ხელები გაშალა, — მე კი ცოტა მაქვს.

— მე რომ მოგცე აი მაგდენი?

დამცინავად შემომხედა და წაუსტვინა.

— არ გეხუმრები, წიგნაკზე ცხრა ათას რალაცა მაქვს. ერთ პატარა ოთახს კი უნდა ეყოს. ეს ოთახი საკმარისად ნათელი არაა, თანაც ამდენი ხალხი დიდის.

— მამაშენი ქურდია თუ პროფესორი?

— არც ერთი და არც მეორე, მეზღვაური იყო, კაპიტანი. ცხრამეტის ვიყავი, როცა მოკვდა, კიბო აღმოაჩნდა, — ხახვიანი თასი იატაკზე დავდგი და გაზეთი გადავაფარე, რომ სუნი არ გაეშვა. — გვარიანი ხელფასი ჰქონდა და სულ ჩემს სახელზე შეჰქონდა სალარაოში. დედასაც კარგი შემოსავალი აქვს — კბილის ექიმიო. მანქანა მინდოდა მეყიდა, მაგრამ დედაჩემმა თავი მოიკლა, შეეშინდა. ჰოდა, ასე ტყუილად გდებას კარგ საქმეზე დავხარჯავ-მეთქი.

— უპატრონო ბავშვთა სახლს მოახმარე.

— მე გულით გეუბნები. შენ მხოლოდ ფორმალური მხარე მოაგვარე. ვიცი, ვიცი ახლა რასაც მეტყვი, — პირზე თითები ავაფარე, — მაგრამ მე მუქთად არ გაძლევ ფულს, სამაგიეროს მოგთხოვ.

— საინტერესოა, მაინც რა უნდა მითხოვო?

გავჩუმდი.

— მითხარი.

ძლივს ამოვდვრდე:

— იმ საზიზღრობას ნულარ მოსწევ.

ისეთი მზერა მესროლა, მეგონა ახლა დამნაყავს-მეთქი, მაგრამ ცოტა ხანში ისევ დამცინავი ღიმილი მოირგო ტუჩებზე:

შენს ფულს არც ისე ვახლებდი ხელს და მითუმეტეს არც ასეთი ბრიყული გარიგებით. ქალის გარდა ასეთ



რამეს ვერავინ ვერ მოიფიქრებს. წადი, სადილი მოამზადე, და ნუ მალიზიანებ.

— მე ორივე შენთვის მინდოდა — ჩავიბუტბუტე და სამზარეულოში გავედდი.

სადილზე ზაზამ გამოცა: ისე მიამუხნობდა და ხორხოცებდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. სწრაფად ფეთქდებოდა და ასევე სწრაფად ივიწყებდა ყველა წყენას თუ სიბრაზეს.

— ამ სადილს კაი ცივი საზამთრო მოუხდებოდა, ხვალ ვიყიდი, არ გინდა? მაცივირიდან საზამთრო გამოვიღე.

— დედაო ღვთისავე! გულთმისანი ყოფილხარ. ღმერთმა ყველა ნატვრა ასე აგისრულოს! — საზამთრო გამომართვა და უზარმაზარ ნატვრებად დაჭრა: — ღმერთი არა ვარ, მაგრამ იქნება მეც შეგისრულო რამე. აბა, ინატრე!

— მე მინდა სადმე წასვლა, ზღვისპირა წყნარ სოფელში, სადაც მთებიცაა და ტყეც, სადაც ნაცნობები არ შემხვდებიან.

ზაზამ რამდენიმე კურკა ერთად გამოაპურჭყა თეფშზე.

— მართლა კარგია. ოღონდ უფულოდ... ოჰ, სულ დამვიწყდა, რომ მილიონერს ველაპარაკები. იქნებ ახლაც მოგივიდეს თავში რაიმე საქმიანი გარჩევა? — მთელი ტანით იცინოდა.

— რატომაც არა. შენ დახატავ და ნახატებს მომიყიდი. მერე იმ ფულს მე მომიცემ დასახარჯად, და ასე.

— ეს უფრო ჰკვიანურია. დიდი საქმოსანი დადგება შენგან! — ძლივს მოამთავრა სიცილი. ჩაფიქრდა. — შევებულება ავგისტოში უნდა ამედო, მაგრამ ვადმოტანა შეიძლება. შევებულების ფულიც ხომ მეკუთვნის? ავასრულოთ შენი ნატვრა.

მხარზე ბუზი დააჯდა. ხელი არ აუწევია, მხოლოდ კანი გააქნია, როგორც ცხენებმა იციან და ბუზი მოიშორა. საზამთრო კინალამ გადაამცდა.

— რა გაციენებს? — გაცეხებულმა მკითხა.

— არაფერი, მიხარია.

საბაზანოში შევედი, სარკის წინ

დავდექი და დიდხანს ვაწვდი. მაგრამ ზაზასანიარად ვერ



მეორე დღეს მერისთან წავედი. ათასანიარად შეველაშაზე ჩემი თავგადასავალი, თავი უბედნიერეს ქალად წარუდგინე და ვთხოვე დედაჩემთან მისულყო, ენუგეშებინა და ეთქვა, რომ მივდიოდი. ბედნიერება მისურვა, მაგრამ რა ნაღვლიანი თვალებით! მერი ჰკვიანია, სულში ჩამიძვრა და ყველაფერს მიხვდა, გულს კი არ მიტეხდა, მერი იგვიყავ ჩემთვის, რაც დედა, ახალგაზრდა, ჩემი ტოლი დედა.

იმ საღამოსვე გავყვეით სოჭის მატარებელს, გადავწყვიტე ჩემი ოცნების შესაფერის პირველსავე სოფელში ჩამოვსულიყავით. და ვიპოვნეთ კიდევ რკინიგზიდან დაშორებული პატარა, მიყურებელი სოფელი იყო. მარცხნიდან მწვანეში ჩაფლული მთა ერტყა, მარჯვნივ მდინარე, წინ კი მომწვანო, თითქოს მარგალიტებმოყრილი ზღვა ლივლივებდა.

ოთახი მალე ვიშოვეთ, დამსვენებლები აქ ნაკლებად იყვნენ.

თითქმის ორი თვე დავრჩით იქ. ორივემ წერილები დავგზავნეთ სამსახურებში, რომ უხელფასო შევებულება მოეცათ, თუმცა რომც მოეხსენით, არც იმაზე ვინაღვლებდით ძალიან.

ღიასახლისი კარგი შეგვხვდა. ხანშიშესული, ქერივი ქალი, რომელიც მხოლოდ ერთადერთი შვილს — ვანოს შეჰხაროდა და სალაპარაკოც მეტი არ ჰქონდა. ვანოს მალე დავუმეგობრდით, ალბათ მისი გულლია, საყვარელი ხასიათის გამო. წვიმიან ამინდში აუცილებლად შემოვიდოდა ნარდით ხელში, გვეთამაშებოდა და სასაცილოდ ყვებოდა თავის მეგობრებსა და სკოლის მასწავლებლებზე. მომავალ წელს სამსახიობოზე თუ არ, ჩავაბარე, დედაჩემი ველარ მნახავსო.

ანა მხიმიძე  
არჩემანი მი...

ყურადღებას არც ქვრივი გვაკლებდა, ხან ხილს შემოგვიტანდა, ხან ცხელ ღომს. ერთხელ ზაზას ვუთხარი:

— კარგი ქალია ჩვენი დიასახლისი: კეთილიცაა და პირდაპირიც.

— შენი აზრით პირდაპირობა კარგია? — გაიოცა ზაზამ, — მე პირადად პირში მთქმელს მლიქვნელი მირჩევნია. აი, მაგალითად, შენ რომ კუზიანი იყო და კაცმა გითხრას: კარგი ხარ, მგრამ კუზი მაინც გაქვსო, მოგწონება? გიბენს მწარედ და ყოყოობს, პირდაპირი ვარო. იმაზე აღარ ფიქრობს გული რომ გატკინა და სულის სიღრმეში, დარწმუნებულად ვარ, უხარია კიდეც შენი ნაკლი.

— შენ ბოროტებს გულისხმობ, მე კი სხვანაირებს, რომლებსაც ნამდვილად აწუხებთ შენი ცუდი და უნდათ, რომ გამოსწორდე.

— სხვამ რომ არ მომახალოს, მეც გადასარეველ ვიცი ჩემი თავის ამბავი.

ხო, ასე იყო, არც კამათი გვაკლდა და არც გართობა. ახლომახლო ყველაფერი შემოვიარეთ, ვკითხულობდით, ვთევზაობდით, შუალამისას მივდიოდით ზღვაზე, თბილ წყალში შიშვლები ვნებდებოდით, გვიან ვბრუნდებოდით და კარის მიხურვასთან ერთად ვწყდებოდით სამყაროს. ზაზას გიჟური ვნება თანდათანობით მეც გადამედო. ვნატრობდი დაღამებას და მხოლოდ დილას ვწუხდი, ხომ არ გვიხმაურია-მეთქი ზომაზე მეტად. თავს იმით ვიწყნარებდი, რომ დიასახლისს სმენა აკლდა, ვანო კი ჩვეულებრივად სხვენზე იძინებდა, თურეპტიციებს გადიოდა, არ ვიცი.

პირველ დღეებში ზაზა მშვენიერ ზასიათზე, იყო, მერე რაღაცამ შეაწუხა. ერთ დილას გავიდა დ გვიან დაბრუნდა, შედარებით დაწყნარებული და მოთენთილიც, როცა რამდენიმე დღის შემდეგ ისევ დაიკარგა, კარი ჩაკვეტე, გავსენი მისი ჩემოდანი და დოდოს მოტანილი შეკრულა ამოვიღე. ზიზლით ვუყურებდი მწვანე ფხვნილს, რომ გადამეყარა, ვიცოდი, ზაზას ვერ გადავურჩებოდი და გული იმით მოვფხვანე, რომ

ცოტა მოვატეხე და ბაღში მიწაში ჩავფალი. სადღაც მადლიერ ვიყავი, როდესაც ზაზასი, რომ მე მერიდებოდა.

ამ რამდენიმე დღის გრდა, ყველაღლე ბედნიერი იყო. ხანდახან ვიკეპი და ვფიქრობდი ჩემს წარსულზე და კერაფრით ვერ გავიხსენე, რა იყო ზაზას გაცნობამდე. რას ვაკეთებდი მთელი ოცდაექვსი წელიწადი? მგონი, არაფერს. და მეშინოდა, რომ როდისმე დამთავრდებოდა ჩემი დღესასწაული და მე ისევ გავაკეთებდი არაფერს.

სექტემბრის დასაწყისში დავბრუნდით უკან. იმავე საღამოს ზაზას ძმაკაცები მოვიდნენ და კარგადეც დალიეს. მეორე საღამოს მარტო რამაში მოვიდა. გადასარევე ხასიათზე ვიყავი, დილას დედა ვნახე და როგორც ექნა, შევირიგე. ბევრი ცრემლი დამაფრქვია თავზე, თუმცა ზაზას გაცნობაზე სასტიკი უარი მითხრა.

ზაზა ვანოს იხსენებდა და გვაცინებდა. მე რამდენიმე ჭიქა ღვინო დავლიე, რამაშთან ბოდში მოვიხადე — დადლილი ვარ-მეთქი და დავწეკი. ოთახში რომ არ გამოსულიყო მათი ხმაური, სამზარეულოს კარი მოხურეს.

ბურანში ვივრძენი, როგორ გადამხადა ზაზამ საბანი და ფეხებზე მომეხვია. მძინავს, ზაზა, მაგრად მძინავს და არაფერი არ მესმის. აბა, ეცადე, რომ გამაღვიძო.

კოცნით მოჰყვა ფეხებს და როცა ტუჩებთან მომიახლოვდა, ველარ გაცქელი, ხელები მოვხვიე. ჭერი რომ ჩამონგრეულიყო, ასე არ ვიყვირებდი:

— ვაიმე! ვინა ხარ!

— ჩუ, რა გაყვირებს! — რამაშმა პირზე ხელი დამაფარა.

— ზაზა! — დავიძახე. — სად არას ზაზა?

— მეშვიდე ცაზე, — რამაშმა ისევ გამოიწია. — მაინცდამაინც ის გინდა?

სახეში გაშლილი ხელი ვთხლიშე, ამოვხტი და სამზარეულოში გავვარდი. ზაზა იატაკზე იჯდა, მაიკივარს მიყუდებოდა და თავი მუხლებში ჩაერგო. მოეწლი ძალით შევაჯანჯლარე.

— ზაზა, მიშველე! ზაზა, გამოჯიხ-  
ლდი, შემოხედე! ზაზა! ზაზა, მიშველე!  
მხოლოდ მხარი აიქნია და მომიშო-  
რა.

მუხლებზე დავეშვი, თავი მის მუხ-  
ლებში ჩავრგე და ტირილით ვეძახდი.  
რამაზს გავხედე. პერანგგადაღელილი  
კედელს ეყუდებოდა და ავი ღიმილით  
მიღიმოდა.

— ბინძურო ღორო! — თითქოს სი-  
ტყეები კი არა, ტალახი ამოდლიოდა  
პირიდან. — შენც ხომ ეწვევი, რატომ  
არ ხარ ახლა ასეთ დღეში? დრო იხე-  
ლთე? ღორო! ნაძირალა!

— ეგ არ გიშველის, გოგონა! —  
მოვიდა და მკლავზე ღონივრად მომიჭი-  
რა თითები. — ტყუილად ირჩები.

უცებ დავიხანე, ხელზე ვუკბინე, ხე-  
ლი ვკარი და საბაზანოში შევეკარდი,  
კარი ჩავრაზე.

— არ შემოხვიდე, თორემ ქვეყანას  
შევძრავ.

— უხ, შენი! — დაიღმუვლა და კა-  
რებს მუშტი მოარტყა, მერე ცოტა ხანს  
იფათურა და ბრახუნით მივხვდი, რომ  
წავიდა.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიჯექი ზაზას  
გვერდით და ვტიროდი.

ინათა. ზაზა წამოდგა და ლასლასით  
გემართა ოთახისკენ, ალბათ დაწვა. მე  
რა დამაძინებდა, თავი მტკიოდა, სახე  
დამისივდა. თითქმის ასევე გაუნძრევ-  
ლად ვიჯექი, სანამ ის გამოიძინებდა.

ცუდ ხასიათზე ადგა, ყავა მომიადუ-  
ღეო, მომიგდო.

— შენ თვითონ მოიდუღე, მე მივდი-  
ვარ. — წყნარად ვუთხარი.

— სად?

— სახლში, დედასთან.

ჩემგან ასეთ ცივ კილოს არ იყო  
დაჩვეული. გაუპკირდა:

— მალე მოხვალ?

— არა, აღარ მოვალ.

— რატომ?

— საჭიროა და იმიტომ.

— თუ საჭიროა... რას იზამ!

იცოდა, რომ მისი ერთი ტუბილი  
სიტყვა, ერთი ხელის გადასმაც კი თან

წაიყოლებდა ჩემს წყენას, დამამშვიდე-  
ბდა, მაგრამ საჭიროდ არ ჩათვალა. ისეც  
იცოდა, რასაც ნიშნავდა ჩემთვის, მას  
თან განშორება და სარგებლობდა კი-  
დეც ამით.

ბოლმა მალრჩობდა, თავს ველარ ვი-  
კავებდი.

— წავალ, ოღონდ ჯერ გული უნდა  
გადაგიშალო. ნუ იღიმები, კარგს არა-  
ფერს გეტყვი. როცა ადამიანი გრძნობს,  
რომ ის ვიღაცას უყვარს და ამისთვის  
სახეში აფურთხებს იმ ვიღაცას, რა  
ჰქვია მას? — შეუგნებელი. როცა ადა-  
მიანი თავის ახალგაზრდობას, სილამა-  
ზეს, ნიჰს აყროლებულ მწვანე ფხვნილ-  
ში გასცვლის და ძალა არ შესწევს თა-  
ვის სიმალლეზე დადგეს, რა ჰქვია მას?  
— უნებისყოფო. როცა ერთს ძალიან  
უჭირს და მეორე არ ეხმარება მხოლოდ  
იმიტომ, რომ არაამქვეყნიურ სიამოვნ-  
ებას ეძღვევა, რა ჰქვია იმ მეორეს? —  
ჩვარი...

— ცუნცულ, ზედმეტი ხომ არ მოგ-  
დის? — ზაზას ლოყებზე კუნთები დაე-  
ბერა, მაგრამ მე მღვდისარასავით ვიყა-  
ვი დაქოქილი და ღილაკის დაქერა კერ  
მაჩერებდა.

— პირიქით, ძალიან რბილად გელა-  
პარაკები!

— რა გინდა ჩემგან? — მობეზრე-  
ბულად გადააწვა სკამის ზურგს.

— როგორც ყველა აპროცენტიან  
დედაკაცს, მე მინდა ღონიერ მკლავს  
დავეყრდნო, მინდა გვერდით ჯანმრთე-  
ლი და ძლიერი მამაკაცი მყავდე, ყვე-  
ლაფრით ჩემზე უკეთესი, რომელიც  
დამეხმარება...

— რა სულ დახმარებაზე მელაპარა-  
კები, რა გაგიჭირდა ასეთი?

უცებ დავიბენი, არ ვიცოდი, რა  
მეთქვა.

— არაფერი ისეთი... ცუდად გავხ-  
დი და წამალი მინდოდა, მაგრამ ვერ გა-  
გაგებინე, ტიკინასავით ეგდე.

— კარგი, საქმარისია. არ გინდა და  
წადი, ოღონდ სცენებს ნუ მომიწყოპ.

ანა მხიმიძე  
არჩმვანი მძ...



მიბრძანდი. ჯაჭვით არავის დაუბიხარ. თუ ვინმემ დაგნიშნა ჩემს მეურვედ?

— დამნიშნეს.

— ვინ შეწუხდა ასე ჩემზე?

— ვინ და ბავშვი.

ზაზა ამ დროს ზურგით იდგა. ნელა შემოაბრუნა თავი.

— რომელი ბავშვი?

— ჩვეულებრივი. — ჩამეცინა და ტუჩები მოვლირივე. — მჩხვანა, ღობლიანი, ქვეშაფსია ბავშვი, გიჟურ ღამეებს და ლოგინში კოტრიალს რომ მოჰყვება. არ გაგიგონია?

სახე შეეცვალა, გაფართოებული თვალებით მიყურებდა.

— არც იფიქრო, რომ მოვიშორებ. არც შენ შეგაწუხებ, არ მიჭირს და გავზრდი როგორმე. ნარკომანის შკელის მაგიერ ნაბიჭვარს დაუძახებენ მხოლოდ. ეგ არის და ეგ. და უპეტესიც იქნება მისთვის.

ნივთების ჩალაგება დავიწყე. ის კი გაქვავებული იდგა. მერე ჩემი ხელჩანთა გახსნა, გასაღები ამოიღო, გაკვიდა და კარები გარედან ჩაკეტა.

გამეხარდა: ჩემი განცხადება უყურადღებოდ არ დარჩენილა და მეც ხომ ამისთვის ვიქაქანე ამდენი. ცოტა დავწყნარდი გადაღლილი მივეგდე ლოგინზე.

ზაზა დაღამებისას დაბრუნდა, ისაღილა და ზედიზედ რამდენიმე სიგარეტი მოსწია.

— ექიმთან ვიყავი, უნდა ვიმკურნალო, — სხვათშორისი ჩაილაპარაკა.

ზურგით შევბრუნდი, რომ გამარჯვების ღიმილი არ დაენახა ჩემს ტუჩებზე. ვნახოთ, როდემდე გასტანს ჩემი გამარჯვება. ჩემი, თუ ბავშვის? სულ ერთია, ორივე ერთი ვართ.



მას შემდეგ ზაზა გამოიცვალა. უფრო სერიოზული გახდა, მუშაობასაც უმატა. ალერსიც უფრო თბილი, მაგრამ უფრო ზომიერიც ჰქონდა.

მერი მოვიყვანე ჩვენთან და გავაცანინი. მიხაროდა, რომ ორივეს მოეწონათ

ერთმანეთი. დედა კი ვერაფერს ვერ მოვლრიკე, არ უნდოდა ჩემს ჩვეულებას.

ნოემბერში ზაზამ შემომთავაზა, ხელი მოვაწეროთო. როცა ვკითხე, რა საჭიროა-მეთქი, შეიცხადა: ბავშვს ზომ ჩემი გვარი უნდა ჰქონდესო.

და დავქორწინდით. დავბატონეთ მხოლოდ ყველაზე ახლო მეგობრები და რამდენიმე მეზობელი, ჩემს სახელს რომ ფიცულობდნენ ზაზას მორჩულებისთვის. მოკრძალებული, მაგრამ ღვინით და ლოცვით სავსე იყო ჩვენი ქორწილი. ზაზა ყვებოდა, თუ როგორ ამეშალა კუჭი და მოვხვდი ამ სახლში, მერე როგორ შევუჩნდი, შევალონე და ძლივს დავითანხმე ქორწინებაზე. სტუმრები ხელით იკავებდნენ სიცილით ატივებულ მუცლებს...

ზამთარი ნელა მიზოზინებდა. საგრძნობლად გავსუქდი, გავიბერე. ექიმმა მითხრა, ნაყოფი დიდია და მეტი იმორავეო, მაგრამ მრცხვენოდა ქუჩაში სიარულის და სახლში ვვარჯიშობდი.

ერთხელ ჩითის ლამაზი ნაჭერი ვიყიდე და ბავშვის პერანგები შევკავე. ზაზამ ერთი ცალი აიღო, შეატრიალ-შემოატრიალა:

— ჰი, ჰი, რა ლამაზია!

მეორე დღეს სამთვლიანი ველოსიბედი შემოვაგორა სახლში. კმაყოფილი იყო ძალიან.

მოკლედ, ვეზადებოდით და მშვიდად ველოდით მესამე წევრის გამოჩენას.

აპრილის ბოლოს წავედი სავადმყოფოში. მშობიარობა სულაც არ ჰგავს ზემოთ აღნიშნულ დაბადების დღეს, მაგრამ მე მაგრად ვიყავი. როგორ შეიძლებოდა რაიმე ცუდი მომსვლოდა, დაბლა ხომ ზაზა იცდიდა! მხოლოდ დავილაღე, ო, რა ძლიან დავილაღე. ვყვიროდი ტკივილისგან, თვალები კი დახუჭული მქონდა, მეძინებოდა. და როდესაც ბოლოს და ბოლოს ღრუბები-ქალმა მაცნობა, ბიჭიაო, არაქათ-გამოცლილი ვიწვექი და ვფიქრობდი,

ჩემს გვერდზე მშობიარეს რა აკივლებს-მეთქი.

მეორე დღეს უთენია დედაჩემის წერილი მივიღე, ცრემლებისგან ნახევრად წაშლილი. მერმ დამირეკა, თუ მოვახერხე, ამ დღეებში მანდ გნახავო. ზაზას კი ამაოდ ველოდი, არ მოსულა.

ჩემს გარდა ოთახში ოთხი ქალი იწვა. დაუღალავად ჰყვებოდნენ ათასნაირ გაუგონარ ამბებს, ოჯახის ავ-კარგს არ ჩევენენ. ზოგი დედამთილს უჩიოდა, ზოგი საკუთარ და-ძმას, ზოგიც ქმარს. საღამოს, როცა მუთაქებივით შეკრული ბავშვები შემოიყვანეს, ოთხივე უცებ გაჩუმდა და მხოლოდ დროდადრო ისმოდა ნაშიერების მისამართით წარმოთქმული ტკბილი სიტყვები.

— ჩემი ბავშვი რატომ არ მოიყვანეს? — ვთქვი ხმაშალა.

— პირველია? — მკითხა ტანსრულმა, ქერათმიანმა ქალმა.

— კი, პირველია.

— გეტყობა, ასე რომ ინაზები. ადექი, გაიარე ცოტა. აი ამას რომ უყურებ. — კუთხეში მწოლიარე ქალზე მანიშნა, — დღეს თორმეტ საათზე იმშობიარა და უკვე ოთხივე სართული შემოიბრინა, ბავშვიც ნახა და ახლა ნებივრობს. ნუ გეშინია, ბავშვი შეიძლება სამი დღეც არ მოგიყვანონ, გააჩნია, ექიმები რას იტყვიან.

დილას მზემ თითქმის დააცხუნა, ცა სარკესავით კრიალებდა, საავადმყოფოს მოპირდაპირე სახლის სახურავზე მტრედები ღულღუნებდნენ და ხალხსაც რაღაც საზეიმო იერი აღბეჭდოდა სახეზე. ფანჯარასთან ვიდექი და მეც მიწოდდა მათში გარევა, ვნატრობდი იმ დღეს, როცა ვარდისფერ საბანში გახვეულ ბავშვს გავიყვანდი აქედან და ზაზა ჩვენს პატარა ბუდეში წაგვიყვანდა.

ბავშვები ისევ ჩამოატარეს. ზივი ისე გამწარებით ჩხაოდა, გული დამეწვა, შეიძლება ჩემიც ასე ტირის-მეთქი. თანაც ძალიან მიწოდდა, ერთხელ მაინც შემეხედა, და ბავშვების ოთახში ავედი. მომვლელმა ქალმა გზა გადამიღობა, არ

შეიძლება შესვლა, მეჩხუბებიანო. ჯალიან რომ შევაწუხე, მითხრა: ექიმს თხოვე, იქნებ გაგიშვასო.

კაბინეტის კარზე დავაკაკუხე და შევედი. ჰალარათმიანი, ორმოციოდე წლის კაცი მაგიდას უჯდა და რაღაცას წერდა. რა გნებავთო, თავი არ აუწევია, ისე მკითხა. ქლორის სუნით გაედენთილი ხალათი შემოვიკარი და დარცხვენელმა ვუთხარი ჩემი სათხოვარი. ექიმმა უკმაყოფილოდ გააქნია თავი, ყურმილი აიღო და მკითხა:

— გვარი?

— მოდებამე.

ყურმილი ისევ დადო და ყურადღებით დამაქკერდა.

— აა, მოდებამე თქვენა ხართ? — ფეხზეც კი წამოდგა და სკამი შემომთავაზა, — დაბრძანდით. სწორედ ახლა ვაპირებდი თქვენს ნახვას.

ალბათ დედაჩემის ნაცნობია-მეთქი და სკამზე დავჯექი.

— რა ახალგაზრდა ყოფილხართ და ლამაზი. — ლოყაზე ხელი მომითათუნა.

ახლა სულ დავიბენი, ნუთუ მეპრანჭება ეს კაცი?

— პირველი ბავშვია, არა? თავი დავუქნიე.

— ოჰ, ერთი ბავშვი რა არის, სიბერემდე კიდევ ხუთს გააჩენთ და რვასაც. ხო, ჩემი გოგო? ახლა კი... სამწუხაროდ...

ლიმილი გაუკრთა. გაოგნებული მივჩერებოდი, უცებ ვერ მივხვდი, რას მეუბნებოდა.

— ოღონდ არ აღელდეთ, თქვენთვის არ შეიძლება.

— მოკვდა? — ძლივს ამოვდერღე.

— ჯერ არა, მაგრამ ალბათ მალე... უკეთესიც იქნება... გაიტანჯებოდით თქვენც და ისიც.

უცებ ჩამობნელდა. ყურებმა ისეთი წუთილი დამიწყო, ექიმის ხმა აღარ მესმოდა. წყალი დამალევიანა. მერე შეიპაჟო,

ანა მხინძი

ა.რ.მ.ი.ნ.ი მ.ი.

მაგარი გოგო ხარო, ყველაფერი მოგვარდებაო, მომავალზე იფიქრეო.

გამოვერკვიე. ახლა მე თვითონ მოვესვი წყალი. ექიმი ვალმოხდილივით დაჯდა

— მინდოდა მეკითხა, ოჯახში ვინმე ხომ არა გყავთ ავადმყოფი, ფსიქიურად, ან ვენერიული სნეულებით, ან...

— ან ნარკომანი?

ღიახ, ეგეც შეიძლება. მე არ ვამტკიცებ, მაგრამ...

— მანახეთ თუ შეიძლება. — სიტყვა შევაწყვეტინე.

— იქნებ არ იყოს საჭირო?

— მანახეთ ბავშვი, — უკვე მტკიცედ გავუთმორე.

— თქვენთვის არ შეიძლება ახლა...

— მე არა მჭერა თქვენი, ბავშვი მანახეთ!

ექიმი მაგიდასთან მივიდა, დაკრილი ჭლალეები მოხვეტა და უჯრაში ჩაყარა.

— ჯიუტი ყოფილხართ. რა გეწყობა, წამობრძანდით.

როცა ბავშვთა ოთახში შევედი, უამრავ საწოლს უცებ გადავაველე ყველი, მაგრამ ექიმი არ შეჩერებულა, მეორე ოთახში შემიყვანა აქ სულ რამდენიმე საწოლი იდგა და ექიმი ერთ-ერთს მიუახლოვდა.

რასაც მოველოდი, იმაზე საშინელი იყო შიგ მწოლიარე არსება. ბავშვი ხომ არც ეთქმოდა. არც ერთი ადამიანური ნაკვითი და თანაც... ნუ გამაწამებთ მისი აღწერით, მაინც ხომ შვილია ჩემი! შვილი, რომელიც გადარჩენის შემთხვევაშიც ვერასდროს ვარ მიცნობდა.

— ცუდად ხომ არა ხართ?

რა სასაცილო კაცია ეს ექიმი! განა შეიძლება ცუდად ვახდეს ფიტული? თუმცა ფიტული შეიგნიდან რაღაცითაა გამოტენილი, მე კი სრულიად ცარიელი ვარ. ჩემი გარსის შიგნით ქარი დაფარფატებს და რა უნდა მეტკინოს? მე მოჩვენება ვარ, უგულო და უტკინო მოჩვენება!

და აი, აპრილის ერთ მზიან დილას, იმ სამშობიარო სახლში, იმ პალატაში და იმ საწოლზე, სადაც მე ვიწექი, ზის

ახალგაზრდა ქალი და უშველებელ წერილს კითხულობს.

„ცუნცულ-ნინო, ჩემი ყველაზე სიყვარულო, ყველაზე ლამაზო, ყველაზე ახლობელო, როგორ მინდა გულში ჩავიკრა, როგორ მომენატრე! ამ ორ დღეში, რაც არ მინახავხარ, ბევრ რამეს მივხვდი. შენ ერთდროულად ორი ადამიანი გვშობე — მე და ჩემი ბიჭი. და მე, როგორც პატარა დედოს, ისე გემსგავსეები — შენი ადამიანობა გადამედო, შენი უძირო სიყვარული, შენაირად მახვევია ვარს, მაგრამ მე მხოლოდ ჩემი ცუნცულ-ნინო მინდა, რომლის შემწეობითაც ამ ხალხმა ადამიანად მცნო.

დედაშენი და მერიც ახლა აქ არიან, იმათაც უნდოდათ ორი სიტყვის დაწერა, მაგრამ მე არ დავანებე. მინდა დღეს მხოლოდ ჩემზე იფიქრო, დღეს კი არა, ყოველთვის. მე ყველაზე ვეჭვიანობ: დედაშენზეც, მერიზეც, ჩვენს პატარა ბიჭზეც კი.

მაპატიე, გუშინ რომ არ მოვედი. ვიცი მაპატიებ. მაგაზე მეტი არ მოგითმენია ჩემთვის?

მინდა ყველაფერი დალაგებით მოგიყუე და არ გამომდის. ასე არასოდეს ავლევებულვარ. მაინც ვეცდები.

აქედან რომ წავედი, მერის დაეურეკე, ბიჭის შეძენა ყოყლოჩინა მამალივით ვაცნობე. ვთხოვე დედაშენისთვის დაერეკა და მეორე დილას ჩემთან მოსულიყო, რომ ბავშვისთვის თეორიული ამოგვეჩინა. ვიცი, შენ ყველაფერი მზად გაქვს, მაგრამ რა უნდა წამომელო, ეგ არ ვიცოდი, ღამით შენს ბალიშზე მეძინა. ეშმაკი ხარ, შინაივის რბილი ამოგირჩევია.

დილით მერი მოვიდა და კიდევ ვინ, იცი? დედაშენი. ჰო, დედაშენმაც მცნო ბოლოსდაბოლოს. ვიცი, გაგახარდება. შენი ნება რომ იყოს, მთელ მსოფლიოში მოსპობდი უკმაყოფილობას. ძალიან მომეწონა დედაშენი, შენა გვაგეს, ოღონდ შენ არა ხარ ასეთი ჯიუტი. მითხრა, შენთან რომ იყო და კარგადა ხარ.

პერე თემო და ოთარი მოვიდნენ



და, აბა ისე როგორ გამეშვა, რომ ჩემი ოჯახი არ დაელოცათ. ბედნიერება არ მაქვია, მაგრამ დალოცვა მაინც უნდა.

ნეტა განახა ინდაურივით გაფხორილი ჩემი თავი, ყბის ქვეშ რომ რალაცა ჰქილიდა, ის მაკლდა მხოლოდ. შეეყვებით და კარგადაც დავთვერი. დედაშენმა მოთხრა, ნულარ წახვალ საავადმყოფოში, ხვალ ერთად წავიდეთ. გავაცილე ორივე და სახლიდან ფეხით წამოვედი.

იქიდან მოყოლებული საავადმყოფომდე ყველას მოვასმენინე ჩემი სიმღერა. ერთგანს მილიციელმა გამაჩერა, ამ შუალამისას რა გაღრიალებსო. ამ მილიციელებს ერთი ბეწო სმენა არა აქვთ, — ღრიალი ერქვა ჩემს სიმღერას? როცა მივახვედრე, რაც მამღერებდა, გაიცინა და ხელი ჩაიქნია.

სინათლე ყველგან ჩამქრალი გქონდათ და მე არ ვიცოდი, ჩემი სიხარული რომელ ბნელ ფანჯარაში ისვენებდა.

მარტო ვიდექი ქუჩაში. ვაღამრევენ ეს ქმრები! ნამდვილად ან ლოთობენ, ან საწოლებში ხვრინავენ. აჰ, აჰ უნდა იყვნენ. ახლა ყველანი ჩემსავით და ჩემსავით ლოცულობდნენ, მე მაგათი...

ბოლოს გამოჩნდა ერთი, ისიც მღეფოდა, ოღონდ ჩემსავით არა. ისიც ფანჯრებს მიაშტერდა, მერე შეთქმულივით ჩამიკრა თვალი, ბიჭი გყავს თუ გოგოო. ბიჭი, შენა-მეთქი? გოგოო, ბიჭი უკვე დარბისო. ვადავკოცნეთ ერთმანეთი და ჩემთან წავათრიე, თუ წაითრია, აღარ მახსოვს. გავაცნობ, მოგეწონება. შენ ყველა მოგწონს, ვინც ღიმილი იცის.

აი, ასე გავატარე ეს დღეები. შენც მომწერე ყველაფერი, როგორა ხარ, ბავშვი როგორ არის, დიტო — იყოს დიტო? შენს სახელს მოუხდებდა. რა მოვიტანო, როდის გამოგწერენ, თუ გენატრები. უჰ, ერთ ტომარა კითხვებს გიგზავნი. შენ რასაც მოერევი, იმაზე მიბასუხე, ოღონდ ძანაც ნუ გადაილღები, ისედაც დაგლღიდა ამხელა წერილის კი-

თხვა. მაგრამ შენი ბრალია, იცოდე, მაქვს მოსაწერი და გწერ, თუ შენც მდღე მთელი ჩემი ბიოგრაფია ერთ პატარა ნაგლეჯზეც დაეტეოდა.

დავტანჯე დედაშენიც და მერიც, მაგრამ ველარ ველევი ამ წერილს. უამრავი რამე მინდა გითხრა. თუმცა მერე იყოს, კარგი?

როცა გამოეწერები, მთელ დღესა და ღამეს, არა, ორ დღესა და ღამეს, არა, სიცოცხლის ბოლომდე, დაგსვამ, არც გასმევ, არც გაჰმევ და არც დაგაძინებ. დაგსვამ და მოგიყვები ყველაფერს, რა მაწუხებს და რა მახარებს, გეტყვი და დაგიმტკიცებ კიდევ, რომ უღმერთოდ მიყვარხარ!

ჰო, მართლა. იქნებ ცოტა ხნით მაინც გადმოიხედო? შორიდან მაინც გამოგიგზავნი კოცნას. მოუთმენლად ველი პასუხს. არა! არ იჩქარო. ვიცდი. „ოხერი“.

და ქვევით:  
„P. S. ღამით ხომ არა გცივა? შენ ხომ ასეთი მცივანა მყავხარ. თუ გცივა, აქ ვეტყვი ვინმეს და მოვატანინებ საბანს“.

ეს უკვე საბოლოო გამარჯვებაა, ცუცულა-ნინო. რამდენი ცრემლი, დამცივება და მოთმინება დაგვეკირდა აშის მისალწევად. რას ზიხარ გამოშტერებული და ილიმები? არა, არ ილიმები. არც სტირი, საერთოდ არაფერს არ აკეთებ. სხვა დროს ალბათ ქლორის სუნიანი ხალათით ჩაირბენდი დაბლა ან ფანჯარას მიაფრინდებოდი ან საავადმყოფოს აზარალებდი სიხარულის ცრემლებით დასველებული ბალიშით. მაგრამ ეს სხვა დროს, ახლა კი არაფერს არ აკეთებ.

— გოგო, არ დაწერე პასუხი? მოკვდა ხალხი ლოდინით. — დამტარებელმა ქალმა უკვე მესამედ შემომიარა.

— ჰა, ხო, ახლევ. ერთი წუთით. უბრალო ხის ფანჯარი ლოდინით მძიმე მეჩვენა და ძლივს დავკლანე ის, რასაც მოვერიე:

„წადი. აღარ მიყვარხარ“



სოკრატ სალუქვაძე, ვივი სუპვარელიძე

## ვაკალთოვოდნოვისა და გურნალოვის საკითხები „ვეფხისტყაოსანში“\*

1500 წლის წინათ შექმნილ ნაწარმოებში „წამებაჲ წმინდისა შუშანიკისი“ მოცემულია ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფრაზა, რომელიც მკურნალობის მანიპულაციებს შეეხება. „და მე ვარქუ წმინდისა შუშანიკს: „მიბრძანე და მოგბანო, სისხლი ეგე პირსა შენსა და ნაცარი, რომელი თულთა შენთა შთაცუღელ არს და ხალხუნი და წამალი დაგდვა, რათა ჰე, ღამე თუ განიკურნო“. მაშასადამე „ხალხუნი“—მიღამო როგორც ასეთი წამლის ფორმა, V საუკუნეში უკვე იხსენიება. ხოლო „VI-VII საუკუნის მოღვაწის სახეწმინდელის თხზულებაში ტერმინ წამლის გვერდით ვხვდებით მკურნალის ზედწოდებასაც — „მეცნიერი მკურნალი“. VIII-IX საუკუნის მწერლის გიორგი მერჩულეს თხზულებაში აგრეთვე ვხვდებით ტერმინს — „მკურნალი“. ხოლო X-XI საუკუნის მოღვაწის იოვანე ოქროპირის ხელნაწერებში ტერმინს „წამალი“ და მისი დამამზადებლის ზედწოდებას „ხელოვანი მკურნალი“.\*\*

ძველ ქართულ მხატვრულ წერილობით წყაროებში XI საუკუნემდე სახელწოდება „ქიმი“ ნახსენები არ არის!

საქართველოს მედიცინის ისტორიის ორიგინალური მკვლევარის, დასაერთოდ მეცნიერების ამ დარგის სისტემატიკოსის ლაო კოტეტიშვილის მიერ შესწავლილ, დღემდე შემორჩენილ წერი-

ლობით წყაროს, ქანანელის „უსწორო კარაბადინს“ XI-XII საუკუნეებით ათარიღებს და დავით აღმაშენებლის (1089-1125 წ.წ.) აღორძინების ეპოქას უკავშირებს, რასაც ადასტურებს მრავალი ფუტყური მოსაზრება და თვით თავისებური, პირველი ქართული მედიკოსთა სახელმძღვანელო, ფარმაკოპეის შინაარსი, თუნდაც ტერმინოლოგია და არა ერთი ნიშნობილი მანიპულაციები, რაც ეპოქალური მკურნალობისათვის იყო დამახასიათებელი.

ყოველივე ზემოთ ხსენებულის ანალიზი ჩვენ იმითომ დაგვიჩრდა, რომ თვით პრობლემა „წამალთმცოდნეობისა და მკურნალობის“ საკითხები „ვეფხისტყაოსანში“ შემთხვევით წამოვრილი საკითხი არ არის და საინტერესო კვლევის საგანს წარმოადგენს

ჩვენი მიზანია შევისწავლოთ თვით „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში მოცემული მკურნალობის საკითხებთან დაკავშირებული წინადადებები, და გავაშუქოთ ზოგიერთი საკითხები თუ რა მაღალ დონეზე იდგა საქართველოში მედიცინა 800 წლის წინათ. პოემის შესავალში რუსთველი წერს:

„დაუძლეული მიჯნურთათვის: კულაე წამალი არსით არი, ანუ მამცეს განკურნება: ანუ მიწა მე სამარი.

(მ. 3-4)

ამ შემთხვევაში წამალი ნახსენებია როგორც აუცილებელი კომპონენტი განკურნებისათვის. მხოლოდ სოციოლოგიური მრწამსით, მხატვრული სახის შექმნისათვის, მაგრამ მკურნალობისა და წამალთმცოდნეობის პოზიციიდან აქ საინტერესოა მთავარი დეტალი—დაუძლეულების განკურნება რომ წამლით შეიძლება. რუსთაველი შეუდარებელია მხატვრული სახეების შექმნისას, მაგრამ საოცარი ის არის, რომ მის ფილოსოფი-

\* სტატიაში გამოყენებულია 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი, აღდგენილი ა. შანიძის მიერ 1937 წელს. გამოცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1975 ს. ს. და გ. ს.

\*\* საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXI, № 3, 1958. მეცნიერების ისტორია — 3. ფირფილიშვილი. „ვარძის თახჩიანი გამოქვაბულის“ დანიშნულების შესახებ“.



ურ მსოფლმხედველობას წითელი ზოდვიით გა-  
სდევს წამალთმცოდნეობის და მკურნალობის  
ხელოვნების ცოდნა. იგი ხენს — მ-ჭერ ასახე-  
ლებს, წყლულს — მ-ჭერ, სამსალას — შხამს  
არა ერთხელ, კაცთა ჭირს, როგორც სოციალურ  
უბედურებას — 115-ჭერ. ახევე წამალს მ-ჭერ  
ახსენებს, მკურნალს, სამკურნალოს განკურნე-  
ბას 18-ჭერ, წამლის ფორმას — ვარდის წყალს  
მ-ჭერ, დასტაქარს — ქირურგს მ-ჭერ. ყოველი-  
როგორც ესაა ლათინურსა და სლავურ თარგმან-  
ებში (exactor; clyra), ხოლო კონტექსტული  
შინაარსის მხმარპმ, რომელსაც გიორგისეული  
რობს, აშკარად შეედგომია. სხვა ამბავია, რამ შე-  
იყვანა შეედგომში გიორგია. საქმე არაა, რომ  
გიორგის პრატტორ სიტყვა ესმის ანა კონტექს-  
ტუალურად, არამედ გვინდვლი მნიშვნელო-  
ბით, ისე როგორც ეს ესმოდათ მის თანამედრო-  
ვეთ, ესაა ხმარპის სმარპი (Sophocles, Greek  
Lexicon..., კემბრიჯი, 1914).


II. შეედგომების საგრძობი ნაწილი შედეგია  
ფაქტების და ჩვეულებრივი მოვლენის განგებ  
ბუნებრივად შევსებების. მაგ., პატ-  
მკვლევაი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ეფთ-  
ვიმის მიერ ძველ რედაქციაში შეტანილ ცვლი-  
ლებათა დიდი ნაწილის მიზანია თარგმანის ენის  
გაანგება, მოდერნიზაცია, ტექსტის „იმდროინ-  
დელ ქართულზე მორგება“ (გვ. 48). ასეა კი?  
ცხადია, ნეოლოგიზმები არის ეფთვიმის რედაქ-  
ციაში, მაგრამ ეს რედაქტორის შეგნებულ დემო-  
ბრივ კონსიციის კი არ ამუღვენებს, არამედ  
ენობრივ სტიმისას, ახალი ენობრივი ფორმები  
გვიანდელ რედაქტორთა ნაღვაწი შენებარად,  
ძალუმად ვლინდება სხსმარპ მისი გავლენ-  
ით: ეს რომ ასეა, მარტო იქედან კი არ ჩანს,  
რომ ნეოლოგიზმები კარმოპობით ხსნი-  
თისსა და არა სისტემური (არა გვაქვს არც  
ერთი შემთხვევა, რომ რომელიმე გრამატიკული  
კატეგორია თუ შინაარსი არა თუ მთლიანად,  
არამედ სანებვროდაც კი მსმლმად ახალი  
ქართული ნორმით იყოს გადმოცემული), არა-  
მედ იქედანაც, რომ მწიგნობრული ტრადიციი-  
სადმი ერთბაშადმი გამო გვიანდელი რედაქ-  
ტორები ახალი ენობრივ ფორმებს ზოგჯერ შეგ-  
ნებულად აბაშაშაშაშ ცვლიან. სამწუხაროდ,  
შრომაში უგულვებელყოფილია ეს ვარკმობე-  
მაგალითად:

1. შრომაში ეფთვიმის „გრამატიკული სიახ-  
ლისაგვ“ დაუღელავი მისწავებით“ არის ახსნი-  
ლი 4-ში აწმამს ხმარება 7-ს აწმამს ხმლ-  
მომობითის ნაცვლად: „საერთო შეფარდება  
8(უნდა: 7); 8 აწმამს სასარგებლოდ (ეფთვიმის  
რედაქციაში)“ (გვ. 100). თითქმის სადავო არა-  
ფერია, მაგრამ არა. ის ფაქტი რჩება შეუმწინ-  
ველ-შეუფასებელი, რომ ეფთვიმე სხსმარპ შე-  
მთხვევაში იქ ხმაროს აწმამს ხმლმომობითის,  
სადაც 7 (ძვ. რედაქცია) აწმამს იყენებს. ეს  
ნიშნავს, რომ ეფთვიმესათვის აწმამს ხმლმომობითი  
მომობითი ცვლილია. ამიტომ კვლევა უნდა წარ-  
მართულიყო სხვა გზით, ვთქვათ, რითბა მოტი-  
ვირებული ეს შეცვლა, კონტექსტებში რომელი  
ფორმა უფრო გამართლებული და სხვ.

2. ერთგან (ი. მ. 51) 7-ს „მივიც“ 4-ში შეც-  
ვლითა ახალი „მივიცმ“ ფორმით. ამ ერთი  
მაგალითის მიხედვით ნათქვამია: „ეფთვიმის ენა-

კონწილი დანწილი  
პართული-სამწარლო ენის სტავიმებთან





სახურს გაგვიწვიენ და გადაწყვეტი მნიშვნელობა ბიძანულ, სომხურ და სირიულ წყაროებს ეძლევა. მკვლევარი კარგად იყენებს ბერძნულ და სომხურ წყაროებს, მაგრამ ხირიულის გამოუყენებლობა ხშირად შუა გზაზე ტოვებს რედაქციულ მიმართებათა საკითხის გადაჭრას, რასაც მწვავედ გრძნობს ავტორიც (გვ. 122, 172, 176, 196). ვტიკრობთ, საკითხის კვლევის ბოლომდე მიყვანის დიდი სურვილი რომ ყოფილიყო, შეიძლებოდა სხვათა დახმარებით მკვლევარს მისცემოდა სირიული წყაროს გათვალისწინების შესაძლებლობა.

IV. გამოკვლევა აშკარად ბრძანდებდა. ზღვა მაგალითია მოყვანილი, რაც აძენლებს ზოგად და პრინციპული მნიშვნელობის ზრის გამოკვლევას და აღქმას. ხშირია ბამიორბანნი (მჭიდრო წერით განახევრდებოდა შრომა). გამოკვლევითააგან ორიოდ ტიპიურ შემთხვევას დავასახელებთ. გიორგისეული რედაქციის ხელნაწერებში უმე დაწერილობა ჩვეულებრივია და არ იყო საჭირო 80-ზე მეტი მაგალითის მოყვანა (გვ. 59), ან გიორგისეულ რედაქციაში სიტყვა-სიტყვა რიგის შეცვლის 180-მდე (!) შემთხვევაზე მსჯელობა, რომელსაც შრომაში 28 გვერდში უშირბას. შეიძლება მაგალითები ტიპოლოგიურად დაჯგუფებულიყო (ვთქვათ, ასე: სიტყვათა რიგი შეცვლილია ბერძნული წყაროს კვალობაზე, ან: ბუნებრივი ქართული არის სიტყვათა რიგი წარმოდგენილი და სხვა) და სათანადოდ 8-4 მაგალითი დასახელებულიყო. არ იყო საჭირო ამთავიშის რედაქციის დახასიათებისას განხილული სიტყვათა ბადასმის შემთხვევების კვლავ განალიზება ბიორბის რედაქციის დახასიათებისას, რადგან 4,7 ტიპური თავიდანვე მინიშნებს დასახელებულ მაგალითთა ერთბაშობას ეფთვიმესა და გიორგის რედაქციებში. ვიმეორებთ, გაუმართლებელია ერთსა და იმავე მაგალითზე ორჯერ მსჯელობა: მ. 8,9 (გვ. 141; 215), მ. 8,11 (გვ. 141; 215), მ. 5,15 (გვ. 142; 215), მ. 9,15 (გვ. 142; 216), მ. 12,2 (გვ. 142; 217), მ. 18,7 (გვ. 148; 217), მ. 15,10 (გვ. 148; 218), მ. 18,81 (გვ. 148; 218), მ. 22,5 (გვ. 148; 219), მ. 23,4 (გვ. 148; 220), მ. 25,80 (გვ. 144; 220)... (მხავს ადგილებს სხვა სანი სახარებიდან არ ვასახელებთ, ისედაც ბევრი მოვიყვანეთ).

თუ რამდენად ზედმეტია ერთსა და იმავე შემთხვევაზე ორჯერ მსჯელობა, ხანიშუოდ მოვიყვანოთ ათეულთაგან ერთ მაგალითს: მონა იგი უქმარი CMB მ. 25,80/უქმარი იგი მონა 4 (+7). ავტორის სიტყვებით, „აქ მარტო ის კი არაა აღახინავი, რომ 4,7 ბერძნულ რიგს იცავს, არამედ, და უფრო მეტად, ისიც, რომ მსაზღვრელი წინ გადაოქავს და პრეპოზიციურ წყობას იძლევა, ახლისკენ იყურება, ახალს უღებს კარებს“ (გვ. 144). ამავე მაგალითზე მეორეგან, 220-ე გვერდზე, კვლავ ვკითხულობთ: „უქმარის წინ გადმოტანა ორგვარადაა გამართლებული:

ბერძნულსაც არ ლაღატობს და (ეს მოვარა) ქართულადც პერსპექტივანი წყობა (დღეს ჩვეულებრივ ამგვარი რიგი გვაქვს: მსაზღვრელი — წინ, საზღვრული — შემდეგ დასაზღვრელი მონა, ახალი ხილი, წითელი დროშა, სომხისტიური კვანახა, მაცნიარული კომპენიში...). ასეთი ორმაგი ხასიათის შემთხვევაზე (მნიშვნელობაზე) იტყვის ჩვენი ანდაზა: კვიცსაც გაგვიღვი და გამიღვასც ვნახავო“.

არა გვგონია, რომ ერთი მაგალითის შემორად განმარტებისას ძალიან აუცილებელი ცნობებით შევივს I განმარტება.

V. შესაძლოა ზოგს მკრებლობადაც მოეჩვენოს ფილოლოგიური ხასიათის შრომის სტილის ავ-კარგულ საუბარს. მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, რომ მეცნიერულ ნაშრომს არ შეეფერის მრავალსიტყვაობა, რიტორიკული წამოშახილები და ლირიზმი. მით უმეტეს შარბი. დავასახელებთ მრავალთაგან რამდენიმე ადგილს: 1. „აი ხად მარხია ძაღლის თავი!“ (გვ. 108); „აი ხად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული“ (გვ. 112); „აი ხად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული“ (გვ. 188); „აი თურმე ხად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული“ (გვ. 182).

2. F და G ხელნაწერთა ტექსტოლოგიური მსბ-სხმების გამო ნათქვამია: „F და G ამ ბაზირმების შემსახ ერთად არიან და ერთად მოდიან (გვ. 42); „FG ამ ბაბსაქმლის შემსახ ერთად არის“ (გვ. 42); „FG ხელნაწერები მტკიცე დუღბაბით არის ერთმანეთთან შეპარული“ (გვ. 44); „F და G არა არს ორი, არამედ ერთ სულ და ერთ კრძს (გვ. 45); „G მთლიანად და სავსებით, სულთ და კრძრით F-ს ერწყმის, მასთან დგას, მის შირ-პარბს იყირაბას“ (გვ. 48); „FG-ს აქ მხარში უღაბს ბაბი მრძმ BM... ენენი არიან ერთ სულ და ერთ კრძს“ (გვ. 120). „F და G, ერთის მხრივ, და B და M, მეორე მხრივ, უშაზ ბაბრლინი პა-ფლივიტ კვანახა ერთმანეთს“ (გვ. 49).

3. ზოგიერთი ფორმის სიახლეზე ნათქვამია: „ამ სიახლის პირველი მერცხალი ჩვენი ხელნაწერია...“ (გვ. 28); „ეს ფორმა კალატივის კვლევის ისტორიაში შვეა, როგორც პირველი მერცხალი“ (გვ. 120). „აქ ეფთვიმეს ხმა პირველი მერცხლის პიკიპაღ ვაგვისნი“ (გვ. 56); „აქაც კარგად იგრძნობა ჩვენი ხელნაწერის სხალე ბაბრთ ბახშირბაშული სუნთქვა“ (გვ. 29). ამ სიახლის ცხალ სუნთქვას ჩვენ კარგად ვგრძნობთ ეფთვიმეს ნაწერებში...“ (გვ. 102).

4 ბგერთა დაკარგვაზე ნათქვამია: „მინი შემოწმალოდ ქრება ბაგისმეორე ბგერებთან“ (გვ. 24); „ბორცნო“-ში ჟ-ს დაკარგვას ჰქონდა კერძობითი მიზეზი... სანი ბაბისმიმარი ბბ-

კორნლი დანელია  
ქართული სასწავლო ენის სატაგეიტა



რის ალუბური მოქალაქე იყო, რა თქმა უნდა, ვერ გამოვლინებ და დამატებ კიდევ" (გვ. 29).

5. ზოგი იკითხვის ავ-კარგზე ნათქვამია: „ესაა სწორედ ენის გრძნობა, ენის ფლობა, ენის შიგ უზაგულური უმოვნა, მისი დედის ტბილი ხსენის წოვა და წოვა" (გვ. 148); „...არის წინადადების სწული დ გული, ნა-მდვილი გაპირების ტალკვანი" (გვ. 178); „ამ ორ იმოს- შორის კარგა დიდი მანძილია (11 სიტყვა) და გამომრამის მწარე სუსხი სრულებით არ იგრძნობა" (გვ. 208).

რატომღაც პატ. მკვლევარი ჩველებრივ, კონონიერ ფორმას იწუნებს და ტმესურს ზედმეტად იწონებს და ამბობს: ხად მოკვიდრად და ხად მო-რად-ვიდოდა (მ. 21,18) „პირველი ბე-სპეციფიკი და გლუბ, მეორე — მრავლის-მეტაფორი მანაზმ... (გვ. 110). დასახელებულ მაგალითებს, ვფიქრობთ, კომენტარი არ სჭირდება.

VI. პროფ. ი. იმნაიშვილის წიგნის მნიშვნე-ლოვან უპირველესად მასში წარმოდგენილი ორი რედაქციის კრიტიკულად დადგენილი ტექსტით განისაზღვრება. ძნელია, ძალიან ძნე-ლია, ასეთი დიდი მოცულობის ტექსტის ძირითად და ვარიანტული იკითხვები ისე იყოს წარ-მოდგენილი, რომ არაფერი იყოს დეკარტული ან სადავო, მაგრამ უნდა ითქვას, რომ გამოცდილი ტექსტოლოგის რუდუნება თავმდებია გამოცე-მული ტექსტისადმი ნდობითი დამოკიდებულებ-ნა. უთუოდ ჭეროვან დონეზეა ტექსტი გამო-ცემული, მაგრამ შენიშვნებსაც იმსახურებს.

1. გამოცემის საგრძნობი ნაკლია, რომ ივთვი-მეს რედაქციის ტექსტი სრული სხმით არ არის დაბეჭდილი, თუმცა საუკეთესო შესაძლებლობა კი იყო. BM (ტბეთისა და მსგავსი) ხელნაწერე-ბი გამომუშავენამდინა, რადგან ისინი თურმე ცალკე უნდა გამოიცეს. გამოცემული გრძნობს გარკვეულ უხერხულობას, როცა იძებს ამ ფაქ-ტის გამართლებას და წერს. BM-ში FG-საგან განსხვავებული იკითხვები „ძალიან ბევრად და მათი ასახვა სქოლიოში თვით ძირითად ტექსტს დაჩრდილავდა; მეორეც, ჩვენ პრინცი-პულად არ მიგვაჩინა მართებულად მრავალი ძვირფასი ხელნაწერის სული და გული სქო-ლიოებში იქნეს ჩატანილი დესპინჩრებულად" (გვ. 88), თანაც: „ამ ჭაუფის ერთი წერტი (ტბე-თის ოთხთავი) ამბავად მთლიანად არის ბე-მოცემული" (გვ. 88). ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არც ერთი ეს არგუმენტი არ ამართ-ლებს ივთვიმეს რედაქციის ტექსტის არასრულ-ლად დაბეჭდვას. ვნახთ ცალ-ცალკე: ა) BM-სა და FG ხელნაწერებს შორის არსებული ტექსტო-ბრივი სხვაობა „ძალიან ბევრი" არ არის (წინა-აღმდეგ შემთხვევაში FG-სა და BM-ს ერთი რე-დაქციისად ვერც ჩავთვლიდით). ნამდვილად კი „ძალიან ბევრი" სხვაობა არა თუ ამ მართი რედაქციის ნუსხეებში არა ბეზაძეს, არამედ თვით ფთვიმიას და ბიორგის რედაქციებს

შორისაც კი (ყოველ გვერდზე შეიძლება მიე-ლი მუხლები სხვებით იდენტურნი [ინტენსივუ-რედაქციისა]). ასე რომ BM-ის განსხვავებული იკითხვების სქოლიოს არ გადატვირთავდა და ძირითად ტექსტს არ დაჩრდილავდა, რადგან გამოცემაში სქოლიოს ხაერთოდ მცირე ადგილი უკავია.

ბ) თუ კი გიორგის რედაქციის ტექსტის გა-მოცემა შეიძლებოდა სხმი ხელნაწერის მიხედ-ვით ისე, რომ ორი მათგანის სხვაობანი სქოლი-ოში მოექცა, რატომ არ შეიძლებოდა ასევე „გა-გვემტკინა" BM ხელნაწერები და მათი თვი-ნებურებანი სქოლიოში აღნიშნულიყო? გამო-ცემელს უფლება აქვს, საკუთარი პოზიცია ჰქო-ნდეს ამ საკითხზე, მაგრამ რელიჯიზის გრძნობაც აუცილებელია. ცხადია, მართი რედაქციის ხელ-ნაწერების ცალ-ცალკე გამოცემა გაუმართლე-ბელია (ვერც აუვა კაცი, შორს წავა საქმე). ჩვე-წე უკეთ მოგხსენება პატ. მკვლევარს, რომ ბიბლიის ბერძნული ტექსტის ევროპელი გამო-ცემელი მშვენივრად ახერხებენ ბათული ხელ-ნაწერისა და უცარმად მცნებ რედაქციისა სხვა-ობების მართობლივ აღნიშვნას კრიტიკულ აპა-რატში.

გ) გამოცემლის აზრით, BM იმტომ არ დაი-ბეჭდა, რომ „ამ ჭაუფის ერთი წერტი (ტბეთის ოთხთავი) ამუამდ მთლიანად არის გამოცემული და ახლა მისი აქ შემოტანა არ იქნებოდა გამარ-თლებული" (გვ. 88). ძნელი დასაჯერებელია, რომ დაბეჭდილი ხელნაწერის კვლავ ცალკე გამომცემს უფრო გამართლებული იყოს, ვიდრე მისი პარინაბეზის ჩვენება სრული ბეზაძე-მის პაპრატში.

ჩვენ საგანგებოდ შევუდარეთ თვით პროფ. ი. იმნაიშვილის მიერ გამოცემული ტბეთის ოთხთავის ტექსტი (მესტიის კი, გამოცემლის აზრით, მიჰყვება B-ს, ისინი „შუაზე გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს") FG-სას და სხვა-ობა ცოტად აღმოჩნდა. ნათქვამი რომ სარწმუნო იყოს, მოგვაყვებს ეს სხვაობანი იოვანეს I თავი-დან, რომელიც 51 მუსულს შეიცავს და წინამდე-ბარე გამოცემაში 5 ბეზარედი უჭირავს; 1,1. დმერთ. 1,8. იქმანა შეიქმანა; რამდენი; 1,4. ცხო-ვრებო; 1,5. — იგი; 1,9. — იგი; 1,12. რამდენ-ნი; 1,14. შორის; 1,15. იოჰანე; — იგი; 1,17. მოცეა მოცეა; იესუ ქრისტეს; 1,18. არა-მედ] გარნა; 1,19. იოჰანეს; 20. არა ვარ ქრისტე; 1,21. ვინ უყუე, + იგი; 1,22. გუარქუ] გუზარ; 1,25. — შენ; 1,26. იოჰანე; ნათე-ბეძე 8 + თქუე; 1,30. + მ; უპირადე. 1,38. მას] მის, ნათე — სცმს. 1,86. — იგი. 1,87. ამას] მას [მცდარი] ხელნაწერისა თუ გამოცემის? უდრ. ანბუ], 1,88. — და; 1,48. განსლვად] განსლვად; 1,45. — იგი, იოსებისი. 1,48. — და; ეთილი რამე] კეთილსა რამე; 1,48. ფილიბტსა; 1,49. — მას. 1,50. — შენ, ამოსა] ამისა.

რა გამოვიდა? 51-დან 25 მუსულში არაბი-



თარი ცვლილება არაა შეტანილი, უმნიშვნელოა ნაწევარ-ნაცვალსახელთა კლება-მატება, მხოლოდ ბატი იკითხვისა ვარაძეტული. ცხადია, არ გაურღებოდა ასეთი მცირე სხვაობის აღნიშვნა სქოლიოში. გვერდზე, დიდი-დიდი, თითო სტრიქონით თუ გაიზრდებოდა სქოლიო და თუნდაც ორ-ორი სტრიქონითაც გაზრდილიყო, რა დაშვებობა? სხვაგვარად დასაწავადგომად ოთხთაშის რედაქციისათვის ბე-მომცემის დიდი სპაში. არ არის კარგი, რა თქმა უნდა, რომ ეს საქმე სამერხისოდ გადაიდოს და შედგენი წიგნის გამოცემის აუცილებლობის დამტკიცების მიზნით არასწორი ინფორმაცია იქნა მიწოდებული საზოგადოებისათვის.

2. ოთხეუმი ხშირია ციტატები ძველი აღთქმის წიგნებიდან. კარგი იქნებოდა, რომ გამოცემულს მიეთითებინა სქოლიოში ციტატების წყარო.

3. კომპაქტურობის მიზნით შეიძლება სქოლიოს განტვირთვა ზოგიერთი ორთოგრაფიული ფორმისაგან. მაგალითად, თვალშისაცემია გიორგისეული ტექსტის ვარიანტებში უფრო დაწერილობის მქონე სიტყვთა სიჭარბე, სჯობდა, შევავალიოთ თქმულიყო ორივე სიტყვა ასეთ დაწერილობაზე და სქოლიოში არც აღნიშნულიყო, რადგან ტექსტის ისტორიისათვის ასეთ ფორმათა ახლობთ-ათასობით მოყვანას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

4. ტექსტი, ცხადია, ახალი დაყოფითაა დაბეჭდილი, მაგრამ რატომღაც ტექსტის მუხლებზე ბუნდოანობა ერთგვარად არ არის წარმოდგენილი პარალელურ რედაქციებში. მაგალითად, 4 რედაქციის „ოჲა შვა იოსაში“ მათეს ხანაგრძობი I თავის მე-8 მუხლშია, ხოლო გიორგისაში — მე-8 მუხლში; ან კიდევ 4-ს „ზორობაბელ შვა აბიოდ“ მათეს I თავის მე-18 მუხლშია, ხოლო გიორგისაში — მე-18 მუხლში.

5. ბევრი მართებული შესწორებაა შეტანილი ტექსტში: წყვეტილის ფორმები: მოსწყუდენით, ჭუარს-აცუნით, სტანჯენით (მ. 28,84) II კავშირებითად არის შეცვლილი: მოსწყუდენით, ჭუარს-აცუნით, სტანჯენით; ან: ორივე რედაქციის ყველა ხელნაწერშია წარმოდგენილი (მ. 28,46), რომელიც შეცვლილია მართებული წარმოდგენით ფორმით...

რა თქმა უნდა, სხვაგანაც შეიძლება შეწესწორებანი. მაგ. თანხა მიინატება 4 (მრ. 6,26) არასწორი ფორმა (ხელნაწერისებულება თუ ბეჭდვის კორექტურა?), უნდა: თანხა-მიინატებამ. მ. 4,25-შია: მისდევდა მას ერი გალილეაჲთ და ათქალაქით და იერუსალემით და ბერსახანით და წილ-იორღანისაჲ 4. ცხადია, სჯობდა: წილ-იორღანისაჲთ, როგორც ეს არის 1-ში, რადგან მუხლში ყველა დანარჩენი ოთხი წიგნი გამოვლელით ბრუნვის ფორმითაა; ერთგან (ი. 15,6) ეფთვიმეს რედაქციაში იკითხება: „უტუეთუ ვინმე არა დაადგარეს ჩემ თანა, განვარდეს გარე, ვითარცა ნახსლევს, და ბანქმა, და შეკრიბონ იგი და ცეცხლსა დასხან და დიწუეს“. ამ

მუხლში 6 წმინა ნახმარი, რომელთაგან 4 კავშირებითის ფორმისაა, ერთი კი — წიგნის დასასრულს, ცხადია, ეს ერთი ფორმა „განქმე“ უნდა იქნას წარმოდგენილი „განქმეს“ ფორმით.

6. ჩინებულადაა ტექსტში გატარებული ორთოგრაფიულ-სუბსტიტუციური სისტემა, უზარმაზარი ტექსტის უკველი ფრაზის კონტექსტუალურ მნიშვნელობებში ჩაწვდომა რთულია და დიდ ცოდნასა და შრომას მოითხოვს, რასაც იოვლად ვერც წარმოიდგენს მკითხველი. გარე თვალს ისე ეჩვენება, რომ გამოცემული მხოლოდ მაშინ ირჩება, როცა ტექსტში შესწორება შეიქმნება. ნამდვილად კი ტექსტის უწყინარად, „გაუწორებლად“ გაშვებულ ადგილებზეც გაღებულა არანაკლები შრომა, რაც დაუნახავი რჩება. უნადურობა კი არის ეს დაუნახავობა, მაგრამ ასეთი ტექსტოლოგის ზვედრი. გულწრფელი მადლოების ღირსია პატ. ი. იმნაიშვილი, რომელმაც მაქსიმუმ გააცეთა, რომ ჭრთვანი ორთოგრაფიულ-სუბსტიტუციით გამოცემული ეს დიდი ტექსტი გახანგები გახადა მკითხველთათვის. ძალიან კოტაა შემთხვევები, როცა ერთი და იმის კომპოზიტი ორბაზარი დაწერილობითაა წარმოდგენილი: (დევსისთა და უდევსისთა); ქუყანის-მოქმედთა 4 (მ. 21,88) ქუყანის მოქმედთა 7; ინაქით-მადლომარეს 4 (მ. 28,7) ინაქით მადლომარესა 7; ყურთმლის-ცემა 4 (მრ. 14,85) ყურთმლის ცემა 7; რავდენი-რამ (ი. 1,18) 7/რავდენი რამ 4, შჯულის — მოძღუარანო ლ. 11,52/შჯულის მოძღუარათა 4 (ლ. 14,8); ხამ-გზის 7 (მ. 28,84)/ხამ გზის 4...

ფიქრობთ, ზედმეტადაა ზოგჯერ დევსის ნახმარი: წილ-იორღანესა მ. 18,1; წილ-იორღანით მ. 9,25; მრ. 3,8 (შდრ. სწორი დაწერილობა: წილ ზღუასა ი. 6,1; მრ. 5,1 წილ ქვესა მას ნაძოვანსა ი. 18,1); ძმის-ცოლი მრ. 6,18 (ეს რომ კომპოზიტი არაა, ჩანს მისი კომპონენტთა შებრუნებული რიგით ხმარებიდან: ცოლინს ძმისს მიხისახა (ლ. 8,19) და ასევე თვით ბერძნული წყაროდანაც: ტინ ბუნაბა ტუ ადელფუ).

როცა ვიდრე-ს დროის კავშირის ფუნქცია კი არა აქვს, არამედ — მდებარეობის მიწვევებითობას გამოხატავს, მაშინ მის წინ მძიმე ხან არის დასმული, ხან — არა: ზეთიან, ვიდრე თქუემდ მ. 27,51 (სხვაგან: მ. 27,45; 27,84; 28,15; ი. 1,48; 14,29...), მაგრამ: ...გამად თქუენ თანა ვიდრე ვნებამდე ჩემდა ლ. 22,15 (სხვაგან: ლ. 24,15 4. ლ. 24,50; ი. 4,49; ი. 13,19...).

სჯობდა, რომ ზოგჯერ მუხლის დამწყები „და იყო“, რომელიც წინადადების კონსტრუქციაში არ შედის და ებრაული სტატიის გამოვლენაა (სებატიტიდან ბერძნულ ახალ აღთქმაში შევიდა, აქედან კი სხვა თარგმანებში, კერძოდ, ქართულ-

კორნელი მანელიძე  
პარტული სამშობლო მნის სათავაპიბთა



სა და სომხურშიც), მძიმით გამოყოფილიყო. დაბეჭდილია კი ასე: და იყო ჯდა რაა იგი... მ. 9,10 (იხ. მ. 11,1; 18,58; 26,1; მრ. 2,28; ლ. 9,87...).

აქა-იქ გაპარულია კორექტურული შეცდომებიც: ჩვენ მ. 6,18 ლ სულსამ ას ლ. 8,29 (=სულსა მას); დე (=და), მა (=მე) ლ. 22,33 ლ რემთუ (=რამეთუ) ლ. 23,34 პრქუა (=პრქუა) ლ. 24,44 ...მაგრამ ასეთი რამ უმნიშვნელოა.

ამრიგად, კრიტიკულად გამოცემული ტექსტი, მიუხედავად ეფთვიმის რედაქციის არასრულად წარმოდგენისა, უთუოდ მაღალ შეფასებას იმსახურებს და სპეციალისტთა სამაგიდო წიგნად დარჩება. რა თქმა უნდა, ვერც გამოკვლევის

მნიშვნელობას უარყოფს ვერც ერთი მნიშვნელოვანი დგენილია საყურადღებო ცნებები, რომლებიც და რედაქციათა ურთიერთმიმართებაზე, გამოვლენილია უამრავი და ფრიად საინტერესო მასალა, ბევრი რედაქციული იკითხვის მართებულადაა შეფასებული. მაგრამ დასაძინია, რომ მეტად არაკომპაქტურია და სერიოზულ შეცდომებსაც შეიცავს; დასაძინია იმიტომაც, რომ ამ კარგ წიგნში შეიქმნებოდა მათი თავიდანვე არიდება, თუ პატივცემული ავტორი ბოლომდე უერთგულდებდა ისტორიზმის პრინციპს, განერიდებოდა სუბიექტივიზმს და მეტ გულსისუფრს გამოიჩენდა სხვათა ნაშრომთა მიმართ.



## ინდოევროპელები. ვინ არიან და საიდან მოვიდნენ ისინი?\*

მიმდინარე წელს გამოდის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის თამაზ ვაღერიანის ძე გამურელიძისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სლავთმცოდნეობისა და ბალკანისტიკის ინსტიტუტის სტრუქტურული ტიპოლოგიის განყოფილების გამგის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ვიანესლავ ვსევოლოდის ძე ივანოვის ორტომიანი მონოგრაფია „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“.

ამ წიგნის ძირითადი დასკვნები, რაც ავტორებმა წინასწარ გადმოხცეს მთელ რიგ მოხსენებებსა და წერტილებში, დიდ ინტერესსა და ცხოველ კამათს იწვევს ლინგვისტთა, ისტორიკოსთა, არქეოლოგთა, ეთნოგრაფთა და ანთროპოლოგთა შორის.

1979 წლის თებერვალში აკადემიკოს ვ. ვ. სტრუვეს სსოვნისადმი მიძღვნილი საკავშირო კონფერენციის მონაწილეთა ყურადღება მიიპყრო თ. გამურელიძისა და ვ. ივანოვის მოხსენებებში მძველი აღმოსავლეთი და ინდოევროპელთა მიგრაციები“. მეცნიერებმა მოგვითხრეს თავისი ერთობლივი მრავალი წლის შრომის შესახებ, რომელიც ეხება ინდოევროპული თავდაპირველი (წინარე) ენისა და ინდოევროპელთა უძველესი (წინარე) საშობლოს ლოკალიზაციის ცდებს.

ამუშაოდ ინდოევროპულ ენებზე ლაპარაკობს დედამიწის მთელი მოსახლეობის დახლოებით ნახევარი (ცხრაშეტი ყველაზე მეტად გავრცელებული ენიდან თერთმეტი ინდოევროპულია). ქვემოთ ჩამოთვლილია ეს ენები და ფრჩხილებში ნაჩვენებია ამ ენებზე მოლაპარაკე მოსახ-

ლეობის რაოდენობა მილიონობით (დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მონაცემები 1975 წლისათვის).

სლავური: რუსული (240), უკრაინული (45), პოლონური, ჩეხური, ბულგარული და სხვანი; ბალტური: ლიტუური, ლატვიური, მკვდარი პრუსიული; ბერძნული: ინგლისური (350), გერმანული (100), ჰოლანდიური, სკანდინავური, მკვდარი გოთური; რომანული: ფრანგული (90), ესპანური (210), პორტუგალიური (115), იტალიური (65), რუმინული და სხვანი, აგრეთვე მკვდარი ლათინური — ყველა რომანული ენის წინარეენა კელტური: ირლანდიური, პრეტონული და სხვანი; ალბანური; ბერძნული; სომხური; ირანული: ოსური, მრავალრიცხოვანი პამირული, ტაჯიკური, ფარსი, ქურთული, ავღანური და სხვანი; ინდოარიული: ჰინდი და მასთან ახლომყოფი ურდუ (200), პანჯაბური (80), ბენგალიური (125) და სხვანი; ქაფიური.

ყველა ამ ენას ერთი წინაპარი ჰყავს — წინარეინდოევროპული ენა (ანუ საერთოინდოევროპული ენა), რომელზეც ოდესღაც ლაპარაკობდნენ ინდოევროპელთა უძველესი წინარეები, ხოლო ის ადგილი, სადაც ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობდა, წარმოადგენდა მათ წინარე საშობლოს.


### I.

XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისში მრავალი მეცნიერი (რომლებიც მეცნიერების ისტორიის შემთხვევით თავისებურებათა გამო უპირატესად გერმანიაში მუშაობდნენ) ვარაუდობდა, რომ ინდოევროპელთა უძველესი საშობლო ცენტრა-

\* სვეტლანა ორლოვა წერილი „ინდოევროპელები. ვინ არიან და საიდან მოვიდნენ ისინი?“ ჟურნალ „ზნანიე-სილს“ 1980 წლის მეორე ნომრიდანაა გადმობეჭდილი.

როგორც წერილის წინათქმაშიცაა აღნიშნული, ძირითადი დასკვნები წიგნისა, რომელსაც წერილი ეძღვნება, „დიდ ინტერესსა და ცხოველ კამათს იწვევს ლინგვისტთა, ისტორიკოსთა, არქეოლოგთა, ეთნოგრაფთა და ანთროპოლოგთა შორის“.

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია დარწმუნებულია, რომ წინამდებარე პუბლიკაცია აგრეთვე გამოიწვევს დიდ ინტერესსა და ცხოველ კამათს „ცისკრის“ მკითხველთა — ლინგვისტების, ისტორიკოსების, არქეოლოგების, ეთნოგრაფთა და ანთროპოლოგთა შორის.



ლურ ევროპაში, — უფრო ზუსტად გერმანიაში, — მდებარეობდა (უშეტვისწილად უქრობდნენ, რომ ეს იყო ბალტიისა და ჩრდილოეთი ზღვის სანაპიროები).

მაგრამ უკვე XIX საუკუნეში გამოითქვა ამ თვალსაზრისის საწინააღმდეგო სერიოზული მოსაზრებები. საპირისპირო მიპოთეზის სახით ინდოევროპელთა კულტურის გამოჩენილმა მკვლევარმა ო. შრადერმა აზრი გამოთქვა, რომ ინდოევროპელები თავდაპირველად ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში ცხოვრობდნენ. ამ თვალსაზრისს ამჟამადაც ბევრი იზიარებს.

XX საუკუნის ოცდაათიან წლებში ნაციისტურ გერმანიაში, ყოველგვარი მეცნიერული საფუძვლის გარეშე, თვითნებურად „არჩილებად“ (ძველად ასე თავისთავს მხოლოდ ინდოიარანელები უწოდებდნენ) მონათლეს უპირატესად გერმანელები. „ინდოევროპელთა“ ცენტრალურტეროპული წინარესამშობლო პოლიტიკური სპეკულაციების საგანი გახდა. ამის საწინააღმდეგოდ, მეცნიერ-ანტიფაშისტთა ერთმა ჯგუფმა ბენაში, შიტლერელთა მიერ მისი ოკუპაციის წინ გამოაქვეყნა დიდი შრომა, რომელშიც დამატებრებლად ანტიციტებდნენ, რომ ინდოევროპელთა წინარესამშობლო არ შეიძლება ყოფილიყო არა თუ ცენტრალური ევროპა, არამედ საერთოდ ევროპა.

ინდოევროპელთა ისტორიული ფესვების ძიებას ჩვენს დროში მრავალი გამოკვლევა მიძღვნიდა. მიუხედავად ამისა, აზრთა სხვაობა სპეციალისტთა შორის გაცილებით უფრო მეტია. „ჩვენში შრომის ძირითადი დასკვნა, რომელიც ინდოევროპელთა წინარესამშობლოდ ეთვლება, იმაში მდგომარეობს, რომ ეს საშობლო არა ცენტრალურ ევროპასა და არა ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში მდებარეობდა, არამედ დასავლეთი აზიის ჩრდილოეთში (ამინტარპკასიის სამხრეთით და ცენტრალური მასტოპოპის ჩრდილოეთით)“ — აცხადებენ ავტორები.

2.

როდესაც პირველად — 1972 წელს — თ. გამყრელიძემ და ვ. ივანოვმა ინდოევროპელთა უძველესი სამშობლო ისეთ მოულოდნელ ადგილს მიაკუთვნეს, როგორცაა ჩრდილო-დასავლეთი აზია, მათი პირველი მოხსენების მსმენელები მზად არ აღმოჩნდნენ მომხსენებელთა აზრუმენტაცია ყოველმხრივ განეხილათ. გამოჩენილმა საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნემ ი. მ. დიაკონოვმა 1979 წლის კონფერენციულ ანონსში, რომ „ახალი თეორია, როგორც ტუტგუსის მეთეორიტი, ისე ჩამოვარდა ციდან და სადაც დაეცა, უძველესი გადაწვა“.

მაგრამ ამის შემდეგ კარგა ხანი გავიდა, სპეციალისტები ფართოდ გაეცინენ ამ მკვლევართა მოსაზრებებს და უკვე დადგა დრო, რომ მო-

ვუთხროთ მკითხველს თ. გამყრელიძის და ვ. ივანოვის შეხედულებებზე.

მ.

რას ემყარებოდნენ თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი, როდესაც ინდოევროპელთა უძველესი სამშობლოს ახალი „ადრესი“ მოგაწოდეს? მათ არ ისურვეს ტრადიციულ შეხედულებათა არც უარყოფა, არც დადასტურება.

იხინი შეეცადენ მხედველობაში მიიღონ ყველა ახალი ფაქტი და მისუკერძოებლად შეეფასებინათ იხიანი.

ერთადერთი შესაძლო განსაზღვრა ცნებისა — ინდოევროპელები — წმინდა ლინგვისტურია: ეხენი არიან ინდოევროპულ წინარეენაზე მოლაპარაკე ადამიანები. რაკი ასეა, უნდა ავლადგინოთ ეს წინარეენა. მაშინ დიდი ხნის ვარაუდცილი ეს ადამიანები თვით მოგვითხრობენ სად, როგორ და როდის ცხოვრობდნენ იხიანი.

ინდოევროპულ წინარეენას, როგორც მდიდარი ოჯახის მამამთავარს, მრავალი შტო აქვს. ზოგიერთი ეს შტო მკვდარია, ზოგი დღევანც ცოცხლობს. საერთო წინარეენის აღსადაგენად მნიშვნელოვანი არიან როგორც ერთნი, ისე მეორენი.


ინდოევროპულ ენათა გერმანიკულ ოჯახში დიდი ხანია აღმოჩენილია მკვდარი გოთურის ენა გოთების ტომისა, რომელიც ცხოვრობდა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში. ამ ენის ნარჩენები — უკანასკნელი სიტყვები — ჩაწერილი იქნა რამდენიმე საუკუნის წინათ უიარიში, ზოლო ესპანეთში დღემდე შემორჩა გოთური გეოგრაფიული სახელები.

პრუსიულ ენაზე (ბალტიურ ენათა ოჯახიდან) ლაპარაკობდნენ ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში პრუსიის ტერიტორიაზე.

სლავური ენებიდან მკვდარი ძველი სლავური ენა დღემდეა შემორჩენილი, მაგრამ როგორც ეკლესიის ენა — საეკლესიო სლავური.

ლათინური (აგრეთვე შემორჩა როგორც მხოლოდ კათოლიკური ეკლესიის ენა) იტალიის რამდენიმე ძველ ენასთან ერთად ოდესღაც შედიოდა ინდოევროპულ ენათა ცალკე იტალიკურ ჯგუფში. როცა ლათინურად ლაპარაკი შეწყდა, იგი უკვალოდ არ გამქარა, როგორც გოთური და პრუსიული, არამედ ცოცხლობს თავის შთამომავალ თანმედროვე რომანულ ენებში.

XX საუკუნეში აღმოაჩინეს ისეთი მკვდარი ინდოევროპული ენები, რომელთაც არავითარი შთამომავლობა არ დარჩენიათ. 1915-1917 წლებში ჩეხმა მეცნიერმა პრუსნიმ დაამტკიცა, რომ ინდოევროპული იყო ოსმალეთის ტერიტორიაზე ნაპოვნი ხეთების სამეფოს სოლისებ-



რი ტექსტები (XVIII-XIII საუკუნეები ჩვენს წელთაღრიცხვამდე). აღმოჩნდა აგრეთვე, რომ ამ სამეფოს დედაქალაქის სათუხას არქივებში (თანამედროვე ხოლანჯიო, ახ კლომეტრზე ანკარიდან) შემონახულია სოღისებრი ტექსტები ბეთურის მონათესავე სხვა რამდენიმე ძველ ინდოევროპულ ენაზე — ლუვიურსა და პალაურზე. ამ ენებზე ლაპარაკობდნენ მცირე აზიაში უკვე III და II ათასწლეულების მიჯნაზე ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

აღმოჩნდა აგრეთვე, რომ მიტანის სამეფოში (ევფრატის სათავეში) ხეთების სამეფოს არსებობის პერიოდში, არაუგვიანეს ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის პირველი ნახევრისა, ლაპარაკობდნენ ინდოევროპულ დიალექტზე! მეცნიერთათვის ეს იყო საკვირველი სიახლე, ვინაიდან ინდოევროპულ ენათა ყველაზე უძველეს ძეგლად უკვე აღიარებულ იქნა „რიკვედა“, რომლის მიწნები შეიქმნა მხოლოდ ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის ბოლოს

ხეთების სამეფოს არქივებში აღმოჩნდა ცნობები არა მარტო ხეთების აღმოსავლეთი მეზობლის — მიტანის — ინდოევროპულ დიალექტზე, არამედ აგრეთვე ყველაზე უძველესი ცნობები მათ დასავლეთელ მეზობელზე — ბერძენ-აქვედებზე — ძლიერი სახელაო სახელმწიფოს ახიავს ბანადრებზე, რომლებიც ჯერ მეგობრობდნენ, ხოლო შემდეგ ეპროდნენ ხეთების, უფრო გვიან, ძველი წელთაღრიცხვის XV-XIV საუკუნეებში კრეტასა და სამხრეთ საბერძნეთში ბერძნულ-მიკენურ ენაზე იწერება B-ხაზოვანი დამწერლობით შესრულებული ფირფიტები.

ერთი სიტყვით, მკვლევართა წინაშე აღმოჩნდა აქამდე უცნობი ენების მთელი ჯგუფი, რაც მთავარია — უძველესი ინდოევროპული ენების ჯგუფი. ახლა აუცილებელი გახდა ისევ განსაზღვრულიყო მათი საერთო წინაპრის — ამოსავალი ინდოევროპული წინარეების — არსებობის დრო.

მეცნიერების სპეციალურა უბანი — გლოტოქრონოლოგია საშუალებას გვაძლევს გამოვიანგარიშოთ მონათესავე ენების ერთმანეთისაგან გათიშვის დრო ამ საერთო სიტყვების რაოდენობით, რომლებიც თითოეულ ამ ენაშია შენარჩუნებული, ანუ, რაც იგივეა, განვსაზღვროთ საერთო წინარეების დაშლის დრო. აღმოჩნდა, რომ ახლად აღმოჩენილი ყველაზე ძვე-

ლი ინდოევროპული ენები უკვე ძლიერ განსვადებოდნენ ერთმანეთისაგან (თუნდაც, როგორც საერთო ენის დიალექტები) ძველი წელთაღრიცხვის არა უგვიანეს III ათასწლეულისათვის. მაშასადამე, ერთიანი ინდოევროპული წინარეება IV ათასწლეულზე უფრო ადრე არსებობდა, მაგრამ სად? თ. გამყრელიძემ და ვ. ივანოვმა ერთ მნიშვნელოვან გარემოებას მიჰქვიან ყურადღება — ყველა უძველესი ინდოევროპული ენა „ცხოვრობდა“ ერთიგორის გვერდით, ისინი მეზობლები აღმოჩნდნენ.


მცირე აზიის უფიქრეს დასავლეთში ლაპარაკობდნენ აქეურ-ბერძნულ ენაზე, მცირე აზიის სამხრეთში — ლუვიურზე, მცირე აზიის ცენტრში — ხეთურზე, მცირე აზიის ჩრდილოეთში — პალაურზე. შემდეგ — სამხრეთ-აღმოსავლეთით — მიტანურ ინდოევროპულ უძველეს ინდოევროპული ენების ასეთი შვიდ-როს კონცენტრაცია ასეთ შედარებით მცირე ტერიტორიაზე უკვე საეჭვოს ზღის, რომ ყველა ამ ენის წინარესამშობლო ამ ადგილიდან ცხრა-მთა იქით უნდა იქონიებოდა.

თ. ვ. ვაშაყრელიძემ: „ჩვენ არ ვძიებდით რუკაზე ინდოევროპულთა წინარესამშობლოს კონკრეტულ ადგილს. ჩვენ დაწმუნებული ვიყავით, რომ იგი თავისთავად აღმოჩნდებოდა, თუ გავარკვევდით, როგორ ცხოვრობდნენ, რას აკეთებდნენ და რას ლაპარაკობდნენ ის ადამიანები, რომელთა ენაა ეს ამ ეჭვსა თვისი წლის წინათ შეწყვიტა თავისი არსებობა. ამიტომ ჩვენ დავიწყეთ წინარეების აღდგენით. იმის გასაგებად, თუ როგორ ზღებდა ეს, მოვიტან მარტივ მაგალითს. ყველა ცნობილი რომანული ენის სიტყვებას ერთმანეთთან შედარებით შეიმდებ „გამოვიანგარიშოთ“, როგორი იყო სიტყვა მათ წინაპარ ენაში — ლათინურში; მაგრამ რაკ ლათინური ჩვენთვის ცნობილია, შეგვიძლია თვით აღდგენის, რეკონსტრუქციის მეთოდის შემოწმება. ზუსტად ასევე ზღებდა ყველა ცნობილი ინდოევროპული ენის საფუძველზე მათი საერთო წინარეების აღდგენა (წინარეების სიტყვები — „წინარეფორმები“ — აღინიშნება ვარსკვლავით, რათა ვაჩვენოთ, რომ ისინი „გამოვიანგარიშებულია“ და არა დადასტურებული კონკრეტულ ენაში). რეკონსტრუქციის მეთოდი იმას ემყარება, რომ ერთი ენის ყოველ ფონემას მეორე ენის ფონემა შეესატყვისება:

მაგალითად, სიტყვა „ცხენი“:

ლათინური	e	q	u	u	s
ძველინდური	a	s'	v	a	s.
იეროგლიფური ლუვიური	ã	s'	uw	a	s
წინარეინდოევროპული	*e	k	w	o	s

ლათინური e=ძველინდური a=ლუვიურ a=\*e.  
 ლათინური ã=ძველინდურ w=ლუვიურ uw=\*w.



ჩვენ რეკონსტრუქცია სარწმუნოდ მაგვანდა იმ შემთხვევაში, თუ აღდგენილი სიტყვა აქმა-ყოფილებზეა ერთ-ერთ კრიტიკულს ორიდან—სერცობრავს ან დროითს. რას ნიშნავს ეს?

1. სიტყვა ითვლებოდა წინარეინდოევროპულად, თუ ის შენარჩუნებულაა სივრცობრავად ყველაზე მეტად დაშორებულ ენებში [ჰელინდოევროპული — medha (მსხვერპლის შეწირვა) — ჰელეიკლტური — midvo (მსხვერპლის შეწირვა)]. ეს საერთოდ ყოველგვარი ორგანული მოვლენის რეალური გავრცელების უნივერსალური კრიტიკულია: სახეობანი, რომელთაც ვპოულობთ რომელაზე ტერიტორიის განაპირა უბანზე, ოდესღაც მთელ ამ ტერიტორიაზე იყო გავრცელებული. ეს პრინციპი ფართოდ გამოიყენება ბიოლოგიაში, ანთროპოლოგიაში, უფრო იშვიათად — ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.

2. სიტყვა ითვლებოდა წინარეინდოევროპულად იმ შემთხვევებშიც, თუ იგი დასტურდებოდა უკვე ყველაზე არქაულ ენებში: ჰელინდოევროპული yuga (უდელი) — ხეთური yuga (უდელი).

ახეც ხდებოდა, რომ წინარეინდოევროპულად „ცენობდით“ ისეთ სიტყვას, რომელსაც მხოლოდ ენათა ერთ მცირე ჯგუფში ვადასტურებდით, სხვა ენებში კი ეს სიტყვა ადარ იმპარებოდა; მაგალითად, ღვთაებრივი აქრძალვის ვა-მო, ე. წ. ტაბუ (სლავური Медведь „თაფლის მჭამელი“ ნაცვლად წინარეინდოევროპული სიტყვისა Horikos, საიდანაც არის ხეთური hartaggas, საითურთა — ursus ბერძნული arktos (შეადარეთ სიტყვა არქტიკა, ჰელინდური — rksas).

თითოეული სიტყვა ასე ვადიოდა დეტალურ ლინგვისტურ შემოწმებას, რაც მდგომარეობდა როგორც მისი მნიშვნელობის, იგი ედერადობის დაღვენაში“.

წინარეინდოევროპული ენის ბგერათა ახალი სისტემა დაწერილობით არის ვადმოცემული ნაშრომის პირველ ნაწილში.

3. ვ ა ნ ო ვ : ინდოევროპულ წინარეინაში შევქმითი დაჯვედგინა არა მარტო ცალკეული სიტყვები, არამედ ტექსტის მთელი მოწყვეტილებაც. ყოველგვარი რეკონსტრუქცია იმას იმყარება, რომ მონათესავე ენებში ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვა ერთნაირად ედერს, ხოლო თუ აქ მხრივ ისინი ერთნაირეობას განსხვავდებიან, მაშინ ეს განსხვავება ზუსტ ბგერათს წესებს ემორჩილება მაგრამ ეს მარტო სიტყვებს არ ეება. არსებობს ისეთი ხანის ტექსტებიც, როცა მრეაღი ტექსტში მნიშვნელობა მის ედერადობასთანა დაკავშირებული. ეს პოეტური ტექსტებია. ასეთი ტექსტების რეკონსტრუქცია პრინციპში შესაძლებელია. ცნობილმა ფილოლოგმა და ლინგვისტმა რ. ა. ა. კ. ბ. ს. ო. მ. ა. გვიჩენა, რომ სლავური ფილოლოგური პოეზიის განსაზღვრულ ფართო (ბილი-

ნები, მოთქმანი) რიტმები წარმოადგენენ საერთო-ინდოევროპულ მეტრებს. რომლებიც აღდგენილ იქნა ჰელინდური „რიტმების მნიშვნელობის“ თან ბერძნული ლექსის ევოლუციაში — რიტმების ფორმების (საიდანაც უფრო გვიან წარმოიშვა მომდისის ბეჭედი) შედარებისა.

რამდენიმე წლის წინათ, ხეთურ ტექსტებზე მუშაობისას, დავადგინეთ, რომ იმავე საერთო-ინდოევროპულ მეტრებს მიეკუთვნება ის ზომები, რომლებზეც არის დაწერილი უძველესი ხეთური სიმღერები:

**Ткани Несы, Ткани Несы  
Принеси, приди.**

ამ სიმღერათა რუსულ თარგმანში (რომლის ორი სტრიქონი ნიმუშადაა აქ მოტანილი) მე ვეცადე ვაღმოგვა უძველესი ხეთურა და საერთო-ინდოევროპული პოეზიის სხვა თავისებურება: ბგერით ძირითადი სიტყვა (მოტანილი ნიმუშში — Неси) მეორდება სხვა სიტყვათა ედერადობაში (Принеси) ინდოევროპული პოეზიის ეს პრინციპი, რასაც ანაგრა-მა ეწოდება, აღმოჩენილ იქნა ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში თანამედროვე ლინგვისტიკის დამაარსებლის ფ. დე-სოსიურის მიერ“.

აღდგენილი სიტყვებისა და ტექსტებისაგან გამყრელიძე და ივანოვიცა შეადგინეს ინდოევროპული წინარეინის თემალური ლექსიკონი. გვიხსენოთ: ავტორებს ზურდათ ვაგვთო, რას აკეთებდნენ, როგორ ცხოვრობდნენ და ლაპარაკობდნენ ინდოევროპელები, რა გარემოში იმყოფებოდნენ ისინი.

შეიძლება უფრო ზუსტი იქნებოდა, თუ ამ ორი მეცნიერის ვრცელი შრომის მეორე ნაწილს ვუწოდებდით „ინდოევროპელთა ლექსიკურ მარაგს“. თითოეულ ჩვენთაგანს „ლექსიკონი“ წარმოადგენილი აქვს როგორც სიტყვათა ხვეტები, მარცხნივ — ერთი, მარჯვნივ — მეორე — პირველის შესაბამისი. თ. გამყრელიძის და ვ. ივანოვის ახალი ლექსიკონი სრულდებით სხვაგვარია.

წარმოვიდგინოთ, თუ როგორ უნდა შეგვედგინა ენის განმარტებითი ლექსიკონი წერა-კითხვის უყოღნარო ბავშვებისათვის. მაგალითად, როგორ უნდა გვეჩვენებინა იქ ყველაფერი რაც, ვთქვათ, ცხენს შეეება. აღბაო, ჯერ გარეულ ცხენს დავებადვით, გეოგრაფიული რაიონის მიხედვით. ეს ცხენი იქნებოდა ან ჯუჯა (გარშეშო კი მთები), ან დიდი (გარშეშო კი ველი). კიდევ — ცხენების ჯოგი სამოვარზე. აი, ოთხთავალაში შემშული წინაური ცხენი, შეორე ზურათზე — ეტლში შემშული ცხენები, შესამეზე — თითონ ეტლი. გვერდზე — ხე, საიდანაც იგი კეთდება, ჰეშო — ბირნაოს ნა.



ჯანი, რომელიც შეიძლება ამ მხარეს ბის დამოუკიდებელია. აი, ცხენი სამხედრო ლეჰიონების, ხოლო მეორე სურათზე — ცხენის მსხვერპლად შეწირვა, და ასე შემდეგ. ერთი სიტყვის, ვარჯიშებით და მოვეუბნოთთა უმდაცვერს, რაც ცხენს შეეძება. რაც მჭიდვად ვიცით წის შესახებ, და ასე — ურველი სიტუაციისთვის რა-ღაც ამის მხვავთა (მეგრამ სრულწლოვანთათვის) ის ლექსიკონი, რომელიც თ. გამყრელიძემ და ვ. ივანოვმა შეადგინეს ინდოევროპული წინარეგნისათვის.

მეგრამ ახეთი ლექსიკონის შესადგენად საჭიროა არა მარტო იმის ცოდნა, რომ ინდოევროპელებს ჰქონდათ სიტყვა „ცხენი“ (და ამისათვის გარკვევა იმისა, თუ როგორ ედგრა ის ყველა ინდოევროპულ ენაში და მისი წინარეფორმის აღდგენა), არამედ საჭიროა აგრეთვე სხვა მეცნიერებათა მონაცემების მოშველიებაც — პალეობიოლოგიის, პალეოზოოგიის, ისტორიის, არქეოლოგიის, მეთოლოგიის, ანთროპოლოგიის და მრავალი სხვა მეცნიერებისა, ვინაიდან ახალი ლექსიკონი წარმოადგენს ინდოევროპელთა ურფის ენციკლოპედიას. მასში თანმიმდევრულად არის განხილული ცნებათა სამი ძირითადი ქვეფეხი ინდოევროპული საზოგადოების გარემო, მისი მატერიალური, სულიერი კულტურა და სოციალური ორგანიზაცია. ასეთი ლექსიკონის შედგენა, რაც არ უნდა ფასიური და მნიშვნელოვანი იყოს ეს სამუშაო, არ წარმოადგენდა შეკლევართა თვითმიზანს. ლექსიკონზე მუშაობის დასრულებისას შესაძლებელია გახდა სიტყვათა ასეთი ცალკეული ქვეფეხის მიხედვით გამოტანილი დაკვეთები ინდოევროპელთა წინარესამშობლოს ადგილმდებარეობის შესახებ, რაც საკმაოდ განსაზღვრულ გეოგრაფიულ რეგიონთან აღმოჩნდა დაკავშირებულია. შემდეგ შესაძლო გახდა სავსითი დანიკონის გამოტანაც მთელი ლექსიკონიდან: ხად უნდა ურფილიყო არა უკვიანეს ძველი წელთაღრიცხვის IV ათასწლეულისა ის გარემო და კულტურა, რომლებიც აისახა წინარეგნის ამ ლექსიკონში?

5.

მოკლედ განვიხილოთ ლექსიკონის ცნებათა ეს სამი თემატურა ქვეფეხი. გარკვევით, ძველ ინდოევროპელთა ლექსიკონი მარაგში ბევრი სიტყვა აღნიშნავს მალალ მთებს, კლდეებს, მალაობებს. მათ ლექსიკონში და მთოლოგიაში აღდგენილია მთის მუხის და მალაობა ადგილებისათვის დაშახისათემული სხვა ბევრისა და მცენარეების სახელწოდებაც; აგრეთვე თქმულებები მთის ტიბებისა და წყრავ მდინარეთა შესახებ, რომლებიც მთებიდან მოედინებოდა. ასეთი მთაგორიანი ლანდშაფტი გამოირჩევა ინდოევროპის უმეტეს რაიონებს, მაგალითად ცენტრალური ევრაზიის ჩრდილოეთ ნა-

წილს და მთელ აღმოსავლეთ ევროპას (სადაც არის ჩრდილოეთ შავი ზღვისპირა რეგიონები).

ხეებისა და მცენარეების სახელწოდებებს (მთის მუხა, არყი, წიფელი, რცხილა, იფანი, ვირხვი, ფიჭვი ან სოჭი, აკალი, ერკა, ხავსი, ვარძი) იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ წინარესამშობლო შეიძლება ურფილიყო მელთაშუაზღვისპირეთის შედარებით სამხრეთ რაიონებში (ბალკანეთის და ახლო აღმოსავლეთის ჩრდილო ნაწილის ჩათვლით). პალეობოტანიკის მონაცემებით მუხნარა ძველად არ იყო დამახასიათებელი ევროპის ჩრდილო რაიონებისათვის — აქ ის გავრცელებას იწყებს მხოლოდ ძველი წელთაღრიცხვის IV-III ათასწლეულებში. ცხოველები, რომლებსაც ინდოევროპელები იცნობდნენ (ჭიჭი, ლამა, შაიშუნი, ხაილა, კობორჩხალი) — აგრეთვე სამხრეთი გეოგრაფიული რეგიონის ბინადარნი არიან და არავითარ შემთხვევაში — ცენტრალური ევროპისა.

საინტერესოა, რომ ამ რეკონსტრუირებულ ენაში არის სპეციალური სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ ყრულს და თოვლს სამხრეთის მცენარეთა და სამხრეთის ცხოველთა შორის. ასეთი სიტყვები კი შეიძლება წარმოშობილიყო იმ ადამიანთა ენაში, რომლებიც მთებში ცხოვრობდნენ.

დასკვნა უნდა ვკარავდეთ, რომ ინდოევროპელთა წინარესამშობლო იყო ან ბალკანეთი, ან დასავლეთი აზია.

**მბტირინალური კულტურა:** ინდოევროპული ლექსიკონის სიტყვათა დიდ ჩაფუსტ წარმოადგენს შინაურ ცხოველთა სახელწოდებები (ცხენი, სახეიარო, ხარი, ძროხა, ცხვარი, ვერძი, თხა, ძაღლი, ღორი და სხვ.), აგრეთვე შესაქონლეობის პროდუქტთა სახელწოდებანი და სპეციალური შექმნის ტერმინები. აღმოსავლეთ ევროპაში, ევროპა, ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში და ვოლგისპირეთის ველზეზე ასეთი განვითარებული შესაქონლეობა ცნობილია არა უადრეს ძვ. წ. III ათასწლეულისა.

ინდოევროპელთა წინარესამშობლოს ლოკალიზაციისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა (ქერი, ხორხალი, ხელი), ხემაღისა და ბუჩქნარების სახელწოდებანი (ვაშლის ხე, შინდი, თეთა, ვაში). ქერი მათწინაურეს ძველი წელთაღრიცხვის VI ათასწლეულისათვის დასავლეთ აზიაში (ორი სახეობის ქერიდან ერთ-ერთი — მცირე აზიაში) და ამ გზით გავრცელდა ბალკანეთში ქერ კიდევ აკად. წ. ი. ვავილოვმა დაადგინა, რომ კულტურული ვაზი მიწათმოქმედების ამიერკავკასიურ-დასავლეთაზიური ცენტრიდან მომდინარეობს. დვინის საერთო ინდოევროპული

**სმბტლანა მარლოვა**  
ინდოევროპელები. 306 არიან და სანიან მუმიონენ ისინი?



სახელწოდება — როგორც ჩანს, ქერ კიდევ წორიულ წარსულში იხსნა სემიტურმა წინარეებმა. ერთ ძველხელნაწილში მითხრობენ, რომ წინარეების ქურდობაზე, ეს მითი, იხე როგორც ვაშლის ინდოევროპული სახელწოდება, აგრეთვე დასავლურაზიური წარმოშობისაა, ვინაიდან სწორედ ამ რეგიონში დაიწყეს პირველად ვაშლის ხეს მოშენება.

დიდ როლს ასრულებს ინდოევროპელთა ცხოვრებაში და, — როგორც ამის ანარქელი, — მათ მითოლოგიაში თაფლი, ისიც არა ველური, არამედ შინაური ფუტკრისა. ფუტკარი პირველად შიშინაურებს ეგვიპტეში და ფუტკრის უძველესი ინდოევროპული სახელწოდებაც პრაქტიკულად ეგვიპტურ სახელწოდებას ემთხვევა. ეს გარემოებაც თ. გამყრელიძის და ვ. ივანოვის თვალსაზრისით, წარმოადგენს მნიშვნელოვან არგუმენტს იმის სასარგებლოდ, რომ ინდოევროპელთა წინარესაშობლო ადმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში მდებარეობდა.

ინდოევროპელთა წინარესაშობლოს ლოკალიზაციისათვის გადამწყვეტ საბუთს წარმოადგენს საერთაინდოევროპულ ენაზე მოლაპარაკე ხალხში ეტლის არსებობა. ამ ენაში არის თვლიან სახილარების და მათი შემადგენელი ნაწილების (ზორბალი, ღერძი, მოსართავი, უღელი, ხელნა) ძალიან ბევრი სახელწოდება. თითქმის არ არის ისეთი ინდოევროპული მითი, სადაც არ იხსენიებოდეს ეტლი. ერთნაირ ეტლებს კოლდონენ არქეოლოგები მიკენის საბერძნეთში, სკვითებთან, გერმანელებთან.

ო. მ. ჯაფარიძის, ა. ო. მნაცაკიანისა და სხვა საბჭოთა არქეოლოგების ამასწინააღმდეგ აღმოჩენათა საფუძველზე ინგლისელი მეცნიერის ს. პიგორი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეტლი გამოიგონეს ძვ. წ. IV ათასწლეულში შებად შეზღუდულ ტერიტორიაზე — ამირაკაკასილიდან ვანისა და ურმის ტბებამდე. საქმე ისაა, რომ ინდოევროპელთა ეტლების გასაკეთებლად საჭირო იყო მაგარი (მთის) ჯიშის ზეტყე. რომლის გაჭრა მხოლოდ ბრინჯაოს შექმლა (ეს დაშტაკებულია ექსპერიმენტული არქეოლოგიის ცდებით ს. ა. სემიონოვის მიერ). და რომ სწორედ ინდოევროპელებში იყო განვითარებული ბრინჯაოს მეტალურგია, ეს ეჭვი არ არის,

რანბი	ფირი
ქურუმნი	თერთი
ჰეომრები	წითელი
ნიწითომქმენდი	ციხვური
ხელსნები	

ინდოევროპულ საზოგადოებას აქვს განვითარებული დუალიტური მითოლოგია: არსებობს ორი ტყუპი, რომლებიც ორ რიგ კოლარულ სიმბოლოებს განასახიერებენ. საინტერესოა, რომ ტყუპთა მითების ყველა დე-

ამას აღსატურებს მათ ლექსიკონში არსებული სპეციალური ტერმინები.

უთანასწორო წლების არქეოლოგიაში ჩენები აღსატურებს ინგლისელი არქეოლოგის გ. ჩაილინს დიდი ხნის წინათ გამოთქმულ მიპოთეზას, რომ ეტლების გავრცელება ევრაზიაში დაკავშირებულია ინდოევროპელთა მიგრაციასთან. მათი წინარესაშობლოც, როგორც ჩანს, იყო სწორედ ის რეგიონი, სადაც ეტლები გავრცელებულია — უბირატისად ჩრდილო მესოპოტამია ან შიმდებარე რაიონები. სწორედ იქ არის ნაპოვნი ეტლის უძველესი გამოსახულება და თვით ეტლებიც, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვის IV ათასწლეულით არის დათარიღებული.

მრავალი არქეოლოგი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ინდოევროპელები ცენტრალურ ევროპაში ცხოვრობდნენ, სთვლის, რომ ინდოევროპული კულტურა ევროპაში ემთხვევა „საბოლოო ცულების“ არქეოლოგიურ კულტურას. მაგრამ, თვით საბოლოო ცულების სახელწოდებები წინარეებაში დასავლურაზიური წარმოშობისაა.

ღსპსმნა. უკლავ საფუძველი გეგავს ვიფიროთ, რომ ინდოევროპელთა წინარესაშობლო იმ რეგიონში მდებარეობდა, სადაც ეტლები გამოიგონეს, სადაც მოჰყავდათ ქერი და უურძენი; სახელდობრ: ღსპსმნაში აზიის ჩრდილოეთ ნაწილში (მცირე ასია — ჩრდილო მესოპოტამია).

სულიერი კულტურა და სოციალური ორბანიზაცია. ლექსიკონი გვიამბობს რომ ინდოევროპულ საზოგადოებას ჰქონდა შიდალი საქალაქო კულტურა, განვითარებული ვაჭრობა და მნიშვნელოვანი შატრიალური სიმდიდრე. „ქურდის“ აღმნიშვნელი სპეციალური სიტყვა აღსატურებს, რომ აღარ არსებობს საერთო საკუთრება. ღარინები აღინიშნებიან როგორც „წილწართმელები“ [წილს ღმერთები იღვციან — საინტერესოა ამასთან რუსული „у-бор(и)“ სიტყვის შედარება]. ეკონომიკური უთანასწორობა იწვევს სოციალურ უთანასწორობას. ამ საზოგადოებაში სამი ძირითადი სოციალური ჯგუფი გამოირჩევა: ქურუმები, მემორები და ხელოსნები (მიწათმოქმედნი). თითოეულ მათგანს თავისი სიმბოლური ფერი აქვს, თითოეულს თავისი ღმერთი შეესაბამება:

ღმერთი
მზის ღმერთი
ქუხილის ღმერთი
ტყუპი ღმერთები
(მზის ღმერთის შვილები)

ტალი ერთმანეთს ემთხვევა ვედურ, ბერძნულ, ბალტურ და გერმანიულ მითოლოგიაში, ამ მითების ნარჩენები დღემდეა შემონახული. ამას წინათ, ლიტველი სკოლის მასწავლებელი შოლუვა ვ. ივანოვს, რომ დღესაც კი

ლიტვის სოფელში არსებობს რწმენა, — თუ ტუტუები ცხენებით ჩაუვლიან ავადმყოფს, ისინი თან წაიღებენ მის სწულულებას (გავიხსენოთ ცხენზე მსხდომი ვედური მკურნალი-ტუტუები — აშენიები).

ინდოევროპულ საზოგადოებაში დიდ როლს ასრულებდნენ ქურუმები. ლექსიკონში ძალაზე ზევირა ქურუმებისა და მათი საქმიანობის აღმნიშვნელი სიტყვა (წინასწარმეტყველება, ლოცვა, მსხვერპლის შეწირვა).

ინდოევროპულ წინარეინაში აღდგენილია თვით მთელი ხალხი პოეტური ფორმულებით.

ღსპსპნა: საკმაოდ რთულად ორგანიზებული ჰევილიზაცია სოციალური რანგებით, განსაკუთრებული რელიგიური კულტით თავისი ტიპი ემსგავსება ძველი დასავლეთი აზიის ქურუმთა საზოგადოებას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ინდოევროპელთა წინარესამშობლო იყო დასავლეთ აზია ან ბალკანეთი.

სამართო ღსპსპნა ლმქსპკონიდან. ლექსიკონის თითოეული თემატური ჯგუფიდან გამოჩანს კერძო დასკვნები თუმცა ერთმანეთს უმთხვევა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, წინარესამშობლოს ძიებას საკმაოდ ფართო ტერიტორიას უკავშირებს — ბალკანეთის ჩათვლით. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ პერიოდის ბალკანეთში არ არსებობდა მთელი რიგი მიღწევები მატერიალური კულტურის დარგში, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანი იყო ინდოევროპელთათვის; მასხადამე, ბალკანეთის ნახევარკუნძული უნდა გამოირიცხოს ამ ტერიტორიიდან. ამიტომ თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი შემდეგ დასკვნაზე მიდიან — ინდოევროპელთა სამშობლო შეიძლება იყოს მსოფლიო დასავლეთი აზია (მცირე აზია, ჩრდილო მსოფლიო).

6.

ეს დასკვნა ემყარება წინარეინის ლექსიკონის კულტურულ-ისტორიულ კვლევას, როგორც გამოირკვა, ძალიან ბევრი შეიძლება მოგვიტოვოს წინარეინის ახლებურად აღდგენილმა სტრუქტურამაც.

თუ ინდოევროპელები ძვ. წ. IV ათასწლეულამდე მართლაც ცხოვრობდნენ ჩრდილოეთი მესოპოტამიის მახლობლად, მაშინ მათ თანამედროვეებად და უახლოეს მეზობლებად უნდა ყოფილიყვნენ ორ სხვა წინარეინაზე — ჩრდილოეთში — წინარეკართველურსა და სამხრეთში — წინარეკემიტურზე მოლაპარაკე ხალხები. მეზობლობა და, მასხადამე, ურთიერთობა არ შეიძლება უკვალოდ დარჩენილიყო ამ სამ წინარეინაში, სწორედ სემიტურ, კართველურ და ინდოევროპულ წინარეინების ურთიერთგავლენის ლინგვისტურ გამოკვლევას ეხება დიდი ნაწილი წიგნისა „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“.

არსებობს ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში ამ სამი წინარეინის და მათი დიალექტების თიერთმოქმედების დამამტკიცებელი მტკიცებულებათა ორი რიგი: პირველში, თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის აზრით, შედის ერთი ენის მეორე ენისაგან ნახსენები სიტყვები.

მაგრამ წინასწარ უნდა ითქვას ერთი რამ, აქ ლაპარაკი არ არის ნოსტრატული ზიპოთეზის შესახებ, რომლის თანახმად ეს სამი წინარეინა მონათესავენი იყვნენ და სხვა ენებთან (ურალურ, ალთაურ, დრავიდულთან) ერთად ერთ ნოსტრატულ ოჯახს შეადგენდნენ. თუ ეს ასე იყო, მხოლოდ მეტად შორეულ წარსულში, ჭედ კიდევ ნეოლითურ რევოლუციამდე, ესე იგი ძველი წითლადრიცვის X ათასწლეულამდე. აქ კი განხილვება გვიანი კონტაქტების კვალი, რომლებიც ლინგვისტურად შეიძლება გავმიჯნოთ მიმკვიდრეობით მიღებული ნათესაობრივი ნიშნებისაგან, აი მაგალითი. როგორც ინგლისური, ისე დანიური გერმანიკული ენებია, მაგრამ როცა დანიელებმა XI საუკუნეში ინგლისი დაიპყრეს, ინგლისურ ენაში ბევრი სკანდინავური სიტყვა შევიდა (თვით ნაცვალსახელი *sheep* — სკანდინავურია). ასეთი ნახსენები სიტყვები ინდოევროპულ წინარეინიდან სემიტურსა და კართველურში და ამ ორი წინარეინიდან — ინდოევროპულში ძალიან ბევრი აღმოჩნდა.

ინდოევროპულ ენებში შესულ სემიტურ სიტყვებში ბევრია მარცვლეულის, სახმელის, საშუალო იარაღის, მატერიალური კულტურის საგანთა სახელწოდებანი.

კართველურსა და ინდოევროპულში საერთოა არა მხოლოდ ზოგიერთი რიცხვითი სახელი და მრავალი „კულტურული“ ტერმინი, არამედ აღამიანის სხეულის ნაწილთა სახელწოდებანიც.

ასეთი სესხება შესაძლო და ტიპურია სამი წინარეინის მხოლოდ ძლიერი მჭიდრო კავშირის დროს, უამისოდ იგი შეუძლებელი იქნებოდა.

ავტორების აზრით, მტკიცებათა მეორე ჯგუფს წარმოადგენს სამი წინარეინის სტრუქტურათა საკვირველი მსგავსება.

მეზობლად ენები მათი ხანგრძლივი ურთიერთობის პირობებში (მიუხედავად იმისა, მონათესავენი არიან ისინი, თუ არა) ქმნიან ენობრივ კავშირებს.

ამემაოდ, მაგალითად, აღბანური, რუმინული, ახალბერძნული და ზოგიერთი სხვა ენა წარმოადგენს ბალკანურ ენობრივ კავშირს. კავკასიაში საერთო ფონეტიკური ნიშნები აქვთ ქართულს, სომხურსა და ოსურ ენებს.

თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი თვლიან რომ

სამტლანა ორლოვა  
ინდოევროპელები. ვინ არიან და საიდან მოვიდნენ ისინი?



სწორედ ასეთი ენობრივი კავშირის არსებობით აიხსნება თანხმოდანთა სისტემის საკვრველი მსგავსება ქართველიურ, სემიტურ და ინდოევროპულ წინარეენათა შორის. ეს მსგავსება მათ გამოავლინეს ინდოევროპული წინარეენის თანხმოდანთა ტრადიციული სისტემის გადაინიჭვის შედეგად.

მ. ბუმბარელიძემ: „ლინგვისტიკის ფორმალური აპარატი ენათა შორის არსებულ ბგერათშესატყვისობათა და მათი ინტერპრეტაციისხავე შედეგება. აი მაგალითი: ძველინდური Dyas, ლუვიური Tiwat, ძველისლანდიური Tiwar — „ღმერთებია“, D და T — ბგერათშესატყვისობებია, ხოლო რა იყო წინარეენაში, D თუ T, — ეს უკვე ინტერპრეტაციაა, ჩვენ ახალ ინტერპრეტაციას ვიძლევივით.

ინდოევროპული წინარეენის რეკონსტრუქციისათვის ტრადიციული სისტემით აღადგინდნენ სამი რიგის ხშულ თანხმოვნებს:

*h	*h'	*p
*d	*d'	*t
*g	*g'	*k

მაგრამ ინდოევროპულ წინარეენაში \*h ფონემის შემცველი სიტყვების უტყუარი მაგალითები არ დასტურდება. ეს გაუხვარბი ფაქტი, ისევე როგორც h ტიპის ყრუ ფშვინვიერ ფონემათა რიგის უქონლობა, სისტემაში (h ტიპის) მდებარე ფშვინვიერთა არსებობის პირობებში, დიდი ხანია იქცევა მეცნიერთა ყურადღებას, ამის ამოსახსნელად საჭირო გახდა აღდგენილ ხშულ თანხმოდანთა მთელი სისტემის გადაინიჭვა.

ჩვენ ვეყრდნობოდით XX საუკუნის შუა ხანებში დამუშავებულ ახალ მეთოდს — ენათა ტიპოლოგიის უნივერსალურ კანონებს, მსოფლიოს ყველა ენის ფონემათა სისტემები ემპირიულად გამოვლენილ ზოგად კანონებს ემორჩილება, ამ კანონთა საფუძველზე თანხმოდანთა ინდოევროპული სისტემა შემდგენიარად შეიძლება წარმოვადგინოთ:

—	*h'	*p'
*f'	*d'	*t'
*k'	*g'	*k'

ბგერები, რა მდებარეობს ადრე აღადგენდნენ როგორც მდებარებს, ჩვენ აღდგენილი გვაქვს როგორც გლოტალიზებული (ანუ ყრლხშულები, რომლებიც კავასიურ ენათა მკვეთრ ბგერებს ემსგავსებიან), სისტემაში გლოტალიზებული p, ბგერის არარსებობა არ ეწინააღმდეგება ზოგად ტიპოლოგიას, ვინაიდან ასეთი მოვლენა დამახასიათებელია მსოფლიოს ბევრი ენისათვის (მაგალითად, კავასიური, ამერიკელ ინდიელთა და სხვა ენები).

სრამდენად გლოტალიზებულ ბგერათა ამგვარი რიგის კვალი დასტურდება ძველ სომ-

ხურ ენაში და სომხურ დიალექტებში. ბგერეთე ზოგაერთ სხვა ინდოევროპულ ენებშიც უკველი ცალკეული ინდოევროპული ენისათვის ჩვენ ხელახლა მოგვიხდა თანხმოდანთა სისტემის ისტორიის გადმოცემა და ამას ჩვენი წიგნის უდიდესი ნაწილი დაეთმო“.


თ. გამყრელიძის ესოდენ ძუნწი მონათხრობი ერთი შეხედვით არ იძლევა ამ აღმოჩენის მთელი მნიშვნელობის ბოლომდე გაგებას და შეფასების საშუალებას, მაშინ როდესაც სინამდვილეში გამყრელიძე-ივანოვის „გლოტალიური თეორია“ (როგორც ახლა მას სამეცნიერო სამყაროში უწოდებენ) ძირფესვიანად ცვლის მეცნიერთა შეხედულებებს ინდოევროპულ ენათა ისტორიისა და განვითარების შესახებ — შეხედულებებს, რომლებიც კლასიკურ ინდოევროპულ მეცნიერებაში 150 წელზე მეტი ხნის მანძილზე იყო აღიარებული!

ამ აღმოჩენამ სტეციალისტთა წრეებში ნამდვილი სენსაცია გამოიწვია, ცნობილი ამერიკელი ლინგვისტი (ინდოევროპისტი და სემიტოლოგი) რ. ბუმბარელი წერს, რომ „გლოტალიური თეორია“ წარმოადგენს ყველაზე უფრო მნიშვნელოვან შენაძენს ინდოევროპულ შედარებით ენათმეცნიერებაში მთელი XX საუკუნის მანძილზე და რომ მისი შედარება მხოლოდ XIX საუკუნეში შექმნილ ფ. დენსლისურის ლარინგალურ თეორიასთან თუ შეიძლება.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ უფრო მოგვიანებით წინარეინდოევროპული თანხმოვნების შესახებ ანალოგიურ დასკვნებამდე დამოუკიდებლად მივიდნენ (რაც ზშიარად ხდებოდა ხოლმე დიდი აღმოჩენებისას) ამერიკელი ლინგვისტი პ. ჰოპერი და ფრანგი ა. ოდრიერი.

ჩვეთვის კი გლოტალიური თეორიის პირდაპირი კავშირი აქვს თხრობასთან ინდოევროპული წინარესამშობლოს ძიების შესახებ. საქმე ისაა, რომ „უყრლხშულ“ ბგერებს (რაც ჩრდილოეთი ამერიკის ინდიელთა ენების შესწავლის მაგალითზეა დადასტურებული) ახსიათებთ განსაკუთრებული თვისება — ეპიდემიის მსგავსად გავრცელებისა — თავისდაუნებურად, მაგრამ მათ უძველესად უნდა მიბაძო, მაგალითად, დღეს საქართველოში ბევრია ისეთი ადამიანი, რომლის მშობლიური ენა რუსულია, მაგრამ რაკი საქართველოშია დაბადებული, ამიტომ რუსულად მეტყველებს მკვეთრად გამოხატული ქართული „უყრლხშული“ აქცენტით. ისიც კარგადაა ცნობილი, რომ მხოლოდ იმას შეიძლება მიბაძო და მხოლოდ ის შეიძლება შეითვისოს, რასათანაც მუდმივ ურთიერთობაში ხარ.

გამოდის, რომ ხალხებს, რომლებიც უიკრულ წარსულში ინდოევროპულ, ქართველურ და სემიტურ წინარეინებზე მეტყველებდნენ, მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ერთმანეთთან.



ასეთი ურთიერთობა კი მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუკი ამ წინარეინებზე მოლაპარაკენი უახლოესი მეზობლები იყვნენ.

დადგინოლია, რომ წინარეკატორული ტომები სამხრეთ ამიერკავკასიაში ცხოვრობდნენ. სემიტები კი (ებლას ახალი აღმოჩენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ) — სირიაში (უკვე ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულის შუა ხანებში ებლაში ძველსემიტურ ენაზე მტკუველებდნენ) და მესოპოტამიაში, სადაც ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულისათვის შეიკრა მეორე, ებლას ენასთან მეტად ახლო მდგომარე ძველსემიტური ენა — აქადური. ამასთან, ინდოევროპულ წინარეინაში (აქედან კი სხვა ენებში) ძალიან ბევრი ნასესხები სიტყვა შევიდა იმავე არეალის ენებიდან: ხათური, შუმერული (ისინი ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულის ბოლოსათვის უკვე მკვდარი ენები იყვნენ), ელამური, ხურიტულ-ურარტული და სხვა ენებიდან, რომლებიც ზემოაღნიშნული სამი ენობრივი ოჯახიდან არც ერთში არ შედიოდნენ.

მამასადამე, ინდოევროპელებს უნდა ეცხოვრათ სადაც ამიერკავკასიასა, სირიასა და მესოპოტამიის შორის, სწორედ ამ ადგილმდებარეობაზე მიუთითებს ინდოევროპული ლექსიკონიც.

7.

ამგვარად, თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი უამრავი მასალითა და მრავალ მცენიერებათა (პალეობოტანიკით დაწყებული და ლინგვისტიკით დამთავრებული) მონაცემების შექერების საფუძველზე იმ დასკვნაზე მივიდნენ, რომ ინდოევროპელთა წინარესამშობლო დასავლეთი აზიის ჩრდილოეთ ნაწილში უნდა ვეძოთ, გასარკვევი რჩება კიდევ ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი, ჩვენი თანამედროვე ინდოევროპული ენები დღეს გვხვდება როგორც ევროპაში, ისე ინდოეთსა და შუა აზიაში, როგორ და როდის გაჩნდნენ ისინი იქ?

და, უპირველეს ყოვლისა, რომ აიძულა ინდოევროპელები მიეტოვებინათ თავიანთი წინარესამშობლო?

აკადემიკოსმა ნ. ი. ვავილოვმა დაადგინა, რომ ადრეული სამიწათმოქმედო კულტურები მთებში წარმოიქმნებოდა. მაგრამ ისინი იქ ძალიან მალე „სივიწროვს“ განიცდიდნენ, ადგილი ჰქონდა დემოგრაფიულ აფეთქებას, შესაძლოა, სწორედ ასეთი რამ შეემთხვა ინდოევროპელებსაც. ამას გარდა, მიგრაციები უნდა გამოეწვია თვით ინდოევროპული საზოგადოების სტრუქტურასაც (რომელიც ჩვენთვის წინარეინის რეკონსტრუქციის გზით გახდა ცნობილი). ეს საზოგადოება იყოფოდა ორ ფრატრიად, რომელთა შიგნით ქორწინება აკ-

რძალული იყო. ამასთან, აკრძალული იყო ქორწინება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებს შორისაც, ეს კი იწვევდა ფრატრიადამგვარი დაყოფის დაუსრულებელ განმეორებას სხვაგვარად ხომ შეუძლებელი იქნებოდა ცოლების მოყვანა!

საფრტებელია, ყველა ეს მიზეზი განაპირობებდა იმას, რომ ძველი ინდოევროპული ერთობა ნაწილებად დაშლილიყო, ეს ნაწილები სხვადასხვა მიმართულებით დაქსახულიყო და მათ ახალ-ახალი მიწები აეთვისებინათ.


მაგრამ როგორა უნდა აიხსნას ის, რომ მთებიდან ჩამოსული ინდოევროპელები ამ მთების ძირშივე კი არ სახლდებოდნენ, არამედ სულ უფრო შორს სცოდლებოდნენ თავიანთი წინარების სამშობლოს? დაბლობები და ხეობები, განსაკუთრებით ისეთები, რომლებიც უფრო სამხრეთით მდებარებოდნენ, მჭიდროდ იყო დასახლებული. დასვლეთ ირანში ცხოვრობდნენ ხალხები, რომლებიც ელამურ ენაზე მტკუველებდნენ, მესოპოტამიაში — შუმერები და სემიტები, სირიაში — სემიტები, გარდა ამისა, მამაცი ხურიტები ჩრდილოეთი კავკასიიდან, სადაც ისინი (ისევე როგორც ინდოევროპელები სამხრეთში) დიდ სივიწროვს განიცდიდნენ, სამხრეთისაკენ ისწრაფვოდნენ და ინდოევროპელებს ავიწროებდნენ. ყოველ შემთხვევაში, ცნობილია, რომ სწორედ ასე ექცეოდნენ ისინი ინდოევროპელთა შთამომავლებს — მიტანიულ ინდოირანელებს. როგორც ჩანს, ეს გარემოება განაპირობებდა ინდოევროპელთა შორეულ მიგრაციებს. მაგრამ საქმარისია შევხედოთ რუკას და დავინახოთ, თუ რა ათას კილომეტრებით მანძილის გადალახვა უხდებოდა მათ, რომ კითხვა დაგვებადოს: შეედლოთ კი მამსინდელ ადამიანებს ასეთი შორეული გადასვლები? როგორც ჩანს, შეეძლოთ. ხომ ცნობილია, რომ ძველი წელთაღრიცხვის IV ათასწლეულისათვის ძველ ინდოევროპელებს ჰქონდათ ეტლები და ყავდათ მოშინაურებული ცხენები.

8.

საითლა წავიდნენ ინდოევროპელები? სამწუხაროდ, საფურნალო წერილის მოცულობა საშუალებას არ იძლევა თვალყური მივადევნოთ ინდოევროპელთა მიგრაციის ყველა შესაძლო გზას ისე დაწვრილებით, როგორც ეს თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის წიგნშია მოცემული. ამ მიგრაციათა ძირითადი მიმართულებები შეიძლება რუკაზე ვნახოთ.

ივარაუდება, რომ წინარესამშობლოსთან

**სემიტლანა მრღოვა**  
 ინდომეგროპელები. ვინ არიან და საიღა? მოვიდნენ ისინი?



ყველაზე ახლოს დარჩნენ ანატოლიურ ენებზე (ხეთური, ლუვიური, პალაური), აგრეთვე სომხურზე მოლაპარაკე ტომები ინტორიული სომხეთის ტერიტორიაზე (უკვე იეროგლიფურ ლუვიურ წარწერებში იხსენიება კაცო Hay-ს ქვეყნიდან, ხოლო ხეთურ სოლისებერ ტექსტებში, რომლებიც უფრო ადრინდელია, ლაპარაკია მთიანა Hayasa ქვეყნის შესახებ საინტერესოა ამას შევუდაროთ თანამედროვე სომხური hay-k' — სომხები). ჭერ კიდევ საერთოინდოევროპულ ენაში, წინარესომხურთან ერთად ერთ დიალექტურ ჯგუფში შედიოდა წინარებერძნული და წინარინდოიარნული.

შესაძლოა, მცირეაზიური წინარესომხობლიდან ბერძენთა ყველაზე ადრეული მიგრაციის კვალი შემონახულია თხზულებაში აგონავტების შესახებ.

მასში, როგორც ცნობილია, მოთხრობილია, თუ როგორ მივიდნენ ბერძენები კოლიდაში ოკროს საწმისისათვის. მხოლოდ აქ, სწორედ, ამ მხარეში — მცირე აზიისა და ანტიკავკასიის საზღვარზე — წინარებერძნულ ენაში დიდი რაოდენობით შეიძლება შესულიყო ნასესხები სიტყვები. წინარეპროტოელურიდან, თუთი საწმისის სახელწოდებაც (მიკენური, ბერძნული kowo წარმოსდგება ქართველური სიტყვისაგან ტავ-/ტჟოლუ).

მოგვიანებით ბერძენები მცირე აზიის დასავლეთისაკენ (აქიავა) გაემართებიან, იქედან კი — ეგეოსის ზღვის კუნძულებზე და სამხრეთსაბერძნეთში.

ინდოიარნელთა ნაწილი მიტანის სახელმწიფოს არსებობის პერიოდში წინარესომხობლის გვერდით ცხოვრობდა, სხვა ინდოიარნელი ტომები კი ირანის ზეგანით აღმოსავლეთისაკენ მიემართებიან. იმ ინდოიარნელთა კვალი, რომლებიც ინდოეთის ნახევარკუნძულის მთიან მისადაგომებთან შეჩერდნენ, შემონახულია აღმოსავლეთი ავღანეთის ქაფირულ (ნურისტანულ) ენებში.

მიტანიელებს, ქაფირებსა და ინდოარიელებს ძალიან ადრე (ირანის პრიპროტოლოგის გამოჩენილი სპეციალისტის გირშმანის აზრით) ჭერ კიდევ ძვ. წ. IV-III ათასწლეულების მიჯნაზე გამოეყვნენ ირანელები. მათაც ირანის ზეგანით შუა აზიაში შეადგინეს. ცოტა მოგვიანებით — დაახლოებით ძვ. წ. II ათასწლეულში — ინდოიარნელთა სხვა ჯგუფებიც იმავე აღმოსავლეთის გზით შუა აზიაში აღმოჩნდნენ.

გზა წინარესომხობლიდან უკიდურეს აღმოსავლეთამდე განვლეს თოხარებმა, რომელთა ენები ლინგვისტურად (გრამატიკის არქაული ფორმებით) ყველაზე ახლოა ანატოლიურ ენებთან. მაგრამ ჩვენ მათ ვხვდებით მხოლოდ ძვ. წ. I ათასწლეულში, როდესაც წინარეთო-

ხარული ენიდან ნასესხებმა სიტყვებმა შეაღწიეს, და ახ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში — აღმოსავლეთ თურქესტანში (ჩინციზიანში), რომლის ოაზისებზეც უკვე ვხვდებით დამდეგს აღმოჩნდა ამ ენებზე ნაწერი ტექსტები.

ფორმებით უძველესი და მეტად არქაული ინდოევროპული ენის აღმოჩენა ასე შორს აღმოსავლეთში წარმოადგენს წინარესომხობლს ახალი ლოკალიზაციის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ საბუთს. საქმე ისაა, რომ თავისი ლექსიკით (რომელსაც, ბუნებრივია, შეუძლია ასახოს ენის უფრო გვიანი ისტორიაც) თოხარული ენები ყველაზე ახლოა წინარეინდოევროპული ენის იმ დიალექტურ ჯგუფთან, რომელსაც პირობითად „ძველევროპულს“ (ანდა დასავლეთინდოევროპულს) უწოდებენ. ამ ჯგუფიდან წარმოიშვა ისტორიული ეპოქის ყველაზე დასავლური ინდოევროპული ენები: კელტური და იტალიური (ლინგვისტურად შეიძლება მათი გაერთიანება ანატოლიურ და წინარეთოხარულთან ერთ დიალექტურ ჯგუფში წინარეინდოევროპული ენის ფარგლებში).

ამავე ძველევროპულ ჯგუფს თოხარულ ენებთან მისი კონტაქტის პერიოდში მიეკუთვნება ილირიული ენაც (ამჟამად მკვდარი, ერთ დროს კი მეტად გავრცელებული ენა ევროპაში, რომელიც გამოეკვეთეს მხოლოდ XX საუკუნეში), წინარეგერმანული, წინარებალტური და წინარესლავური ენები.

თოხარების გამოყოფის შემდეგ, რომლებიც შუა აზიიდან შორს აღმოსავლეთში წავიდნენ, ყველა დანარჩენ ძველევროპულ დიალექტზე მოლაპარაკე ხალხები აღმოსავლეთელ ირანელებთან („სკვითებთან“) ერთად მიემართებიან — შესაძლოა არა ერთბაშად, არამედ რამდენიმე ნაქადად — შუა აზიიდან დასავლეთისაკენ; ვოლგა-ურალის სტატიებით ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, იქედან კი — ევროპაში.

გამყრელიძე-ივანოვის ჰიპოთეზის მიხედვით შესაძლებელი გახდა მთელი რიგი ფაქტების ახსნა, რომელთაგან თითოეული ცალკე-ცალკე დიდი ხანია აღმოჩენილი და ბევრის მიერ აღიარებულად იყო, მაგრამ ერთიანობაში ისინი გათიშულები რჩებოდნენ და, თითქოს, ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ კიდევ: აი, ეს ფაქტები:

1) ყველაზე აღმოსავლური ინდოევროპული ენა — თოხარული — ლექსიკით უფრო ახლოსაა უკიდურეს დასავლურ-ძველევროპულ ენებთან. მეფე — მზრძანელის საერთო სახელწოდება (არასაერთო-ინდოევროპული) შესაძლოა იმასაც მიუთითებდეს, რომ ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხები ერთხანს ერთად ცხოვრობდნენ ერთიანი „სახელმწიფო“ წარ-

მონაქმნის ფარგლებში: თიხარული ვაი — მეფე, რუსული — Власть, Владеть.

2) ჩვენი დროის გამოჩენილმა ლინგვისტმა ვ. ი. აბეევმა პირველმა აღმოაჩინა აღმოსავლურ-ირანული — ძველევროსული ურთიერთობანი. განსაკუთრებით საყურადღებოა აღმოსავლურ-ირანული, ძველევროსული და თიხარული ენებისათვის საერთო სიტყვები, მაგალითად, „უბადაღებულ“ ორგული (უბადაღებულ იმითომ, რომ ეს სიტყვა იყო ჩრდილოეთ გერმანიაში ინდოევროსულია წინარესამშობლოს ლოკალიზაციის მთავარი არგუმენტი: ევროპაში ორგული მართლაც მხოლოდ ჩრდილოეთ ზღვებშია გავრცელებული.

3) დიდი ხანია, რაც შემჩნეული იყო გაურკვეველი ნახესხები სიტყვები უკვლავ დასავლურ ინდოევროსულ ენებში (კლტურში, გერმანიკულში) ცენტრალური და აღმოსავლეთი აზიის არაინდოევროსული ენებიდან და პირიქით.

4) ურალ-ვოლგა-დნებროსის რაიონების უძველესი არქეოლოგიური კულტურა (ძვ. წ. III-II ათასწლეულების ე. წ. ძველ ორმოსამარხების, ანუ ყორღანული კულტურა) თავისი ხასიათით ინდოევროსულ კულტურას გვაგონებს (ცნობილი ამერიკელი არქეოლოგის შ. გიმბუტასისა და მისი სკოლის პიპოთეზა).

და ბოლოს, 5) ჩრდილოეთი შავიზღვისპირეთი მართლაც ევროპის ინდოევროსულ ენათა წინარესამშობლოა, მაგრამ არა უკვლეა ენისა, როგორც ბევრს ეგონა, არამედ ნაწილისა, და სწორედ იმ ნაწილისა, რომელიც სამხრეთი ურალისა და შავიზღვისპირეთის სტეპებით გავრცელდა ევროპაში. ამ ენებისაგან განსხვავებით ბერძნული და, შესაძლოა, მკვდარი ფრიგიული და ცოცხალი ალბანურიც ბალკანეთის გზით გავრცელდა მცირე აზიიდან დასავლეთში.

და კიდევ სხვადასხვა მეცნიერებთა დასკვნების ერთი მეტად საინტერესო დამთხვევა. მიგრაციის ახალი სქემა საოცრად ემთხვევა შუა აზიის თავდაპირველი კერიდან კავკასიონდური ტიპის გავრცელების რუკას, რომელიც ანთროპოლოგებმა, ბუნებრივია, ლინგვისტებისაგან სრულიად დამოუკიდებლად ააგეს. უძველესი ანთროპოლოგიური ტიპი, რომელიც შესაძლოა დავუკავშიროთ ინდოევროსულ წინარესაზე მოლაპარაკე ტომებს, იყო არა ფაშისტი რასისტემის „ქერთიანი მხეცი“ (ეს ახალი ანთროპოლოგიური ტიპი წარ-

მოიშვა უფრო გვიან, ევროპის ძველ მოსახლეობასთან შერევის შემდეგ). არამედ ხსენებულ კავკასიონდური ტიპი, რომელიც ცნობილია ხეთური ბარელიეფებით, ძველბერძნული და ძველსომხური გამოსახულებებით, ამავე კავკასიონდურ ტიპს მიეკუთვნება არა მარტო ინდოევროსულები, არამედ ქართველური ტომებიცა და სემიტებიც, ე. ი. სწორედ ის ხალხები, რომლებთანაც ინდოევროსულთა კონტაქტი და კავშირი ლინგვისტური მონაცემებიდან გამომდინარეობს.

6). შესაძლოა თუ არა ახალი თეორიის ექსპერიმენტული შემოწმება? ეს თეორია მწვავე დისკუსიებს იწვევს, ამჟამად ალბათ უკვლავ მწვავე დისკუსიებს, კრიტიკისებს უმრავლესობა, არა მარტო არქეოლოგები, არამედ ლინგვისტებიც; ყურადღებას აქცევენ „თერთაქებს“, რომლებიც ჭერ კიდევ არის მიგრაციის რუკაზე. მაგალითად, სამხრეთ თურქმენეთსა და სამხრეთ იმიერურალს შორის, ლინგვისტები ელიან ახალ აღმოჩენებს სწორედ იმ, მათ მიერ მითითებულ „ცხელ“ წერტილებში, სადაც გათხრები პრაქტიკულად ჭერ კიდევ არ დაწყებულა (ბოლო დროის ცალკეული შემთხვევითი აღმოჩენები, მაგალითად, სამარხი სინტაშტში სამხრეთ იმიერურალში, ადასტურებს გამყრელიძისა და ივანოვის მიერ ნაგარაუდევ ზღას ინდოევროსულთა მიგრაციებისა).

სწორედ არქეოლოგები უნდა დავეხმარონ სხვა საკითხებზეც პასუხის გაცემაში: როგორი იყო არქეოლოგიური კულტურა ინდოევროსულ წინარესამშობლოში? რითაა იგი დავაშირებული უფრო გვიანდელ არქეოლოგიურ კულტურებთან?

ლინგვისტებსაც დიდი სამუშაო ელით. ჭერ კიდევ არ არის ბოლომდე ახსნილი, მაგალითად, ბევრი მდინარის სახელწოდება იმიერურალსა და შუა აზიაში — ხომ ცნობილია, რომ ენის უძველესი ფორმები ხშირად სწორედ მდინარეთა სახელწოდებებშია უკვლავ დიდხანს შემონახული!

რა ბედიც არ უნდა ეწიოს მომავალში გამყრელიძე-ივანოვის ახალ თეორიას, მისი ცხოველყოფილობის მთავარი საწინდარი ისაა, რომ იგი სხვადასხვა სპეციალობის მკვლევართა წინაშე მრავალ ამოცანასა და კითხვას აყენებს. შემდგომი ძიება, რომელსაც ეს თეორია სახავს, უთუოდ გაამდიდრებს ჩვენს წარმოდგენებს კაცობრიობის უძველესი ხანის შესახებ.



## ნათელა იანჭოშვილი

ნათელა იანჭოშვილის მხატვრობის ღირებულება ბევრწილად განისაზღვრება მისი სტილური რაობით. ესაა სტილი თავისი ჰიპერბოლიზებული და ემოციურობით დანაღმული წასიათებისა, ფართო წარმოსახვითი პლანებითა და ფერწერული მასივებით, პანორამული სახიერებითა და სისხლქარბი, მაჟორული ტემპერამენტით. იანჭოშვილის, როგორც ძლიერი კოლორისტის ძირითადი ღირებულება იმაშია, რომ იგი მთლიანადაა მიხედობილი ფერის ემოციური მტყუვლებების საწყისებს, მასში იტებს და აღწევს კიდევ მხატვარი მოდელითა თუ გარემოსიტუაციის ასახვისას მისი თვით ნიუანსობრივი შრეების საკუთრივ ფერით შემცვენებას. ფერმწერის ფართო და პასტოზური ფენებით დატვიფრული ექსტრატიური მანერა შეიცავს ურთულეს ტექნოლოგიურ ოპუსებსაც, მაგრამ რაც მთავარია, მათ იმთავითვე გადალახეს ტექნოლოგიური მახასიათებლის საზღვრები და იქნენ ავტორის სულიერი მიდრეკილებების მტივრთველი შინაგანი ხმების გამომხატველ ნიშნებად, მეტიც — სიმბოლოებად.

იანჭოშვილის როგორც პორტრეტული, ისე სწავა ეანრის მკვეთრად ინდივიდუალური რაობის შემცველი სახეები იმთავითვე საფუძვლიანად სცილდებოდნენ ტრადიციულობისა და ორდინალურობის ცნების საზღვრებს, მხატვრის პორტრეტული შემოქმედება თავიდანვე აშუღავნებდა შინაგან-სულიერი და მხატვრულ-სტილური ქსოვილის მხრივ უშუალო სიახლოვეს იმ თანამედროვე, პროგრესულ იდეურ-ესთეტიკურ ტენდენციებთან, რომლებმაც 60-80-იან წლებში

ჩვენს ხელოვნებაში დაიკვიდრეს სახიციოცხო და სამოქმედო დეტატი.

კლასიკური პორტრეტის პრინციპზე შექმნილი ტილოა „ნინო ჭავჭავაძე“ თავისი ძუნწი პალიტრული მონაცემებითა და უმდიდრესი ფერწერული სისხვით, ღრმა შინაგანი მტყუვლებითა და დინამიკით, ერთდროულად ელასტიური და მკვირივი ნაჭატით, პლასტიკური სიცხადითა და რელიეფური ფორმით: ბლიკების გამჟვირვადე გრადაციებითა და შინაწერისებრი ფონის ფერწერული მთლიანობით, ერთიანი სახისმტყუვლებით. ეს ნაწარმოები მთელი ქართული პორტრეტული ფერწერის ერთი ყველაზე საამაყო ქმნილებათაგანია.

ნუნუ გელდიაშვილისა და ირმა ჩოფიაშვილის პორტრეტებში ტემპერამენტითა და ფერწერული ხშიერებითაა ათვისებული მოდელთა შინაგანი კონსტიტუცია. ზურმუხტისფერი ფონი ორივე ნაშუგვარში, ისე როგორც სხვა შემთხვევებში („ნუკრია“, „ანა ვარდიაშვილი“, „მ. იაშვილი — მესხი“), ორგანულად ერწყმის ფიგურისა და პირისახის მოდელირების ფერწერული საწყისებს, ნ. გელდიაშვილის პორტრეტში მხატვრის ფერწერული დახასიათების კურსი ჩინებულადაა აღებული ჩრდილ-სინათლისა და რეფლექსების ტონალური შენაცვლებადობის იმგვარ პრინციპზე, სადაც ყველაზე სრულყოფილად აუღერდება მოდელის მოცულობით — პლასტიკური ხატისმიერი ნიშანი — მონაცემები, ზოლო სამოსის მუქ ერთფერ ტონალობაში საოცარი ემოციური მუხტი შეაქვს გრძელ ყელსაკიდსა და მწვანე (აგრეთვე კინოვალისა და კრამლაკის) რეფლექსებით მოდელირებულ ხელთათმანს.



„ირმა ჩოფიაშვილი“ — კი უცნაური ძალით იჩინეს თავს მოდელის — ობიექტის მძლავრი შინაგანი ნებელობითი საწყისი, ამას ეხმარება მისი პლასტიკური სტრუქტურის მკაცრი მონუმენტურობა ადნაგობა, რაც საერთო დრამატული პათოსის შემომტანია ფერტილობის მთლიან პარტიკულარში, ამ პორტრეტში უკვე ჩანს მხატვრის მეთოდოლოგიური მიდრეკილება შახი ფერის არა ტენდენციური, არამედ უკვე მხატვრულ-კონცეფციური არის შეცნობისა და გამოყენებისა. მწვანე და შავი ფერების შეხამების კვალობაზე ხდება გამომუშავება ერთიანი კოლორისტული სისტემისა, რაც შემდგომ საფუძვლად ედება მთელ იანქოშვილისეულ ფერწერულ პოეტებას, რომელიც თავის ცხოველმყოფელ გავლენას ახდენს საერთოდ მხატვრის ესთეტიკური კონცეფციის ტრადიციის გამომუშავებაზე: ესაა მკაფიოდ მოძიებული კოლორისტული გახადები, შინაგანი სიმართლე და ემოციური ხარისხი.

„მედია ჯაფარიძის პორტრეტი“ — სრულიად თავისებური გზებით ხდება მოდელის ხასიათობრივ-ფსიქოლოგიური ნიშნების მოძიება, თუ „ჩოფიაშვილის პორტრეტის“ ნიშნადობა უფრო ახალგაზრდა ავტორის ფსიქოლოგიზირებული კომპლექსთანაა შეპირობებული, „მედია ჯაფარიძე“ თავადაა ფსიქოლოგირების წყარო უკვე დაუწერებელი ოსტატისათვის, რომელიც მსახიობი ქალის პიროვნებაში აღმოაჩენს არამის ტრიალიურ ფიზიკურ სილამაზესა და არტიზმიზმს, არამედ მის ბუნებაში გაფიქრულ კლამატას თავისებურ კომპლექსს, ამ პორტრეტში კიდევ ერთხელ, მთელი სიღრმითა და მნიშვნელობით გამოჩნდა იანქოშვილის უნარი. — „წიკიბოს“ ნატურა, მისი შინაგანი სველები, მეტიც თავისებურად, „ამხილოს“ მოდელის პიროვნული ხასიათობრივი ღირებულებები, რომელიც ღრმად არიან განფენილი ადამიანის სამშვიველში. ამოიცნოს მისი ფლუიდური პლანის მოუხილავი მარცვლი და განაწოდოს ხაზის მთელ სიბრტეზე. ხაზისმიერი რეალობის ამგვარ კონტექსტში მართლდება ფ. დოსტოევსკის სიტყვები:

«В редкие только мгновения человеческое лицо выражает главную черту свою, свою самую характерную мысль. Художник изучает лицо и угадывает эту главную мысль лица, хотя бы в этот момент, в которой он описывает, и не было ее вовсе в лице». გენიული მწერალი-ფსიქოლოგის ამ ზუსტ დაკრებვას ერთობ ეხმარება იანქოშვილისეული პორტრეტი თავისი მხატვრული პოზიციის, როგორც მკვეთრი ფსიქოლოგიური რაქურხის შემცველი ქმედებით — შეიცნოს მოდელში მისი „უმთავრესი აზრი“ და განაწოდოს პიროვნულ-სახეობრივი მთლიანობის დომინანტად.

თავისებური პოკეტი ხდება „ზინა კვერენჩილაძის“ პორტრეტის შემთხვევაში. თუ ადრე (1985) მხატვარი ქმნის მსახიობი ქალის პორტრეტს ლელას როლში (დ. გაჩეილაძის „ბახ-

ტრონი“) და ცელლობს „ზინა კვერენჩილაძის“ ობიექტის ხასიათი, 1978 წელს შექმნილ პორტრეტში მხატვარი გაცილებით რთულ გახასიათებს — სახავს რა უკვე აღიარებულ სცენის ოსტატს არტისტულ პოზაში, ოღონდ „ყოფით“ სიტუაციაში და ამგვარ „პირობებში“ — უკვე ზინა კვერენჩილაძის ზოგად პორტრეტს მთელი სულიერი-ფსიქოლოგიური, „ისტორიულ“-შემოქმედებით, თუ „ბიოგრაფიისმიერ“ განვითარებებით. აქ შინაგან და გარეგან პლასტიკურ მახასიათებელთა დინამიკა — სტატისკის მონაცვლეობით, მათი აქცენტირებული კოლორისტული ინტრადიენტებით, როგორც დეკორატიული და წმინდა ფერწერული ასპექტების პოლივალენტური აღნაგობითა და ხასიათობრივი რეალიების სინესთეზური ბუნებით, ამგვარი თეატრალიზებული ელემენტურ სტრუქტურულ ხდება ავტორის მიერ ფსიქოლოგიური ღირებულებების მონივნა, და ეს უკვე მხატვრის ტალანტის მოწესრიგებულ თვისება-ხარისხზე მიუთითებს და მხატვრულ-სახეობრივ ამოცანებთან ღრმა და საფუძვლიანი კონცეპტუალური დამოკიდებულების სერიოზული შედეგია. ამგვარად მხატვარი თავის ბოლო, შემოქმედებითი სიმწიფის ემს შექმნილ ნამუშევარებში მიმართავს არა მარტო მათი ფერწერულ-პლასტიკური ელემენტების შერჩევა-გადარჩევალობის პრინციპს (მოდელის ტანსაცმლის ფერია და სხვა.) არამედ იგი გაბედულად მიმართავს ასევე ფსიქოლოგიურ-ბუნებისმეტყველებრივ ფერმენტების თავისებურ, მხატვრულად და სულიერად გამართლებულ ექსპოზიციასაც.

ნ. იანქოშვილის ჭეშმარიტ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს „ანა ვარდიანის“ პორტრეტი. აქ ყოველი ცალკეული დეტალის (რომელიც თავის მხრივ მინიმუმადღა დაყვანილი) აქცენტირება, იქნება ეს მისი თვალები, ტუჩების სახასიათო მოძრაობა, ყვრიმალეობა პლასტიკა, თუნდაც დიდოსტატურად შესრულებული ქარვის სამკაული და მისი ფაქტურა, საერთო პლასტიკური კონსტრუქცია ემსაურება მოდელის — ქართული ხალხური სიმღერების ჩინებული შესრულებლის შინაგან „პროფსიული“ ბუნების გააწერებას და წარმოჩენას. მის სპეციფიკურად „გებრულ“ არტისტიკაში, ერთგვარ შინაგან პლასტიკაში, თუნდაც მიზნედილ თვალეში ერთდროულად გამოსკვივის წარსულიდან მდელი დღუდუკის ძელებური მანებებით შეძრულ ქალის ხასიათი და აწ უკვე მოღვაწე მანდილოსნის პრეტექტაბული „სტოკში“. ამ სახეში ასევე ერთობ საყნარია ავტორის პიეტეტი მოდელის პიროვნებისადმი. გარკვეულად იგივე შინაგანი ფაქტორები ანათესავებს ამ ნამუშევარს „მამის პორტრეტთან“. ეს პორტრეტი მღიერია პირველ რიგში მხურვალე ადა-

დაპითი ანდრიაშვილი  
 ნათელა იანქოშვილი



მიანური ნატურის ზუსტი და ღრმა შეგრძნებით, მოდელით და მკაცრად შენაგანი კონტაქტის უჩვეულო სითბოთი და პირველმნიშვნელობით, უშუალო ფერით სუნთქვა ვადარდელია დრამატიზებულ ხილვაში, ერთგვარი სევდის-მიერი ტონუსი კი გაშუალებულია მოდელი-სავე შენაგანი ენერჯის მახასიათებელ წყარო-თთან, ცივ ზურმუხტისფერ ფონზე ვითარდება ფიგურის კონსტრუქცია. გაბედული შავი მონა-სმებით აქცენტირებული, მწვანე ჩრდილებით მოდელირებული და მოყვითალო-მოთეთრო სი-ნათლით განათებული ხაზის ემოციური ტონა-ლითა შენაგანი რიტმის შეგრძნების ბადებს, აქ სულისმიერი ძაბვის იმგვარი ზღვარია მიგ-ნებული, სადაც მოდელის აღმანიერი სინათ-ლე ჰქვეით მისი სულიერი ცხოვრების სიღრ-მევ ფაქტორებს და იძლევა ხასიათის კრებითი თვისების ერთიან ხატს.

განსხვავებული პლასტიკურ-შინაარსობრივ საფარული დომინანტობის „ჩაქურთანი ლიას“ პოეტიაში, მისი კომპოზიციური აღნაგობა — პლასტიკა ატეხულია ერთიანი არქიტექტო-ნიკული ლოკისა და მკვირვა ფორმისეულ-ტექტონიკური რავარობის შემცველ საწყისზე, მისი მთლიანი სტრუქტურა თავისი სულისმიერი თვ ფაქტურული ელემენტებით ქმნის მტკიცედ კონტრასტულ მოდელის შენაგანი და გარე-განი ფორმების სიმყარობას.

უადრესად ხანტერესო პორტრეტია „თამარ თარხნიშვილი“ — ხალი თვალით, თამამი ხე-დითა და უტყუარი გემოვნებით შესრულებულა ტილო. ნატურის იმპონანტურ ექსტრაგანტუ-რობაში იხილება როგორც მისი პირველული, ისე შემოქმედებითი პრედიკატოვი. შექ-ჩრდი-ლილის გაბედული შეხატებები, ჩრდილშივე ჩა-ძირული შავი მარალს გამომავლი ფონის მუქ კლორატურ, დოკალური შენაგანი ფონის გადამ-ვეტილი ქვედატანის გაბედული და ლაკონური დრამირება, ხელათმანინი მარცხენა ხელის სა-ხასიათო პლასტიკა და თავად ხელის მტევნის რავარირებული მოდელირება, მთლიანი კოპ-პოზიციური აღნაგობა ქმნის იმ ზუსტად მიგნე-ბულ ფერით — ემოციურ კომპლექსს, რომელმაც ნატურის ფერმართდ არისტოკრატულ და ერთ-გვარად მელანქოლიურ ბურჟუაზი გახვეულ სა-ხეობთან კავშირში უნდა იტივროს ნატურის ფსიქოლოგიური დახასიათების მთელი სიმძიმე.


იანქოვილის ფერწერული გასაღები მუდამ ზუსტად ესადაგება ნატურისმიერ რეალიზაციას, იგი აძლევს საშუალებას მხატვარს „ნილი ჭიკა-ძის პორტრეტის“ გამოსახულებაც და ფონიც ერთიან ცივ გამჭვირვალე მოციხფრო-მომყვანო გამაში დასახოს და ამ გამამთლიანებელ ფერით „სამოსშივე“ წარმოიდგინოს მისი ემოციური ქსოვილის ღირებულებები ნაერთები, „ბოლის პასტრენაის პორტრეტის“ პლასტიკურად მეტ-სხვედ ფიგურისმიერ წყობაში და მის შავმწვა-ნე კოლორატში თამამად შეიტანოს ყვავილის

წითელი ლაქა, როგორც დამაკვირვებელი ფერით — ემოციური (და აზროვნებელი) და ფსიქოსემანტიკური ერთეული „წითელი“ დახატაშვილის ბლოგ პორტრეტში (1980) ტან-საცმლის — მოშავო-ზურმუხტისფერი ფრაკის მოდელირებისას ოსტატურად გამოიყენოს ტი-ლოს სითეთრე და მასზე დაყრდნობით ნატურ გრადაციას მიადლოს, საკუთრივ ეროვნული საწყისების გაცნობიერება აძლევს დასახამს იანქოვილისეულ ფერწერულ ტემპერამენტს, რათა გოგენისეული ტიტულეების ტანის ვენიზა-ნი სიმხურვალე „გაისინოს“ და კუბელი ქალე-ბის პლასტიკა-ფაქტურის ორგანულ საკუთრებად აქციოს.

იანქოვილის მხატვრობა შეიძლება დავა-ხასიათოთ, როგორც მიკერბოდული ფერწერა, რასაც განამირობებს არა მიკერბოდული თვითმიწერი ინტერტი, არამედ ავტორის — მჭვრეტელის შემოქმედებითი ექსტაზის გარბი სუბიექტურ-განცლითი საფუძველი, მწვანე და შავი ფერის კლდებით იტვირტვა ემოციური მასხვობა ფერმწერისა, თანდათან იძენს შე-ნაგანი მდგრადობის სტატუსს. მწვანე და შავი ფერის კულტი უშუალოდაა დაკავშირებული მი-სი ფერწერის უტირებელ სტრუქტურასთან. ამას ადასტურებს მხატვრის პეიზაჟების ცი-კლიც, თუნდაც „გომბორის ვა“, რომელიც მთების ტერასულ კონსტრუქციითა მხვალე და ფართო სიბრტყობრივი რავარობის ლაიტმოტი-ვერი სტრუქტურებით, სიღრმევად არხებულა ემოციური მუხტით განირობებულა შენაგანი პლანით იძენს ფერით — დინამიკური ეკვივა-ლენტის — ეპიურობის პლასტიკურ და აზრობ-რივ-შინაარსეულ ნიშნადობას.

იანქოვილის პეიზაჟების ემოციური პარტე-ტურაც, რომელსაც მუდამ თან სდევს გაჯაქ-ტისნიეული „სევდით მოცული ცვენა შავი“ მდღმარება, მრავალწანაგოვანია: ხან ერთიან, დახალ რეკტატრში მუდერი, ხანაც აღმავალი, კრეშენდოსებრი რიტმით შეპირობებული, ამ ასპექტში ქვეშეცნეულად მუდამდება ქალური მწუხრი დედისამყაროს მარადიულ მწილობა-შე-უცნობლობაზე. მუქი მკაცრი და ენერჯიული პასტოზური მონაშებით კონველსიურად ახლა-რთულა და გადაგრაგნილ ნაყად სალულე ტო-ნენის ლივდაც გამზებ ენაცლებს და სახავს ხან მკაცრად კონსტრუირებულ, ექსტენსიურად გან-ვრცობილ სივრცულ პლასტებს და ხანაც მწუხ-რის იდეშალი ბურჟუას რბილი კონტურებით ანტირადულ სამყაროსეულ ვენბათა ნაერთებს, აკორდულ ელტრადობას აზიარებს მას.

იანქოვილისათვის „ატენის სიონია“ და „უბისიც“, „ნიქოზია“ და „ნერესიც“, „უფ-ლისციხეც“, და „უჯარმაც“ და „ახსრის ეკლე-სიაც“ არა მარტო ისტორიის სულჩადგმული შატია, მჭვრეტელის ბურჟოამოდერულ-დენო-გრაფიზებული ფერომენი, არამედ ისი-ნი მხატვრისათვის, უპირველეს ყოვლისა, მისი



შინაგანი ბუნებიდან, შემოქმედებითი თვალსაზრისიდან დაღმარებული ზოგად-ეროვნული ფსევდოლოგებია თავისი ესთეტიკური რაობითა და წინეობისმიერით რანგით. მხატვარი მათ „ჯგერის“ მხაგვხად ისტორიის წარუვალი ლოგიკის ამოცნობის ბილიკით უამლოვდება და ეახლება და არა ნატურალიზტური ექსცესების გზით, თუკი ამ ქმედლების ქვათა წყობის, ჩუქურთმის ფრაგმენტული თუ დეტალს ამოწერს, ამას დახვეწილი ესთეტიკის მამრებელი სული ამოქრავებს და არა ეთნოგრაფის კუდანტური გონი. ეს აქლევს საშუალოდ შინაგანი ძაბვით აღბეჭდილი უჩვეულოდ გაჩირადენილ, მკდერ აკორდულ გამებად დაღვრილ ფერადოვან სიმფონიად წარმოიდგინოს „სხალთის“, ქვათა დაღადი, „ფულთოს“, თეთრ-ყვითლად აღუვარებულ კოლორიტის დაუმიზისპირის და შეურწყას მკვრივი წითელი ფერი სახურავისა და შავ-შვავანე და ყვითელ ფონზე ამ კონტრასტული ტონების ციაგოთ მთელ მარმონიას დაახადგურებინოს, ხოლო შინაგანი ანალიტიკის უნარი და სუგესცივობა კი იანქოშვილს საშუალებას აძლევს ზუსტად განჭვრიტოს და მოუძებნოს ასახაზობიექტს—არქიტექტურულ ძეგლს რაკურსული „გეოგრაფია“ მისი ისტორიული თუ ესთეტიკურ-პლასტიკური გაბარიტების მოშველიებით და მისსავე კვალობაზე. სწორედ ეს „მეჭანიშვი“ აცნობიერებს მხატვარში „ჯგერის“ პლასტიკურ-სივრცობრივი კონფიგურაციის გაშლილ სტრუქტურასაც, და „ქვემო ნეკრესის“ დაბალ ლანდშაფტურ კონტექსტსაც, „დავით გარეჯის ლავრის“ გრანდიოზული მონუმენტულობის ასახვის ზოგად-პირობით წესსაც. მხატვრის შეურყენელი გრძობიერებისა და ეროვნულ-წინეობრივი ინტუიცივის შინს მადლია „კომპოსის“ თავზარდამტყუდად შეუცნობელი სევდა, „ნიქოზის ეკლესიის“ უჩვეულოდ ილუმინი განწყობილება და უცნაური სიმამილის განცდა. ამგვარი ვაუცნობიერებელი განწყობაა, ასე რომ დომინანტობს კახეთისა თუ მესხეთის, თუშეთისა თუ ხევსურეთის, საქართველოს სამხედრო გზის პიეზაჟები, მათში იმ შინაგანი სიამაყის განცდასთან ერთად, თუ „რა განძი გვქონია“, აპრიორული ეროციის სახითა საგულვეტებელი თავისებური ინტონაციური ნაკადი — რაღაც გაუმხედელი სატიკვიარის შემცველი, ისტორიის ბედუფდამართი ჩარბის ტრიალითი შეპირობებული, ყოველივე ამას ეხმარება მუქი კლორითი და უცარიელი ლანდშაფტი, რაც კიდევ უფრო ზრავს და ამბავრებს ამ ნამუშევრებში გოგლასეული „იმ პატარა იარას“ სიღრმეს.

იანქოშვილს ზღეღწიფება და ახერხებს ფერთა გამის მიმართებათა უსაღვრო ვირტუალურ ვარიაციების შემთხვევაშიც კი, შეუნარჩუნოს ნაწარმოების ფერთი სტრუქტურას ძირეული თვისება-ხარისხი, არსებითი მანიშნებელი, როგორც ჩრდილსა თუ ნახევარჩრდილში, ისე

ყველაზე მკვეთრი განათებისას, მუდამ შენაჩნევად გაამდვანოს მათი რეზონანსული ცელენის მთელი სპექტრული და რეზონანსული ზუნება, ყოველ ცალკეულ შემოსხვევაში თანამდევრულად დახაზოს valeur-ის ტიპური რაობა.

იანქოშვილის მხატვრობის ერთი ყველაზე ძლიერი ფენომენია მისი გრაფიკა, ამის ჩინებული დადასტურებაა სერები: „სვანეთი“, „მეჩხია“, „კუბა“, და რაც მთავარია, „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები. იანქოშვილისეული გრაფიკული სტრუქტურები ერთიანი იდეურ-არსობრივი და სტილურ-სახეობრივი ბილიკითა ნიშანდებელი უმეტესობა შესრულებულია ქალაქის შავ ფონზე გამკვეთილი თეთრი კონტრულ-სილუეტური, პლასტიკური ხაზისა და პასტელის მოდელირებული ტექნოლოგიით, რომლის ფაქტორია და ტონალობის მეტყველი ნიუანსების უნარი, საერთო ცხოველებულობას ქმნის. ნეიტრალური შავი ფონი, როგორც მხატვრული გამოხსაველობის პასუხი ელემენტი, ამგვარად დებულობს სიღრმესა და ხვედრდევნებს. მისი კონტრასტული დამპირისპირება პასტელის ფერადოვან ლაქებთან, ისევე თხოულობს ღრმა ჩრდილებს, რაც ფონის მუდმივი — ნეიტრალური ხასიათით იქმნება და თავისი ხსარტი და ქმედითი საონტრასტურობით, ფორმადქმნადობის სპეციფიკურ ხერხს — გაწვავილულ სტატიკურობას ღრამატოზით ავსებს, ეს კი ავტორის სტილისტურ-კომპოზიციური და ზოგადმხატვრული აზროვნების მაღალ დონეზე მიანიშნებს.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია „მეჭხისტყაოსნის“ იანქოშვილისეული ილუსტრაციები. მხატვრის მიერ დანახული პოემის გმირები არაა არც ბერძნულ-მითოლოგიური და არც ქრისტიანულ-რენესანსული სამყაროს კულტურული რემინესცენციებით ინსპირებული ვეფხისტყავედაცმული ქანდაკებები, არამედ ცოცხალი, მფთქავი ძარღვის შქონე ადამიანებია. ეს ილუსტრაციები ტექნიკური ბრწყინვალეობით, ანლიტერატურშიწინული ეთილსინდისიერებით კი არა, განცდის ავთენტური უშუალობით გვხობლავან. ავტორი მთლიანადაა მინდობილი საკუთარ იდეურ-ესთეტიკურ აღქმას და არსებითად (შესაძლოა თვითმწიწურადაც) უარყოფს ყოველგვარ ტრადიციულ სტრუქტურასთან კავშირს.

პოემის ილუსტრაციებში მხატვრული აზროვნების შემცველი სტილური საშუალებები ზედმიწევნით ზომიერადაა გამოყენებული. მხატვრისათვის არსებითი ამოცანა მიიღვ პოემის გმირთა პორტრეტულ დახასიათება, მათი ყოფიერების ლირიკული და ღრამატული ასპექტების სრულფასოვანი შეგრძნება და თანახარი წარმოდინება. იანქოშვილი იმ რანგის ოსტატია, რომელიც თუნდაც უჩვეულო კომპოზიციაში ბუნებრივი მოვლენების ლოგიკურობასაც სდებს.

დავით ანდრიასონი  
ნათილა იანქოშვილი

თითოეულ მთვანეში აქტიურებულა რამდენიმე ფიგურა, უმეტესად ორი-სამი, რომელნიც მსხვილი პლანითაა წარმოდგენილი და რომელთა სასურათე სიბრტყესთან მასშტაბური შეფარდების ხასიათი, კომპოზიციის პრინციპი, პლასტიკურ ფორმათა რიტმული აგების დეკორატიული-სტილიზირებული ხასიათი, სახის მონუმენტური არსის ლოგიკა განსაზღვრავს უცვლად პარობითი, ხოლო მისი ზომიერი დეფორმირება — ზუსტი და გამიწვლილი, გააზრებული უტარირებაც გამართლებულია და თითქოს მუდამ შინაგან საწყისს დაქვემდებარებული, იგი გამოშატვლია მოდელის ზოგადი ხასიათისა და არატენდენციური. ფერადოვნებაც ასევე განზოგადებული ლაქებისა და მათი ტონალური გრადაციების, ხან კი ორი-სამი ფერადოვანი ლაქის განმეორებითი მონაცვლეობით შექმნილი რიტმის სახით მოიაზრება და თანახმიერია მთელი ინტერპრეტაციის გრაფიკული ენისა.

ილუსტრაციათა გაცნობისას, ხელშესახებად იგრძნობა ბეშარიტ მხატვრულ სახეებად გარდასახული, შინაგანი, ადამიანური ვნებებით აღბეჭდილ არსებათა მწერა, მათი სიბრძნისა და მწვენიერების სევდაშერეული ათინათიც გეუფლებათ, ადამიანურ მიმართულებათა სითბოც და მათი სულიდან, სხივებად გამოშვირვალე უაღრესად კეთილშობილ ხასიათსაც ამოიცნობთ, რაც მთავარია, მათი ეროვნული რაობა ერთობ ხელშესახებია და საგრძნობი. ყოველივე ეს ნაწარმოების როგორც სულიერი, ისე მხატვრულ-პლასტიკური დახასიათებლადანაც ცხადლივ ისახება. პერსონაჟების სახეთა ასოციაცია სახიერ კავშირშია მათივე შინაგანი ენებისაგან აღძრული ეროსისმიერი საწყისისადაც, რაც მათ და-

უოკებელ და სისხლსავსე საწყარო ხელისგულავით გვიშლის. ხასიათის განმპარობებელი გარეგანი და შინაგანი ფაქტორებს მგვირვანული ციაციურ მონაცვლეობა-ნიუანსირებაზე უფლებული „ეფიხისტაოსის“ იანქოშვილინეული ინტერპრეტაციის მხატვრულ-ემოციური და სტილისტური პარტიტურა.

ნათლად იანქოშვილი — დღეს ეს სახელი მოიცავს შენაშინავი ქართველი მხატვრის პიროვნული და მხატვრული სახის ერთგვარ აღიანსს, მისი შემოქმედებითი პროფილის განმსაზღვრელი ნიშან-ფერმენტები მისივე პიროვნულ-წინაობრივი რაობის არსებითი პოსულატებითაა ნასაზრდოები და მისგანვე ამოზრდილი. იანქოშვილზე, როგორც უაღრესად თვითმყოფადი და ორიგინალური ხმის მქონე ხელოვანზე ოდნავადაც არ ვრცელდება ის ფაქტი, როცა უძველეს შემთხვევაში მსჭელობდნენ პოეტის (მხატვრის — დ. ა.) საკუთარ ხმაზე და არა მის დამოუკიდებელ პიროვნებაზე. თითქოს ლაპარაკი იყო არა ერთმანეთისაგან განსხვავებულ ცოცხალ ადამიანებზე, არამედ ერთი ორკესტრის სხვადასხვა ინსტრუმენტზე“ (გ. ასათიანი).

ნ. იანქოშვილის ხელოვნებამ მართლაც და სრულიად თავისებურად გაიუღერა და დღესაც მთელი ხმით ეღერს ნი-იანი წლების შემდგომი ქართული მხატვრობის ძლიერ ორკესტრში, რომელშიც მას იმთავით მოკიდებული თავისი სოლო პარტია ჰქონდა, როგორც ღრმად ეროვნულსა და დამოუკიდებელ ოსტატსა და პიროვნებას. ამ რთულ ზღას წითელი ხაზივით გასდევს შავ პალიტრაზე მწვანე ფერის კულტისმიერ ძიებათა ანარქლი, და ამის საფუძველზე კი — ურთულესი სახვით — სახეობრივი პრობლემების გადაჭრის მდღეღარება.

აკი მოიძია კიდევ, დღეს საქვენოდ აღიარებულიმა მხატვარმა იგი და შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში შესული, დღითიდღე ამჟარებს და ახალი თვისებით მისხვს მისით განპირობებულ მაღალ შემოქმედებით რენომეს.





# გაერესახვა

— საიდან მოვლივარ?

— ჩემი ბავშვობიდან...

მსგავსად გენიალური ეკუიუპერის ამ კითხვა-პასუხისა, დაახლოებით ასევე მიუგებს ხოლმე თავისსავე თავს ქართული გობელენის ქსოვის დიდოსტატი გივი ყანდარელი, როდესაც სურს შეიცნოს საკუთარი არსობისა და სულიერი ქმნადობის საწყისი დრო და მიწეზი...

— წარმომავლობით გარე-კახელი ვარ, გვიყვება მხატვარი, თვალთაველი, თვალთახველი... შეგახსენეთ საგარეგოს უძველესი სახელი. უწინ რას წარმოადგენდა იგი, ვერაფერს ზეტუვით, ჩემს ბავშვობაში კი ნამდვილი სოფელი იყო — კალონითა და თონეებით, ვენახებითა და ქვევრებით, ორღობეებითა და ურშებით დამშვენებული, იქ დღემდე ცოცხლობს ჩემი ბავშვობა, რომელიც ჩემს სულს წარსულის ტკბილი მოგონებებით ასაზრდოებს. ერთი იქაური ეკლესიის ენოში არქეოლოგთა მიერ მოკვლეულ იქნა მე-18 საუკუნის მიწურულის საფლავის ქვა, რომლის ქვეშაც, თანახმად წარწერისა, განისვენებს ვინმე ზანა ყანდარელი, ექვი არ არის, ჩემი უძველესი წინაპარი, გადმოცემით, მთიულეთიდან გადმოსული კაცი...

მთელი არსებით მიყვარდა სოფლის გარე-გარე ხეტიალი, მაგრამ ამასთანავე ივრისპირეზზე, მაისიულ ვენახში მუშაობაც, რომელსაც იქაური ხილის მიხედვით, „ხილის ვენახებს“ ვეძახდით ხოლმე. ერთხელ მამამ მე და ჩემი ძმა მთელი კვირით წაგვიყვანა ვენახში სამუშაოდ... დღემდე არ ივიწყებს მხატვარი არც კალონისა და არც კევრზე შემდგარ ქალიშვილს, რომელიც უწინის სარჩით ღომა ხარებს მიერეკობოდა წინ. გავარჯარებულ ძნეზე კი თავნება ბიჭები გადარბოდნენ და ვერა და ვერ მოხერხებინათ მოკოხილ კევრზე ასვლა.

უწყინარია მხატვრის ბავშვობისდროინდელი

თავგადასავლები, ტკბილით მოგუდული ქვევრები, თიხის სახულებიდან შქშინავი კურები; კახელი გლენები თუ მათი ეთნოგრაფიული უოფა, ბოლოს და ბოლოს, გ. ყანდარელის მუღმივი ფიჭერა და შემოქმედების საგანი გახდა.

— ზოგჯერ სოფლის თემებზე მუშაობის დროს, — განმარტავს მხატვარი, — ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს თვალთახედვისა და აზროვნების ვიწრო ჩაჩოვებში ვიყო მოქცეული, მაგრამ, ჩემის აზრით, არ არსებობს პატარა, ბრალიანი და უბრალო თემა.

მართალს ბრძანებს მხატვარი გ. ყანდარელი, დღევანდელი ქართული გობელენის ერთ-ერთი ბრწყინვალე შემქმნელი, ვინაც ამ დარგის სხვა ქართველ ოსტატებთან ერთად, ფრანგული სიტყვა „გობელენი“ გააქართულა არამარტო შინაარსით და ხაზების სისადავით, ფერების შერწყმითაც კი...

ქართული ხალხური შემოქმედება საუკუნეების მანძილზე ბრწყინავდა თავისი დიდებული ხალიჩებით, სახელგანთქმული ლურჯი სუფრით. მათი მკაცრი გეომეტრიული ფიგურებიც კი საცქერლად საამო და, ხელოვნების თვალსაზრისით, ამაღლებული ხდება ტეშმარატი შემოქმედის გემოვნებისა და ოსტატობის წყალობით. თუშური ხალიჩების ახლანდელმა გამოფენამ თვალნათლივ ცხადყო ამ ტრადიციის უბერებლობა.

მაგრამ დრომ ტრადიციის ერთგვარი დარღვევა მოითხოვა. საჭირო იყო მეტი კომპოზიციური მრავალფეროვნება. ეს ასეც მოხდა და მალე ქსოვილის ფონი ნიჭიერ ქართველ მხატვართა ბრწყინვალე შთანაფიქრებით დამშვენდა. ამან კი, როგორც გ. ყანდარელი ამბობს, გობელენი, თავისი პრინციპებით, მონუმენტურ ფერწერას დაუახლოვა.

— ჩემი დიდი გამოცდილების შემდეგ, —



განაგრძობს ხელოვანი, — იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ გობელენს გამოხატვის სრულიად განსხვავებული საშუალებები აქვს. ის ფაქტი, რომ გობელენი იქნაოვება, მხატვარს იმ პრობლემის წინაშე აყენებს, თუ როგორ უნდა გადაწყვიტოს გობელენში ნახატის საკითხები, ვინაიდან იქაურ კომპოზიციებში ადამიანები, მცენარეები და ცხოველები სრულიად განსაკუთრებული უნდა იყოს, ხოლო ნახატი — ძალზე პირობითი და განწოგადობილი.

გობელენების გაქართულების საშუალებად გ. ყანდარელი ფიროსმანის ნახატებსა და ქართულ ფრესკებს მიიჩნევს. ეს მისი სუბიექტური აზრია და არ სურს, ახალგაზრდობას მოახვიოს იგი თავზე.

— ფიროსმანი — მისი ლაკონიურობით, ნახატის პირობითობითა და სადა ბერბებით, სადაც სინამდვილე ხალხურად ემოციური ხდება, შედგამოჭრილად ერგება ქართულ გობელენს, — ცდილობს მხატვარი თავისი მოსაზრების დასაბუთებას, — ასევე ქართული ფრესკები — მისი ნათელი კომპოზიციებით, ფერებითა და ხაზებით არჩევულებრივად პლასტიკურობით, ქმნის ნამდვილ ქართულ განწყობას, კოლორებს და, ბუნებრივია, მათზე დაყრდნობაზე შეიძლება ქართული გობელენის შექმნა.

მხატვრის შესანიშნავი გობელენი „პური ჩვენი არსობისა“ დავით გარეჯის ერთ-ერთი კომპლექსის ფრესკამ — „საიღმარლო სერობა“ შთააგონა მას. ნათელი და ამადლებული კომპოზიციისა და, რაც მთავარია, წინა პლანზე მოცემული ხელის ვეება მტევნით და თითის ძლიერი ფლანგებით, რომლის სიდიდეს სპეციალურად გაუსვია ხაზი ავტორმა ჯერ ფერად ესკიზზე, შემდეგ ფანქრით გადიდებულ ნახატში და ბოლოს გობელენში, ასევე ხსენებული ფრესკის დეტალების მიხედვით შექმნა მან...

თავის უამრავ ქმნილებათა შორის მხატვარი მაინც რამდენიმეს გამოყოფს: „ფიროსმანის სიზმარი“, „პური ჩვენი არსობისა“, „ალვანელი ქალბები“, „წელიწადის დრონი“, „თბილისური სერენადა“, „მშენებლები“ და სხვა, მაგრამ „ფიროსმანის სიზმარს“ საკუთარი შემოქმედების უველაზე მნიშვნელოვან მიღწევად მიიჩნევს და ეს ასევე არის სინამდვილეში: ვისაც მხატვრის სახლში ერთხელ მაინც უნახავს ეს მონუმენტური ქსოვილი, რომლის ვეება ზედპირზე თავმოყრილია ფიროსმანის გმირთა მთელი გალერეა, არ შეიძლება არ მოიხიბლოს.

რადაც ახალი, გაუცვლადი გზით მივიდა გ. ყანდარელი ფიროსმანთან, გაუშინაურდა მის ირმებს, ორთაჟალის ტურფას, კინტოებს, მოქვირებებს და, რაც მთავარია, პირადად მხატვარს და ქსოვილის ენაზე ახალი დასაბამი მისცა მათ არსებობას.

და, მიუხედავად გობელენის ტექნიკის თავისებურებისა, რომელიც დაზგური ფერწერისაგან განსხვავებით, მოკლებულია პერსპექტივისა

თუ ტონალობის საშუალებას. ის ქანაგველზე, მაინც განადიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს. თითქმის უარყოფილია მეორე პლანში, შუტბ ტონი, ხოლო წოგჯერი ნისლოვანი ფონი იძლევა უპირო სიღრმის შთაბეჭდილებას,

„ფიროსმანის სიზმრის“ შექმნას დასაბამი მისცა ფიროსმანის ნახატების ლუვრში გამოფენამ, სადაც ჯერ არც ერთ ჩვენს მხატვარს არ ღირსებია ესოდენ დიდი პატივი. გამოფენის არაჩვეულებრივმა წარმატებამ და შემდეგ გაზეთში გამოქვეყნებულმა წერილმა, მხატვარს გ. ყანდარელს სურვილი აღუძრა ფიროსმანის თემებზე მუშაობისა. მას თითქოს პირველად ესმა ნიკაელის სახელი, თითქოს პირველად შეხვდა მისი ირმების გაადამიანებულ თვალებს, მთელ მის სამყაროს, უბრალო ხაზებს, ხოლო წოგჯერ ისეთ ხაზებსაც კი, რომელთა გადაღება ძალიან უჭირდა ავტორს გობელენზე მუშაობის დროს...

— ფიროსმანმა უდიდესი გავლენა მოახდინა ჩემზე, — გვიამბობს მხატვარი გ. ყანდარელი. ხსენებულმა ნამუშევარმა მიაწვია მას ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება...

ამ წარმატებამ ისევ მოაბრუნა იგი ფიროსმანისაკენ და მის კალონაზე დახსენებით, შექმნა მზრდილი გობელენი.

რამდენადაც ამ გამარჯვებამ ფრთები შეასხა მხატვარს, იმდენად ნამუშევრის სრულყოფილებამ შეაკროს და დღემდე ხელი ააღიდა მის ავტორს ვაჟს მხოტოვე მუშაობის დროს. ესკიზი „ვუა და ბუნება“, რომელსაც ზოგადად „მინდია“ შეიძლება ვუწოდოთ, თავისი კომპოზიციის სირთულითა და სრულყოფილებით კარგად წარმოგვიადგენს დიდ მგოსანს, ვინაც გაიგო ენა სულიერი და უსულოთა და შეიცნო შეუცნობელი...

მაგრამ თავად მხატვარი მაინც უქმყოფილოა ხსენებული ფერადი ესკიზით; ამიტომ დღემდე არ აპირებს მის გადიდებასა და ქსოვილის ენაზე ამტკუვებლებს. ავტორი მაინც არ ყრის ფარხმალს და ელოდება ზეშთაგონებას,

ბავშვობის მოგონებებიდან ვერა და ვერ აცდა, ვერ გვიღია მხატვარი ძველ ქართულ სამოსელში გამოწყობილი კახელ გლეხებს, მშენებლებს, აღვანელ ქალებს, მოკლედ, თავის გვარტომთა აჩრდილებს.

არა, ეს კუთხურობა როდია, ქართული ხელოვნების შენარჩუნებაზე ზრუნვაა, და არა მონება უცხოური გობელენის წინაშე. ცდუნება კი მოსალოდნელი იყო ყანდარელის პრადის უმაღლეს სასწავლებელში ექვსთვიანი სწავლების დროს, სადაც მისი ბუნებრივი ნიჭი იწვრთნებოდა პროფესორ ანტონინ კიბალის ხელმძღვანელობით. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მან წარმატებით მოიმოწაფა თბილისის სამხატვრო აკადემიის კერამიკის ფაკულტეტის სრული კურსი,



შემდეგ ასპირანტურა ქსოვილების განხრით და ბოლოს პრალის ხსენებული სასწავლებელი, ყოველივე ამან ოსტატს საშუალება მისცა თბილისის სამხატვრო აკადემიაში დაინერგა ქართული გობელენის ქსოვის ხელოვნება, რასაც დღეს წარმატებით ანივთარებენ მისი თანამოსამყენი და თანამოწარერი.

თვით ისეთ რთულ კომპოზიციასაც კი, როგორცაა — „გაუფრთხილდით სიცოცხლეს!“ — ავტორი ისევ და ისევ კახური ტიპებით ქმნის სიცოცხლის ჰიმნსა და სიცოცხლის გადარჩენის დიდებულ განწყობას. ხსენებული ნამუშევარი ეს-ესაა იქმნება ავტორის მიერ და მას მოსკოვის საყრილობო გამოფენისათვის ამზადებს მხატვარი.

ამ ფერადოვან ძაფებს, იგივე მომავალ ნახატს, სურათის იგივე საშენ სამალას, სხვა არაფერი არ შეიძლება ვუწოდოთ, თუ არა არიანძნის ძაფი, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, კომპოზიციის დასასრულამდე უნდა მიიყვანოს მხატვარი. ეს არის არამარტო გემრული შრომის ნაყოფი, არამედ თანმიმდევრობითი ქმნალობა მარტივი ესკიზიდან დაწყებული, ვიდრე ბროკენის ჩრდილივით გადიდებული მისივე ხაზებითა და, ბოლოს ქსოვილის მდიდრული ენით დამთავრებული...

წელიწადის დრონი არ არის ხელოვნების ახალი თემა. გ. ყანდარელსაც სურდა მისებურად აეხსნა წელიწადის დროის ცვალებადობანი, მათი ბუნების სხვადასხვაობა, მაგრამ ამავე დროს ერთიანობის უწყვეტი რგოლი. წელიწადის დრონი სწორედ წრული რგოლის სახით წარმოუდგენია მხატვარს, ბოლო თავად ოთხი დრო, ხელოვანის მიერ აღქმულ ფერებთან ერთად, მისივე წარმოდგენით, განლაგებულია რგოლის სხვადასხვა მონაკვეთზე. ამ გაგებით შექმნა ყანდარელმა ჯერ ორი სხვადასხვა ესკიზი, შემდეგ დიდი, მაღალმხატვრული გობელენი. მაგრამ მოხდა ისე, რომ გობელენზე წელიწადის დროებმა ადგილი იცვალეს, რაც გამოიწვია ფერთა ჰარმონიის წონასწორობის დარღვევის საშიშროებამ.

გ. ყანდარელის გობელენების წარმატებად უნდა მივიჩნიოთ მათი გამოფენები იაპონიის, კანადის, იტალიის, საფრანგეთის, ბელგიის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, გერმანიის, უნგრეთის, ბულგარეთის, ინდონეზიის ქვეყნებში, მრავალი უცხოური და ადგილობრივი დიპლომი და პრემიები.

მხატვრის ნამუშევრების უდიდესი ნაწილი თავმოყრილია მოსკოვში, დანარჩენი საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში...

მხატვრის სახლი-სახელოსნო სავსეა მრავალი გრაფიკული ნამუშევრებითაც, რომელთა უდიდესი ნაწილი აკვარელის ფერებითაა შესრულებული. ეს არ არის კლასიკური აკვარელის განმეორება. ამ ნამუშევრებში მხატვრის შემოქმე-

დების ორი პერიოდი გამოიყოფა, რომელთაგან უკანასკნელში გრაფიკოსის ძალზე თამამი მონასმები ჭარბობს.

— აკვარელზე მუშაობის დროს ველეაფ, თითქოს სულ სხვა სამყაროში ვხვდები. აკვარელი ლექსივით ნაწია და ის ერთი ამოსუნთქვით უნდა შეიქმნას, — განმარტავს ხელოვანი და უმატებს, — წეთის ფერებით მუშაობა ჩემი მოწოდება არ არის; ერთხელ ვცადე ამ ფერებით ხატვა და ძალიან დავიტანჯე, ხელები თითქოს შემებოროკა.

1981 წლის თბილისისობისათვის ოსტატი აპირებს ყოველდღიურად თითო აკვარელის შექმნას და მერე გამოფენის მოწყობას სათაურით: „თბილისი ჩემი აივნიდან“, უკვე შეუქმნია რამდენიმე ნამუშევარი. ბრწყინვალე ხედი, რომელიც მისი სახლის აივნიდან იშლება, თავისუფლად იძლევა ამ ჩანაფიქრის აღსრულების საშუალებას...

მაგრამ გ. ყანდარელის შემოქმედება არ არსებობს ცალკე მისი მეუღლის — ლიუ-ყანდარელი გვან ვენისა და არც მისი შვილების — მომავალი ფერმწერლის ნინოსა და სტუდენტ-არქიტექტორის ერკელის შემოქმედების გარეშე. მეუღლე გვან ვენი, სხვაანაირად მარგოდ ამ ზოგჯერ მარგარიტადაც რომ უბოძებდა, ვისმას სხეულმაც ქართველი დედის — ნონა თუშმალიშვილისა და ჩინელი მამის — ლიუ ვეი ჯოს სისხლი შეერთა, არათუ პროფესიონალი მხატვარი და მთელი რიგი გამოფენებისა და პრემიების ავტორია, ის ამასთანავე მისი მეუღლის მარჯვენა ხელიცაა გობელენებზე მუშაობის დროს... ჩინეთში შობილი და აღზრდილი ქალიშვილი, პეკინის ცენტრალური სამხატვრო აკადემიის ქსოვილების ფაკულტეტის სტუდენტი, შემდეგს სიმონ ქობულაძის რჩევით საქართველოში ჩამოსული და თბილისის სამხატვრო აკადემიის კერამიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ერთდროულად ჩინურ და ევროპულ მხატვრობას შორის რომ მოექცა, ყოველთვის ცდილობს ამ ორი მიმდინარეობის ერთგულად დარჩენას, მაგრამ მათი შერწყმით სრულიად ახალი მხატვრობის სინთეტური სახის შექმნას. გვან ვენმა შეძლო ეპოვა მათ შორის საკუთარი თავი და ხელწერა, შექმნა ისეთი გობელენები, სადაც მნახველი ერთდროულად ჩინელი და, ამავე დროს, ქართველი მხატვრის სულს შეიცნობს. ეს ასეც მოხდა, როდესაც მან თბილისის ერთერთ სამხატვრო გამოფენაზე გამოიტანა ქველი თბილისის ყოფისადმი მიძღვნილი დიდი გობელენი...

გვან ვენის ქართული აკვარელების გვერდით ცალკეა გამოფენილი მის მიერ ახლახანს შესრულებული ჩინური გრაფიკული სურათებიც.

აპთანდრელ ჰარტაბაძე  
ბარდასასხვა



ეს არის მხატვრობის, საკუთარი ლექსისა და კალიგრაფიის შერწყმის იშვიათი ნიმუშები.

ის ცდილობს ასეთივე ნახატი ჩემს თვალწინაც შექმნას. ამისათვის ფუნჯს ქალაღღისადმი ვერტიკალურად იჭერს, თითებს სწრაფად ამოკრავებს და სულ მალე ამთავრებს მოზრდილ სურათს.

— იცით, — ღიმილით განმარტავს გვან ვენი, — ასეთი სურათების შექმნისას მხატვრები წინასწარ როდი ფიქრობენ შინაარსზე; პოეტებიც ვით მოულოდნელად ეუფლებათ ზოლზე მუშა. ამასთანავე ფუნჯი სიბრტყისადმი ვერტიკალურად უკავიათ... მახსოვს, თბილისში „ტაიფუნის“ წარმოდგენის დროს, სადაც უკან გოძიაშვილი ჩინელი ფეოდალის მთავარ როლს ასრულებდა, ფუნჯი ევროპელი მხატვარივით ეჭირა ხელში, ამიტომ შესვენებისას შენიშვნა მივიცი. მსახიობი სიცილით მომიბრუნდა და მითხრა: ამ შეცდომას ნახევარი თბილისიც ვერ გაიგებნო, თუმცა მეორე მოქმედებაში ნაკლი მაინც გამოასწორა...

ამ ბოლო ბანეში გვან ვენის ხელი მაინც ქართულმა გრაფიკამ დაიმორჩილა. შეხედეთ მის მდიდრულ, საქართველოს მზით სავსე აკვარელებს, ყური დაუგდეთ მის წმინდა ქართულს, მის სიყვარულსა და ერთგულებას მშობლიური დედუღეთის — კახეთისადმი ან აჭარისადმი, სადაც გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან,

ოცდაათი წლის მანძილზე, ქართულ ხანგრძლივითარების საქმეს ემსახურებოდა. რაკინე საქმეს დიდი სპეციალისტი, ერთ-ერთი ახალი ჩიშის „ლაი-ჩაის“ გამომუყანი, შემდეგში სოციალისტური შრომის გმირი ლაო ჯონ ჯაო. მისი შეილები ყველანი ჩაქვში არიან დაბადებულნი, დამთავრებული აქვთ ჯერ ბათუმის გიმნაზია, მერე ორ დამას — პეტერბურგის უმაღლესი სასწავლებელი.

გვან ვენის ბიძა ლიუ ძე ფუნი „დიდი რუსულ-ჩინური ლექსიკონის“ ავტორია; დედა — პეკინის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი — რუსული ენის სახელმძღვანელის ავტორი ჩინური სკოლებისათვის. დღეს ქ-ნი ნონა თავის ოცდახუთი წლის ქალიშვილ ელლასთან (იგივე ლიუ ზუასთან), ნიჭიერ მხატვარ ქალიშვილთან ერთად რამდენიმე თვით თბილისშია სტუმრად ჩამოსული...

ასეთია მოკლედ საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრის ფერწერის მასწავლებლის, საქართველოს მხატვართა კავშირის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სექციის თავმჯდომარისა და პრეზიდიუმის წევრის, ქართული გობელენის დილექტის გივი უანდარელისა და მისი მეუღლის ლიუ-უანდარელი გვან ვენის ცხოვრება და შემოქმედებითი ბიოგრაფიის ერთი ფურცელი.



# კულტურული ცხოვრების ქრონიკა



## აჭყ

### გამომუხსნაც ასწავლიან მანს

ახალგაზრდა ორანგუტანგთაგან ჩანტკთან ორიგინალურ ცდას აუჩვენებს ტენესის შტატის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის პროფესორი ლინ მაილსი. ახლა პროფესორი მაილსი ამზადებს თავის აღსაზრდელს ერთ-ერთ საბავშვო სატელევიზიო გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად. საქმე ისაა, რომ ჩანტკი წარმატებით ეუფლება ჟესტის ენას.

— ორანგუტანგმა უკვე იცის თერთმეტი ნიშანი, რომლებიც ცვლის სიტყვებსა და მოკლე წინადადებებს, — ამბობს ლინ მაილსი. — როცა ჩანტკი თავის უფროს გვიჩვენებს, ეს ნიშნავს, მისმინეო. თუკი თითებს ერთმანეთზე მიატყუებებს — კიდევ მომეცე, მეტი მომეცეო; როცა ორანგუტანგი ცერებს ატრიალებს, ეს იმას ნიშნავს, აბა გავიქეთო, დამეჩეო.

ხანდახან მაიმუნი ორ ნიშანს აერთებს, მაგალითად: „მოდი აქ“, „დამეჩეო“. მეცნიერები გააოცა ერთმა შემთხვევამ მთებში, სადაც თოვლი იდო. ჩანტკმა თოვლი პირველად ნახა, აიღო და როცა ხელში ჩააღწა, გაოცებით შეხედა ლინ მაილსს და ხნიშა „წყალი“.

ხალხის ფიქრით, მისი „მოწაფე“ დროთა განმავლობაში ორმოცდაათზე მეტ ენის ენის ნიშანს აითვისებს და თუ მათ კომუნიკატიულად გამოცემასაც ისწავლის, მა-

შინ მაიმუნის „სიტყვათა“ მარაგი გაცილებით მდიდარი იქნება.

### პრემია სირბილში

„მოსპირთელ კორპორეინოვ ამერიკა“ კომპანიის პრეზიდენტი თომას ფრისტი უკველდღე სამსახურში სირბილით დაღის: საათნახევარში ათ მილს გარბის.

ეს საქმისანი ახლა 42 წლისაა. მის აზრით, რაკი სირბილი აკუთებს სხეულს, ხოლო თანამშრომელთა ავადმყოფობა ფირმას ზარალს აუყენებს, ამიტომ ხელი უნდა შეუწყოს თანამშრომელთა სპორტით გატაცებას. ეს ერთი ხანია თომას ფრისტი იმ თანამშრომელს, ვინც ერთ მილს ველოსიპედით გაივლის, 4 ცენტს უხდის, სირბილით განვილდ თითოეულ მილში — 16 ცენტს, ხოლო ვინც ერთ მილს ცურვით დაფარავს — 64 ცენტს.

### კირჩხიბის თანაპარსკვლავების „კლონდაიკი“

ამერიკის შერტებული შტატების რადიოსტრონომებმა გამოიკვლიეს, რომ კირჩხიბის თანავარსკვლავედის ერთ-ერთი ვარსკვლავი, რომელიც ჩვენს პლანეტას 178 სინათლის წელიწადითაა დაშორებული, უჩვეულო დიდი რაოდენობით შეიცავს ოქროს. თუკი ამ კეთილშობილი თიონის რაოდენობა დიდამიწის მხოლოდ ერთ მეორას-მოდით აღემატება, იმ ვარსკვლავზე ოქროს ოდენობა

ერთი მესამით აღემატება. ამასთან ციურ სხეულში ოქრო თანაბრადაა განაწილებული. მეცნიერებმა გამოიანგარიშეს, რომ შორეული ვარსკვლავის ოქროს „მარაგი“ არც მეტი არც ნაკლები ას მილიარდამდე ტონას შეადგენს.

### გულბარეთი

ახალი სპალსო დასა

პლემდომის უნივერსიტეტის მეცნიერებმა საქონის მოსწავლეებისათვის გამოიგონეს... საკლასო დაფა. გარეგნულად იგი არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი საგანისეოდე შავია და წერით ამ დაფაზე წინადადებად ცარცი იწერება. სიახლე ისაა, რომ დაფა მაგნიტურია.

დაფაზე ადვილად ეკრება სხვადასხვა მოწყობილობა ფიზიკაში, ელექტრო და რადიოტექნიკაში. ექიმთა სადემონსტრაციო ცდების ჩასატარებლად.

დაფა გამოიყენება წრებში, საკონსტრუქტორო ბიუროებში, სპორტულ სექციებში და სხვ.

### პოლონეთი

თარგმანის გიგლიობრაფია

პარშაპის გამოცემლობა „ჩიტენიკო“ გამოუშვა პოლონურ ენაზე თარგმნილი ლიტერატურის ბიბლიოგრაფიის მეორე ტომი. პირველი ტომი მოიცავდა ინფორმაციას 55 კაპიტალისტური და განვითარებადი ქვეყნების თარგ-

მნიშვნელოვანი ლიტერატურის თაობაზე; მეორე ტომში კი აღწერულია სოციალისტური ქვეყნების თარგმნითი ლიტერატურა, რომელიც 1945-1975 წლებში დაიბეჭდა.

აქ აღრიცხულია რომანები, მოთხრობები, დრამატული და პოეტური ნაწარმოებები, აგრეთვე მემუარული და ბიბლიოგრაფიული ლიტერატურა, ნარკვევები, ესეები, ფელეტონები. აქვეა ლიტერატურის თეორიისა და ლიტერატურული კრიტიკის მასალები. ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილია ხელოვნების დარგის (მუსიკა, თეატრი, მხატვრობა, ქანდაკება, ხუროთმოძღვრება) პუბლიკაციები, არქეოლოგიური და მეცნიერული წიგნები, სამეცნიერო-პოპულარული საყმაწვილო თხზულებები. პირველი ტომისაგან განსხვავებით ბიბლიოგრაფიის მეორე ტომში არ შესულა ფილოსოფიური, რელიგიური, სოციოლოგიური, ისტორიული და პოლიტიკონომიური სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული შრომები.

ბიბლიოგრაფიაში დიდი ადგილი ეთმობა საბჭოთა ლიტერატურას. ბიბლიოგრაფიის პირველი და მეორე ტომები, როგორც წინასიტყვაობაშია აღნიშნული, ასახავს პოლონელი მთარგმნელების მიღწევებს მხატვრული თარგმანის დარგში,

ცხადყოფს გამოცემულთა უწარმაწარ შრომას.

1981 წელს განზრახულია შემდეგი ტომის გამოცემა, რომელიც აღინუსხება მსოფლიოს თარგმნითი ლიტერატურა 1980 წლამდე.

### საზრანგეთი

#### ფული ბრმათათვის

საზრანგეთში გამოუშვეს ასტრანჯიანი უჩვეულო ქაღალდის ფული.

ფულის ერთ მხარეზე გამოხატულია სახელგანთქმული მხატვრის ენერ დელაკრუას პორტრეტი და მისი ცნობილი ტილოს „თავისუფლება ბარჯადებზე“ ერთი ნაწილი. ახალი ფული იმით გამოირჩევა, რომ მისი ღირებულების მაჩვენებლები დაბეჭდილია როგორც ჩვეულებრივი სტამბური წესით, ისე ბრმების შრიფტითაც.

### უვეცია

კრიმინალისტებს თანხმდებიან გაუჩინდეთ

ჰველუ ადამიანს თითებზე პაპილარული ხაზები ამჩნევია და ეს ხაზები ყველას განსხვავებული აქვს. ასეა თუ ისეა, დღემდე ორი ერთნაირი მოხაზულობა არ იყო ცნობილი.

მაგრამ საოცრება ისაა, რომ

შვედ მოქალაქეებს ინჟინერ ანდრეას დანიელსონსა და მის თვრამეტი წლის ქალიშვილს მარის თითებზე სწორი ხაზები აქვთ პაპილარული ხაზებიც ეს მოვლენა ჭერჭერობით პირველია. დანიელსონის ნათესავების გამოკვლევაში ცხადყო, რომ ასეთი ხაზები ყველას აქვს.

მამა-შვილის დანიელსონების ამ ამბავმა კრიმინალისტების ყურადღება მიიქცია. კრიმინალისტებისათვის თითის ანბეჭდვების მიხედვით დამნაშავეთა მოძებნა ხომ ერთ-ერთი უველანავე იმპეტური საშუალებაა. როგორც ჩანს, ამ წესს გამოიყენებენ მკვნიც.

### ბიუროკრატიული ენა

ბიუროკრატიათან ბრძოლის სამართველომ, რომელიც შვეციის მთავრობის გადაწყვეტილებით შეიქმნა, დაადგინა, რომ უკანასკნელ წლებში ჩამოყალიბდა თავისებური სადაწესებულებო ენა, რაც მოსახლეობის ფართო ფენებისათვის გაუგებარია.

იმასთან დაკავშირებით, რომ ბიუროკრატიული ენას, ეტყობა, ვეღარ აღმოფხვრის, გადაწყდა, გაუგებარი ტერმინებისა და გამოთქმების ლექსიკონის გამოშვება. სიტყვარში 50 000 სიტყვა შევა. ლექსიკონი ყველა საშუალო სკოლადაშთავრებულს დაურიგდება.

ჩ ვ ე ნ ი მ ი ს ა მ ა რ თ ი : თბილისი, 880007, დალიანის ქ. № 2.

ტ ე ლ ზ ე ნ ე ბ ი : მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-82, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-85, პრეზიდი — 72-26-80, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62. „ცინიკრის“ დამატება — 72-17-01, ხალორქეტორი — 72-43-75.

გადაეცა ასაწყობად 19. 12. 80 წ., ხელომწერილია დასაბეჭდად 11. 2. 81 წ., ქალაღლის ზომა 70x108. ფცკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სალორ-საგ. თაბახი 15.85. შეკვ. № 3251 უე 17329 ტირაგი 45.750

საქართველოს კვ. ც.ს გამოცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14  
Типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14.

3560 60 353.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И  
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ  
ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ